სამყარო C | სამართალი D | ლიტერატურა E



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 21 ივნისი, 2003 წელი. №168 (380)

ფასი 50 თეთრი


# კახა უგულავა სახელმწიფო მინისტრს დაუპირისპირდა

**დავის საგანი - საგანგებო ლეგიონის უფლებამოსილებანი**

*გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში, უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე, სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძესა და ანტიკორუფციული საბჭოს მდივან კახა უგულავას შორის სერიოზული შეხლა-შემოხლა მოხდა. სხდომაზე განიხილებოდა საგანგებო ლეგიონის რეფორმირების და ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული საკითხები.*

ვერიკო თევზაძე

უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭირა ფინანსთა სამინისტროს კანონპროექტს, რომელიც საგანგებო ლეგიონისთვის ფუნქციების გაზრდას ითვალისწინებს. **"პროექტი გულისხმობს ლეგიონისთვის ფინანსური დანაშაულის გამოძიების უფლების მინიჭებას,**


გაგრძელება A2 გვერდზე


# ბუშტები მათი სამშობლოსკენ გაფრინდნენ

**ლტოლვილთა მსოფლიო დღე პანკისში**

*გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემებით, დღეს მსოფლიოში 20 მილიონი ლტოლვილია, აქედან 4200 ჩეჩენი ლტოლვილი საქართველოში, ძირითადად, პანკისის ხეობაშია შეხიზნული. უკვე მესამე წელია, რაც 20 ივნისი ლტოლვილთა მსოფლიო დღედ გამოცხადდა, საქართველოში კი ეს დღე წელს მეორედ აღინიშნა.*

თამარ კაციტაძე

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის და საქართველოს გაერო-ს ასოციაციის მიზანი, როგორც თავად აღნიშნავენ, სწორედ ის გახლდათ, რომ პანკისის ხეობაში, კერძოდ, სოფელ დუისში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილებისთვის ერთი დღით მაინც დაევიწყებინათ ის ტრაგედია და პრობლემები, რომელშიც მეზობელი ქვეყნის ხიზანნი ოთხი წლის განმავლობაში ცხოვრობენ. სხვათა შორის, სწორედ აღნიშნული ორგანიზაციების ინიციატივით, ლტოლვილთა დღე საქართველოში აკრედიტებულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმაც და საელჩოების წარმომადგენლებმაც პანკისის ხეობაში აღნიშნეს. ასეთი ხალხმრავალი სტუმრობა, თურმე, დუისს არ ახსოვს.

დუისში, დაბალ გორაზე, შინმოუსვლელთა მემორიალზე გუშინ დილიდანვე ხალხმრავლობა იყო. იქაური ქისტები და ლტოლვილი ჩეჩნები ერთმანეთს დოლსა თუ ფეხბურთში, მკლავჭიდში თუ ჭიდაობაში ერკინებოდნენ. მოგვიანებით კი, მასპინძლებიც და მათი ხიზნებიც თავად იქცნენ თბილისიდან ჩასული "ზღაპრის თეატრის" სტუმრებად. ლტოლვილ ბავშვებს მსახიობებმა, რომლებიც უკვე მეორედ იყვნენ პანკისში, ჩუკოვსკის "გაფუჭებული ტელეფონი" აჩვენეს.

**"ჩეჩნეთში ვინც კარგად ცხოვრობდა, ის აქაც კარგად ცხოვრობს. ჩვენს ოჯახში 15 სული ვართ და სკოლის შენობაში, ერთ ოთახში ვცხოვრობთ. მართალია, არის ოთახები, რომლებიც თავის დროზე ჩვენივე ხალხს მისცეს, მაგრამ ახლა ისინი სხვაგან ცხოვრობენ, ჩვენ კი, რომ მოგვაქირაონ, 50-70 ლარს გვთხოვენ, რისი საშუალებაც არა გვაქვს. რაც გვქონდა, გავყიდეთ, რომ შიმშილით არ მოვმკვდარიყავით. თელავში ბაზარზე დავდივართ და ვაჭრობით ორ კაპიკს ვშოულობთ. მომავალში როგორ უნდა ვიცხოვროთ, არ ვიცით. ჩვენს ხარჯზე ისევ სხვები მდიდრდებიან. როგორც გავიგეთ, უცხოეთიდან ჩეჩენი ლტოლვილების სახელზე 17 ტონა ტანსაცმელი გამოგზავნეს, მაგრამ ჩვენამდე არაფერს მოუღწევია. თბილისშივე გაყიდეს. ვინ, არ ვიცი,"** – ამბობს ჩეჩენი ქალბატონი, რომელმაც გვარის გამხელაზე უარი განგვიცხადა.


გაგრძელება A8 გვერდზე




გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ჩეჩენმა დევნილებმა ბუშტებს წერილები და ამანათები გაატანეს.*

# ევროკავშირი კონსტიტუციის პროექტს განიხილავს

*საბერძნეთში, საკურორტო ქალაქ პორტო კარასში ევროკავშირის წევრი 15 სახელმწიფოსა და მომავალი წლის მაისში გასაწევრიანებელი 10 ქვეყნის ლიდერი ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტს განიხილავს. საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ვალერი ჟისკარ დ`ესტენის ხელმძღვანელობით კონვენტის მიერ შექმნილი პროექტი ბრიუსელის უფლებამოსილებების გაზრდას ისახავს მიზნად. ცვლილებები უამრავ სფეროს შეეხება, იმიგრაციიდან დაწყებული და საგარეო და თავდაცვის პოლიტიკით დამთავრებული. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ყველა საკითხის მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება არ აქვთ, რაც კონსტიტუციის მიღების პროცესს აფერხებს.*

რევაზ ბახტაძე

ევროპული მთავრობები და ექსპერტები კონსტიტუციის საჭიროებაზე სხვადასხვა მოსაზრებებს გამოთქვამენ. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ 15-წევრიანი კავშირის მართვის სისტემას, რომელსაც მომავალ წელს კიდევ 10 ქვეყანა შეემატება, რადიკალური ცვლილებები სჭირდება. სხვები აღნიშნავენ, რომ წევრ სახელმწიფოებს შორის იმდენი ურთიერთგადამფარავი ხელშეკრულება გაფორმდა, რომ მათი სისტემატიზაცია და ერთიან დოკუმენტში გაერთიანება აუცილებელია. ისინი, ვისაც ევროკავშირის მზარდი ძალაუფლების შეჩერება სურთ, კონსტიტუციას ეროვნულ მთავრობებსა და ევროკავშირის უფლებამოსილებებს შორის მკვეთრი საზღვრის გავლების საშუალებად განიხილავენ. ფედერალისტებისთვის კი, რომელთაც ევროკავშირის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება სურთ, კონსტიტუცია უფრო მჭიდრო გაერთიანებისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.


გაგრძელება A5 გვერდზე


# ჯენტლმენთა პრესკონფერენცია




REUTERS

*ვიტალი კლიჩკო და ლენოქს ლუისი დღეს შეერკინებიან.*

# ბავშვებით ვაჭრობა იმერეთში

**უცხოელებს საქართველოში ბავშვის შვილება 5 ათასი დოლარი უჯდებათ**

ბექა სისაური

ცოტა ხნის წინ იმერეთის საოლქო პროკურატურამ ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებას "ჩაავლო". ჯგუფი ჩვილი ბავშვებით უცხოეთში უკანონო ვაჭრობას ეწეოდა. საქართველოდან ამ საქმიანობაში ქუთაისელი მედიკოსები და კერძო პირები - შუამავლები იყვნენ ჩართულნი, ხოლო უცხოეთიდან - კერძო ფირმები.

იმერეთის საოლქო პროკურატურაში შექმნილმა საგამოძიებო ჯგუფმა ბავშვების უკანონოდ გაყიდვის 20 ფაქტი გამოავლინა. პროკურატურის ხელთ არსებული წინასწარი მონაცემებით, ათი ბავშვი ისრაელშია გაყიდული, ექვსი - ამერიკაში, 4 ჩვილის ადგილსამყოფელი კი ამჟამად ზუსტდება.

ბავშვების უკანონოდ ვაჭრობასთან დაკავშირებული საქმე იმერეთის საოლქო პროკურატურაში 26 მარტს აღიძრა. გამოძიებამ დაადგინა, რომ 2001-2002 წლებში, არასრულწლოვანთა ყიდვა-გაყიდვისა და საზღვარგარეთ უკანონოდ გაყვანის მიზნით, საქართველოში უცხოელმა მოქალაქეებმა ჩამოაყალიბეს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ როგორც რიგითი მოქალაქეები, ასევე იმერეთისა და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონების სამშობიარო სახლების მედპერსონალი.


გაგრძელება A7 გვერდზე


## პოლიტიკა

### თურმე ცესკო პარლამენტს აუქმებს და არა პირიქით

ცენტრალური საარჩევნო კომისია ფუნქციონირებას განაგრძობს. თანაც, საკმაოდ აქტიურად და, შეიძლება ითქვას, ზომაზე მეტად აგრესიულადაც კი. როცა ცხადი გახდა, რომ პარლამენტი მას თითსაც არ დააკარებს და მომავალი საპარლამენტო არჩევნების ორგანიზება (თუ, რა თქმა უნდა, იგი არ გადაიდო) კვლავ ამ შემადგენლობის ცესკო-ს მოუწევს, მისი წევრები თავს საკმაოდ ლაღად გრძნობენ და ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს იქით უტევენ.


A2


## ეკონომიკა

### ანტიმონოპოლიური სამსახური საავიაციო ბაზრის დემონოპოლიზაციას ითხოვს

შესაძლოა, სამოქალაქო ავიაციის მდგომარეობის შესახებ ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნა და ამ სფეროზე პასუხისმგებელი ადამინების საკითხი მთავრობის უახლოეს სხდომაზეც განიხილონ. ანტიმონოპოლიური სამსახური უმაყოფილოა სამოქალაქო ავიაციის სფეროზე პასუხისმგებელი უწყებების პასიურობით.


A4


## უცხოეთი

### სომხეთში ნატო-ს სამხედრო წვრთნები მიმდინარეობს

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მანევრებს სომხეთში პირველად მართავს, ნატო-ს წვრთნებში პირველად მონაწილეობს რუსეთი და სომხეთში პირველად დაუკრეს თურქეთის ჰიმნი.


A5


## საზოგადოება

### გეოლოგიის კრიტიკული დღეები

სჭირდება თუ არა საქართველოს გეოლოგია?! ეს, ერთი მხრივ, რიტორიკული და, მეორე მხრივ, კონკრეტული კითხვა გეოლოგთა წრეში მას შემდეგ გახდა მეტად აქტუალური, რაც ქვეყნის პრეზიდენტმა გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის შენობა აფხაზეთიდან დევნილებს გადაულოცა.


A6


## სამართალი

### ახალი საგამოძიებო სტრუქტურა ფულის გათეთრებას შეებრძოლება

*გუშინ უშიშროების საბჭოს სხდომაზე ახალი საგამოძიებო ორგანოს შექმნის შესახებ მსჯელობდნენ. ასეთი ინიციატივით საბჭოს წინაშე ანტიკორუფციული ბიურო წარდგა. ახალი სამსახური ფულის გათეთრებას უნდა შეებრძოლოს.*


A7


## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 28 | |
| ქუთაისი | 28 | |
| ბათუმი | 25 | |
| სოხუმი | 26 | |
| ფოთი | 26 | |
| თელავი | 27 | |
| ზუგდიდი | 28 | |
| გორი | 26 | |
| ახმეტა | 27 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.5136 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.6096 |
| რუბლი | 0.0709 |

# მდგომარეობა უცვლელია ანუ უარესობისკენ მიდის

**აფხაზეთის საკითხის განხილვა პარლამენტში**

გიორგი ასანიშვილი

*აფხაზეთის თემაზე მსჯელობას საქართველოს პარლამენტი საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების ბოლო კვირის უკანასკნელი სამუშაო დღის მიწურულს, საღამოს 6 საათზე შეუდგა. ამ საკითხის ასე საგანგებოდ, "ჩაროზად" შემონახვა პირველად როდი ხდება. მეტიც, უკვე ტრადიციადაც კი იქცა, რომ აფხაზეთის პრობლემატიკის განხილვა ცაიტნოტის პირობებში მიმდინარეობს, რადგან ასეთ ვითარებაში ხელისუფლება შედარებით მსუბუქ ფორმებში ილანძღება. თუმცა, როგორც ჩანს, მთავრობას უკვე "ლაითკრიტიკაც" აღიზიანებს და მისი ზედა ეშელონების წარმომადგენლები პარლამენტში სტუმრობას თავს არიდებენ. გუშინ, მაგალითად, მხოლოდ სამმა მინისტრმა (ხაბურძანია, თევზაძე, კაკაბაძე) ისურვა საკანონმდებლო ორგანოში მიბრძანება, დანარჩენებმა კი პარლამენტში თავისი მოადგილეები გააგზავნეს. განხილვა რომ სერიოზული არ იქნებოდა და მთავრობის მხრიდან აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში კონკრეტულ ნაბიჯებს არავინ მოელოდა, შემდეგი ფაქტიც მეტყველებს: არც პარლამენტარებს და არც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს სხდომის დახურვა და დახურულ რეჟიმში მუშაობა აზრადაც არ მოსვლიათ. შესაბამისად, რაიმე ძვრებზე ან ახლებურ მიდგომებზე ლაპარაკიც ზედმეტია: ისევ ის "რა გვეშველება?" - დეპუტატების მხრიდან და ისევ ის - "აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება შესაძლებელია, ოღონდ, ყველაფერი ისე სწრაფად ვერ ხორციელდება, როგორც ჩვენ გვინდა", - ხელისუფლების მხრიდან.*


გაგრძელება A3 გვერდზე


# პარლამენტი დაგვემშვიდობა

**მასთან განშორება სულ ორ კვირას გასტანს**

საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიამ გუშინ მუშაობა დაასრულა. ამ მოწვევის საკანონმდებლო ორგანოს მხოლოდ ერთი - საშემოდგომო სესიაღა დარჩა გასამართი და თავის უფლებამოსილებას ამოწურავს. თუმცა, კარსმომდგარი არჩევნების გამო, შემოდგომაზე პლენარული სხდომებისთვის არავის ეცლება, რასაც თავად ნინო ბურჯანაძეც ადასტურებს. **"სექტემბერში სესიას სიმბოლურად გავხსნით, მაგრამ კანონშემოქმედებითი მუშაობა, პრაქტიკულად, არ მოხერხდება"**, - აღნიშნავს პარლამენტის სპიკერი. ასე რომ, გუშინდელი სხდომა, ფაქტობრივად, საზოგადოებასთან პარლამენტის ბოლო "ოფიციალური" "პაემანი" იყო.


გაგრძელება A3 გვერდზე


# ევროკავშირი ჯერ მხოლოდ მეზობლად გვაღიარებს

ლელა მჭედლიძე

ბრიუსელში ჩატარებული საქართველო–ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის სხდომაზე ჩვენმა დეპუტატებმა საქართველოს მისამართით დიდი მხარდაჭერა იგრძნეს და ჩვენი ქვეყნისათვის ევროკავშირისაკენ მიმავალი ბილიკიც დაინახეს.

საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელის, ვახტანგ ხმალაძის განმარტებით, ახლა ევროკომისიას, რომელიც ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა, ახალი "სამეზობლო ინიციატივის"


გაგრძელება A3 გვერდზე



A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პოლიტიკა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 განცხადებები | B7 სტილი | B8 სხვადასხვა

# როგორ გააცურა საკრებულომ შარაძე და სასამართლო

*მერიის შენობის თავზე აფრიალებული ხუთჯვრიანი დროშები გურამ შარაძის მომხრეთა მუქარას გუშინაც გადაურჩა. დროშების დამცველმა "ნაციონალებმაც" ამაოდ დაიკაპიწეს ხელები, იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო ბიურო დროშების ჩამოსახსნელად არც ამჯერად გამოცხადებულა. თუმცა, მერიის შენობის წინ აურზაური ამით არ დასრულებულა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*აქცია შარაძის ადვოკატის გამოსვლით შემოიფარგლა.*

ნანა ქადაგიშვილი

შარაძის მომხრეთა გუშინდელი აქცია შარაძის ადვოკატის, ავთანდილ კახნიაშვილის გამოსვლით შემოიფარგლა. მან აქციაზე შეკრებილებს მერიის თავზე გამოკიდებული დროშების წარმომავლობა მორიგად შეახსენა, აღმასრულებელი სამსახურების პასიურობაზეც დაიჩივლა და შეკრების ადგილი დატოვა.

გუშინდელი გამოუცხადებლობის მიზეზი აღმასრულებლებმა იმითი ახსნეს, - საკრებულოს სხდომის ჩაშლა არ გვინდოდაო. თუმცა, დროშის მცველები სხვანაირად ფიქრობენ. "აღმასრულებლებმა მშვენივრად იციან, რომ საკრებულოში არის ხალხი, ვისთვისაც ეს დროშა ღირებულია და ვინც ამ დროშას დაიცავს. ამის გარდა, თვითონ მოსამართლეც აღიარებს, რომ აბსურდული გადაწყვეტილება გამოიტანა და ხუთჯვრიანი დროშების აღმართვის შესახებ საკრებულოს დადგენილება არ გაუქმებულა", - აცხადებს "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი გიორგი არველაძე.

როგორც ირკვევა, მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, აღმასრულებელ სამსახურს დროშების ჩამოხსნის იურიდიული საფუძველი მაინც არ გააჩნია. საქმე ისაა, რომ საკრებულომ ერთი და იგივე შინაარსის ორი დადგენილება გამოსცა. "ქ. თბილისის მერიის შენობის თავზე სახელმწიფო დროშასთან ერთად აღიმართოს თბილისის, ევროსაბჭოსა და ისტორიული, თეთრი წითელჯვრიანი დროშები", - წერია ორივე დადგენილებაში. განსხვავება ის არის, რომ ამ ორიდან მოქმედი მხოლოდ მეორედ გამოცემული დადგენილებაა. საკრებულომ პირველი დადგენილება თვითონვე გააუქმა და მსგავსი შინაარსის მეორე დადგენილება გამოსცა. ამითი მან შარაძე და სასამართლო კოხტად გააცურა. შარაძეს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში საკრებულოს პირველი დადგენილების წინააღმდეგ ჰქონდა სარჩელი შეტანილი და სასამართლომაც სწორედ ეს, თვითონ საკრებულოს მიერ გაუქმებული დადგენილება გააუქმა. ასე რომ, საკრებულოს მეორე დადგენილება, წითელჯვრიანი დროშების აღმართვის შესახებ, კვლავ ძალაშია.

მერიის შენობის წინ გუშინდელი აურზაური შარაძის მომხრეების დაშლით არ დასრულებულა. მათი ადგილი აუქციონზე ნაყიდი მიწების მეპატრონეებმა დაიკავეს და არანაკლებ გულისშემძვრელი ტრანსპარანტი გამოკიდეს - "გადამგდებო ქართველებო, არათბილისელებო, არაქართველებო" - ასეთი შინაარსის ტრანსპარანტს ზედ მერიის მიერ აუქციონზე გაყიდული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთების სია მიამაგრეს. "300-მა ადამიანმა 8 თვის წინათ ფული გადავიხადეთ, ნაკვეთები ვიყიდეთ, საკრებულო კი არ გვიკანონებს, სანამ ამ მიწების გაყიდვის კანონიერება-უკანონობას არ გამოვიკვლევთ და დადგენილებას არ გამოვიტანთ, მიწებს საკუთრებაში ვერ მიიღებთო. ახლა შეუვარდებით და ამ სიას ცხვირებზე ავაფარებთ", - იმუქრებოდნენ აქციის მონაწილენი. თუმცა, მეორე აქციაც მშვიდობიანად დასრულდა და საკრებულოს წევრები ცხვირების დაზიანებას გადაურჩნენ.

# თურმე ცესკო პარლამენტს აუქმებს და არა პირიქით

თამარ მჭედლიშვილი

*ცენტრალური საარჩევნო კომისია ფუნქციონირებას განაგრძობს. თანაც, საკმაოდ აქტიურად და, შეიძლება ითქვას, ზომაზე მეტად აგრესიულადაც კი. როცა ცხადი გახდა, რომ პარლამენტი მას თითსაც არ დააკარებს და მომავალი საპარლამენტო არჩევნების ორგანიზება (თუ, რა თქმა უნდა, იგი არ გადაიდო) კვლავ ამ შემადგენლობის ცესკო-ს მოუწევს, მისი წევრები თავს საკმაოდ ლაღად გრძნობენ და ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს იქით უტევენ.*

ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოზე თავდასხმის ყველაზე ორიგინალური ხერხი პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილემ, კომისიის "სოციალისტმა" წევრმა დენის დავითაშვილმა მოიფიქრა, რომელმაც, არც მეტი, არც ნაკლები, 1999 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემაჯამებელი ოქმის გაუქმება და, შესაბამისად, პარლამენტის დათხოვა მოითხოვა. ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანას კომისიამ გუშინდელ სხდომაზე კენჭი უყარა და იგი ხმათა უმრავლესობით - ექვსი ორის წინააღმდეგ - გავიდა კიდეც (სხვათა შორის, დენის დავითაშვილმა არც თბილისის საკრებულო დაინდო და მისი გაუქმებაც მოითხოვა).

ბუნებრივია, დენის დავითაშვილს ასეთი ორიგინალური გამოსვლისაკენ სხდომაზე დამსწრე ჟურნალისტებმა და ტელეკამერებმა უბიძგეს, მაგრამ ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ კომისიის ზოგიერთი წევრი საკუთარი უფლებამოსილების ჩარჩოებს აშკარად სცილდება და თავის თავზე იმაზე მეტს იღებს, ვიდრე მას ეკუთვნის. დენის დავითაშვილის გამოსვლა, ერთი მხრივ, ღიმილის მომგვრელია, რადგან ნებისმიერს შესანიშნავად ესმის, რომ ამ სიტყვებით მან პარლამენტს ნიშნი მოუგო. თუმცა, მეორე მხრივ, როდესაც ცესკო-ს რიგითი წევრი ასეთ პოლიტიკურ განცხადებას აკეთებს, უკვე იმის მაჩვენებელია, რომ კომისიის წევრებს აღარც პარლამენტის ეშინიათ და აღარც საკუთარი სკამების დაკარგვის.

მართალია, კანონით, კომისიას შემაჯამებელი ოქმების გაუქმების უფლება მართლაც აქვს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი კანონი დაირღვა და კენჭისყრა გაყალბებით წარიმართა. დენის დავითაშვილმა პარლამენტის არჩევნების ტოტალურ გაყალბებაზე არაფერი თქვა და ამის აუცილებლობა მხოლოდ პოლიტიკური მოტივით ახსნა: თურმე ცესკო-მ პარლამენტი იმიტომ უნდა დაშალოს, რომ იგი კანონებს ვერ იღებს, ხოლო საკრებულო - იმისთვის, რომ იქ ერთმანეთს ჭამენ. მართლაც, ქვის გამხეთქი არგუმენტებია....



*1999 წლის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო ოქმის გაუქმება ცესკო-ს დღის წესრიგში შევიდა.*

და მაინც: რადგან საკითხი დღის წესრიგში შევიდა, კომისია ვალდებულია, იგი განიხილოს. როგორც კომისიის ახალი თავმჯდომარე გია ზესაშვილი აცხადებს, **"საკითხის სირთულიდან გამომდინარე, კომისია დასკვნას ერთ დღეში ვერ გამოიტანს და მას რამდენიმე სხდომის გამართვა დასჭირდება".** მართალია, ამ განხილვების შედეგი ისედაც წინასწარ არის ცნობილი და არავინ არავის არ გააუქმებს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ კომისიის წევრები პარლამენტარებზე შურს უამრავი პოლიტიკური განცხადებებით და ბრალდებებით იძიებენ.

ცესკო-ს გუშინდელი სხდომის პოლიტიკური ნაწილი ამით არ დასრულებულა. იგი გივი თარგამაძის საკითხის განხილვით გაგრძელდა. შეგახსენებთ, რომ "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრი, საბურთალოს რაიონში მაჟორიტარობის კანდიდატი გივი თარგამაძე ამტკიცებს, რომ 30 ნოემბერს გამართული არჩევნები ძალზე სერიოზული დარღვევებით წარიმართა და მას ამის დამამტკიცებული საბუთებიც აქვს. ამის მიუხედავად, ცენტრალური საარჩევნო კომისია საბოლოო ვერდიქტისაგან თავს იკავებს და სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება, რომელმაც, ამ დარღვევების გათვალისწინებით, საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიას ან არჩევნების შედეგების ახალი შემაჯამებელი ოქმის შედგენა უნდა დაავალოს, ან ძველი ძალაში დატოვოს.

გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ერთი საქმე მაინც გააკეთა: მან რეგისტრაციაში გაატარა რვაკაციანი საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც რეფერენდუმის გამართვა აქვს გადაწყვეტილი. საკითხი ძალზე აქტუალურია: არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები საქართველოს მოსახლეობას ერთი კითხვით მიმართავენ: თანახმაა თუ არა იგი, ქვეყნის პარლამენტის შემადგენლობა არაუმეტეს 150 დეპუტატით განისაზღვროს.

მართალია, რეგისტრაციაში გატარება სულაც არ ნიშნავს, რომ საინიციატივო ჯგუფს ხელისუფლება რეფერენდუმის გამართვის შესაძლებლობას მისცემს, მაგრამ მისი ერთ-ერთი წევრის, გელა ნიკოლაიშვილის თქმით, ეს უკვე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ჯგუფმა, რეფერენდუმის მოთხოვნით, 200 000 ხელმოწერის შეგროვება დაიწყოს. როგორც ჯგუფის წევრები იმედოვნებენ, ხელმოწერების შეგროვების შემთხვევაში, რეფერენდუმი საპარლამენტო არჩევნების პარალელურად გაიმართება და უკვე "ზეგინდელი" პარლამენტი ასეთი მრავალრიცხოვანი აღარ იქნება.

# კახა უგულავა სახელმწიფო მინისტრს დაუპირისპირდა

პირველი გვერდიდან

**ანუ ეკონომიკური დანაშაულის გამოძიების მთავარი ფუნქცია ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონს ექნება,"** – განაცხადა პრესასთან კომენტარისას კახა უგულავამ.

გამოძიების უფლება, ლეგიონთან ერთად, ძალოვან სტრუქტურებსაც რჩებათ. პრეზიდენტის პრესმდივნის კახა იმნაძის თქმით, ძალოვნებსა და ეკონომისტებს შორის ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი წინააღმდეგობა არ ყოფილა. თუმცა, კულუარებში უკვე ყველასათვის ცნობილია, როგორ იბრძოდა ფინანსთა სამინისტრო, რომ ფინანსური დანაშაულის გამოძიების უფლება მხოლოდ საგანგებო ლეგიონს ჰქონოდა, ძალოვნები კი ცოცხალი თავით არ თმობდნენ პოზიციებს. გამოსავალი მიღწეულ იქნა: "გარდამავალ ეტაპზე" ფინანსურ დანაშაულებს ლეგიონიც გამოიძიებს, უშიშროებაც, პროკურატურაც და შინაგან საქმეთა სამინისტროც.

საგანგებო ლეგიონს სახელი შეეცვლება. სავარაუდოდ, მას ფინანსურ საკითხთა საგამოძიებო დეპარტამენტი ეწოდება.

გუშინდელ სხდომაზე ასევე განიხილეს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სტრუქტურის შექმნის საკითხი. უშიშროების საბჭომ მოიწონა ანტიკორუფციული საბჭოს იდეა, რომ ასეთი ორგანო აუცილებლად დამოუკიდებელი უნდა იყოს (არსებობს ასეთი ვერსია: ძალოვნები ამ ორგანოს თავიანთ დაქვემდებარებაში ყოფნას მოითხოვდნენ, რაზეც სასტიკი უარი მიიღეს. სანაცვლოდ მათ, "გარდამავალი ეტაპის" მომიზეზებით, ფინანსური დანაშაულების გამოძიების უფლება არ წაართვეს). ამ საკითხის შესახებ კონკრეტულ დეტალებს განიხილავს სამართალდამცავი ორგანოების რეფორმებზე მომუშავე სპეციალური კომისია, ლადო ჭანტურიას ხელმძღვანელობით.

ანტიკორუფციული საბჭოს თავმჯდომარე კახა უგულავა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლეგიონის რეფორმირება ანტიკორუფციული საბჭოს ერთ-ერთი რეკომენდაციაა. უგულავამ გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, რომ რეფორმების ტემპი უნდა დაჩქარდეს. ამან სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე გაანაწყენა: **"ხალხი, რომელსაც სამი ათასი ლარი აქვს ხელფასი, ჩვენ, 160-ლარიან მინისტრებს, მორალს გვიკითხავს?"** უგულავამ ჯორბენაძეს აუხსნა: რეფორმები სწორედ იმიტომ უნდა დაჩქარდეს, რომ მინისტრებს 160 ლარი არ ჰქონდეს ხელფასიო. **"საერთოდაც, 160 ლარი რომ მქონდეს ხელფასი, ამხელა პასუხისმგებლობას ვერ ავიღებდი",** - მიუგო უგულავამ ჯორბენაძეს. სახელმწიფო მინისტრმა რიგით მინისტრებს გადახედა და იკითხა: **"ეს რას ნიშნავს, ესე იგი, ჩვენ უნდა გადავდგეთ?"** უგულავა ამ რეპლიკას დუმილით შეხვდა, დუმილი კი რისი ნიშანიცაა, საყოველთაოდ ცნობილია. პრეზიდენტი შევარდნაძე ამ დროს ძალიან მშვიდი (შეიძლება ითქვას, კმაყოფილიც კი) იყო და ყურადღებით უსმენდა ჯორბენაძე-უგულავას "კაფიაობას".

გუშინდელ სხდომაზე უშიშროების საბჭომ ცილისწამებისთვის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობის დაწესებას დაუჭირა მხარი. იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა: ვინაიდან ამ საკითხის შესახებ ცვლილებათა კანონპროექტის განხილვა პარლამენტმა უკვე დაიწყო, უშიშროების საბჭომ მიზანშეწონილად არ ჩათვალა, რომ საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტის ინიციატივით კიდევ ახალი პროექტი შესულიყო. გილიგაშვილის თქმით, ცილისწამება და შეურაცხყოფა 4-5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით უნდა დაისაჯოს.

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ პრესასთან კომენტარისას თქვა, რომ ეს საკითხი სერიოზულ განხილვას მოითხოვს და მასში მასმედიაც აქტიურად უნდა ჩაერთოს. ბურჯანაძე საჭიროდ მიიჩნევს დემოკრატიულ სახელმწიფოთა გამოცდილების გაზიარებას, სადაც შეურაცხყოფისა და ცილისწამებისთვის, ძირითადად, ადმინისტრაციული სასჯელია დაწესებული.

იუსტიციის მინისტრი როლანდ გილიგაშვილი და პრეზიდენტის პრესმდივანი კახა იმნაძე ირწმუნებიან, რომ ცილისწამების და შეურაცხყოფის შესახებ სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებები მხოლოდ პასუხისმგებლობას გაზრდის და არავითარ შემთხვევაში არ შეზღუდავს სიტყვის თავისუფლებას. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში მოქმედ ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციას სრულიად განსხვავებული პოზიცია აქვს. ისინი ამ საკანონმდებლო ცვლილებას უშუალოდ ნოემბრის არჩევნებს და ხელისუფლების მიერ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას უკავშირებენ.

## მოკლედ

**თბილისი.** ოფიციალური სოხუმი მიესალმა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მიერ პარასკევს გაკეთებულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ რუსეთი აფხაზეთზე ზეწოლის მოხდენას არ აპირებს. ასეთი პოზიციით გამოდის არა მხოლოდ რუსეთი, არამედ მოლაპარაკებების პროცესში მონაწილე გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი სხვა ქვეყნებიც, - აცხადებს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმმა პარასკევს განსახილველად მიიღო გაერო-ს წინადადებათა პაკეტი გალის რაიონში დევნილების დაბრუნების თაობაზე. პროექტის განხილვას სოხუმში ორშაბათიდან დაიწყებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია შაბათს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკანდიდატო დისერტაციას დაიცავს თემაზე "სუვერენიტეტის თეორია და კონსტიტუციური კანონმდებლობა". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" ლიდერი ვიტალი ხაზარაძე აცხადებს, რომ სახელისუფლებო ბლოკში გაწევრიანების მსურველი ძალიან ბევრი პოლიტიკური ორგანიზაციაა და მათთან კონსულტაციები მიმდინარეობს. ხაზარაძე აცხადებს, რომ სახელისუფლებო ბლოკს მხოლოდ სადეპუტატო მანდატების უმრავლესობის მოპოვება დააკმაყოფილებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ოდესასთან დაიწყო საერთაშორისო წვრთნა "კოოპერატივ პარტნერ–2003", რომელშიც, ნატო-ს რვა წევრი და ექვსი პარტნიორი ქვეყნის 5 ათასამდე სამხედრო მოსამსახურესთან ერთად, 82 ქართველი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს. წვრთნებზე მიწისძვრებისა და წყლადიდობების დროს კოორდინირებულად მოქმედების, მოქალაქეების დახმარებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გეგმა დამუშავდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ტრადიციონალისტთა კავშირის" ლიდერი აკაკი ასათიანი აცხადებს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დიდ შეცდომას უშვებს, როდესაც მინისტრთა კაბინეტის, ორპალატიანი პარლამენტის შექმნას და ქვეყნის ახალ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობას ეწინააღმდეგება. ასათიანის თქმით, "როგორც ჩანს, ნინო ბურჯანაძემ დაიჯერა პრეზიდენტობის პერსპექტივების და რაც უფრო მალე "გადაიჯერებს", მით უფრო უკეთესი იქნება მისი კარიერისთვის". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გენერალური პროკურორის ნუგზარ გაბრიჩიძის თქმით, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, თამაზ ნადარეიშვილის მიერ კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულის, ემზარ კვიციანის მიმართ წაყენებული ბრალდებები, შესაძლოა, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შეისწავლოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგარეჯოში სამხედრო-საინჟინრო საწყობიდან რუსეთის კუთვნილი სამხედრო ტექნიკისა და საბრძოლო მასალის გატანის პროცესი განახლდა. ქართულ და სომხურ მხარეებთან შეთანხმებით, საგარეჯოდან გატანილ საბრძოლო ტექნიკას სომხეთის ტერიტორიაზე, გიუმრში განლაგებულ რუსეთის სამხედრო ბაზაზე გადაიტანენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობაში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებზე ჩეჩნეთში გამოცხადებული ამნისტია არ გავრცელდება. ჩეჩნეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აჰმედ კადიროვის განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტ პუტინის მიერ 2003 წლის 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე გამოცხადებული ამნისტია პანკისში მცხოვრებ ჩეჩნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეხება, თუ ისინი ჩეჩნეთში დაბრუნდებიან. კადიროვის ინიციატივით, მათ ე.წ. საფილტრაციო ბანაკებში განთავსებას უპირებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. ქართულ პოლიტიკურ სპექტრს კიდევ ერთი პარტია - "ერთიანი საქართველოსთვის" მიემატა. მისი ლიდერი ავთანდილ მარგიანი აცხადებს, რომ პარტია 21 პოლიტიკურ ორგანიზაციას აერთიანებს და მათ არა მხოლოდ პოლიტიკური ინტერესები, არამედ საერთო ეკონომიკური პროგრამაც აქვთ. ახალი პოლიტიკური პარტიის ლოზუნგია "წინ, დასავლეთისკენ, რუსეთთან ერთად!" გაერთიანების საპატიო თავმჯდომარედ აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე აირჩიეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ვლადისლავ არძინბა გაოცებულია, რომ წარსულში მისი ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მოძრაობა "ამცახარა" ამჟამად მას "მწვავე" ოპოზიციაში ჩაუდგა. **"ფაქტია, რომ "ამცახარაში" სამშობლოს ნამდვილი პატრიოტები არიან, რომლებიც, ბევრისგან განსხვავებით, უმძიმეს წუთებში საკუთარ ქვეყანას გვერდში ედგნენ", -** აცხადებს არძინბა და მიიჩნევს, რომ "ამცახარას" უკან საეჭვო ძალები აღმოჩნდნენ, რომელთაც აფხაზი ერის ორად გახლეჩა სურთ. **მედია-ნიუსი**

# ცოტნე ბაკურია თბილისის საკრებულოს დაშლას ითხოვს

*"აღორძინება" კვლავ ბრალდებებს უყენებს "გაერთიანებულ დემოკრატებსა" და "ნაციონალებს". ამჯერად, საკრებულოს დაშლის ინიციატივით ცოტნე ბაკურია გამოდის და აცხადებს, რომ იზრდება ხალხის უნდობლობა საკრებულოს მიმართ და საკრებულო დაშორდა თბილისელებს, რაც განაპირობებს მის დაშლას.*

ბელა მახარაძე

საკრებულოს თანხები, ბაკურიას ინფორმაციით, საკრებულოს თავმჯდომარის წინასაარჩევნო კამპანიას ხმარდება. ბაკურია პრესას აცნობს ინფორმაციას, რომელსაც იგი ფლობს და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ სახელმწიფო კანცელარიაში დაიგეგმა შევარდნაძის, ჟვანიასა და სააკაშვილის მიერ გეგმა, რომელიც დღეს ხორციელდება. მისი განცხადებით, სააკაშვილი შეარჩიეს იმ პრინციპით, რომ ის ადვილად სამართავია და ამ ყველაფრის ორგანიზატორი ჟვანია ყოფილა. თუ საიდან ფლობს ბაკურია ამ ინფორმაციას და აქვს თუ არა ამის დამადასტურებელი ფაქტები, ამის გამხელას მოგვიანებით შეგვპირდა. "**მთელ თანხებს, რომელიც, წესით, თბილისელებს უნდა მოხმარდეს, სააკაშვილი თავის წინასაარჩევნო კამპანიას ახმარს. ამ სამეულის რეჟისორი არის შევარდნაძე, მსახიობები კი ჟვანია და სააკაშვილი,"**- აცხადებს თბილისელების ბედით შეწუხებული ბაკურია, რომელსაც ინფორმაციებს, თურმე, "ნაციონალების" ერთ-ერთი ლიდერი აწვდის. საკრებულოს მუშაობა, ბაკურიას თვალთახედვით, პარალიზებულია. მას "**დე ფაქტო თავმჯდომარე ჯერ კიდევ ხელმძღვანელობს**". ბაკურია თბილისელებს დახმარებას სთხოვს - "აღორძინებას" გუშინ დაუწყია ხელმოწერების შეგროვება სააკაშვილის გადასაყენებლად.

ცოტნე ბაკურიამ გუშინ პრესას გააცნო ჟურნალ "პრეს-პრემიერში" გამოქვეყნებული მასალები - იმ ადამიანების სია, რომლებმაც მოპარეს საქართველოს ფული. გამოქვეყნებულ სიაში, თანხის სიდიდის მიხედვით, პირველ ადგილზე ზურაბ ჟვანიაა; მას მოჰყვებიან სააკაშვილი, მაჭავარიანი და სხვა ცნობილი პირები. "შავ სიაში" ოცი ყოფილი თანამდებობის პირია მოხვედრილი "ნაციონალების", "დემოკრატების" და "მოქალაქეების" რიგებიდან. მათ შორის არ არის არც ერთი "ლეიბორისტი" და, რაღა თქმა უნდა, არც "აღორძინების" წევრებისათვის არის ადგილი დარჩენილი.

ბაკურია ითხოვს, მოპარულ მილიონებზე პასუხი აგონ აღნიშნულმა პირებმა "**და თუ ეს ტყუილია, მაშინ დოკუმენტაციით დამიმტკიცონ".**

ადვილად სამართავ და "შეურაცხად" საკრებულოს თავმჯდომარეს, ზურაბ ჟვანიასთან ერთად, გუშინ ბაკურიამ ასევე ბრალი წაუყენა საქართველოში ჰომოსექსუალიზმის განვითარებაში. "**ეს პარტიები ყველანაირად ცდილობენ, ხელი შეუწყონ საქართველოში ჰომოსექსუალიზმის განვითარებას,"**- უშიშრად აცხადებს ბაკურია. იგი ამ შემთხვევაში არ იზიარებს მათი ყოფილი მარჯვენა ხელის - ვახტანგ რჩეულიშვილის გამოცდილებას და "24 საათთან" ასეთ კომენტარს აკეთებს: "**მე არავისი არ მეშინია და თუ სხვებმა იციან ჭიქების სროლა, არც ჩვენ გვეშლება."**

ბაკურიას ეჭვი ეპარება თვითმმართველობის არჩევნების სამართლიანობაში და ამბობს, რომ "**საკრებულოს თავმჯდომარეს მოსვლის დღიდან არაფერი გაუკეთებია ხალხისთვის და იგი მხოლოდ საკუთარ წინასაარჩევნო კამპანიაზე ზრუნავს, რომელსაც ქალაქის ბიუჯეტიდან აფინანსებს**".

"აღორძინების" ლიდერი დარწმუნებულია, რომ ხელმომწერთა რიცხვი, რომლებიც უნდობლობას გამოუცხადებენ თბილისის საკრებულოს, ასი ათასი იქნება.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# მდგომარეობა უცვლელია ანუ უარესობისკენ მიდის

პირველი გვერდიდან

ძნელი სათქმელია, რატომ იცავენ პარლამენტში ასე ჯიუტად "ტრადიციას" და მიუხედავად იმისა, რომ ამის აუცილებლობა არ არსებობს, გარკვეული პერიოდულობით იხილავენ აფხაზეთის საკითხს. მითუმეტეს, დეპუტატები თავადვე აცხადებენ, რომ პარლამენტს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ბერკეტები არ გააჩნია. არადა, ალბათ, სწორედ ასეთი უძლურების განცდა განაპირობებს იმას, რომ აფხაზეთის კონფლიქტზე მსჯელობის დროს პარლამენტი სოფლის ბირჟას ემსგავსება, სადაც ხალხი მხოლოდ "ქვეყნის ამბების" გასაგებად, აგრეთვე, თავისი აზრის გამოსათქმელად მიდის და არა მთავრობისთვის პოლიტიკური შეკვეთის მისაცემად.

**"იმისკენ მივდივართ, რომ აფხაზეთი მალე დე-იურედაც დამოუკიდებელი გახდება და საქართველო იქნება პირველი ქვეყანა, რომელიც მის დამოუკიდებლობას ცნობს",** - ვარაუდობს დეპუტატი გიორგი გვაზავა.

**"ხმამაღლა არ ვამბობთ იმას, რაც ჩვენი მხრიდან საყვირალია: რუსეთმა აფხაზეთის ანექსია უკვე მოახდინა და ქართულ მხარესთან ე.წ. "დიალოგებით" უნდა, აფხაზეთის ჩამოცილების პროცესი შეუქცევადი გახადოს",** - გვაზავას განწყობას მისი ფრაქციის ("აფხაზეთი") ლიდერი გივი ლომინაძეც იზიარებს.

**"რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად ვაკანონებთ აფხაზეთის დაკარგვას. ყარსის მეორე შეთანხმებისკენ მიდის საქმე",** - უიმედობა დაუფლებია ლეიბორისტ ფრიდონ ინჯიას.

აფხაზეთის საკითხის საფუძვლიანად განხილვის სურვილმა ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარეს გიორგი ბარამიძეს პლენარული სხდომების ბოიკოტზე დროებით ხელი აღებინა და დარბაზში დააბრუნა. იგი, თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში საუბრობდა აფხაზეთის საკითხზე პარლამენტში მიღებულ იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ იგნორირებულია. მან, აგრეთვე, ყურადღება გაამახვილა სავალალო მდგომარეობაზე, რომელშიც, დაფინანსების მხრივ, იმყოფებიან ძალოვანი უწყებები. ბარამიძის გამოსვლა სახელისუფლებო ფრაქციებს დიდად არ ესიამოვნათ, მაგრამ მის მიერ მოყვანილი ფაქტების უარყოფის ნაცვლად, ხელისუფლების მხარდამჭერები ნაცად გზას დაადგნენ - გამომსვლელის კრიტიკული პათოსი არჩევნების მოახლოებით ახსნეს.



აფხაზეთის საკითხის განხილვაზე მთავრობა, უმეტესად, მეორე პირებით იყო წარმოდგენილი.



დევნილები კი, უკვე მერამდენედ, ამაოდ ელოდნენ რაიმე გადაწყვეტილებას.

ისე, ამ ბოლო დროს, უმრავლესობამ კრიტიკის განეიტრალების კარგი რეცეპტი იპოვა: თუ მმართველი ძალის ნაკლოვანებებზე საუბრობ, ეს, თურმე, პოპულიზმია და არჩევნების წინ ქულების დაწერას ისახავს მიზნად, ანუ "სახელმწიფოებრივად მოაზროვნემ" ჩავარდნებზე თვალი უნდა დახუჭოს და ხმა არ ამოიღოს. ეს ქვეტექსტი განსაკუთრებით კარგად იკითხებოდა ელგუჯა მეძმარიაშვილის გუშინდელ გამოსვლაში, რომელიც ძალიან ჰგავდა რომელიღაც საზეიმო მიღებაზე წარმოთქმულ სიტყვას: შეხედეთ, პრეზიდენტი და მთავრობა როგორი მონდომებით მუშაობენ და დღე და ღამე აფხაზეთის დაბრუნების გზების ძიებაში არიანო.

თითქმის ექვსსაათიანი განხილვიდან რომ არაფერი "გამოდნა", ზემოთ უკვე მოგახსენეთ. სწორედ პრობლემისადმი ზერელე დამოკიდებულებაზე, რაც უშედეგობას განაპირობებს, გაამახვილა ყურადღება პარლამენტის თავმჯდომარემ თავის შემაჯამებელ გამოსვლაში. მან მტკივნეული საკითხებისადმი მიჩუმათების ტენდენცია დაუშვებლად მიიჩნია და პოლიტიკური პასუხისმგებლობის გამოკვეთა მოითხოვა. თუმცა, გუშინ ნინო ბურჯანაძე სიტუაციის გამწვავებას აშკარად მოერიდა და ეს იმით ახსნა, რომ **"აფხაზეთის საკითხში საკანონმდებლო ხელისუფლება და მთავრობა ერთად უნდა იდგნენ".**

**"არადა, სათქმელი ძალიან ბევრი მაქვს",** - როდესაც საქმე საქართველოსთვის ნომერ პირველ პოლიტიკურ პრობლემას (აფხაზეთს) ეხება, სახელისუფლებო იერარქიაში მეორე პირი მრავალსიტყვაობისგან თავს იკავებს.

# შემოდგომით აფხაზებს მობილურები ექნებათ

## ფრიდონ ინჯია ხელისუფლებას აფხაზეთის გაყიდვაში ადანაშაულებს

სოფო ბუკია

კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი, ლეიბორისტი ფრიდონ ინჯია ხელისუფლებას აფხაზეთის ეტაპობრივად გასხვისებაში ადანაშაულებს.

ინჯიას ინფორმაციით, **"მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების ციებ-ცხელებით გადიდგულებული მალალჩინოსნები,"** აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ენერგო და საკომუნიკაციო სტრატეგიულ ობიექტებს სულ მალე რუსეთს გადაულოცავენ. ლეიბორისტების ყველაზე "კომუნიკაბელური" სახე დარწმუნებულია, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომლის თანახმადაც, ქართული მხარე აფხაზურ ენერგოობიექტებს, მათ შორის - ენგურჰესსაც, მფლობელობაში გადასცემს რუსულ კომპანია "РАО – ЭЕС"-ს. **"ეს არავისთვისაა საიდუმლო, ამას უკვე საქართველოს ხელისუფლებაც ადასტურებს,"** – განაცხადა ინჯიამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, იგივე ბედი ელის აფხაზეთის საკომუნიკაციო სისტემასაც. ლეიბორისტების მონაცემებით, მოსკოვში წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები რუსეთის კავშირგაბმულობის სფეროში მოქმედ კომერციულ ორგანიზაციებთან. აფხაზეთის საკომუნიკაციო სისტემის მომავალი მფლობელი უკვე შერჩეულია, თუმცა მისი ვინაობა მკაცრადაა გასაიდუმლოებული.

ინჯიას ინფორმაციით, **"საქართველოზე ბრწყინვალე გამარჯვების"** ათი წლის თავს აფხაზები ერთმანეთს მობილური ტელეფონების საშუალებით მიულოცავენ, ანუ საშემოდგომოდ აფხაზეთში ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია ამოქმედდება.

ჩვეულ ტრადიციას ინჯიამ არც გუშინ უღალატა და კავშირგაბმულობის მინისტრად ყოფნის პერიოდი გაიხსენა. **"ჩემი მინისტრობის პერიოდში, 1997 წლის 15 აპრილს, აფხაზეთის ტერიტორიაზე აღდგა საქართველოს სატელეკომუნიკაციო იურისდიქცია. აფხაზეთში ყველა საერთაშორისო საუბრები თბილისის საერთაშორისო სადგურის მეშვეობით იმართებოდა. ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკის შედეგია ის, რომ აფხაზეთიდან ხე-ტყე და ჯართი თურქეთში გააქვთ, ენერგეტიკა და საკომუნიკაციო სისტემა რუსეთს დავუთმეთ. ფაქტობრივად, საქართველო შეგნებულად, ნელ-ნელა კარგავს აფხაზეთს,"** – ამბობს ინჯია, რომელიც ხელისუფლების ამგვარ პოლიტიკას "კაპიტულაციას" უწოდებს და აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პერსპექტივას "ლეიბორისტულ პარტიაში" ხედავს.

# ევროკავშირი ჯერ მხოლოდ მეზობლად გვაღიარებს

პირველი გვერდიდან

სურვილი გაუჩნდა, რომელიც ევროკავშირის მეგობარი ქვეყნების "სარტყელის" შექმნას გულისხმობს. ეს კი, თავის მხრივ, ითვალისწინებს საერთო სტანდარტების ჩამოყალიბებას სარტყელში გაერთიანებული ქვეყნებისათვის. ეს სტანდარტები, ეკონომიკის გარდა, უსაფრთხოებას, კონფლიქტებს, დევნილებსა და კიდევ სხვა მრავალ ასპექტს ეხება. **"ამ ინიციატივაში ჩართული ქვეყნები უკვე ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატებად აღიქმებიან. მართალია, ჩვენ ევროკავშირის სხვა მოთხოვნებიც გვაქვს დასაკმაყოფილებელი, თუნდაც - სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმის თვალსაზრისით, მაგრამ ესეც რაღაც როლს თამაშობს. აღსანიშნავია, რომ თავიდან სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ამ ინიციატივაში ჩართვა არ იგეგმებოდა,"** - განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ. მდგომარეობა ქართული დელეგაციის ვიზიტის შემდეგ შეიცვალა. როგორც დელეგაციის ერთ-ერთი წევრი გივი შუღაროვი აღნიშნავდა, მათ უცხოელები ცოტა შეაშინეს: **"მოუგვარებელი პრობლემები მხოლოდ ჩვენი შიდა პრობლემა როდია. მოუგვარებელი პრობლემები ტერორიზმის საფრთხეს იწვევს, რაც უკვე მსოფლიო საფრთხეს წარმოადგენს."**

გარდა ამისა, ჩვენდა სასიკეთოდ, სერიოზული როლი ითამაშა, თურმე, ბელგიაში, ნიდერლანდებსა და ლუქსემბურგში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის კოტე ზალდასტანიშვილის მიერ წინასწარ გაწეულმა სამუშაომ - როგორც ტექნიკური სახის დახმარებამ, ისე, პოლიტიკური საფუძვლის მომზადებამ.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობაში საქართველოსადმი გამოხატულ მხარდაჭერას, დელეგაციის წარმომადგენლები დიდი კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ ამ შეხვედრაზე გაიხსენეს ევროპარლამენტის მიერ რუსეთ-საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული თითქმის ყველა რეზოლუცია. კონკრეტულად: დისკრიმინაციული სავიზო რეჟიმის შემოღება და აფხაზეთის კონფლიქტში არაპირდაპირი მონაწილეობა, შესაძლოა, აღიქმებოდეს საქართველოს ფარულ ანექსიად. გარდა ამისა, ეჭვქვეშ დგება რუსეთის, როგორც შუამავლის როლი კონფლიქტებში. ევროკავშირის წარმომადგენლები აღიარებენ საქართველოს სუვერენიტეტს და დევნილების სამშობლოში, საკუთარ სახლებში მშვიდობიან დაბრუნებას აუცილებელ პირობად მიიჩნევენ; მიესალმებიან საქართველოს კანონმდებლობის ევროპულთან მიახლოებას; მოითხოვენ რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით სტამბულის სამიტის დეკლარაციის დაცვას; შეშფოთებას გამოთქვამენ ამ მხრივ გუდაუთის ბაზასთან დაკავშირებით, რომელიც, გაერო-ს ექსპერტების შეფასებამდე, ვერ ჩაითვლება დახურულად და ა.შ.

მაგრამ რუსეთი ევროკავშირის წევრი არ არის და, ამდენად, ევროკავშირის მიერ მიღებული რეზოლუციები მასზე დიდ გავლენას ვერ მოახდენს. ამ გარემოების აღიარებასთან ერთად, ჩვენი პოლიტიკოსები გუშინ უფრო საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით იყვნენ კმაყოფილნი.

# პარლამენტი დაგვემშვიდობა

პირველი გვერდიდან

"ოფიციალური" იმიტომ, რომ ნინო ბურჯანაძის განმარტებითვე, ორი კვირის შემდეგ საკანონმდებლო კორპუსი უკვე "არაოფიციალურად" - რიგგარეშე სესიაზე - შეიკრიბება და იმ "დავალიანების" გასტუმრებას შეეცდება, რომელიც მას დღემდე შემორჩა. პარლამენტის სპიკერი მათ შორის გამოყოფს საარჩევნო კოდექსს, რომლის მიუღებლობის შემთხვევაში, **"ქვეყანა ჩიხში შევა".** ბურჯანაძის თქმით, საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით, ოპოზიცია უახლოეს დღეებში პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრას გეგმავს. პარლამენტის ლიდერი იმედს იტოვებს, რომ ეს შეხვედრა შედეგს გამოიღებს და ურთულესი პრობლემა გადაიჭრება.

სესიის დახურვის წინ, პარლამენტის თავმჯდომარემ მოკლედ შეაფასა ის გზა, რომელიც დღევანდელმა საკანონმდებლო ორგანომ განვლო.

**"პარლამენტში ბევრი პრობლემაა, თუნდაც - პოლიტიკური ინტერესების არაჯანსაღი ლობირება, მაგრამ დაუშვებელია, რომ ყველაფერი უარყოფითი, რაც ქვეყანაში ხდება, მათ შორის - პენსიების გაუცემლობაც კი, საკანონმდებლო ორგანოს დაბრალდეს. პარლამენტი არის სარკე იმისა, რაც ქვეყანაში ხდება. მე ვიცი, ვინ არის ის ხალხი, ვისაც ხელს აძლევს პარლამენტის შეგნებულად დისკრედიტაცია",** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე, თუმცა პარლამენტის "ძირგამომთხრელთა" ვინაობის დაკონკრეტებისგან თავს იკავებს.

პარლამენტის ქმედითუუნარობაში დადანაშაულება რომ არასწორია, ამის დადასტურებას ბურჯანაძე სტატისტიკით, ციფრების ენაზე ცდილობს და ჩამოთვლის იმ უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც ამ მოწვევის პარლამენტმა მიიღო. სხვათა შორის, ამ ციფრებმა თავად დეპუტატებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მათ ძალიან გაუკვირდათ, რომ ისეთი ზარმაცები სულაც არ ყოფილან, როგორი იმიჯიც საზოგადოებაში შეექმნათ.

*24 საათი*



# "თბილგაზის" რეაბილიტაციას ახლახან შექმნილი კომპანიები აპირებენ

მაია ურუშაძე

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისიამ 26 ივნისს უნდა გამოავლინოს კომპანია, რომელიც "თბილგაზის" რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ 4,2 მილიონ ლარს აითვისებს. ტენდერში განაცხადი ცხრა კომპანიამ შეიტანა, ერთ მათგანს – "თბილგაზის" საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ჯგუფს – სატენდერო კომისიამ ტენდერში მონაწილეობაზე უარი განუცხადა. უარის მიზეზად სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში არადამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მონაცემებს ასახელებენ: **"ჯგუფმა ვერ წარმოადგინა ლიცენზია აღდგენითი სამუშაოების წარმოებისათვის და წესრიგში არ ჰქონდა სხვა სატენდერო დოკუმენტაცია."**

როგორც "თბილგაზის" საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ჯგუფის ხელმძღვანელმა ნუგზარ მხეიძემ განაცხადა, მისთვის ეს შედეგი მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ კომისია უპირატესობას **"გუშინ შექმნილ კომპანიებს მიანიჭებდა."** ცნობისათვის: "თბილგაზის" ამ სამსახურს სატენდერო პაკეტში ჩასადებად ლიცენზია თავად "თბილგაზმა" უნდა მისცეს, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობამ ამ ლიცენზიით ტენდერში მონაწილე თავისი მეორე სამსახურის – "თბილგაზის" გაზსადენების ექსპლუატაციის საწარმოს აღჭურვა ირჩია.

"თბილგაზის" ამ ორი სამსახურის გარდა, ტენდერში მონაწილეობენ კომპანიები: "სპეცგაზმშენპროექტი", "ინჟმშენი", "პროგრესი", "კოლოსი", "ენერკო", "ქსელმშენი" და ახლად შექმნილი თურქულ-ქართული ამხანაგობა "დაისტი სერვის"-"ლიბო ენდ კომპანი" ("დაისტი-სერვისი" ლიცენზიის მქონე თურქული კომპანიაა, რომელიც ქართულ ფინანსურ ჯგუფს – "ლიბო ენდ კომპანის" შეუამხანაგდა).

26 ივნისს გამოვლენილმა გამარჯვებულმა კომპანიამ "თბილგაზის" ქსელის გადაუდებელი რეაბილიტაციის პროგრამა ნოემბრის ბოლომდე უნდა დაასრულოს. გადაუდებელ სამუშაოთა ნუსხაში შედის თბილისის გაზგამანაწილებელ სისტემაში წნევების დარეგულირება და მაგისტრალური ქსელის რეაბილიტაცია.

რაც შეეხება "თბილგაზის" სრულფასოვანი რეაბილიტაციის ხუთწლიან პროექტს, რომლის ფარგლებშიც ეს სამუშაოები უნდა ჩატარდეს, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შეფასებით, ის 17 მილიონი ლარი დაჯდება. 2003 წლის ბიუჯეტის დამტკიცების წინ სამინისტრომ პროექტის დაფინანსებისათვის ამ თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინება მოითხოვა, მაგრამ მაშინ ამას დიდი ხმაური მოჰყვა. პარლამენტარებისათვის გაუგებარი აღმოჩნდა, თუ რატომ უნდა მიეცა ბიუჯეტს თანხები ორგანიზაციისთვის, რომლის მართვის უფლებით გაცემა უკვე გადაწყვეტილი იყო. მიუხედავად ამისა, მთავრობამ მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სექტორის უყურადღებოდ დატოვება ვერ გარისკა და, საბოლოოდ, ბიუჯეტში "თბილგაზის" რეაბილიტაციისათვის 4,2 მილიონი ლარი მაინც გაითვალისწინა.

# "არველოდისნაირი" ბიუჯეტყლაპიები

ამჯერად წარმოგიდგენთ ინფორმაციას შიდა წყაროებიდან გაცემული დანარჩენი სესხების შესახებ.

პრეზიდენტის 1998 წლის 17 აპრილის N147 განკარგულებით, საქართველოს მწერალთა კავშირის კომერციული საქმიანობის საკოორდინაციო ცენტრს გამოეყო 200 ათასი ლარის ოდენობის სესხი 1998 წლის 1 დეკემბრამდე დაფარვის ვადით და წლიური 15 პროცენტის სარგებელით.

პრეზიდენტის 1998 წლის 25 აპრილის N266 ბრძანებულების შესაბამისად, ჩაის პლანტაციების აღდგენითი სამუშაოებისათვის უნდა გაცემულიყო 3 მილიონი ლარის ოდენობის სესხი სამი წლის ვადით, წლიური 15 პროცენტის სარგებელით. სინამდვილეში სესხი გაიცა 1 მილიონ 647 ათას 519 ლარის ოდენობით: ს/ს "ქართულ ჩაიზე" – 565 ათას 619 ლარი; შპს "პრესტიჟზე" – 240 ათასი ლარი; შპს "კოლხიბერიაზე" – 120 ათასი ლარი; შპს "არველოდიზე" – 150 ათასი ლარი; შპს "ტამანზე" – 186 ათასი ლარი; შპს "აგროზე" – 170 ათას 900 ლარი; შპს "ექსტრა-98-ზე" – 100 ათასი ლარი; შპს "ჩაი-98-ზე" – 53 ათსი ლარი; შპს "არომატზე" – 51 ათასი ლარი და შპს "დიხაშხოზე" – 11 ათასი ლარი.

პრეზიდენტის 1998 წლის 18 ოქტომბრის N597 ბრძანებულების შესაბამისად, აშშ მთავრობისაგან უსასყიდლოდ მიღებული ხორბლის ნაწილი, კერძოდ - 45 ათასი ტონა ხორბალი, კონსიგნაციის წესით გადაეცათ წისქვილკომბინატებს. შესაბამისად წარმოიშვა მათი სასესხო ვალდებულებები ბიუჯეტის წინაშე: ს/ს "აგროინვესტი" – 1 მილიონ 952 ათას 280 აშშ დოლარი; შპს "პროგრესი" – 381 ათასი აშშ დოლარი; შპს "მოლი" – 127 ათასი აშშ დოლარი; ს/ს "ქუთაისის წისქვილი" - 825 ათას 500 აშშ დოლარი; ს/ს "კახეთის პური" – 1 მილიონ 906 ათას 312 აშშ დოლარი და ს/ს "ქუთაისის პურის მიმღები" – 825 ათას 500 აშშ დოლარი.

პრეზიდენტის 1998 წლის 29 დეკემბრის N719 ბრძანებულების შესაბამისად, სახელმწიფო კომპანია "საქენერგოს" უნდა მიეღო უპროცენტო საბიუჯეტო სესხი 1 მილიონ 303 ათას 88,2 აშშ დოლარის ოდენობით, ექვსი თვის ვადით. რატომღაც "საქენერგოს" სამართალმემკვიდრეს - შპს "საქენერგო-2000"-ს ძირითადი თანხის დავალიანება ერიცხება 3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

პრეზიდენტის 1999 წლის 13 ივნისის N370 ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს ბიუჯეტიდან უნდა მიეღო 100 ათასი ლარის ოდენობის სესხი ერთი წლის ვადით. სინამდვილეში სესხად გაიცა 10 ათასი ლარი.

პრეზიდენტის 1999 წლის 9 ივლისის N839 განკარგულებით, შპს "საქართველოს საზღვაო სანაოსნოს" გამოეყო საბიუჯეტო სესხი 200 ათასი აშშ დოლარის ოდენობით სამი თვის ვადით, წლიური 12 პროცენტის სარგებელით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 1999 წლის 1 დეკემბრის ურთიერთგაგების მემორანდუმის შესაბამისად შეიქმნა საქართველოს აგრობიზნესბანკი. აგრობიზნესბანკს უსასყიდლოდ გადაეცა საპარტნიორო ფონდის ანგარიშებზე არსებული 6.9 მილიონი ლარი და სუბორდინირებულ სესხებად გადაეცა 3 მილიონი ლარის ოდენობის საპარტნიორო ფონდიდან ადრე გაცემული ე.წ. "კარგი" სესხები. შესაბამისად, აგრობიზნესბანკს ერიცხება 3 მილიონი ლარის ოდენობის სესხის ძირითადი თანხის დავალიანება.

პრეზიდენტის 2002 წლის 14 მარტის N309 განკარგულებით, თბილისის მერიას ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოეყო სესხი 6 მილიონი ლარის ოდენობით წლის ბოლომდე დაფარვის ვადით; 2002 წლის 17 მაისის N621 განკარგულებით კი, თბილისი მერიას დამატებით გამოეყო 2 მილიონი ლარი სამი თვის ვადით, თუმცა გაიცა მხოლოდ 1 მილიონი ლარი. საბოლოოდ, ჯამში, თბილისის მერიაზე გაიცა 7 მილიონი ლარის ოდენობის სესხი.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც გაიცა სესხები ს/ს "ჭიჭნაურზე" და შპს "თეთრიწყაროს ბროილერზე".

რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ძირითადი თანხა დაფარული აქვს მხოლოდ საქართველოს მწერალთა კავშირის კომერციულ ცენტრს, თუმცა მას ერიცხება საურავის დავალიანება თითქმის 71 ათასი ლარის ოდენობით.

სესხის ძირითადი თანხის დავალიანება არ აგრეთვე ერიცხებათ: ს/ს "ქართულ ჩაის", შპს "პროგრესს", შპს "მოლს", ს/ს "ქუთაისის წისქვილს", ს/ს "ქუთაისი პურის მიმღებს"ს/ს "აგროინვესტს" და აგრობიზნესბანკს. ყოველ შემთხვევაში ასე ჩანს ფინანსთა სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციიდან. თუმცა თანხის გარკვეული ნაწილი დაფარული აქვთ მხოლოდ (ფინანსთა სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე) შპს "პროგრესს" – 68 ათას 580 ლარი; ს/ს "ქუთაისის პურის მიმღებს" – 4 ათას 160 ლარი; აგრობიზნესბანკს – 90 ათასი ლარი. ეს თანხები კი საკმარისი არ არის ბიუჯეტის მიმართ დავალიანებების დასაფარავად.

დანარჩენ მსესხებლებს ერთი თეთრიც კი არა აქვთ დაფარული.

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

| № | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 1 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | | [illegible] |
| 3 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | | [illegible] | [illegible] |
| 4 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 5 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 6 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 7 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 8 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 9 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 10 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 11 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 12 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 13 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 427 | | 0 | 427 |
| 14 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | | [illegible] | [illegible] |
| 15 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | | [illegible] | [illegible] |
| 16 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 17 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] |
| 18 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | | [illegible] | [illegible] |
| 19 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | | [illegible] | [illegible] |
| 20 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 21 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 22 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 23 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 24 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

# ანტიმონოპოლიური სამსახური საავიაციო ბაზრის დემონოპოლიზაციას ითხოვს

სოფიკო ოხანაშვილი

*ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა საავიაციო ბაზარზე ჩატარებული ექვსთვიანი მუშაობის შედეგები "საქმის კურსში ჩასაყენებლად" და შემდგომი რეაგირებისათვის წარუდგინა სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს. შესაძლოა, სამოქალაქო ავიაციის მდგომარეობის შესახებ ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნა და ამ სფეროზე პასუხისმგებელი ადამინების საკითხი მთავრობის უახლოეს სხდომაზეც განიხილონ. ანტიმონოპოლიური სამსახური უმაყოფილოა სამოქალაქო ავიაციის სფეროზე პასუხისმგებელი უწყებების პასიურობით.*







*არმაზ თავაძემ მერაბ ადეიშვილი და ზურაბ ჭანკოტაძე ავთანდილ ჯორბენაძესთან ჩაუშვა.*

**"ტრანსპორტის სამინისტრომ გარკვეული საკითხები ყურადღების მიღმა დატოვა. არის რამდენიმე პუნქტი, რომელზე რეაგირებაც შესაბამისმა უწყებებმა მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გააკეთეს",** - ასეთია დარგის ექვსთვიანი ინსპექტირების შემდეგ ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის არმაზ თავაძის დასკვნა.

**"ავიაციის ბაზარი - კონკურენტული გარემოს შეფასება, პრობლემები, პერსპექტივები"** – ასე ჰქვია დოკუმენტს, რომელიც ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა გასული წლის ნოემბერში შეიმუშავა. დასკვნა მოიცავს სამოქალაქო ავიაციის ბაზრის მონაცემებს 1999 წლიდან 2002 წლის პირველი ექვსი თვის ჩათვლით. იგი ექვსი პუნქტისაგან შედგება, აქედან ერთი - სარეკომენდაციო და დანარჩენი სავალდებულო შესასრულებელია. ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მომზადებული დოკუმენტი პირველადი განხილვისთვის და რეაგირებისთვის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრს, ეკონომიკისა და მრეწველობის მინისტრს, ანტიკორუფციულ ბიუროსა და სხვა შესაბამის სამსახურებს გაუგზავნა. მათვე მოსთხოვა აღმოჩენილ დარღვევებზე ადეკვატური რეაგირება, სპეციალისტებთან ერთად პრობლემური საკითხების აუცილებელი გადახედვა და შესწავლა; დასკვნის მოსამზადებლად კი ერთი თვის ვადა დაუწესა. ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის განცხადებით, დასკვნა სამოქალაქო ავიაციის სფეროს "შესაჯანჯღარებლად" მომზადდა.

**"საქართველოს ავიაბაზარი ხასიათდება შეზღუდული კონკურენციით, რაც გამოიხატება ახალი ეკონომიკური აგენტების ბაზარზე შეღწევისთვის შექმნილ ხელოვნურ ბარიერებში. არსებული ვითარება მიუთითებს, რომ ავიაბაზრის განვითარების კუთხით სახელმწიფოს არ გააჩნია გამოკვეთილი პოლიტიკა, რომელიც აღნიშნული ბაზრის სტაბილურ განვითარებას უზრუნველყოფდა... საქართველოს ავიაბაზარი ხასიათდება მონოპოლიზაციის მაღალი ხარისხით, რაც მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების მიერ ("აირზენა", თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, "საწვავით მომსახურების კომპანია", "საქაერონავიგაცია") მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საფუძველია დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით ",** - ასეთი შეფასება მისცა სამოქალაქო ავიაციაში არსებულ მდგომარეობას ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა.

უკმაყოფილების მიუხედავად, თავაძე აცხადებს, რომ ამ ეტაპისთვის რამდენიმე პუნქტი შესრულებულია კიდეც. ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი დიდ მიღწევად მიიჩნევს ტარიფების 30-პროცენტიან დაწევასა და ავიაკომპანია "გერმანიისთვის" ფრენის უფლების მიცემას. **"ტარიფები საქართველოში გაუმართლებლად მაღალი იყო. მასში ბევრი ისეთი კომპონენტი იყო შესული, რომელთა აუცილებლობასაც ჩვენ ვერ ვხედავდით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამჯერად ტარიფები შემცირებულია",** - აცხადებს თავაძე. ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი შესრულებულ პუნქტებს შორის განსაკუთრებულ მიღწევად ასახელებს დემპინგურ ფასებთან დაკავშირებით ავიაკომპანია "გერმანიასა" და "აირზენას" შორის არსებული დავის ოპერატიულ გადაწყვეტას. **"ეს არის ერთადერთი პუნქტი, რომელიც მოკლე ვადაში შესარულეს",** - აღნიშნავს თავაძე. ავიაკომპანია "აირზენა" და სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია ავიაკომპანია "გერმანიას" ადანაშაულებდნენ დემპინგური ფასების გამოყენებაში. ამ ბრალდების გამო სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია ავიაკომპანიას ფრენის უფლებას არ აძლევდა. საქმის შესწავლა ანტიმონოპოლიურ სამსახურსაც დაევალა. **"იმ მონაცემებიდან გამომდინარე, რაც მოვიკვლიეთ, დემპინგური ფასი ვერ დავადგინეთ. ამის შეხახებ ვაცნობეთ სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტს, რომელმაც ჩვენი დასკვნა გაითვალისწინა და ავიაკომპანია "გერმანიას" ფრენის უფლება მისცა",** - განაცხადა ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსმა.

ამჟამად, კვლავ შეუსრულებელია მთელი რიგი საკითხები; მათ შორის - ფლაგმანის სტატუსის ბედი. ანტიმონოპოლიური სამსახურის რეკომენდაცია ამ სტატუსის აუცილებლობის დამტკიცებას და ამ სტატუსის მქონე ავიაკომპანიის (შენარჩუნების შემთხვევაში) ფუნქციების დეტალურ გაწერას ითვალისწინებდა, რადგან **"ჩვენმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ასეთი სახით ფლაგმანის სტატუსი საზიანო უფრო სამოქალაქო ავიაციის ბაზრისთვის, ვიდრე სასარგებლო".** ამასთანავე დასკვნაში მითითებულია, რომ ავიაკომპანია "აირზენასთვის" ამ სტატუსის მინიჭება მთელი რიგი დარღვევებით განხორციელდა. ამის გარდა, დასკვნაში იმასაც ვკითხულობთ, რომ ფლაგმანის სტატუსზე "დაყრდნობით" უსაფუძვლოდ ხდება ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტების შეზღუდვა.

ექვსი თვის განმავლობაში, მკაცრი მითითებებისა და გაფრთხილებების მიუხედავად, კვლავ შეუსრულებელია და მოუწესრიგებელია ლიცენზიის გაცემის საკითხი. ანტიმონოპოლიური სამსახურის რეკომენდაცია ითვალისწინებდა, რომ **"არ შეიძლება ავიაგადამზიდველის სტატუსი მიენიჭოს ავიაკომპანიას მხოლოდ იმიტომ, რომ მან სხვაზე ადრე შემოიტანა განაცხადი. ტენდერით უნდა განისაზღვროს, თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს კომპანია",** - დარწმუნებულია თავაძე. მისი თქმით, ეს საკითხი დღესაც იმ მდგომარეობაშია, როგორშიც ექვსი თვის წინ იყო.

**"გვსურს, რომ მინისტრს, რომელიც აღნიშნულ სფეროზეა პასუხისმგებელი, ამ დოკუმენტით პროცესების დაწყება მოვთხოვოთ. ანტიმონოპოლიური სამსახურის რეკომენდაციებში სავალდებულოდ შესასრულებელია ის, რომ სამინისტრომ დაიწყოს პრობლემატური საკითხების გაანალიზება. შეიძლება ჩვენი რომელიმე რეკომენდაცია მათთვის მიუღებელი აღმოჩნდეს, მაგრამ მათ ეს უნდა დაასაბუთონ და არა ისე, რომ დღეს ერთია მინისტრი და სხვანაირი შეხედულება აქვს, ხვალ სხვა მოვა და მას კიდევ სხვა შეხედულება ექნება",** - განაცხადა ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსმა.

ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა "24 საათთან" საუბრისას ამ სფეროზე პასუხისმგებლობა სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას გადააბარა. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას კი მიაჩნია, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის დასკვნა გაუმართლებლად მკაცრია და არ არის გათვალისწინებული მრავალი ფაქტორი. ანტიმონოპოლიური სამსახურის დასკვნა მიუღებელია ავიაკომპანია "აირზენასთვისაც". **"ანტიმონოპოლიური სამსახური, ვილაც-ვილაცების ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანმიმართულად ცდილობს "აირზენას" ჩაძირვას",** - ასეთია "აირზენას" ერთადერთი კომენტარი.

# ელექტროენერგიის დატაცებამ მასობრივი ხასიათი მიიღო

*ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის გუშინდელი გადაწყვეტილებით, "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ხელმძღვანელობას უახლოესი ორი კვირის ვადაში დაევალა საკადრო და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება. ამის მიზეზი გახდა ბოლო თვეების განმავლობაში ელექტროენერგიის დანაკარგების მკვეთრი ზრდა. ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის გაანგარიშებით, მხოლოდ იანვრიდან აპრილის ჩათვლით 148 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაიკარგა.*

ეთერ მამულაშვილი

ექსპერტთა შეფასებით, ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე გასული წლების ამავე პერიოდში აღმოჩენილი დანაკარგები. შარშან, მთელი წლის განმავლობაში, აღურიცხავი ელექტროენერგიის საერთო რაოდენობამ 400 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რომლის ღირებულებამ ოცდაათ მილიონ ლარს გადააჭარბა.

ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის ერთ-ერთი გადაწყვეტილებით, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტს და ელქტროენერგიის საბითუმო ბაზარს დაევალათ "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ქვესადგურების ყოველთვიური შემოწმება და შემოწმების შედეგების შესახებ სემეკ-ისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება.

გუშინ ენერგოზედამხედველობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ თამაზ ბიბილურმა ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას გასული თვის ანგარიში ჩააბარა.

მათი შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ქვესადგურებში განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია ელექტროენერგიის მიღებისა და გაცემის აღრიცხვის კვანძები. შემოწმებული ათასი მრიცხველიდან უმრავლესობა დაულუქავია, მასზე არსებული მაჩვენებლები კი გაყალბებული. ბიბილურის ინფორმაციით, ამ მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია იმერეთის, ქვემო ქართლის, მარნეულისა და რუსთავის კვანძები.

ელექტროსისტემის თანამშრომლების თქმით, დანაკარგების მასშტაბების ზრდა ქსელისა და მრიცხველების გაუმართაობის ბრალია. ეს არგუმენტი სემეკის თავმჯდომარისთვის მიუღებელია. ელიზბარ ერისთავის განცხადებით, დანაკარგების სამოც პროცენტამდე ზრდის მიზეზი, ელექტროენერგიის დატაცებაა.

ენერგოზედამხედველობის დეპარტამენტისა და საბითუმო ბაზრის მიერ მოკვლეულ მასალებს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია უახლოეს დღეებში გადაუგზავნის გენერალურ პროკურატურას შესაბამისი რეაგირებისთვის. ანალოგიური შინაარსის მასალები სემეკმა გენერალურ პროკურატურას გასულ თვესაც გადასცა.

# ვალის გადაუხდელობა თუ დეფოლტი?

საქართველოსა და სომხეთს შორის პირველი საკრედიტო შეთანხმება 1993 წლის 15 ივნისს თბილისში გაფორმდა. ამ შეთანხმების შესაბამისად, საქართველომ 1992 წელსა და 1993 წლის იანვარ-მაისში სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შედეგად წარმოქმნილი დავალიანება, 3.44 მილიარდი რუბლის ანუ 10.6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, სახელმწიფო საგარეო ვალად აღიარა.

მეორე საკრედიტო შეთანხმება 1994 წლის 2 ივლისს სტეფანავანში გაფორმდა. ამ შეთანხმებით საქართველომ სახელმწიფო ვალად, დამატებით აღიარა 1993 წელს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანება 6.5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

1996 წლის 5 ივნისს, თბილისში, ხელი მოეწერა საქართველოს სომხეთის მიმართ არსებულ დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის შეთანხმებას. ამ შეთანხმებით მანამდე მოქმედი ორივე საკრედიტო შეთანხმება გაერთიანდა.

რესტრუქტურიზაციის შეთანხმებით მანამდე არსებულ საგარეო ვალს - 17.1 მილიონ აშშ დოლარს დაემატა გადაუხდელი საპროცენტო და საჯარიმო თანხები 2.49 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

საბოლოოდ, 1996 წლის 5 ივნისის რესტრუქტურიზაციის შეთანხმებით განისაზღვრა:

- საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი სომხეთის მიმართ – 19 მილიონ 593 ათასი აშშ დოლარი. **უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ეს თანხა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანებებით არის წარმოშობილი;**
- კრედიტის დაფარვის ვადა – 10 წელი (01.01.96 – 01.01.06);
- კრედიტის დაფარვის შეღავათიანი პერიოდი – 5 წელი (01.01.96 – 01.01.01);
- კრედიტის მომსახურების წლიური საპროცენტო განაკვეთი – 4 პროცენტი;
- წლიური საჯარიმო განაკვეთი ვადაგადაცილებულ თანხაზე – 4.5 პროცენტი;

2001 წლის 5-6 მარტს პარიზის კლუბში მოხდა საქართველოს საგარეო ვალების 2001 და 2002 წლების გადასახდელების (ე.წ. კონსოლიდირებული თანხის) რესტრუქტურიზაცია, რომელიც, მათ შორის, სომხეთის მიმართ საქართველოს საგარეო ვალსაც შეეხო.

ორმხრივი მოლაპარაკებების შემდეგ ხელმოწერილია საქართველოს სომხეთის მიმართ საგარეო ვალის ახალი შეთანხმება და დაფარვის ახალი გრაფიკი. მოლაპარაკებებზე სომხეთი კონსოლიდირებულ თანხებზე ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთის 4-დან 3 პროცენტამდე შემცირებას და ძირითადი თანხის პარიზის კლუბის პირობებით დაფარვას დათანხმდა.

2003 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი სომხეთის მიმართ შეადგენს – 19 მილიონ 593 ათას აშშ დოლარს და ვალის დაფარვის გრაფიკი მოცემულია ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2003 წელს მარტო სომხეთის მიმართ უნდა დაიფაროს საგარეო ვალის ძირითადი თანხა 7.8 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. ამ ხარჯების გაწევა საქართველოს წელს არ შეუძლია, ამიტომ ფუნდამენტალურად მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავალუტო პროგრამის აღდგენა, პარიზის კლუბის ჩარჩოებში საგარეო ვალების 2003 წლის გადასახდელების რესტრუქტურიზაცია და საქართველოსათვის დეფოლტის აცილება, მაგრამ ამ ამოცანების შესასრულებლად მთავრობა თითს თითზე არ აკარებს.

**საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"**

სომხეთის კრედიტი

| № | პერიოდი | ბალანსი | საამორტიზაციო გადასახადები | საპროცენტო გადასახადები | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 30.06.03 | 19,593,000.00 | 1,959,300.00 | 354,633.30 | 2,313,933.30 |
| 2 | 31.12.03 | 17,633,700.00 | 1,959,300.00 | 320,454.40 | 2,279,754.40 |
| 3 | 30.06.04 | 15,674,400.00 | 1,959,300.00 | 277,350.80 | 2,236,650.80 |
| 4 | 31.12.04 | 13,715,100.00 | 1,959,300.00 | 240,340.80 | 2,199,640.80 |
| 5 | 30.06.05 | 11,755,800.00 | 2,001,620.88 | 197,018.50 | 2,198,639.38 |
| 6 | 31.12.05 | 9,754,179.12 | 2,008,674.36 | 159,578.28 | 2,168,252.64 |
| 7 | 30.06.06 | 7,745,504.76 | 56,427.84 | 116,828.03 | 173,255.87 |
| 8 | 31.12.06 | 7,689,076.92 | 64,265.04 | 117,899.18 | 182,164.22 |
| 9 | 30.06.07 | 7,624,811.88 | 72,102.24 | 115,007.58 | 187,109.82 |
| 10 | 31.12.07 | 7,552,709.64 | 79,939.44 | 115,808.21 | 195,747.65 |
| 11 | 30.06.08 | 7,427,702.20 | 88,560.36 | 113,337.01 | 201,897.37 |
| 12 | 31.12.08 | 7,384,209.84 | 97,181.28 | 113,224.55 | 210,405.83 |
| 13 | 30.06.09 | 7,287,028.56 | 106,585.92 | 109,912.68 | 216,498.60 |
| 14 | 31.12.09 | 7,180,442.64 | 115,990.59 | 110,100.12 | 226,090.71 |
| 15 | 30.06.10 | 7,064,452.08 | 126,178.92 | 106,555.49 | 232,734.41 |
| 16 | 31.12.10 | 6,938,273.16 | 137,151.00 | 106,386.86 | 243,537.86 |
| 17 | 30.06.11 | 6,801,122.16 | 148,123.08 | 102,583.59 | 250,706.67 |
| 18 | 31.12.11 | 6,652,999.08 | 159,878.88 | 102,012.65 | 261,891.53 |
| 19 | 30.06.12 | 6,493,120.20 | 171,634.68 | 98,478.99 | 270,113.67 |
| 20 | 31.12.12 | 6,321,485.52 | 184,174.20 | 96,929.44 | 281,103.64 |
| 21 | 30.06.13 | 6,137,311.32 | 196,713.72 | 92,571.11 | 289,284.83 |
| 22 | 31.12.13 | 5,940,597.60 | 210,820.68 | 91,089.16 | 301,909.84 |
| 23 | 30.06.14 | 5,729,776.92 | 224,927.64 | 86,424.14 | 311,351.78 |
| 24 | 31.12.14 | 5,504,849.28 | 239,034.60 | 84,407.69 | 323,442.29 |
| 25 | 30.06.15 | 5,265,814.68 | 254,709.00 | 79,426.04 | 334,135.04 |
| 26 | 31.12.15 | 5,011,105.68 | 270,383.40 | 76,836.95 | 347,220.35 |
| 27 | 30.06.16 | 4,740,722.28 | 286,841.52 | 71,900.95 | 358,742.47 |
| 28 | 31.12.16 | 4,453,880.76 | 304,083.36 | 68,292.84 | 372,376.20 |
| 29 | 30.06.17 | 4,149,797.40 | 322,108.92 | 62,592.78 | 384,701.70 |
| 30 | 31.12.17 | 3,827,688.48 | 340,918.20 | 58,691.22 | 399,609.42 |
| 31 | 30.06.18 | 3,486,770.28 | 359,727.48 | 52,592.12 | 412,319.60 |
| 32 | 31.12.18 | 3,127,042.80 | 380,104.20 | 47,947.99 | 428,052.19 |
| 33 | 30.06.19 | 2,746,938.60 | 401,264.64 | 41,432.99 | 442,697.63 |
| 34 | 31.12.19 | 2,345,673.96 | 422,425.08 | 35,967.00 | 458,392.08 |
| 35 | 30.06.20 | 1,923,248.88 | 445,152.96 | 29,169.27 | 474,322.23 |
| 36 | 31.12.20 | 1,478,095.92 | 468,664.56 | 22,664.14 | 491,328.70 |
| 37 | 30.06.21 | 1,009,431.36 | 492,959.88 | 15,225.59 | 508,185.47 |
| 38 | 31.12.21 | 516,471.48 | 516,471.48 | 7,919.23 | 524,390.71 |

# ევროკავშირი კონსტიტუციის პროექტს განიხილავს

პირველი გვერდიდან

### ნიშნავს თუ არა ეს ერთიანი ევროპული სახელმწიფოს შექმნას?

ძნელი სათქმელია. კონსტიტუციის პროექტამდე ევროკავშირს ჰქონდა საკუთარი დროშა, ჰიმნი, საერთო ვალუტა, ცენტრალური ბანკი, უზენაესი სასამართლო, პარლამენტი, ევროკომისიის პრეზიდენტი, 100 მილიარდი ევროს მქონე ბიუჯეტი და მცირე შეიარაღებული ძალები. კონვენტის მტკიცებით, ევროკავშირს უნდა ჰქონდეს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლით აღიარებული სახელმწიფოს სტატუსი, უფლებათა ბილი (ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია), სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და იმიგრაციის კონტროლირების საშუალება, საგარეო საქმეთა მინისტრი და ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტი. მრავალ სფეროში, აგრეთვე, გათვალისწინებულია ხმათა უმრავლესობით საერთო კანონმდებლობის მიღების უფლება, რაც ეროვნულ სუვერენიტეტს კიდევ უფრო შეზღუდავს.

მეორე მხრივ, კონსტიტუცია რეალური უფლებამოსილებების არმქონე სახელმწიფოს მსგავსი ინსტიტუტების შექმნას ითვალისწინებს. მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრს წევრი სახელმწიფოების მეთაურთა გარეშე პოლიტიკის გატარების უფლება არ ექნება, რომლებიც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკასა და თავიანთი შეიარაღებული ძალების გამოყენებაზე ვეტოს უფლებას ინარჩუნებენ. ევროკავშირს გადასახადების აკრეფის უფლებაც არ ექნება. ასე რომ, სახელმწიფოს ორი უმთავრესი მახასიათებელი – გადასახადების აკრეფა და ომის დაწყება – ბრიუსელის კომპეტენციაში არ შევა.

### რომელ სფეროებს შეეხება ყველაზე მეტად ცვლილებები?

ყველა შეთანხმებულია, რომ ევროკავშირს უფლებები იუსტიციისა და საშინაო საქმეებში გაუფართოვდება. კონსტიტუციის პროექტის თანახმად, ლტოლვილებისა და თავშესაფრის გამოყოფის საკითხებს ევროკავშირი ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტს. ის ქვეყნები, რომლებიც ბევრ ლტოლვილს იღებენ, მაგალითად, ბრიტანეთი, იმედოვნებს, რომ კონსტიტუციის ამ ნაწილის ამოქმედება ლტოლვილების შეფარების ტვირთს ყველა წევრ სახელმწიფოზე თანაბრად გადაანაწილებს.

ამავდროულად, ევროკავშირს დაევალება წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, განსაკუთრებით, კორუფციასა და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან ბრძოლის მიმართულებით.

### საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა

წევრ სახელმწიფოებში ევროკავშირის საერთო საგარეო პოლიტიკის შესახებ დაბნეულობაა. როდესაც რამდენიმე დღის წინ კონვენტის წარმომადგენელს შეეკითხნენ - ბრიუსელი საგარეოპოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ერთხმად მიიღებს თუ ხმათა უმრავლესობით? - მან პასუხი ვერ გასცა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ, სავარაუდოდ, ერთხმად გადაწყვეტის პრინციპი შევა ძალაში. თუმცა, საბოლოოდ რა უფლებები მიენიჭება ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს, ძნელი სათქმელია.


ვალერი ჟისკარ დ'ესტენი კონსტიტუციის მიღებაზე ოცნებობს.

REUTERS

წევრი სახელმწიფოები მეტ-ნაკლებად შეთანხმებულები არიან თავდაცვის საკითხზე. ყველა დარწმუნებულია, რომ უმრავლესობის გადაწყვეტილების გამო არც ერთ ქვეყანას არ შეიძლება აიძულონ, რომ ომში ჩაერთოს. თუმცა, კონსტიტუციის პროექტში აღნიშნულია, რომ "ევროკავშირმა საერთო თავდაცვის პოლიტიკის ჩარჩო უნდა განსაზღვროს". ამგვარი ფორმულირება, ტრადიციულად, ნეიტრალურ სახელმწიფოებს აღელვებს, როგორებიცაა ავსტრია და ირლანდია, აგრეთვე, იმ სახელმწიფოებს, რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ ევროკავშირის შეიარაღებული ძალები ნატო-ს ძირს გამოუთხრის.

აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებულია ევროპული შეიარაღების სააგენტოს შექმნა, რომელიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ხელს შეუწყობს, რომ იარაღი ევროპაში იყიდონ და არა ამერიკაში. თუმცა, ამის შესახებ საჯაროდ არავინ საუბრობს.

### ეკონომიკური უფლებამოსილება

ამ თვალსაზრისით, ახალი კონსტიტუცია ბევრს არაფერს მატებს ბრიუსელს. ევროკავშირს კვლავ არ მიეცემა გადასახადების აკრეფის უფლება. ზოგიერთებს სურდათ, რომ ევროპის ფინანსთა მინისტრის პოსტი შემოეღოთ, მაგრამ საბოლოოდ, ეს წინადადებაც უარყოფილ იქნა. ევროკავშირის ბიუჯეტს, ერთხმად გადაწყვეტის პრინციპით, ისევ წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ.

### საერთაშორისო სახელმწიფოებრივი სტატუსი

დღემდე საერთაშორისო სამართალში ტერმინი ევროკავშირი ფორმალურად არაფერს ნიშნავს. ამიერიდან ევროკავშირი, სრულუფლებიანი საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტი შეიქმნება და უფლება ექნება საერთაშორისო ხელშეკრულებები გააფორმოს, რომელიც მისი წევრებისათვის სავალდებულო იქნება. ფედერალისტებიცა და ევროსკეპტიკოსებიც ამას უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებენ. ზოგიერთები იმასაც იმედოვნებენ, რომ საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი გაერო-ს უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლებას ევროკავშირს დაუთმობენ. თუმცა, უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ეს ამ ეტაპზე, პრაქტიკულად, გამორიცხულია. აქამდე, ევროკავშირს მხოლოდ საერთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებებში ჰქონდა მონაწილეობის მიღებისა და შესაბამის ხელშეკრულებებზე ხელმოწერის უფლება.

### ევროკავშირის კანონების უზენაესობა

კონსტიტუციის მეათე მუხლი ამბობს, რომ "ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ მიღებულ კონსტიტუციასა და კანონებს წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის მიმართ უპირატესობა ექნება".

### ევროპის პრეზიდენტის თანამდებობა

კონსტიტუციის პროექტის თანახმად, ევროპის საბჭოს, რომელიც წევრი სახელმწიფოების მეთაურებისაგან შედგება, ერთი პრეზიდენტი ეყოლება, რომელიც, საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად, ევროკავშირს საერთაშორისო ასპარეზზე წარმოადგენს. დიდი სახელმწიფოები - ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია - ამ იდეას ეთანხმებიან. ამჟამინდელი როტაციული სისტემა, საყოველთაო აზრით, არაეფექტურია. თუმცა, პატარა სახელმწიფოები შიშობენ, რომ ამ თანამდებობის შემოღება მათი უფლებების უგულებელყოფის საწინდარი გახდება და დიდი სახელმწიფოები მათ გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან გამოთიშავენ.

### კავშირიდან გასვლა

კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ ქვეყანას შეუძლია ევროკავშირი დატოვოს. ამის შესახებ მან წევრ სახელმწიფოებს ორი წლით ადრე უნდა აცნობოს. კონსტიტუციის მიღება-არმიღებას კი, საბოლოოდ, ეროვნული მთავრობები და რეფერენდუმები გადაწყვეტს, რაც, შესაძლოა, კონსტიტუციის მიღების მთავარი ხელისშემშლელი პირობა აღმოჩნდეს. თუ 25 სახელმწიფოდან ერთი მაინც იტყვის უარს, ევროკავშირი კონსტიტუციას ვერ მიიღებს.

## სომხეთში ნატო-ს სამხედრო წვრთნები მიმდინარეობს

შოთა უტიაშვილი

სომხეთში მიმდინარე ნატო-ს წვრთნები სამი მიზეზით არის საინტერესო: ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მანევრებს სომხეთში პირველად მართავს, ნატო-ს წვრთნებში პირველად მონაწილეობს რუსეთი და სომხეთში პირველად დაუკრეს თურქეთის ჰიმნი.

"კოოპერატივ ბესტ ეფორტ 2003" 16 ივნისს დაიწყო და 27-მდე გასტანს. მასში ნატო-ს წევრი და პარტნიორი 19 ქვეყნის 400 ჯარისკაცი მონაწილეობს. ვაზგენ სარქისიანის სახელობის სამხედრო ბაზაზე თავიანთი ქვედანაყოფები გააგზავნეს აშშ-მ, კანადამ, ბრიტანეთმა, რუსეთმა, საქართველომ, თურქეთმა და სხვებმა.

წვრთნების სცენარის თანახმად, ჯარისკაცებმა უნდა ჩაატარონ სამშვიდობო ოპერაცია, რაც მოიცავს კოლონების გაცილებას, ბლოკპოსტების დადგმას, წარმოსახვითი მოწინააღმდეგის შეტევების მოგერიებას. "წვრთნების მიზანია ურთიერთგაგების ხელშეწყობა და ურთიერთშეთავსებადობის გაზრდა," – განაცხადა ესპანელმა გენერალმა რაფაელ ბარბუდომ, რომელიც ნატო-ს სამხრეთ შტაბს ხელმძღვანელობს.

ყველაზე დიდი ხმაური, ბუნებრივია, სომხეთში სამი თურქი ჯარისკაცის ჩასვლამ გამოიწვია. სომხეთი და თურქეთი ერთმანეთს 1915 წლის შემდეგ ოფიციალურად "არ ელაპარაკებიან". სომხები თურქებისაგან ხსენებულ წელს მომხდარი "სომეხთა გენოციდის" ოფიციალურად აღიარებას დაჟინებით ითხოვენ. ამერიკელებისა და სხვების არაერთგზის მცდელობა, შეერიგებინათ "ჭირვეული მეზობლები", უშედეგოდ დამთავრდა. ამას წინათ ლოს-ანჟელესში თურქეთის გენერალურ კონსულთან შეხვედრისას, სომხური ლობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გენოციდის აღიარებისათვის ბოლომდე იბრძოლებენ. ამ ფონზე, ერევნის გარეუბანში თურქი ჯარისკაცების გამოჩენა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. სომხეთის თავდაცვის მინისტრმა, სერჟ სარქისიანმა კრიტიკოსების პასუხად განაცხადა, რომ "სომხეთისათვის პოლიტიკური არაშორსმჭვრეტელობა იქნებოდა, ნატო-ს წევრი ქვეყნისათვის ნატო-ს მიერ ორგანიზებულ წვრთნებში მონაწილეობაზე უარი ეთქვა".

რუსეთს წვრთნებში სულ ათი ჯარისკაცი და რამდენიმე ოფიცერი წარმოადგენდა, მაგრამ რაკი ეს "ბესტ ეფორტში" რუსების მონაწილეობის პირველი შემთხვევა იყო, ესეც პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენად იქცა.

სომეხი ჟურნალისტის კითხვაზე - რატომ არ მიიღო რუსეთმა მონაწილეობა შარშან საქართველოში გამართულ იმავე ღონისძიებაში - სომხეთში რუსული ჯარების სარდალმა შევჩენკომ განაცხადა, რომ პასუხი არა აქვს. თუმცა, მოგვიანებით მაინც განაცხადა, რომ მაშინ რუსეთს ორგანიზაციული საკითხების გამო მოუხდა თავის შეკავება. ამჯერად, მაშინდელისაგან განსხვავებით, ყველაფერი წესრიგში იყო.

ევროპაში ნატო-ს ჯარების მთავარსარდალმა ჯეიმს ჯონსმა კი განაცხადა, რომ წვრთნებში რუსეთის მონაწილეობა ნატო-რუსეთის საბჭოს დამსახურებაა.

და ბოლოს, წვრთნების მიმართ ინტერესი მისი ჩატარების ადგილმაც გამოიწვია. საქართველოსა და აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, სომხეთი აცხადებს, რომ ნატო-ში გაწევრიანებას არ აპირებს და თავს რუსეთის ხელმძღვანელობით შექმნილ "კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაშიც" საკმაოდ დაცულად გრძნობს.

თუმცა, რუსეთისა და ნატოს-ს დამეგობრების ფონზე, ალიანსთან სომხეთის თანამშრომლობაც შედარებით გამოცოცხლდა. ბაქოსა და თბილისთან ერთად, ნატო-ს გენერალური მდივანი რობერტსონი ერევანსაც ეწვია. სომხეთის მთავრობა აცხადებს, რომ კოსოვოში სამშვიდობო კონტინგენტის გაგზავნას აპირებს. წვრთნების დროს, სომხეთში იმყოფებოდნენ აშშ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები პენტაგონის მაღალჩინოსნის, მირა რიკარდელის ხელმძღვანელობით. ხელი მოეწერა აშშ-სომხეთს შორის სამხედრო თანამშრომლობის ერთწლიან პროგრამას, რომლის ფარგლებშიც სარქისიანის უწყება ვაშინგტონიდან 3,6 მილიონ დოლარს მიიღებს.

"ეს ბუნებრივი პროცესია, – ამბობს სომეხი მიმომხილველი სტეპან კირაკოსიანი, – რუსეთს ძალა აღარ შესწევს, რეგიონზე კონტროლი შეინარჩუნოს."

## ინფორმაცია

### აფეთქება გროზნოში

გუშინ, დღის 4 საათზე გროზნოში, იუსტიციის სამინისტროს შენობასთან კამიკაძე-ტერორისტებმა ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული "კამაზი" ააფეთქეს. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ მის ადგილას ოთხი მეტრის სიღრმის კრატერი გაჩნდა.

ადგილობრივი საავადმყოფოს ექიმების ინფორმაციით, მათ 36-მა დაზარალებულმა მიაკითხა. აფეთქების ტალღამ საავადმყოფოში მყოფი ადამიანებიც დააზიანა. ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, მეტ-ნაკლებად მძიმედ 17 ადამიანია დაჭრილი, მათი უმეტესობა მშვიდობიანი მოსახლეობაა.

სააგენტო "ფრანს პრესის" ინფორმაციით, აფეთქებამ 6 მილიციელის სიცოცხლე შეიწირა. წყაროების ცნობით, მანქანას რომ შენობამდე მიეღწია, მსხვერპლის რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა, მაგრამ "კამაზი" შენობისაგან მოშორებით, გზაში აფეთქდა. მანქანაში ორი ადამიანი იმყოფებოდა.

შეგახსენებთ, რომ გასულ დეკემბერს, ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული კამაზი ჩეჩენმა მებრძოლებმა ჩეჩნეთის ადმინისტრაცის შენობას დააჯახეს. მაშინ მთელი შენობა დაინგრა და 80 ადამიანი დაიღუპა.

### გადადგა უკრაინის თავდაცვის მინისტრი

უკრაინის თავდაცვის მინისტრმა შკიდჩენკომ გადადგომის შესახებ განაცხადა. ეს ნაბიჯი პრეზიდენტის მხრიდან მწვავე კრიტიკას მოჰყვა.

"ჩვენ ერთ-ერთი უდიდესი არმია გვყავს ევროპაში, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე არაეფექტურიც, – განაცხადა კუჩმამ, - რამდენი წელია, მისი რეფორმირება გრძელდება, მაგრამ ჯერ მხოლოდ უარყოფით შედეგებს ვხედავთ. რეფორმები ნელია, ქაოტური და არა აქვს სტრატეგია".

უკრაინის არმიის პირადი შემადგენლობა 750 ათასიდან, დაახლოებით, 370 ათასამდე შემცირდა. მაგრამ. მიუხედავად ამისა, დაფინანსება მაინც არ არის საკმარისი. სამხედრო ბიუჯეტის ლომის წილი ჯარისკაცების შენახვას ხმარდება.

უკრაინის შეიარაღებული ძალების რეპუტაცია რამდენიმე სკანდალის შემდეგ სერიოზულად შეილახა. ჯერ იყო და, 2001 წელს ამ ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვამ რუსული სამოქალაქო თვითმფრინავი ჩამოაგდო, შემდეგ კი ლვოვის ავიაშოუს დროს გამანადგურებელი ჩამოვარდა და 78 ადამიანი შეიწირა.

### გასწორება

"24 საათის" 19 ივნისის ნომერში, A5 გვერდზე, ფოტო, რომელზეც აღბეჭდილი არიან იარაღმომარჯვებული ამერიკელი ჯარისკაცები და დემონსტრანტები, ეკუთვნოდა სტატიას - "ომი დამთავრდა, მსხვერპლის რაოდენობა იზრდება". ტექნიკური შეცდომით ფოტო ახლავს სტატიას "დემონსტრაციების მერვე ღამე თეირანის ქუჩებში". რედაქცია ხარვეზისთვის ბოდიშს იხდის.

# კოლინ პაუელი „საგზაო რუკის" გადარჩენას ცდილობს

*გუშინ აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი ოფიციალური ერთდღიანი ვიზიტით ისრაელს ეწვია. ვიზიტის ერთადერთ მიზანს სამშვიდობო გეგმის "საგზაო რუკის" გადარჩენა წარმოადგენს. იერუსალიმში ჩასულ პაუელს რეგიონში აშშ-ს სპეციალური წარმომადგენელი და დიპლომატი ჯონ ვულფი დახვდა. აშშ-ს საგარეო უწყების ხელძღვანელმა ისრაელის პრემიერ-მინისტრ არიელ შარონთან დახურულ კარს მიღმა მოლაპარაკება გამართა. შეხვედრის დასრულებისთანავე, კოლინ პაუელი მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ იერიქონში გაემართა, სადაც პალესტინის პრემიერ-მინისტრს მაჰმუდ აბასს, იგივე აბუ მაზენს შეხვდა. პარალელურად, რეგიონში ვითარება საკმაოდ საინტერესოდ ვითარდება.*

ლევან ღირსიაშვილი

კოლინ პაუელის ენერგიული მცდელობის მიუხედავად, ბევრი დამკვირვებელი ამ ვიზიტის მიმართ სკეპტიკურად არის განწყობილი. კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების გეგმა ჩიხშია მოქცეული, საიდანაც გამოსვლა არც თუ ადვილი საქმე იქნება. თუმცა, თავად პაუელი მდგომარეობას იმედის თვალით უყურებს. ამის შესახებ მან ახლო აღმოსავლეთში გამგზავრების წინ, ჟურნალისტებისათვის გამართულ სახელდახელო ბრიფინგზე განაცხადა. ის დარწმუნებულია, რომ პალესტინის პრემიერ-მინისტრი ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე რადიკალურ დაჯგუფებებთან შეთანხმების მიღწევას შეძლებს. ამავე დროს, ყველამ კარგად იცის, რომ მარტო ცეცხლის შეწყვეტა საკმარისი არ არის. ეს მხოლოდ დასაწყისი უნდა იყოს. **"მე ცეცხლის შეწყვეტას განვიხილავ, როგორც ტერორისტული აქტების აღკვეთისათვის გადადგმულ ნაბიჯს,"** - აღნიშნა სახელმწიფო მდივანმა. ამავე დროს, მან კმაყოფილება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ ისრაელი სამშვიდობო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნას ასრულებს და პალესტინის ტერიტორიებზე ებრაული დასახლებების ლიკვიდაციას ახდენს. ისრაელის არმიის ნაწილებმა ერთ-ერთი ასეთი მსხვილი დასახლება ხუთშაბათს დაანგრიეს, რასაც ჯარისკაცებსა და ებრაელ მოსახლეებს შორის საკმაოდ სერიოზული შეტაკება მოჰყვა. მიუხედავად ამისა, ისრაელის მთავრობას უკანონო ებრაული დასახლებების ლიკვიდაცია მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რათა საერთაშორისო თანამეგობრობას კიდევ ერთხელ დაუმტკიცოს, რომ ისრაელი მშვიდობის მომხრეა და "საგზაო რუკის" პირობებს ზედმიწევნით ასრულებს.

გაცილებით უარეს ვითარებაში იმყოფება პალესტინის პრემიერ-მინისტრი აბუ მაზენი. სამშვიდობო გეგმის რეალიზაციისათვის მან ისრაელის ტერიტორიაზე ტერაქტების განხორციელება უნდა აღკვეთოს. ეს კი რადიკალური შეიარაღებული დაჯგუფებების "ჰამასის" და "ისლამური ჯიჰადის" მიზნებს ეწინააღმდეგება. მაგრამ, როგორც ჩანს, აბუ მაზენი მოთმინებას არ კარგავს და "საგზაო რუკის" განსახორციელებლად ყველა ღონეს ხმარობს. როგორც "ჯერუსალიმ პოსტი" იუწყება, პალესტინის პრემიერ-მინისტრმა რადიკალურ დაჯგუფებებს, ცეცხლის შეწყვეტის სანაცვლოდ, პალესტინის ახალ პოლიტიკურ ორგანოში მონაწილეობის მიღებაც შესთავაზა. უკვე, ამ შესაძლო სახელისუფლო წარმონაქმნის სახელწოდებაც ცნობილია: "ახალი ნაციონალური ხელისუფლება."


შარონი და პაუელი სამშვიდობო პროცესისთვის ახალი იმპულსის მიცემას ცდილობენ.

REUTERS

მაჰმუდ აბასმა სამშაბათს და ოთხშაბათს ქალაქ ღაზაში გამართული შეხვედრების დროს პალესტინური დაჯგუფებების ლიდერებს განუცხადა, რომ პალესტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იასირ არაფატი ახალი სახელისუფლებო ორგანოს ჩამოყალიბების იდეას დაეთანხმა. ახალი ნაციონალური ხელისუფლება პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის ჩარჩოებში ჩამოყალიბდება. დათანხმდებიან თუ არა ტერორისტული გაერთიანებების ლიდერები მშვიდობას ხელისუფლებაში ადგილების სანაცვლოდ? **"ჩვენ ამჯერად ამ წინადადებას განვიხილავთ,"** - განაცხადა "ჰამასის" ერთ-ერთმა ლიდერმა აბუ შეჰაბმა. ერთი რამ ცხადია, რომ თუკი "ჰამასი" და "ისლამური ჯიჰადი" კომპრომისზე წავლენ, მაშინ ისინი ისრაელისგან პალესტინელი ტერორისტების ძებნის შეწყვეტას მოითხოვენ, რაზეც ოფიციალური ტელ-ავივის პასუხი ჯერჯერობით უცნობია. ასეა თუ ისე, აბუ მაზენმა პალესტინელ რადიკალებში ყოყმანის მარცვალი უკვე ჩააგდო და ისინი ვაჭრობაზე დაიყოლია. თუკი, ეს ხერხი გაჭრის, აბუ მაზენს უკვე თამამად შეეძლება თავისი დიპლომატიით იამაყოს.

აბუ მაზენის ინიციატივამ "ჰამასის" და "ისლამური ჯიჰადის" ახალ სახელისუფლებო ორგანოში ჩართვის შესახებ, ისრაელში არაერთგვაროვანი გამოხმაურება ჰპოვა. ებრაელ მემარჯვენეებს ახალი საკბილო გამოუჩნდათ. ისრაელის გარკვეული პოლიტიკური და დიპლომატიური წრეები პალესტინის ხელისუფლებაში რადიკალური დაჯგუფებების ნებისმიერი ფორმით მონაწილეობას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. **"ჰამასი უნდა განიარაღდეს და განადგურდეს. ტერორის შეწყვეტაზე პასუხისმგებელი პალესტინის ადმინისტრაციაა. იმისათვის, რათა სამშვიდობო პროცესში პროგრესს მივაღწიოთ, აუცილებელია ტერორისტული ინფრასტრუქტურის განადგურება,"** - განუცხადა "ჯერუსალიმ პოსტს" ისრაელის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა დიპლომატმა. თავის პოზიციას აფიქსირებს მემარჯვენე იდეების ერთგული, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუც, რომელიც ამჟამად ისრაელის ფინანსთა მინისტრის პოსტზე მოღვაწეობს. **"ვიღაცამ უნდა მოახდინოს ამ ტერორისტული დაჯგუფებების ლიკვიდაცია. ამას ან აბუ მაზენი გააკეთებს, ან ამის გაკეთება ჩვენ მოგვიწევს."-აცხადებს ნეთანიაჰუ.**

"ჰამასის" და "ისლამური ჯიჰადის" წარმომადგენლების პალესტინის მთავრობაში მონაწილეობას ისრაელის მთელი პოლიტიკური სპექტრი აღტაცებით რომ არ შეხვდებოდა, ადვილი მისახვედრი იყო. ისრაელის რადიკალები და ულტრა-მემარჯვენეები მშვიდობის სანაცვლოდ კომპრომისულ წინადადებებს ყოველთვის ეწინააღმდეგებიან.

როგორც დამკვირვებლები აღნიშნავენ, უდიდესი ოპოზიციური შრომის პარტიის ხელმძღვანელად ნობელის პრემიის ლაურეატის შიმონ პერესის არჩევა ისრაელის მთავრობის სამშვიდობო კურსს კიდევ უფრო გააძლიერებს. სავარუდოა, რომ მშვიდობის მიზნით, გამოცდილი პოლიტიკოსი 79 წლის შიმონ პერესი, ყველა ღონეს იხმარს არიელ შარონის პარტიასთან კოალიციის შესაქმნელად. ისრაელში უკვე ბევრი მიიჩნევს, რომ მშვიდობა მათი ქვეყნისათვის უმთავრესი მიზანია. ამის მისაღწევად კი, ამ ეტაპზე ერთი რამეა მთავარი: ცეცხლი უნდა შეწყდეს და "საგზაო რუკის" პირობების განხორციელება უნდა დაიწყოს. სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის ვიზიტი სწორედ ამას ისახავს მიზნად. ცხადია, აშშ-ს საგარეო უწყების მეთაური დაპირისპირებულ მხარეთა პრემიერ-მინისტრებთან კონკრეტულ საკითხებზე გამართავდა მსჯელობას. მიღებული გადაწყვეტილებებიც ძალზე კონკრეტული უნდა იყოს. სხვაგვარად მშვიდობა ვერ მიიღწევა. ეს კი აშშ-ს მიზნებსა და ინტერესებს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სერიოზულ სიძნელეებს შეუქმნის. აქედან გამომდინარე, კოლინ პაუელის მისიის მნიშვნელობა უკვე გასაგებია. მან "საგზაო რუკა" უნდა გადაარჩინოს.

# გეოლოგიის კრიტიკული დღეები

*სჭირდება თუ არა საქართველოს გეოლოგია?! ეს, ერთი მხრივ, რიტორიკული და, მეორე მხრივ, კონკრეტული კითხვა გეოლოგთა წრეში მას შემდეგ გახდა მეტად აქტუალური, რაც ქვეყნის პრეზიდენტმა გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის შენობა აფხაზეთიდან დევნილებს გადაულოცა.*

თეა ხოფერია

**"არის მცდელობა დევნილები და გეოლოგები ერთმანეთს დაუპირისპირონ... ჩვენი მოთხოვნების გამო, ბარბაროსებად გამოვყავართ. როგორც ჩანს, ეს სიტუაცია რაღაც ძალებს ხელს აძლევს..."** - განაცხადა გუშინ ჟურნალისტთა სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე დავით გვაზავამ და დასძინა, რომ გეოლოგებს დევნილების მიმართ არავითარი პრეტენზია არ აქვთ. დავით გვაზავას თქმით, მათ მხოლოდ თავიანთი კუთვნილი შენობა სურთ დაიბრუნონ უკან.

აღნიშნული საკითხისა და, ასევე, სხვა მრავალი საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრას გეგმავს გეოლოგიის დეპარტამენტის ახლად დანიშნული თავმჯდომარე, სანდრო თვალჭრელიძე. თუმცა, დასძენს, რომ ჯერ ძალიან ცოტა დრო ჰქონდა პრობლემების მოსაგვარებლად.

**"უკაცრავად, მაგრამ ჯერ მხოლოდ 48 საათი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე... ახლავე შემიძლია განვაცხადო ის, რომ ამ სფეროში სერიოზული პრობლემებია მენეჯმენტის თვალსაზრისით. ნება მომეცით ცოტაოდენ გავერკვიო პრობლემებში და შემდეგ ვისაუბრო გადაჭრით"**, - განაცხადა მან გაზეთ "24 საათთან" საუბარში.

როგორც ცნობილია, ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ შარშან, 17 მაისს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის შენობაში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ნაწილი შეიჭრა და უკანონოდ დასახლდა. აღნიშნულ სკითხთან დაკავშირებით გეოლოგთა ნაწილმა სარჩელი სასამართლოში შეიტანა. საბოლოოდ, სასამართლოს ყველა ინსტანციის გავლის შემდეგ, გეოლოგებმა კასაცია უზენაეს სასამართლოში შეიტანეს და პროცესი მოიგეს კიდეც. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქმე გეოლოგების სასარგებლოდ გადაწყდა და გაიცა ბრძანება დევნილების მიერ უკანონოდ დაკავებული შენობიდან გამოსახლებაზე. როგორც ცნობილია, დევნილების სასარგებლოდ ედუარდ შევარდნაძემ წერილით მიმართა. **"პასუხისგებას ჩემს თავზე ვიღებ... დევნილებს ბოდიშს ვუხდი ამ მოუფიქრებელი გადაწყვეტილების გამო..."** - აცხადებს პრეზიდენტი თავის წერილში.

სხვათა შორის, ასეთი გადაწყვეტილებითა და განცხადებით პრეზიდენტმა, არც მეტი არც ნაკლები, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უგულებელყო.

სწორედ ამ მოვლენებთან დაკავშირებით, არც ისე დიდი ხნის წინ, გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ თამაზ გიორგაძე პროტესტის ნიშნად თანამდებობიდან გადადგა. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში პრეზიდენტმა შემდეგი გამოსავალი იპოვა - დეპარტამენტის თავმჯდომარედ გეოლოგიისა და არამარტო გეოლოგიის სფეროში ექსპერტი, გეოლოგი სანდრო თვალჭრელიძე დანიშნა.

## პროექტი "ქართული სახლი" წარმოგიდგენთ კონკურსს "ქართული დიზაინი"

კონკურსი ცხადდება საყოფაცხოვრებო ნივთების დიზაინზე და მისი მიზანია კულტურული მემკვირდეობის ბუნებრივი პროცესის აღდგენა, ტრადიციული დიზაინის შემოქმედებითი განვითარებისთვის ხელის შეწყობა და შემოქმედებითი აზროვნების სტიმულირება. **კონკურსის ინიციატორები და ორგანიზატორები არიან კომპანია არსი და სტუდია ორი.**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ არქიტექტორებს და დიზაინერებს, ასევე სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურისა და დიზაინის ფაკულტეტების, კერძო არქიტექტურული სკოლების სტუდენტებს. საავტორო ჯგუფში შესაძლებელია სახვითი ხელოვნების სპეციალისტების მონაწილეობა.

**კონკურსის ჩატარების გრაფიკი:**

კონკურსის გამოცხადება - 18 ივნისი, 2003;

საკონკურსო მასალის ჩაბარება - 15 სექტემბერი, 2003;

საკონკურსო მასალის გამოფენა - 24-28 სექტემბერი, 2003, ღია ცის ქვეშ მუზეუმი;

კონკურსის შედეგების გამოცხადება და გამარჯვებულთა დაჯილდოვება - 24 სექტემბერი, 2003.

**პროექტში გამარჯვებულთათვის დაწესებულია** პირველი პრემია - 4000 ლარი, ორი მეორე პრემია - 2000 ლარი, სამი მესამე პრემია - 1000 ლარი და ექვსი წამახალისებელი პრემია - 200 ლარი.

**კონკურსის მხარდამჭერნი არიან:** კულტურის სამინისტრო, ღია ცის ქვეშ მუზეუმი, მერიის არქიტექტურის სამსახური, სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტი, „დილის გაზეთი", "24 საათი", ჟურნალები „გზა" და „თბილისელები", სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2".

**პროექტ "ქართული სახლის" პრომოუტერია** საკონსულტაციო ჯგუფი "ჯეპრა".

კონკურსის პროგრამა და პირობები რეგისტრაციით გაიცემა 18 ივნისიდან 18 ივლისამდე კომპანია „არსი"-ს ოფისში. მისამართი: ჭავჭავაძის პრ. №74, I სართული. ტელ.: 253188, 251904, 12⁰⁰-16⁰⁰ საათებში.

www.georgianhouse.ge

## მოკლედ

**თბილისი.** თბილისში ადამიანისთვის საშიში ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებათა პროგრამის შემსრულებელმა ჯგუფმა 1 მაისიდან 20 ივნისამდე დედაქალაქის მოსახლეობიდან 60-ზე მეტი შეტყობინება მიიღო. აქედან 10-მდე შემთხვევა მორიელების აღმოჩენასთან არის დაკავშირებული, ხოლო დანარჩენი - გველების. აღნიშნული ჯგუფი ვალდებულია, ადგილზე მივიდეს და შესაბამისი სამუშაოები ჩაატაროს. თუმცა, ამ ჯგუფის დაუფინანსებლობა სერიოზულ პრობლემებს ქმნის. როგორც ამ ჯგუფის ხელმძღვანელი ავთანდილ ჭოლოკავა აცხადებს, ბიუჯეტიდან მათი სამსახურისთვის, ჯერჯერობით, ერთი თეთრიც არ მიუციათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის თითქმის ყველა უბანში მაწანწალა და დაავადებული ძაღლების რიცხვი დღითი-დღე იზრდება. ისინი ცოფის, ლეიშმანიოზის და სხვა საშიში ინფექციური დაავადებების გამავრცელებლები არიან. კანდელაკის ქუჩის მაცხოვრებლებმა არაერთხელ მიმართეს რაიონის სპეცავტომეურნეობას და ამ ქუჩებს შემოჩვეული მაწანწალა ძაღლის მოშორება სთხოვეს, მაგრამ - უშედეგოდ. თბილისის ვეტერინარულ გაერთიანებაში ამ სპეცავტომეურნეობების მუშაობას არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ ამ სამსახურის თანამშრომლები, ფაქტობრივად, თავიანთ ფუნქციებს არ ასრულებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ დილიდან თბილისის მერიის ადმინისტრაციულმა ინსპექციამ და კეთილმოწყობის სამსახურმა მარჯანიშვილის მოედანზე ტროტუარების შეკეთება დაიწყეს. როგორც ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსი დავით მუმლაძე აცხადებს, ამიერიდან მარჯანიშვილის მოედანს პირვანდელი სახე დაუბრუნდება. გარემოვაჭრეების მიერ მეტროს სადგურის შესასვლელის წინ გაფართოებული ტროტუარი სტანდარტულ ზომამდე შემცირდება, გაუკეთდება მოაჯირი, დაიდგმება სკამები, გაკეთდება სასმელი წყლის შადრევანი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 23 ივნისს საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირი პრეზიდიუმის შეკრებას აპირებს. თუკი პედაგოგები ხელფასებსა და საშვებულებო თანხას შეპირებულ ვადაში არ მიიღებენ, პროფკავშირი აქციების მოწყობას გეგმავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაზაფხულის დადგომისთანავე მტკვარი თოლიების გარეშე დარჩა. როგორც ზოოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, ალექსანდრე ბუხნიკაშვილი აცხადებს, თოლიები ყოველ გაზაფხულზე თბილისიდან კასპიის ზღვაზე მიფრინავენ, ხოლო შემოდგომით კვლავ მტკვარზე ბრუნდებიან. სხვათა შორის, ისინი მტკვარზე მენაგვეების ფუნქციას ასრულებენ - მდინარეზე ანტისანიტარიის მატებასთან ერთად თოლიების რაოდენობაც იმატებს. **მედია-ნიუსი**

# უნარშეზღუდულები სოციალურ ემიგრაციაში მიდიან

მაკა ჭაიანი

*"ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება - უფლება არა უბადრუკი არსებობისა, არამედ ღირსეული თანაცხოვრებისა თანასწორთა შორის. მით უმეტეს, ისეთ ადმაიანებს, რომლებსაც, გარემოებათა გამო, შესაძლებლობები შეზღუდული აქვთ. 14-ლარიანი ინვალიდობის პენსია ქვეყანაში, სადაც ერთი თვის საარსებო მინიმუმი 125 ლარია, ადამიანს მხოლოდ სამი დღე აცოცხლებს. შემდეგ კი საზარელი სიცხადით დგება სიცოცხლის გადარჩენის საკითხი. რა უნდა ქნას ხეიბარმა ან ბრმამ, რომელსაც 14-ლარიანი პენსია აქვს და რომელსაც, მორალმა რომც მისცეს უფლება, არ შეუძლია იქურდოს? იმათხოვროს? თუ - აღარ იარსებოს?"*



ემიგრაციამდე - რედაქციაში.

ეს გახლავთ ამონაწერი წერილიდან, რომლითაც გუშინ საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარესა და სახელმწიფო მინისტრს მიმართა. გუშინვე პარლამენტთან მდებარე სკვერში უვადო შიმშილობა დაიწყეს კოალიციის წევრებმა. აქცია გაგრძელდება იქამდე, ვიდრე ხელისუფლება ოფიციალურად, წერილობით არ აღიარებს, რომ დღევანდელ საქართველოში გარდაუვალია ინვალიდის დისკრიმინაცია, რომ ყოველდღე ასობით ათასი ადამიანის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე, ქვეყნის მმართველობას კი არაფრის გაკეთება არ ძალუძს.

**"თავის გადარჩენის სხვა საშუალება ჩვენ არ დაგვრჩენია,** - ამბობს კოალიციის წევრი გიორგი ძნელაძე. - **მოვკიდებთ იმ ქაღალდს ხელს და თხოვნით მივმართავთ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს, მოგვცენ დროებითი, ადაპტირებული თავშესაფარი, რომ გადავრჩეთ და ვიცოცხლოთ იქამდე, ვიდრე ჩვენს სამშობლოში მდგომარეობა არ გამოსწორდება... საერთაშორისო ორგანიზაციებს ჰგონიათ, საქართველოში უნარშეზღუდულ ადამიანებს არაფერი აქვთ საწუწუნო, ისეთი მოხსენებებით გამოდიან ხელისუფლების წარმომადგენლები მათ წინაშე... არ მინდა ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ძაღლები ადამიანებზე უკეთ ცხოვრობენ!"**

უნარშეზღუდულ ადამიანებს საკუთარი პირობების გაუმჯობესების შანსი სახელმწიფომ სულ ერთხელ, ყბადაღებული ხანმოკლე შეღავათების სახით მისცა.

ოთხწლიანი პაუზის შემდეგ უნარშეზღუდულ ადამიანებს კიდევ ერთხელ გაუჩნდათ საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესების შანსი - მათი ანტიკორუფციული პროგრამა, რომელზეც "24 საათი" უკვე წერდა, ხელისუფლებამ, თითქოს, მოიწონა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა - მხოლოდ სიტყვით. უნარშეზღუდულებს კი მეტი ლოდინი აღარ შეუძლიათ. ამის კიდევ ერთი დასტური პარლამენტარ გიორგი კოხრეიძის გუშინდელი განცხადებაც გახლდათ. **"თქვენ ასეთი ინვალიდები გჭირდებათ,"** - განაცხადა მან პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან გასვლისას, საკუთარ ადგილზე ინვალიდის ეტლში მოთავსებული ადამიანის სტატუეტი დადო და მოშიმშილე მეგობრებს შეუერთდა.

# ფესტივალი პატარა ფრანკოფილებისთვის

ეკა გვახარია

*16 ივნისს გაიხსნა ფრანგულენოვანი სკოლების ბავშვთა საერთაშორისო თეატრის ფესტივალი "ოქროს ბატკანი", რომელიც გუშინ, 20 ივნისს დაიხურა. ეს ფესტივალი უკვე ტრადიციულია და მესამე წელია ტარდება. ფესტივალის ინიციატორი გახლავთ ნოე ჟორდანიას სახელობის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმი. ფესტივალს "ოქროს ბატკანი" სპონსორობდნენ: ფრანგული ტურისტული სააგენტოს cgtt წარმომადგენლობა საქართველოში, "მაკდონალდსი", "ისი-პარი", პოლიგრაფიული ფირმა "არადანი"; მხარდაჭერას უწევდნენ საფრანგეთის საელჩო, ქალაქ ნანტის მერია და საქართველოს საელჩო საფრანგეთში.*



ფრანგულის პატარა სპეციალისტი.

ფესტივალი "ოქროს ბატკანი" მიზნად ისახავდა ფრანგული ენის პოპულარიზაციასთან ერთად მონაწილეთა დაახლოებასა და დამეგობრებას. მასში მონაწილეობას იღებდა თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რაიონის 17 ფრანგულენოვანი სკოლა, რომლებმაც წარმოადგინეს სპექტაკლები ფრანგულ ენაზე. საპატიო სტუმრის სტატუსით, მოსკოვიდან მიწვეული იყო თეატრალური ფესტივალის, "მასკის" პრეზიდენტი, გალინა ბუშუევა, რომელმაც მაღალი დონის შეფასება მისცა "ოქროს ბატკანს". ფესტივალით აღფრთოვანებულმა სტუმარმა თოჯინების თეატრში გამოსვლის დროს "სულიკოც" კი იმღერა. გარდა სპექტაკლებისა, პროგრამა ითვალისწინებდა თეატრალური სემინარებისა და ატელიეების ჩატარებას პედაგოგებისა და ბავშვებისათვის, რომლებსაც უძღვებოდნენ პარიზის სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, ბატონი ფრანსის იეში და ქალაქ ნანტის კონსერვატორიის პედაგოგი, ქალბატონი გაეტან რეკოკიე. ფესტივალის მონაწილეებისათვის ჩატარდა ასევე ტურნირი მინი ფეხბურთში. ძალიან საინტერესოდ წარიმართა ფესტივალის პროგრამაში გათვალისწინებული შემეცნებით-გასართობი თამაში "არგონავტები", რომელსაც საბავშვო ქალაქმა "მზიურმა" უმასპინძლა. "ფესტივალი "ოქროს ბატკანი" სამი წელია ტარდება, ეს თამაში კი მეორე წელია პროგრამაში შევიტანეთ." – აღნიშნა ფესტივალის პრეზიდენტმა, ნოე ჟორდანიას სახელობის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის დირექტორმა, ქალბატონმა მანანა ტარიელაშვილმა. პროექტი ამავე სკოლის პედაგოგებმა - ხელოვნებათმცოდნე დალი გოგორიშვილმა და ფრანგული ენის სპეციალისტმა, ხათუნა ლონდარიძემ მოამზადეს. მხატვრული გაფორმება კი მხატვარ ნინუკა ცინცაძეს ეკუთვნის.

ფესტივალის საზეიმო დახურვაზე ყველას გადაეცა სამახსოვრო პრიზები. "ვისურვებთ, რომ ჩვენს პატარა ფრანკოფილებს ფესტივალის დღეები ლამაზ მოგონებად გაჰყოლოდეთ მთელი ცხოვრების მანძილზე,"- განაცხადა ფესტივალის პრეზიდენტმა, ქალბატონმა მანანა ტარიელაშვილმა. მომავლისთვის მონაწილე სკოლებიდან შემდგარი ჯგუფი მოსკოვში საერთაშორისო ფესტივალ "მასკაზე" გაემგზავრება.

# დასასრულის დასაწყისი სამედიცინო უნივერსიტეტში

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 691 სტუდენტისათვის გუშინ სტუდენტობის ბედნიერი ხანა დასრულდა. მათ ცხოვრებაში ახალი, საპასუხისმგებლო ეტაპი დაიწყო. 9 ფაკულტეტის კურსდამთავრებულთაგან 59-მა წითელი დიპლომით გაიხურა მშობლიური სასწავლებლის კარი და დიდ მედიცინაში სამოღვაწოდ მოემზადა.*

თამარ დვალი

**"მედალს ორი მხარე აქვს და არ შეიძლება, რაღაცის დასასრული ახლის დაწყებას არ ნიშნავდეს. სწორედ ისეთ დასასრულს აქვს არსებობის უფლება, რომელიც ახალს ბადებს. ამ გასაყარის ჟამს მინდა, კიდევ ერთხელ გადავხედო იმ განვლილ წლებს და უდიდესი მადლობა გადავუხადო ყველა ჩვენს პედაგოგს, რომლებმაც ამ დღემდე მოგვიყვანეს, "** – ეს სიტყვები სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტებს ეკუთვნით, რომელიც რეზო ჯორბენაძემ გაახმოვანა.

ექიმობის ურთულესი და უკეთილშობილესი პროფესიის დიდი გზა სტუდენტებს მამა მიქაელმა დაულოცა. უნივერსიტეტთან არსებულ ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესიაში, წელს სტუდენტები პირველად აკურთხეს და ამიერიდან ეს წესი ტრადიციად დამკვიდრდება. ექიმის ფიცის დადების შემდეგ სტუდენტებმა სააქტო დარბაზში გადაინაცვლეს, სადაც სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა რამაზ ხეცურიანმა, სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, აკადემიკოსმა თამარ დეკანოსიძემ, პროფესორმა ნუგზარ ტატიშვილმა და სხვა პედაგოგებმა მათ ცხოვრების გზა დაულოცეს და დაუღალავი, უღალატო მუშაობა უსურვეს.

ქართველებისგან განსხვავებით, უცხოელი სტუდენტები ცრემლიანი თვალებითა და დამტვრეული ქართულით არამარტო უნივერსიტეტს, არამედ, საქართველოსაც ემშვიდობებოდნენ. **" ჩვენო საყვარელო პედაგოგებო, ჩვენ ხომ სწორედ თქვენს ხელში ჩამოვყალიბდით პიროვნებებად. თქვენს თბილ და მზრუნველ თანადგომას ყოველთვის ვგრძნობდით. აქედან წასულებს საქართველო ყოველთვის თბილად მოგვაგონდება და იცოდეთ, რომ არასდროს დავივიწყებთ, თუ ვისი აღზრდილები ვართ. აქ ჩვენი მომავალი ვიპოვეთ, "** – განაცხადა პაკისტანელმა მირ-ბაჩამ, რომელიც საქართველოში 1997 წლიდან სწავლობს.

როგორც უნივერსიტეტის რექტორმა რამაზ ხეცურიანმა გვითხრა, უცხოელებისთვის ქართული ენის ასე კარგად სწავლება ქალბატონი ლამარა კინწურაშვილის დამსახურებაა. მისივე თქმით, წლევანდელი კურსდამთავრებულებიდან ზოგი წარჩინებული სტუდენტი სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკაშივე დარჩება სამუშაოდ და ზოგიც რეზიდენტურასა და ასპირანტურაში გააგრძელებს სწავლას. რაც შეეხება საზღვარგარეთ სტაჟირებას, წელს პირველად გაიგზავნება სტუდენტთა 250-კაციანი ჯგუფი - ამდენი სტუდენტი აქამდე არასოდეს გაუგზავნიათ. ისიც აღნიშნა, რომ ძველი ტრადიციებიც აღდგება და მომავალი ქართველი ექიმები რუსეთში სასწავლებლად კვლავ გაემგზავრებიან.



# ხონის კოლონიის პატიმრებმა საპროტესტო აქცია გადადეს

ბექა სისაური
ხონი

ხონის კოლონიის ტუსაღები - აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის მონაწილე მსჯავრდებულები გუშინ შიმშილობის დაწყებას აპირებდნენ. ისინი კვლავ პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის და 2001 წლის 16 სექტემბრის დადგენილებების ამოქმედებას მოითხოვენ. საუბარია ყოფილ მეომარ პატიმართა ამნისტიაზე. საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის ხსენებული გადაწყვეტილებები ერთი და იგივე კატეგორიის პატიმართაგან ზოგს შეეხო, ზოგს კი - არა. პატიმრები დადგენილებების სრულყოფილ ამოქმედებას, უკვე ერთი წელია, ითხოვენ. ხონის კოლონიის პატიმრები ამ მოთხოვნით სულ ცოტა ხნის წინ შიმშილობდნენ და იმას მიაღწიეს, რომ აქციის შედეგად 24 პატიმარს სასჯელი შეუმსუბუქეს. კოლონიის ხელმძღვანელის ამირან ლიპარტელიანის განმარტებით, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების მონაწილე კიდევ 14 პატიმარია დარჩენილი, რომელთა სასჯელებიც შესაბამისი კომისიის მიერ, რატომღაც, არ შესწავლილა. ამჟამად სწორედ აღნიშნული 14 პატიმარი აპირებდა შიმშილობის დაწყებას. შეიძლება ითქვას, რომ მათ მოთხოვნას კოლონიისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობაც იზიარებს. ისინი პატიმრებს მაქსიმალურ დახმარებას ჰპირდებიან. სწორედ ეს გახლდათ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ პატიმრებმა საპროტესტო აქციისგან, ჯერჯერობით, თავი შეიკავეს. კოლონიის უფროსმა ამირან ლიპარტელიანმა მათთან შეხვედრაზე კატეგორიული უარი განგვიცხადა:



ამირან ლიპარტელიანი პატიმრებს მაქსიმალურ დახმარებას ჰპირდება.

**"ამჟამად პატიმრები არ შიმშილობენ. თუ შიმშილობის აქციას დაიწყებენ, აუცილებლად შეგახვედრებთ, თუმცა არსებობს ყველა პირობა იმისა, რომ ეს არ მოხდეს. ვფიქრობ, ამ 14 პატიმრის საქმეები მხოლოდ ტექნიკური მიზეზების გამო არ გადაიხედა. ამ მიზნით შექმნილ კომისიას დიდი სამუშაოები ჰქონდა ჩასატარებელი და შეყოვნებაც ამან გამოიწვია. 4 დღის წინ პატიმრებს ზედამხედველი პროკურორი და დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე შეხვდნენ და დახმარებას დაჰპირდნენ. თუკი პატიმრები შიმშილობის დაწყებას მაინც გადაწყვეტენ, ეს მათი კონსტიტუციური უფლებაა, მაგრამ ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ,"** - აცხადებს ლიპარტელიანი.

# ახალი საგამოძიებო სტრუქტურა ფულის გათეთრებას შეებრძოლება

*გუშინ უშიშროების საბჭოს სხდომაზე ახალი საგამოძიებო ორგანოს შექმნის შესახებ მსჯელობდნენ. ასეთი ინიციატივით საბჭოს წინაშე ანტიკორუფციული ბიურო წარდგა. ახალი სამსახური ფულის გათეთრებას უნდა შეებრძოლოს.*

სოფიკო ჩხაიძე

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა უკვე მეორე მოსმენით მიიღო კანონპროექტი უკანონო შემოსავლების ლეგალიზების, ანუ ფულის გათეთრების წინააღმდეგ. ამჟამად, ფულის გათეთრებასთან ბრძოლა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება, რადგან, თუ კარგა ხნის მანძილზე ფულის გათეთრება ფინანსურ დანაშაულად ითვლებოდა, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ იგი უშუალოდ ტერორიზმთან კავშირში აღიქმება. ამიტომაც, სავალუტო ფონდისა და ევროსაბჭოს დაჟინებული მოთხოვნით, პროცესი საქართველოშიც დაჩქარდა და ამით წელს ქვეყანა შავ სიაში შეყვანას გადაურჩა. თუმცა, სამომავლოდ მხოლოდ კანონი საკმარისი არ იქნება. სწორედ ამ პერსპექტივის გათვალისწინებით აყენებს ანტიკორუფციული ბიურო დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს ჩამოყალიბების საკითხს.

საქმე ის გახლავთ, რომ უკანონო შემოსავლების ლეგალიზების წინააღმდეგ ორი მოსმენით მიღებული კანონი, ევროპული და ამერიკული გამოცდილების თანახმად, ფინანსური დაზვერვის სამსახურის შექმნას ითვალისწინებს. ეს სამსახური წმინდად ანალიტიკური ხასიათისაა. მას არანაირი საგამოძიებო ფუნქციები არ გააჩნია. ამ სამსახურისთვის არსებობს სპეციალური კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც ფინანსური ორგანიზაციები, კაზინოები თუ ლატარიის ორგანიზატორები, ვალდებულნი არიან, რომ საბანკო გადარიცხვა, რომელიც გარკვეულ ზღვარს გაცდება, ეცნობოს ფინანსურ დაზვერვას, რომელიც, თავის მხრივ, ანალიზის საფუძველზე დაადგენს ამ ფულის წარმომავლობას. ასეთი ფინანსური დაზვერვის სამსახური საქართველოში ეროვნულ ბანკთან იფუნქციონირებს.

ანტიკორუფციული ბიუროს პოზიცია ასეთი გახლავთ: საქართველოში ფულის გათეთრების პრობლემა, ტერორიზმის საფრთხის გარდა, უშუალო კავშირშია კორუფციასთან, ანუ სამოხელეო დანაშაულთან.

**"ჩვენში არანაირი სახის მსხვილი დანაშაული არ ხდება კორუფციული ანუ სამოხელეო დანაშაულის გარეშე. ანუ საქართველოში ფულის გათეთრება უშუალოდ კორუფციას უკავშირდება. ფინანსური დაზვერვის სამსახური ეროვნულ ბანკთან შეიქმნება, რომელიც ანალიზის საფუძველზე გამოავლენს დანაშაულს, მაგრამ აქ დგას მეორე საკითხი – ვიღაცამ ხომ უნდა გამოიძიოს ეს დანაშაული. ვთქვათ, დადგინდა, რომ ფული უკანონო წარმომავლობისაა, მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებლად კორუფციულ დანაშაულთან გვექნება საქმე. ამიტომ, უნდა იყოს სტრუქტურა, რომელიც ამ დანაშაულს შეებრძოლება",** - ამბობს ანტიკორუფციული ბიუროს სამართალდამცველ ორგანოების ექსპერტი ანდრო გოცირიძე.

თუ ბიუროს ანტიკორუფციულ ლოგიკას გავყვებით, საგამოძიებო სტრუქტურა აუცილებლად დამოუკიდებელი უნდა იყოს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაექვემდებაროს რომელიმე ძალოვან-სამართალდამცველ სტრუქტურას, რომლებიც ისედაც არიან კორუფციასთან ბრძოლის ფუნქციებით აღჭურვილნი, თუმცა, ცალკე საკითხია, როგორ ასრულებენ, უფრო სწორად - არ ასრულებენ, მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

# პარლამენტარის შვილის მკვლელობის მოტივი, ჯერჯერობით, უცნობია

გუშინწინ, ღამით, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან ახლოს, დეპუტატის იური ჩიხრაძის 18 წლის შვილი მოკლეს. ვახტანგ ჩიხრაძე საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ვახტანგ ჩიხრაძის გარდაცვალების მიზეზი ორი სასიკვდილო ჭრილობა გახდა - ორივე სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული. აქედან გამომდინარე, გამოძიება ვარაუდობს, რომ თავდამსხმელები სულ მცირე ორნი იყვნენ.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მომხდარს მხოლოდ ერთი თვითმხილველი მოწმე ჰყავს, რომელიც გამოძიებამ უკვე დაკითხა. მოწმის ჩვენება, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გასაიდუმლოებულია. ჯერჯერობით, გაურკვეველია მკვლელობის მოტივი. როგორც "24 საათთან" საუბრისას ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა თამაზ გეთიამ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ერთდროულად რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს, მკვლელობის ნამდვილი მოტივი, ჯერჯერობით, გამოკვეთილი არ არის. "წინასწარ არაფრის თქმა არ შეგვიძლია. მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა. იმ ინფორმაციას, რაც ამჟამად გაგვაჩნია, ვერ გავცემთ. მკვლელობის გამოძიება რთული იქნება, თუმცა იმედი გვაქვს, ყველაფერი მალე გაირკვევა", - ამბობს პროკურორი. მისივე განმარტებით, ჩიხრაძეს იარაღი არ ჰქონია.

# ბავშვებით ვაჭრობა იმერეთში

პირველი გვერდიდან

ჩვილი ბავშვებით ვაჭრობის მექანიზმი შემდეგნაირად იყო აწყობილი: **"გასაშვილებელი ბავშვის მოსაძებნად ჯგუფის უცხოელი ხელმძღვანელებისგან თბილისში, მათ წარმომადგენელთან მოდიოდა მოთხოვნა. ის კი ცალკეული კერძო პირებისა თუ სამშობიარო სახლების თანამშრომლების მეშვეობით ცდილობდა მოეძებნა ისეთი მშობელი, რომელსაც სოციალური თუ სხვა პრობლემების გამო ბავშვის გაშვილება სურდა. შუამავლები მასთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას. ბავშვის გამშვილებელი მშობლებისთვის გადახდილი თანხა საშუალოდ 600-800 დოლარამდე მერყეობს. ბავშვის სქესს მნიშვნელობა არა აქვს; მთავარია, რომ იგი ჯანმრთელი იყოს,"** – აცხადებს ოლქის პროკურორი თამაზ ჭუმბურიძე.

მოლაპარაკებისა და თანხის გადახდის შემდეგ, შუამავლებს ბავშვი სამშობიაროდან მიჰყავდათ. თუმცა, სანამ პატარა ახალ, უცხოელ მშობლებს ჩაბარდებოდა, სამი-ოთხი შუამავლის ხელში მაინც გაივლიდა. იყო შემთხვევები, როცა უცხოელ მშვილებლებს დროულად ვერ ნახულობდნენ და ამ პერიოდში ჩვილისთვის ძიძას ქირაობდნენ, რომელსაც თვეში ას დოლარს უხდიდნენ.

რაც შეეხება გაშვილების იურიდიულ ნიუანსებს:

**"ჩვენს მიერ ჩატარებული გამოძიების პროცესში ორი ტიპის გაშვილების შემთხვევა გამოვლინდა. პირველ შემთხვევაში მშობლები თავიდანვე აცხადებენ თანხმობას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეულ სინდისის ქენჯნას განიცდიან და შუამავლებს შესაბამისი დოკუმენტაციის გასაფორმებლად ნოტარიუსში არ მიჰყვებიან, ამიტომაც ჩვილი გაყალბებული დოკუმენტებით შვილდება. ასეთ შემთხვევაში, შუამავლები იძულებულნი ხდებიან, მოძებნონ პიროვნება, რომლის სახელზეც ჯერ ბავშვს აფორმებენ, შემდეგ კი მისგან გაშვილებისთვის საჭირო ნებისმიერი სახის დოკუმენტს იღებენ,"** - აცხადებენ ოლქის პროკურატურაში. ამ მხრივ გამოძიება გარკვეულ კურიოზებსაც წააწყდა. მოხდა შემთხვევა, როცა ქალს პასპორტი გამოართვეს და იგი ისე გააფორმეს გაშვილებული ბავშვის დედად, რომ მისთვის არაფერი უთქვამთ.

ხსენებული პროცედურების შემდეგ საქართველოში უცხოელი მშვილებლები ჩამოდიან და გაშვილებისთვის გამზადებულ დოკუმენტებს განათლების სამინისტროში წარადგენენ. განათლების სამინისტროს გადაწყვეტილების შემდეგ საქმე სასამართლოს გადაეცემა, სადაც ბავშვის გაშვილების საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვთ. რა თქმა უნდა, გარიგების წარმატებით დაგვირგვინებაში სასამართლოსაც თავისი წვლილი შეაქვს; თუმცა გამოძიება არ აღიარებს, რომ სასამართლოში წარდგენილ დოკუმენტებს მოსამართლეები, რატომღაც, ბრმად ენდობიან და გაშვილებული ჩვილების მშობლების ვინაობის დადგენითა და სხვა მნიშვნელოვანი დეტალების დაზუსტებით თავს არ იწუხებენ. სხვათა შორის, სწორედ სასამართლოში ხდება ბავშვისთვის ახალი მშობლების, ახალი სახელისა და გვარის გაფორმება, რის შემდეგაც მისი უცხოეთში გაყვანის ყველა პრობლემა მოხსნილია.

იმერეთის ოლქის პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიება ოცი ბავშვის უკანონო გაშვილებაზე საუბრობს. განათლების სამინისტროს ინფორმაციით კი, 2001 წელს საქართველოდან უცხოეთში კანონიერი გზით 58 ბავშვი გაშვილდა; 2002 წელს - 117; ბოლო ექვს თვეში კი 69.

არადა, არსებული კანონმდებლობის მიხედვით, უცხოეთში ბავშვი მხოლოდ მაშინ უნდა გაშვილდეს, როდესაც საქართველოში მისი მშვილებელი არ აღმოჩნდება. ჩვენი ინფორმაციით, განათლების სამინისტროში მშვილებლების უზარმაზარი რიგია და ზოგიერთი მათგანი წლობითაც კი ელოდება ჩვილის შვილად აყვანას.

**"ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე ბავშვის უკანონოდ გამშვილებელი 16 მშობელია დადგენილი. 14 შუამავლი უკვე პასუხისგებაშია მიცემული; აქედან ორი პატიმრობაში იმყოფება, 5 - შინაპატიმრობაში, დანარჩენის მიმართ პოლიციის ზედამხედველობაა გამოყენებული,"** - აცხადებს ოლქის პროკურორი თამაზ ჭუმბურიძე.

ბავშვთა უკანონო გაშვილების თაობაზე იმერეთის საოლქო პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიება მაქინაციების ორგანიზატორად სამშობიარო სახლების მედ-პერსონალსა და კერძო შუამავლებს ასახელებს.. ერთ-ერთი ქალბატონი, რომელიც ბავშვების უკანონო გაშვილებაში იმხილება, ქუთაისის სამშობიარო სახლის ექიმი ქეთევან მიმინოშვილია.

გამოძიების მონაცემებით, უცხოელ მშვილებელს საქართველოში ბავშვის შვილება 20 ათას დოლარამდე უჯდებოდა. თანხას დაჯგუფების უცხოელი მეთაურები ანაწილებდნენ. ძირითადი თანხიდან საქართველოში მხოლოდ 5 ათასი დოლარი იგზავნებოდა და შუამავლებს, გამშვილებლებსა და მედპერსონალს შორის ნაწილდებოდა. იმერეთის სამხარეო პროკურატურა ბავშვთა უკანონო გაშვილების ფაქტზე აღძრული საქმის გამოძიებას აგრძელებს. რეგიონის პროკურორი თამაზ ჭუმბურიძე აცხადებს, რომ ამ რეზონანსული საქმის გამოძიებას პროკურატურა ბოლომდე მიიყვანს. **"ეს საქმე ლოგიკური შედეგით დასრულდება",** - ამბობს თამაზ ჭუმბურიძე.

## დიდძალი არსენალი ვაჰაბიტური ორგანიზაციის ლიდერის სახლში

გუშინ, თელავის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ამავე რაიონის სოფელ ყარაჯალაში, ერთ-ერთ ოჯახში დიდძალ არსენალს მიაგნეს და წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი, აზერბაიჯანელი ფოლად სულეიმანოვი დააკავეს. სულეიმანოვი, რამდენიმე წელია, კახეთში ცხოვრობს და, როგორც ამბობენ, ერთ-ერთი ვაჰაბიტური ორგანიზაციის ლიდერია. სამართალდამცველებმა მისი საცხოვრებელი სახლიდან დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა და იარაღი ამოიღეს. ოთხი ტანკსაწინააღმდეგო და შვიდი ფეხით მოსიარულეთა საწინააღმდეგო ნაღმი, 19 "ნურსის" სისტემის რაკეტა, რომელიც თვითმფრინავების ჩამოსაგდებად გამოიყენება. რაკეტების სამი სასროლი აპარატი თავისი დენის წყაროთი, ვაჰაბიტური ლიტერატურა, ვიდეოკასეტები, დიდი რაოდენობით ნიღბები და სამხედრო ფორმები - ამ ნივთების შენახვა და ფლობა ფოლად სულეიმანოვმა უკვე აღიარა.

"დაკავებულმა სულეიმანოვმა აღიარა, რომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სპეცოპერაციისას აღმოჩენილი დიდძალი არსენალი მას ეკუთვნის. თუმცა, ის არ ამბობს, საიდან შეიძინა და რისთვის სჭირდებოდა ეს სერიოზული საომარი მოწყობილობები", - აცხადებს თელავის რაიონის პოლიციის უფროსი. ჩვენი ინფორმაციით, გუშინ გვიან ღამემდე დაკავებულთან მიმდინარეობდა საგამოძიებო მოქმედება იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ფოლად სულეიმანოვს რაიმე კავშირი პანკისის ხეობასთან და იქ მყოფ ჩეჩენ მებრძოლებთან.

## არასამთავრობოები და ჟურნალისტები პროკურატურას უნდობლობას უცხადებენ

ტელეჟურნალისტის გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეს გაზეთმა „ახალმა 7 დღემ" პრესკონფერენცია მიუძღვნა. პრესკონფერენციის ორგანიზატორების აზრით, ჟურნალისტის მკვლელობასთან დაკავშირებით მასმედიამ და არასამთავრობოებმა თავიდანვე არ დაიკავეს ერთიანი პოზიცია და ცალ-ცალკე ცდილობდნენ გამოეხატათ საკუთარი შეხედულებები.

არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებისათვის" ხელმძღვანელის ნანა კაკაბაძის განცხადებით, მასმედიამ და არასამთავრობოებმა გამოძიებაზე არ ჩაატარეს შესაბამისი მონიტორინგი, ამიტომაც არსებობს ეჭვი, რომ სანაიას მკვლელობაში ბრალდებული გრიგოლ ხურცილავა არ არის ნამდვილი დამნაშავე.

პარლამენტარ ელენე თევდორაძის განცხადებით, მას ჰქონდა ხურცილავასთან პირადი საუბარი და ბრალდებულმა მაშინ სხვაგვარად აღწერა გიორგი სანაიასთან მისი შეხვედრის ფაქტი. პარლამენტარის თქმით, მან სიტყვა მისცა ხურცილავას, რომ მათ შორის გამართული საუბრის შინაარსს იგი არ გაამხელდა. ელენე თევდორაძეს იმედი აქვს, რომ ბრალდებული სასამართლოზე თავად იტყვის ყველაფერს თავის ბოლო სიტყვაში. **მედია-ნიუსი**

## ტერორისტების ხელშემწყობს ცხრა წელი მიუსაჯეს

გუშინ მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ჩეჩენი ზაურბეკ ტალხიგოვი გასული წლის ოქტომბერში, "ნორდ-ოსტის" თეატრალურ ცენტრში განხორციელებული ტერაქტის დროს ტერორისტთა ხელშეწყობაში ცნო დამნაშავედ და მას ცხრაწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ტალხიგოვი სასჯელს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოიხდის.

გამოძიების მონაცემებით, ზაურბეკ ტალხიგოვი ტერორისტებს მობილური ტელეფონით გადასცემდა ინფორმაციას თეატრალური ცენტრის რაიონში სნაიპერებისა და ჯავშანტექნიკის განლაგების შესახებ.

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლებმა ტალხიგოვი 2002 წლის 25 ოქტომბერს დააკავეს. მისი სასამართლო პროცესი მაისის ბოლოს დაიწყო. ტალხიგოვი დღემდე არ ცნობს თავს დამნაშავედ და ირწმუნება, რომ ტერორისტებთან კონტაქტი მძევალთა ნათესავების, ჟურნალისტებისა და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ასლანბეკ ასლახანოვის თხოვნით დაამყარა. თუმცა, ბრალდების აზრით, გამოძიებას და სასამართლოს ტალხიგოვის დანაშაულებრივი ქმედებების დამადასტურებელი უამრავი მტკიცებულება გააჩნდა.

ტალხიგოვს უფლება რჩება საქალაქო სასამართლოს განაჩენი ათი დღის ვადაში, რუსეთის უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივროს.

### ჰუსეინის კრიტიკისთვის ბელორუსიაში მოსწავლე დასაჯეს

მინსკის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე გოგონა 10 დღით დააპატიმრეს იმის გამო, რომ მან სადამ ჰუსეინი გააკრიტიკა. ტატიანა ელოვას 10-დღიანი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილება მინსკის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა. მოსამართლემ მის მიერ გამოტანილ განაჩენს საფუძვლად დაუდო ის, რომ გოგონა აშშ-ს საელჩოს წინ გამართულ არასანქცირებულ მიტინგში მონაწილეობდა. საქმე ისაა, რომ ბელორუსიის პრეზიდენტი ლეონიდ ლუკაშენკო ჰუსეინის რეჟიმის მხარდამჭერთა რიცხვს მიეკუთვნება. ორგანიზაცია "ზუბრი", რომლის მიერ გამართულ მიტინგშიც მონაწილეობდა ტატიანა ელოვა, აცხადებს, რომ გოგონასთვის გამოტანილი განაჩენი პოლიტიკურია. "მოსამართლემ ლუკაშენკოს ასიამოვნა, სწორედ პრეზიდენტის ჰუსეინისადმი სიმპათიამ განაპირობა 16 წლის გოგონას 10-დღიანი პატიმრობა. მას არაფერი დაუშავებია გარდა იმისა, რომ ჰუსეინს დიქტატორი უწოდა. ჩვენ მივმართავთ საერთაშორისო ორგანიზაციებს ტატიანა ელოვას უფლებების შელახვის გამო," – აცხადებენ ორგანიზაციის წევრები.

### რუსეთის პროკურატურამ ადამიანებით მოვაჭრეები დააკავა

რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილის ნიკოლაი სავჩენკოს ინფორმაციით, დაკავებულია ჯგუფი, რომლებსაც ახალგაზრდა რუსი ქალები გაჰყავდა ტაილანდსა და სხვა ქვეყნებში. გამოძიების მონაცემებით, ჯგუფმა უცხოეთში გაიყვანა 43 ქალი, მათ შორის - 15 არასრულწლოვანი.

შავ ბიზნესში იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის შემდეგ ადამიანით ვაჭრობას მესამე ადგილი უკავია. ექსპერტთა მონაცემებით, დსთ-ს ქვეყნებიდან უკანონო გზით ყოველწლიურად ნახევარი მილიონი ქალი გაჰყავთ და მათ სექსინდუსტრიაში იყენებენ.

### ბორის გრიზლოვმა მილიციელთა მკვლელობის საქმე კონტროლზე აიყვანა

რუსეთის შს მინისტრმა პირად კონტროლზე აიყვანა რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ მეტროს სადგურში მომხდარი კონფლიქტისას მოკლული ორი მილიციელის მკვლელობის საქმის გამოძიება.

კონფლიქტი თინეიჯერების ორ ჯგუფს შორის მოხდა. "Public Enemy"-ის კონცერტიდან სახლში მიმავალმა თინეიჯერებმა ჩხუბი მეტროსადგურ "ფილის" ბაქანზე დაიწყეს. ახალგაზრდების გაშველებას მეტროპოლიტენის მილიციის თანამშრომლები შეეცადნენ. გამშველებელი მილიციელები თინეიჯერებმა სასტიკად სცემეს. 31 წლის მილიციელი ვიაჩესლავ კაპაევი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მისი მეგობარი საავადმყოფოში მიყვანისა და რამდენიმე საათიანი ურთულესი ოპერაციის შემდეგ დაიღუპა.

მილიციამ დააკავა ჩხუბის 14 მონაწილე. შს მინისტრი აცხადებს, რომ დაკავებულები, მიუხედავად მათი ასაკისა, კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან.

### ცნობილი კოლექციონერის მკვლელობის საქმე გაიხსნა

გენერალური პროკურორის მოადგილემ კონსტანტინ ჩაიკამ ხელი მოაწერა ცნობილი კოლექციონერის იური მასლოვსკის მკვლელობაში ბრალდებულთა საბრალდებო დასკვნას. მასლოვსკი ერთი წლის წინ გაძარცვეს, ყაჩაღებმა კოლექციონერი მოკლეს და სახლიდან წაიღეს ანტიკვარული ნივთები, რომლის ღირებულებაც 3 მილიონ რუბლს აჭარბებს. სამართალდამცველებმა შეძლეს მასლოვსკის კოლექციის ნაწილის პოვნა და ნივთები მოკლული კოლექციონერის ახლობლებს დაუბრუნეს.

ცნობილი კოლექციონერის მკვლელობისთვის ოთხ კაცს გაასამართლებენ. მათ სამუდამო პატიმრობა ელით.

## მოკლედ

**თბილისი.** საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება 23 მარტს ისნის სამხედრო ნაწილში მომხდარ ინციდენტში მონაწილე 11 ვეტერანი პატიმრისთვის წინასწარი აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების თაობაზე და უარი განაცხადა მათთვის სასჯელის შემსუბუქებაზე. საოლქო სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. პატიმრების ადვოკატებმა სასამართლოს გადაწყვეტილება მართლმსაჯულებაზე ხელისუფლების პირდაპირი ზეწოლის შედეგად შეაფასეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მეტროს სადგურებში შს სამინისტროს, შს თბილისის მთავარი სამმართველოსა და არასრულწლოვანთა ინსპექციის თანამშრომლებმა 17 მაწანწალა არასრულწლოვანი დააკავეს. შს თბილისის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ინფორმაციით, არასრულწლოვანები გლდანის არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებელს ჩააბარეს, სადაც ბავშვების მშობელთა მოძებნას შეეცდებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "პოლიციის თანამშრომელი ირაკლი თუშიშვილი, რომელსაც გამოძიება ყაჩაღობაში ადანაშაულებს, შს სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორში სასტიკად სცემეს. მას მთელი ღამის განმავლობაში ფიზიკურად უსწორდებოდნენ, აცხადებს სახალხო დამცველის რწმუნებული რამაზ ნინუა, რომელმაც გუშინ თუშიშვილი მე-5 საპყრობილეში მოინახულა. ნინუას ინფორმაციით, თუშიშვილს დენითაც აწამებდნენ. პატიმრის სხეულზე არსებული დაზიანებები თბილისის მე-5 საპყრობილის ექიმმა-ექსპერტმა დააფიქსირა და შესაბამისი ცნობა გასცა. თუშიშვილი შს სამინისტროს თბილისის სამმართველოს ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომელია. იგი ოთხი დღის წინათ ყაჩაღობასა და დოკუმენტთა გაყალბებაში ეჭვმიტანილის სახით დააკავეს. სახალხო დამცველის აპარატი მოითხოვს თუშიშვილის სხეულზე ექსპერტიზის ჩატარებას და დასკვნის მიღების შემდეგ გენერალურ პროკურატურას რეაგირებისათვის მიმართავს. **მედია-ნიუსი**

## პუტინი თბილისს დახმარებას სთავაზობს

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის განცხადებით, საქართველოსა და რუსეთს შორის უთანხმოების დასაძლევად, ქართულ მხარეს მისი ტერიტორიიდან მეზობელ რუსეთზე ტერორისტული ჯგუფების თავდასხმების აღკვეთა მოეთხოვება. როგორც ვლადიმირ პუტინმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, თბილისმა აუცილებლად უნდა აღკვეთოს დესტრუქციული ელემენტებისა და ტერორისტული ჯგუფების მოღვაწეობა, რომლებიც რუსეთთან მოსაზღვრე საქართველოს ტერიტორიებზე, კერძოდ, პანკისის ხეობაში დღემდე იმყოფებიან. მისი თქმით, მოსკოვი მზად არის, ამ ჯგუფების ნეიტრალიზებაში დაეხმაროს თბილისს ერთობლივი ოპერაციებით, რომელშიც მონაწილეობას რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და უშიშროების ფედერალური სამსახურის სპეციალური ქვედანაყოფები მიიღებენ. პუტინმა აღნიშნა, რომ რუსეთი თავს არავის არაფერს ახვევს და თუ ეს საქართველოსთვის მიუღებელი იქნება, დაჟინებით თხოვნას არ აპირებს. **პრაიმ-ნიუსი**

## პუტინ-შევარდნაძე სამშვიდობოების უვადო ყოფნაზე მართლაც შეთანხმდნენ

*მიუხედავად ანალიტიკოსების ნეგატიური შეფასებისა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე მომუშავე რუსულ-ქართული შეხვედრიდან ჩვენი მხარე კმაყოფილი დაბრუნდა.*

ლელა მჭედლიძე

საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე წარმოადგენდნენ. როგორც ირკვევა, მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე, სოჭის რეკომენდაციების სრულფასოვნად შესასრულებლად ქართული მხარის წარმომადგენლებმა რუსეთს რამდენიმე ასპექტის გადაწყვეტა და გათვალისწინება შესთავაზეს, რომელთაგან ძირითადი დევნილთა აფხაზეთში უსაფრთხო დაბრუნება და აფხაზეთის ეკონომიკური რეაბილიტაციაა.

მუშა ჯგუფების წევრთა მორიგი შეხვედრა ივლისის დასაწყისში უნდა გაიმართოს. ამ შეხვედრაზე, ალბათ, უფრო კონკრეტული წინადადებების დაყენებაც იქნება მოსალოდნელი. მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე კი ქართული და რუსული მხარეების წარმომადგენლებმა, სხვა საკითხებთან ერთად, დსთ-ს სამშვიდობო ძალების მანდატის საკითხიც განიხილეს. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე გუშინ ჟურნალისტებისათვის ამ საკითხს კიდევ ერთხელ აზუსტებდა: **"სამშვიდობოების მანდატის საკითხი ჯერ კიდევ სოჭში შეთანხმდა. მართალია, მხარეებს შორის დოკუმენტი იურიდიულად არ გაფორმებულა, მაგრამ გადაწყდა, რომ სამშვიდობოების ოპერაციის ვადა კონფლიქტის ზონაში ავტომატურად გაგრძელდება მანამდე, სანამ რომელიმე მხარე საწინააღმდეგო პოზიციას არ დააფიქსირებს. ანთაძის განმარტებით, დსთ-ს მეთაურთა მიერ სამშვიდობო ძალების მანდატის თაობაზე დოკუმენტის ხელმოწერა, შესაძლოა, შემოდგომისათვის დაგეგმილი მეთაურთა სამიტის ნაცვლად, უფრო ადრე მოხერხდეს, იმ შემთხვევაში, თუ ეს დოკუმენტი სახელმწიფოს მეთაურებს ხელმოსაწერად დაეგზავნებათ."**

საჭიროა თუ არა პარლამენტის ნებართვა სამშვიდობოების საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად? - ამ კითხვას მინისტრის მოადგილე გადაჭრით უარყოფითად არ პასუხობს, აცხადებს, რომ ეს საკითხი იურიდიულად არ არის დაზუსტებული. თუმცა, თუ მანდატის 6 თვით გაგრძელების საკითხს პრეზიდენტი წყვეტდა, ალბათ, ახლაც საკითხი კვლავ მისი და მთავრობის გადასაწყვეტი იქნება.

გუშინ ანთაძემ ასევე განაცხადა, რომ გაერო-ს ეგიდით შექმნილმა საკოორდინაციო საბჭომ თავისი უფლებამოსილება, შესაძლებლობები ამოწურა. მართალია, 1997 წელს ქართულ-აფხაზური პროცესის ინტერნაციონალიზაცია მოხერხდა და საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა, მაგრამ აფხაზურმა მხარემ სხვადასხვა დროს საკმაო წარმატებით გამოიყენა შანტაჟის მეთოდი, რამაც, საბოლოო ჯამში, საკოორდინაციო საბჭოს ბლოკირება გამოიწვია. ანთაძის აზრით, ამ ეტაპზე საქართველოსათვის გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის სახელით წარმოებული მოლაპარაკებები უფრო მისაღები იქნება.

## სოხუმს ერთობლივი ადმინისტრაციის შექმნა არ სურს

სოხუმმა უარყო თბილისის წინადადება, დევნილთა დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით, გალის რაიონში გაერო-ს ეგიდით ერთობლივი ადმინისტრაციის შექმნის თაობაზე. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას შეფასებით, დევნილთა დაბრუნების პროცესის პოლიტიზირების მცდელობა, რაც გალის რაიონში საერთაშორისო ადმინისტრაციის შექმნის წინადადებაში გამოიხატება, ადასტურებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ სურს დევნილების საკითხის გადაჭრა და მათ პოლიტიკური თამაშებისთვის იყენებს. მისი თქმით, უსაფრთხოების გარანტიები უნდა უზრუნველყონ ისეთმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორიცაა გაერო და ეუთო. სერგეი შამბას აზრით, უნდა დაიწყოს იმ პროექტების რეალიზაცია, რომლებიც ენერგეტიკისა და სარკინიგზო კომუნიკაციების სფეროებში საერთო ინტერესებს წარმოადგენს. **პრაიმ-ნიუსი**

## მხოლოდ კომპრომისის გზით

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა პარასკევს მიანიშნა, რომ რუსეთი აფხაზეთზე ზეწოლის მოხდენას არ აპირებს. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე საუბრისას მან მხარი დაუჭირა პრობლემის მოგვარებას "ისეთ რეჟიმში, რომელიც კონფლიქტში ჩართული ყველა მხარის, მათ შორის, აფხაზეთისთვის მისაღები იქნება." "საეჭვოა, საქართველოს გაუხარდეს რუსეთის ზეწოლა აფხაზურ მხარეზე ისეთი შეთანხმების მისაღწევად, რომელიც მისთვის მისაღები არ იქნება," - აღნიშნა ვლადიმირ პუტინმა. მისი აზრით, ეს მიუღებელია, რადგან "ხანგრძლივ ისტორიულ პერსპექტივაზე გათვლილი ქართველი და აფხაზი ხალხების თანაარსებობისათვის ნორმალურ ვითარებას არ ქმნის". "კონფლიქტის გადაწყვეტისთვის კომპრომისია საჭირო," - დასძინა პუტინმა. **პრაიმ-ნიუსი**

## მოსკოვს ოლიგარქების არ ეშინია

### რუსეთის პრეზიდენტის პრესკონფერენცია

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

პუტინის დიდი პრესკონფერენცია კრემლში მოსკოვის დროით 12 საათზე დაიწყო, მაგრამ 60 ქვეყნის ჟურნალისტები კრემლის შესასვლელთან დილის 9 საათზე დაიბარეს. ვიდეოკამერების საგულდაგულო შემოწმებისა და პრესის წარმომადგენელთა თავაზიანი ჩხრეკის შემდეგ, რუსულ და უცხოურ მედიას ორი საათი კრემლის მე-14 დარბაზის უზარმაზარ ფოიეში თავისუფალი გადააგილების საშუალება ჰქონდა - რუსული სუვენირებისა და წიგნების შესაძენად. აღმოჩნდა, რომ კრემლში ისინი ბევრად იაფი ღირს, ვიდრე ქალაქში.



*პრესკონფერენციის დასკვნით ნაწილს პუტინი თავად დირიჟორობდა.* REUTERS

ყველა ჟურნალისტის გულისყური კი პრესკონფერენციის მრგვალი დარბაზისაკენ იყო მიპყრობილი, სადაც პირველი რიგები პრეზიდენტის პრესსამსახურის თანამშრომლებმა დაიკავეს, დანარჩენებს დარბაზში მოკალათების სრული თავისუფლება მიეცათ. არსად არ იყო მითითებული, თუ ვის რომელი ადგილი უნდა დაეკავებინა.

დარბაზში შეკრებილი 700 ჟურნალისტიდან ყველას საკუთარი შეკითხვა ჰქონდა და ცდილობდა, ამ შეკითხვის დასმა მოეხერხებინა.

პრესკონფერენციის დაწყებამდე პუტინის პრესმდივანი ალექსანდრ გრომოვი ხაზგასმულად თავაზიანად ეცნობოდა ჟურნალისტებს, რომლებიც სთხოვდნენ, იქნებ ჩვენი აწეული ხელი შეამჩნიოთო. გრომოვი თავაზიანი ღიმილით ყველას ჰპირდებოდა სიტყვის მიცემას.

პრესკონფერენციის პირველი წუთებიდანვე ცხადი გახდა, რომ საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის მთავარი საკითხები და რუსეთის რეგიონული პრობლემების სფეროში შეკითხვები პრეზიდენტის პრესსამსახურთან წინასწარ იყო შეთანხმებული. წინასწარ იყო "ჩაწყობილი", რა თქმა უნდა, პირველივე შეკითხვა ტომსკიდან, საიდანაც პუტინს მადლობას უთვლიდა ახალდაქორწინებული წყვილი ახალი ბინის მიღებისათვის.

მიუხედავად ამისა, დარბაზში საკმაოდ უშუალო სიტუაცია შეიქმნა. ჟურნალისტების მახვილ კითხვებს ემატებოდა პრეზიდენტის თავისუფალი იმპროვიზაციები რუსეთიდან გაქცეული ოლიგარქების, საპარლამენტო არჩევნების თავისებურებისა და მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების თემაზე. საკმაოდ მოულოდნელი იყო პუტინის განცხადება იმის შესახებ, რომ მას ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, იყრის თუ არა კენჭს მომავალ არჩევნებში. სენსაციური იყო რუსეთის პრეზიდენტის მსჯელობაც რუსეთის სახელმწიფო მოწყობის მოდელზე. **"არსებული რეალობიდან გამომდინარე, რუსეთისათვის საპარლამენტო მოწყობის მოდელი მიუღებელია"**, - განაცხადა პუტინმა. იქვე პუტინი საუბრობს ხელისუფლების ვერტიკალის გამყარებაზე, ქვეყნის ეკონომიკის უკეთეს მდგომარეობაზე და მომხიბლავ ინვესტიციებზე.

რუსეთ-აშშ-ს ურთიერთობებისა და ირანის პრობლემაზე საუბრისას პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკა რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი ასპექტი იქნება, მაგრამ იქვე ირანთან დაკავშირებით მოზომილი განცხადება გააკეთა. მან, ასევე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთის დარეგულირებაში რუსეთი აშშ-ს ლიდერობას დაუთმობს.

პრეზიდენტს რუსი ხალხის სიღატაკის გამო რცხვენია; მაშინვე ჩნდება შეკითხვა, ხომ არ ელოდება რუსეთს ოლიგარქიული გადატრიალება. პუტინი პასუხობს, რომ მას არ მოსწონს სიტყვა ოლიგარქები, არც მათი ეშინია; მსხვილი ბიზნესი, პუტინის მტკიცებით, ოლიგარქებთან დაკავშირებული არ არის, ხოლო ისინი, ვინც რუსეთი გაძარცვა და რუსეთის ქონება სახელმწიფოდან გაზიდა, უკვე შორს არიან.

## ბუშტები მათი სამშობლოსკენ გაფრინდნენ

პირველი გვერდიდან

დუისში მცხოვრებ ლტოლვილთა უმრავლესობას იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში მესამე ქვეყანაში გადასვლას შეძლებენ, სადაც მათი შვილები განათლებას მიიღებენ, თვითონ იმუშავებენ და ნორმალური ადამიანური ცხოვრებით იცხოვრებენ. თუმცა, ლტოლვილებთან დღეს სტუმრად ჩასული ვერც გაერო-ს და ვერც საელჩოების წარმომადგენლები, უმწეო მდგომარეობაში მყოფ ხიზნებს უახლოეს მომავალში სანუგეშოს ვერაფერს ჰპირდებიან.



*ისინი საქართველოში დაიბადნენ და არავინ იცის ნახავენ თუ არა ოდესმე სამშობლოს.*

**"ჩეჩენი ლტოლვილების მესამე ქვეყანაში გადაყვანის შესახებ ევროპის და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებთან სისტემატურად ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ცოტა ხნის წინ ნორვეგიამ რამდენიმე ჩეჩენი ოჯახი მიიღო. გარკვეულ წინადადებებს გვთავაზობს ამერიკის შეერთებული შტატებიც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ლტოლვილის ევროპის ქვეყნებში გადაყვანას შევძლებთ. თუმცა, მოლაპარაკებები გრძელდება და ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად აქტიურად ჩაერთვება ამ პროცესებში ამერიკა"**, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელმა საქართველოში კატრინ ბერტრანმა.

პანკისში არის ლტოლვილების ერთი ნაწილი, რომელიც მომავალში არა თუ მესამე ქვეყანაში, ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებაზეც აღარ ფიქრობს. **"სკოლას რომ დავამთავრებ, თბილისში უნდა ვისწავლო და სამუშაოდ იქვე დავრჩები"**, – გვითხრა ასლან ნაციევმა, რომელიც ამჟამად ნაციშვილად იწერება და გამართულად საუბრობს ქართულად.

დღეს, მთავარი პრობლემა მაინც მშვიდობაა. როგორც დუისის მკვიდრნი და მათი ხიზნები აღნიშნავენ, დედაქალაქში გავრცელებულმა ხმებმა, ხეობის დაბომბვის და იქ გელაევის ჯარების გამოჩენის შესახებ, პანკისში ბოლო დროს შედარებით დამშვიდებული სიტუაცია კიდევ ერთხელ დაძაბა. კახეთის რეგიონის გუბერნატორის ბიძინა სონღულაშვილის თქმით, ბოლო პერიოდში ხეობაში არავითარ დაბომბვას არ ჰქონია ადგილი და იქაური შესაბამისი სამსახურები არც ჩეჩენი მებრძოლების გადმოსვლაზე ფლობენ ინფორმაციას.

გელაევის და, საერთოდ, ჩეჩენი მებრძოლების გადმოსვლაზე უფრო მყარი არგუმენტი თავად ლტოლვილებს აქვთ: **"ახლა ომის პერიოდია. რომელი ნამდვილი მეომარი იფიქრებს ამ დროს ჩეჩნეთის მიტოვებაზე. ამას ჩვენი ხალხი არავის აპატიებს. ეს კი ყველაზე დიდი სასჯელია. აქედან გამომდინარე, დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ ხმებს ისევ რუსეთი ავრცელებს,"** – ამბობენ ჩეჩენი მამაკაცები.

ასეთი - მხიარული, მაგრამ მაინც სევდიანი იყო ლტოლვილთა მსოფლიო დღე პანკისის ხეობაში. საბოლოოდ კი, იქაური ბავშვებიც და უფროსებიც ყველაზე მეტად საჩუქრად ჩატანილმა ნაყინმა და "კოკა-კოლამ" გაამხიარულა.

ერთდღიანი "დღესასწაული" სამი ათასი ბუშტის ჰაერში გაშვებით დასრულდა.

**"გაფრინდა ჩვენი ფულები,"** – გულდაწყვეტით თქვა ჩეჩენმა ქალბატონმა და თვალი გააყოლა ჰაერში გაშვებულ ბუშტებს, რომლებიც იმ მთებს იქით მიფრინავდნენ, სადაც ლტოლვილებს სამშობლო ელოდებათ.

## კვიციანი ნადარეიშვილს გადადგომას და სასამართლოში შეხვედრას სთავაზობს

მერაბ მეტრეველი

ემზარ კვიციანის და ნადარეიშვილის დაპირისპირებას გაგრძელება გუშინ მოჰყვა. პარლამენტში ნადარეიშვილისა და კვიციანის მომხრეებს შორის ერთგვარი მინითათბირი შედგა, სადაც მხარეების მორიგებას ცდილობდნენ. მანამდე კი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა კომენტარები გააკეთეს: პრეზიდენტის პრესმდივანმა განაცხადა, რომ იმ ინფორმაციებს, რაც ნადარეიშვილმა გაავრცელა, ხელისუფლებაში არ ფლობენო(?). ფაქტობრივად, იგივე გაიმეორა გენერალურმა პროკურორმაც. თავდაცვის მინისტრმა ყველაფერს ბოდვა უწოდა. პარლამენტის თავმჯდომარემ კი, განაცხადა, რომ **"ყველაფერი სერიოზულ შესწავლას და მსჯელობას მოითხოვს"**. სახელმწიფო მინისტრმა, თავის მხრივ, აღნიშნა: კოდორი ფაქიზი რეგიონია და იქაურებს ფაქიზად უნდა მოვექცეთო.

ამას გარდა, კოდორის ხეობიდან ჩამოსულმა დაპირისპირებულ მხარეთა მხარდამჭერებმა ერთდროულად ორი პრესკონფერენცია მოაწყვეს. ორივე პრესკონფერენცია დღის სამ საათზე გაიმართა. ერთი კვიციანის მხარდამჭერებმა ჩაატარეს (სადაც განაცხადეს: ნადარეიშვილი ემზარის ლანძღვით პრეზიდენტთან ქულებს ვერ დაიწერსო), მეორე კი, კოდორის უხუცესთა კავშირის თავმჯდომარემ, ვაჟა ავალიანმა გამართა. ავალიანმა ჯერ ვრცლად უხუცესთა საბჭოს შექმნის მიზეზებზე ისაუბრა (რითაც ჟურნალისტების გაღიზიანება გამოიწვია), მერე კი ბრალდებებზეც გადავიდა, თუმცა, ახალი და კონკრეტული არაფერი უთქვამს. კვიციანის გატაცებაში მონაწილეობის დამამტკიცებელი მისეული არგუმენტი ასეთი იყო: დაასახელოს გამტაცებელთა გვარები. რადგან არ ამბობს, ესე იგი, მისი ხელი ურევიაო.

**"მე რა დოკუმენტები უნდა მქონდეს? დოკუმენტები და მტკიცებულებები სამართალდამცავებმა უნდა მოიპოვონ... კვიციანს ასეთი ქმედებები იმაში სჭირდება, რომ პრეზიდენტი თავის საჭიროებაში დაარწმუნოს... ჩვენც და ნადარეიშვილიც ამ საკითხებზე საუბრისგან დღემდე ვიკავებდით თავს, მაგრამ მერე თვითონ მოახდინა ჩვენი პროვოცირება. განაცხადა, რომ გატაცებაში აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელი ურევიაო. დღეს უკვე კოდორის ხეობაში ურთიერთშუღლის ნიადაგზე 85 ადამიანია დახვრეტილი. კოდორში 66 საგვარეულო ცხოვრობს და ერთმანეთს არც ერთი არ ელაპარაკება. კოდორის ხეობა არის საკონცენტრაციო ბანაკი და ეს ბანაკი ემზარ კვიციანმა შექმნა. მე პრეზიდენტი მეცოდება, რომ ასეთი რწმუნებული ჰყავს,"** – აი, ეს იყო ავალიანის პრესკონფერენციის ძირითადი თეზისები.

თავად კვიციანი გუშინ მესტიაში იმყოფებოდა და, როგორც თავად ამბობს, ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეებს აკეთებდა. მისივე თქმით, იგი ორშაბათს თბილისში ჩამოსვლას და ყველაფრისთვის ნათელის მოფენას აპირებს. მანამდე კი, ნადარეიშვილის და ავალიანის ბრალდებებზე მის კომენტარს გთავაზობთ: **"ნადარეიშვილი თავიდანვე ამ ავალიანზე იყო ამოფარებული, ჩემს შესახებ ინფორმაციებს სწორედ ის აწვდიდა. მაგ ავალიანმა მე ერთხელ პუტინთანაც კი მიჩივლა - ჩეჩენ ტერორისტებთან თანამშრომლობსო. თავის დროზე, თვითონ ციხეში მკვლელობისთვის იჯდა. მაგის ძმებმა ფულის გულისთვის საკუთარი ძმა მოკლეს. ჯერ უღელტეხილზე ხალხს აყაჩაღებდა, მერე კი ნადარეიშვილმა "დააავერბოვკა"."**

რაც შეეხება ნადარეიშვილის ბრალდებას, რომ კვიციანი მკვლელობისთვის იძებნებოდა, კოდორში პრეზიდენტის რწმუნებული ასე პასუხობს: **"ასეთი შემთხვევა მართლაც იყო ჩემს ცხოვრებაში. მაგრამ ის, რომ მკვლელობისთვის ვიძებნებოდი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მკვლელი ვარ. ესეც რომ არ იყოს, როცა ვიძებნებოდი, ქვეყანას დავჭირდი, დამიძახეს და ომში ჩავერთე. უამრავი საქმეები გავაკეთეთ. ნადარეიშვილმა ჩემი ცხოვრების იმ პერიოდზე ილაპარაკოს, რაც მე სტრუქტურებში შემოვყავი თავი, წარსულს რომ მიხსენებს. ოცი წლის წინათ, ბავშვობაში რომ ვიყავი ნასამართლევი, ამას იყენებს. ეს ისედაც ყველამ იცის. ნადარეიშვილს ახლა, იცი, რა მოუვიდა? მთელი ტყვიები ერთდროულად დაცალა. უკვე ხალხიც მომიგზავნეს - გაჩერდიო, მაგრამ მე არ გავჩერდები. აწი იქნება ძალიან საინტერესო პასუხები. დღეს უკვე მთელი კოდორი აცხადებს: სანამ ნადარეიშვილი იქნება ლეგიტიმური ხელისუფლების ხელმძღვანელი, კოდორში პატრულს არ დავუშვებთო. ნადარეიშვილს თავის დროზე მოსკოვში უშიშროების სკოლა აქვს გავლილი. ვის შეკვეთებსაც უნდა ასრულებდეს, ალბათ, ისედაც გასაგებია. მე ნადარეიშვილს ვთავაზობ: მეც გადავდგები, თვითონაც გადადგეს და ორივე ასე წარვდგეთ სასამართლოს წინაშე."**

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# აქ სახლში ვარ...

## ქართველი პრინცის ამერიკელი შთამომავლის საქართველოში მოგზაურობის ამბავი

მაია ჭალაგანიძე

*ზღაპარს უფრო ჰგავს და იქნებ ასე უნდა იწყებოდეს, "იყო და არა...", მაგრამ ეს ამბავი სინამდვილეა და მას ისტორია ჰქვია. შთამომავალი წინაპრების მიწაზე რომანტიკული თავგადასავლების საძიებლად არ ჩამოსულა. მის სტუმრობას სრულიად კონკრეტული და მიწიერი სახელი ჰქვია - ჰუმანიტარული პროექტები. მარუსია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟის, დავითის შთამომავალია. ის გახლავთ აღმასრულებელი დირექტორი არასამთავრობო ორგანიზაციისა "საქართველოს ამერიკელი მეგობრები". დღემდე კეიპკორდში, ბებია-ბაბუის აშენებულ სახლში ცხოვრობს. იქ ჯერ ვაშინგტონს გაექცა, შემდეგ - ნიუ-იორკს. ქვემოთ აუცილებლად დაინახავთ მსგავსებას ბაბუასთან, პოლ ჭავჭავაძესთან - მშვენიერი იუმორი აქვს და ქართულად არ ენდობა მთავრობის კაცებს. ამიტომაც, ნაცნობების შეძენა სამთავრობო წრეებში პრინციპულად არ დაიწყო.*

### წადი საქართველოში...

ამერიკაში შვიდი წლის განმავლობაში ვმუშაობდი პოლიტიკოსებთან. საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის მიმართულების ბაკალავრის დიპლომი მაქვს. ამ მიმართულებით კვლევებს ვატარებდი და პოლიტიკოსებს ინფორმაციით ვამარაგებდი, რათა ისინი ყოველმხრივ განათლებული და გათვითცნობიერებული წარმდგარიყვნენ ხალხის წინაშე. საშინლად მომბეზრდა მათთან ურთიერთობა და, ნაცნობებისა და ახლობლების პროტესტის მიუხედავად, ჩემს შვილთან ერთად კეიპკორდში, ბებიისა და ბაბუის სახლში გადავედი საცხოვრებლად.

სწორედ კეიპკორდში დამირეკა კონი (კონსტანტინე) ერისთავმა (მის შვილთან ადრე ვმუშაობდი) და მითხრა, წადი საქართველოში, გაიგე, რა სჭირდებათო... არც კი ვიცოდი, როგორ და რა უნდა გამეკეთებინა. ერისთავმა მითხრა, დაიწყეო და მეც დავუჯერე.

ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ხალხის მიმართ ალერგიის უცნობი სახეობა მჭირდა და ვცდილობდი, ჩვეულებრივ ადამიანებთან დამემყარებინა კონტაქტი. ადრე მსმენოდა ფერიცვალების დედათა მონასტრის იღუმენის დედა მარიამის შესახებ და მისი ნახვა მსურდა. ეს იყო ის ერთადერთი რამ, რაც ვიცოდი, რომ საქართველოში უნდა გამეკეთებინა. როდესაც ჩამოვედი, მასთან სასაუბროდ თარჯიმანს ვეძებდი და აღმოვაჩინე, რომ დედა მარიამმა მშვენივრად იცოდა ინგლისური ენა. აი, აქედან დაიწყო ყველაფერი.

ამის შემდეგ მოვხვდი ბავშვთა კლინიკაში... ეს ჩემთვის შოკი იყო. მძიმე შთაბეჭდილება დამრჩა, როცა ვნახე მშობლები, რომელიც საკუთარი შვილების სიკვდილს უყურებდნენ და არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ. ნანახის შესახებ 40 გვერდიანი რაპორტი დავწერე და ამერიკაში ჩემს ორგანიზაციას წარვუდგინე. კითხულობდნენ და არ სჯეროდათ... თანხების მოძიება ჩემი მეგობრებისგან დავიწყე. მიზნად დავისახე, საქართველოში მეპოვა არა ის, რაც მთავრობისთვის იყო პრიორიტეტი, არამედ - პირდაპირ ხალხთან მივსულიყავი და თავად გამეგო, რა სჭირდებოდათ. ჩემი აზრით, ასეთი პროგრამებით გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლება, ვიდრე ზემოდან დაფინანსებულით.

ერთდროულად 10-12 პროექტზე ვმუშაობთ - ქუჩის ბავშვებისთვის, კიბოთი, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის, მენტალური პრობლემების მქონე ასაკოვანი ხალხისთვის. ეს პროგრამები რეგიონებშიც იმუშავებს - ქუთაისში, გორში, თელავში. ამ სიას, ბოლო ხანს, ქედა და ბობოყვათი მიემატა.

ძალიან მიხარია, რომ ადამიანებს საქმის დაწყებაში ვეხმარები. დედა მარიამმა პირველი მოწყალების ცენტრი ჩამოაყალიბა საქართველოში. ჩვენი მეშვეობით ექიმმა ნესტან დუდუჩავამ შენობა გაარემონტა და ეს იქნება მენტალურად დაავადებულ ხანდაზმულთა პირველი კლინიკა. ბედიანში პირველი დამოუკიდებელი სოფელი ქუჩის ბავშვებისთვის და მარტოხელა დედებისთვის თავშესაფრად იქცა. გეგმაშია სუიციდით შეპყრობილთა რეაბილიტაციის ცენტრისა და ეკოლოგიური პროექტების დაფინანსებაც...

ამერიკაში ბევრი გაოცებულია და მეუბნება - იქ ხომ კორუფციაა, როგორ ახერხებ ნორმალური ურთიერთობების დამყარებასო... მე კი ვპასუხობ - უნდა იპოვოთ ადამიანები, რომელთაც ენდობით...

### საქმე დამთავრდა, ახლა იწყება ზღაპარი...

ეს მართლაც იყო პეტერბურგში. სამეფო კარზე საბავშვო მეჯლისი მოეწყო... რუსეთის მეფის ძმისშვილი, 5 წლის პრინცესა ნინა რომანოვა დარბაზის ცენტრში იდგა და მოცეკვავე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

მარუსია ჭავჭავაძე "24 საათის" რედაქციაში.

წყვილებს დიდი ინტერესით ათვალიერებდა. ჰკითხეს, ვისთან გინდა ცეკვაო... ნინამ 9 წლის პოლ ჭავჭავაძე აირჩია, რომელმაც აღფრთოვანება ვერ დამალა და ცეკვის დროს პატარა პრინცესას... ცხვირზე უკბინა. ნინას არ უტირია, მას ეს "საზიზღარი" ბიჭი მოეწონა.

ეს იყო პირველი შეხვედრა და როგორც აღმოჩნდა, არა უკანასკნელი...

...დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ნინას მამის, "ველიკი კნიაზ" გიორგი მიხაილოვიჩის გადარჩენას პროლეტარი მწერალი მაქსიმ გორკი შეეცადა და ლენინისგან სიტყვაც კი მიუღია - არაფერს ვავნებო... ლენინი კი ისე მოიქცა, როგორც ჭეშმარიტ ბოლშევიკს შეჰფეროდა - სიტყვა არ შეასრულა...

რევოლუციის შემდეგ პოლმა საქართველო დატოვა. ჯერ რუმინეთში გაიქცა, შემდეგ პარიზში და უფრო შემდეგ - ლონდონში...

სად იყო ნინა? ნინა გადამალული ჰყავდათ საბერძნეთის მეფის კარზე. დედამისი საბერძნეთის მეფის ასული იყო. იქიდან კი ნათესავების სანახავად ინგლისის სამეფო კარზე გაემგზავრნენ.

სწორედ ლონდონში შეხვდნენ ერთმანეთს მეორედ და სამუდამოდ... ერთმანეთი ნამდვილად იცნეს, აბა რატომღა უამბობდნენ ამ ამბავს შვილიშვილებს?!

ემიგრირებული "თეთრი რუსების" თითქმის მთელი უცოლო შემადგენლობა პრინცესას ეტრფოდა. ხელის თხოვნას კი ვერავინ უბედავდა - რომანოვასთვის საკადრისი ცხოვრების შეთავაზება არ შეეძლოთ... აბა, გამოიცანით, რა მოხდებოდა რუსებსა და ქართველებს შორის, ევროპაში, გასული საუკუნის გარიჟრაჟზე?!

გამოჩნდა საშინლად სიმპათიური ქართველი "კნიაზი", რომელსაც ჯიბეში ერთი პენიც კი არ ჰქონდა და ყოველგვარი მობოდიშების გარეშე პრინცესას ხელი ითხოვა... ნინა რომანოვამ - რა თქმა უნდა, თანახმა ვარო... თავს ვერ პატიობდნენ "თეთრი სასიძოები..." მერე გაიხსენებს პოლისა და ნინას შვილიშვილი მარუსია, როგორ დადიოდა სტუმრად ერთ დროს ბებიაზე უგონოდ შეყვარებულ დიდგვაროვან ძია ვანიასთან და როგორ თბილად კოცნიდა თავზე მოხუცი.

### დედოფალი ბებიის საქორწინო საჩუქარი

ნინას და პოლს იმ დროისთვის უდიდესი ქორწილი გადაუხადეს. სამი სამეფო ოჯახი ესწრებოდა ქორწილს... ნინას ბებიამ, საბერძნეთის დედოფალმა, ძვირფასი გულსაბნევი უსახსოვრა შვილიშვილს...

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ნათესაობა დაუხვრიტეს, პოლსა და ნინას საოცრად უყვარდათ და ტკბებოდნენ სიცოცხლით. ამის უნარი მათ შთამომავლობით ჰქონდათ. დღემდეა შემორჩენილი მეგობრებთან გადაღებული მათი სასაცილო, მხიარული სურათები.

ახლადდაქორწინებულმა პოლმა სამსახური ვერ იპოვა და 1928 წელს ამერიკაში გადასახლდნენ. ნინა მწერლობით იყო დაკავებული, პოლი - მხატვრობით - მასაჩუსეტში, სანაპიროზე დადიოდა და დამსვენებლებს ხატავდა.

ნინას ძალიან უყვარდა, როცა პრინცესობა არ ეტყობოდა... პოლმა და ნინამ სასტუმროსავით გააკეთეს, სადაც ნინა თავისი ხელით უმზადებდა სტუმრებს საჭმელს. ბაბუა გიტარაზე უკრავდა და მღეროდა...

ნინამ გადაწყვიტა, რომ სახლი უნდა ეყიდათ, ფული კი არ ჰქონდათ. სამაგიეროდ, ჰქონდა დედოფალი ბებიის საქორწინო საჩუქარი.

ამ გულსაბნევით ნაყიდ სახლში ცხოვრობს დღესაც მარუსია ჭავჭავაძე და ამ სახლში იპოვა მისმა მეგობარმა 1917 წელს გამოგზავნილი ღია ბარათები, რომელიც ასე იწყებოდა - "ძვირფასო ნინა..." - ეს იყო ნიკოლოზ მეორის შვილების, ნინას ბიძაშვილების გამოგზავნილი ღია ბარათები.

### დეპრესიული რუსი და მხიარული ქართველი

მთელ ზაფხულს მარუსია და მისი და ბებია-ბაბუასთან ატარებდნენ და გუთავებლად ისმენდნენ ჭავჭავაძეების ოჯახის ისტორიებს. ეს ძალიან ტკბილი და სევდიანი ისტორიები იყო და ამერიკელ დებს ზღაპრად ეჩვენებოდათ.

ბებია ძალიან მკაცრი იყო, ყველაფერს ყურადღებას აქცევდა და შვილიშვილების ჩადენილ მცირედ უმსგავსობასაც რისხვით ხვდებოდა. გოგონებს კარგა ხანს არ ესმოდათ, რას ერჩოდა ბებია.... ის კი ამბობდა, ასე მზრდიდნენ და თქვენც სიმკაცრით უნდა აღიზარდოთო... გოგონები აპროტესტებდნენ - შენ პრინცესა იყავი, ჩვენ ამერიკელები ვართო...

ბაბუა პოლი გოგონებს მამობას უწევდა, რადგან მისმა ვაჟმა დევიდმა ისინი მიატოვა და სხვა ცოლ-შვილი ჰყავდა. ბავშვებთან პოლს საოცარი და განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. ყოველი საღამო სავსე იყო ზღაპრული ამბებითა და სიმღერებით (მათ შორის, ქართული სიმღერებითაც... "ალავერდი" დღესაც ახოვს მარუსიას). როგორც სამეფო ოჯახს შეშვენოდა, ბებიასა და ბაბუას ა-პაპა, ა-მამან-ს ეძახდნენ. ბებიას სამეფო სისხლი და ქცევები აშკარად ეტყობოდა - სერიოზული სახით იჯდა, გრაციოზულად ეწეოდა პაპიროსს და ასევე სერიოზული სახით სასაცილო რაღაცეებს ამბობდა. ბაბუა გოგონებს ეუბნეოდა - შეხედეთ ნინას, როგორი დეპრესიულია, ეს იმიტომ, რომ რუსიაო... მუდამ მხიარული ბაბუა საკუთარ ხასიათს ქართველობას აბრალებდა. აი, ეს იყო მარუსიას წარმოდგენა ქართველებსა და რუსებზე. დეპრესიული რუსი და მხიარული ქართველი - მას ეს ეროვნული თვისებები ეგონა.

ბაბუა პოლი 70-იან წლებში გარდაიცვალა და ჩამოსვლის სურვილი არ ჰქონია. ეს თემა მისთვის მტკივნეული იყო. ახლა მარუსია ამის შესახებ ბევრს ფიქრობს და ჰგონია, ცოცხლები რომ იყვნენ, ბებია და ბაბუა საქართველოში ჩამოსვლას მოინდომებდნენ.

### ჭავჭავაძე, ოღონდ, დევიდ...

მარუსია წინანდალში პირველად 1977 წელს მამამ ჩამოიყვანა და ვერაფრით იფიქრებდა, რომ მისი წინაპრების სახლი ამ დრომდე მოვლილი და შენახული იქნებოდა. იქ მან ბაბუა პოლის საყვარელ ძაღლთან, ნუფკასთან 70-იან წლებში გადაღებული ფოტო ნახა და მიხვდა, რომ ბაბუას საქართველოსთან კონტაქტი არასდროს გაუწყვეტია.

დევიდ ჭავჭავაძე ორგანიზაცია "სიაი-ეი"-სთან მუშაობდა (ეს რაღაც "კაგებე-ს" მსგავსი სამსახური იყო) და მთელი არსებით იბრძოდა იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელმაც მის ოჯახს ამდენი უბედურება მოუტანა. დევიდი პოლიტიკაში იყო ჩართული. პოლი კი მუდამ ეკამათებოდა და ვერასდროს იტანდა პოლიტიკასთან დაკავშირებულ საქმიანობას, მთავრობასთან ურთიერთობას... დევიდმა იენის უნივერსიტეტი დაამთავრა, რუსულად მოლაპარაკე იყო და, სხვათა შორის, ამ სამსახურმა დევიდი თვითონ იპოვა.

ქართული პოლმაც არ იცოდა. დევიდი კი რუსულად აღიზარდა. სკოლაში წასვლამდე მან მხოლოდ რუსული ენა იცოდა. ბებია და ბაბუა ერთმანეთთან რუსულად საუბრობდნენ. ეს მათი საიდუმლო ენა იყო.

დევიდის სამსახურის გამო საქართველოში ჩამოსულ ჭავჭავაძეებს ხალხთან კონტაქტი აკრძალული ჰქონდათ. წინანდალში არც კი იცოდნენ, ვინ იყვნენ ეს ამერიკელი ტურისტები... "ინტურისტის" საკმაოდ უჟმური გიდი ქეთევანი მიუჩინეს, რომელმაც საქართველოს ისტორიის მოყოლისას 1921 წლის დამოუკიდებლობის შესახებ სიტყვაც კი არ დაძრა და დევიდმა შეახსენა, რომ ეს მონაკვეთიც მოსაყოლი იყო.

დევიდს წინანდალში მტკივნეული განცდები დაეუფლა - მისი სამსახურის გამო ის ისე არ მიიღეს, როგორც კახეთში იციან ხოლმე. როგორც კი გაიგეს მისი ვინაობა, ქართველებმა უდიდესი სითბო გამოამჟღავნეს და უჟმური გიდიც ისე შეიცვალა, რომ პირდაპირ განუცხადა - უნდა ამაყობდეთ, რადგან ასეთი ლამაზი წინაპრები გყავთო...

საკუთარი ინიციატივით არავის შეხვედრიან - დევიდს არ სურდა, მის გამო ვინმეს პრობლემა შექმნოდა.

მარუსიას ერთი მხიარული შთაბეჭდილება გამოჰყვა მაშინდელი მოგზაურობიდან - მამასთან ერთად რესტორანში შევიდა. ახსოვს ის გაკვირვებაც, რაც მამამ გამოხატა - ქალები რატომ არ დადიან რესტორანშიო? ოფიციანტის მოლოდინში რომ იყვნენ, მოულოდნელად მამაკაცი მიუახლოვდა და სუფრაზე მიიწვია. სუფრის სრულიად უცნობმა წევრებმა გაიხარეს და უსაყვედურეს - სად ხართ აქამდე, ზუსტად თქვენ გელოდებოდითო...

### საუკუნის ბოდიში...

პოლ ჭავჭავაძის ბებია (ანუ მარუსიას ბაბუის ბებია), ჭავჭავაძეების ოჯახის სხვა წევრებთან ერთად შამილმა გაიტაცა და ეს ისტორია გვჭირდება...

მარუსიამ იცის, რომ შამილი თავისუფლებისთვის მებრძოლი მთიელი, გმირი, რაინდი და ა.შ. იყო. ის კი არ იცის, რომ შამილს საშინლად აბრაზებდა მის წინააღმდეგ განწყობილი ქართველების რუსების მხარეზე ყოფნა და მოღალატეებად მივაჩნდით. მარუსიამ იცის, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე რუსეთის დედოფლის ნათლული იყო და შამილს არა ქართველების სიძულვილით, არამედ რუსეთის მეფის კარის გასაბრაზებლად უნდოდა დედოფლის ნათლულის ოჯახის გატაცება. სანაცვლოდ, როგორც ცნობილია, შამილი რუსების მიერ 6 წლის ასაკში მოტაცებულ მის შვილს და ერთ რუბლიანი კუპიურებით მილიონ რუბლს ითხოვდა...

გატაცებულთა შორის თავის დაძმებთან ერთად აღმოჩნდა პოლის ბებიაც, პატარა მარიამი... ცხენზე მიბმულმა 5 წლის მარიამმა თავის ძიძას ფრანგულად მიმართა - "თქვენ პანტალონებს კარგავთ..."

ტყვეები ერთი წელი იყვნენ შამილის კარზე. ბავშვები მასზე გიჟდებოდნენ, კუდში დასდევდნენ. ყველა სიმპათიით განიმსჭვალა მისდამი და შამილიც რაინდულად და დიდი პატივით ეპყრობოდა ტყვეებს.

შამილის ვაჟი იმ დროისთვის 24 წლის იყო და ტიპური ევროპელი გახლდათ. თუმცა, მთიელობა მაშინ გამოიჩინა, როცა ჰკითხეს, რას იზამ, შამილთან წახვალო? ჭავჭავაძეების ფრანგი ძიძის წიგნში აღწერილია ტყვეთა გაცვლის სცენა, როგორ მოდიოდა შამილის ვაჟი ერთი მილიონი ცალი რუბლით...

ახლა კი იმის შესახებ, თუ რატომ დაგვჭირდა ეს ისტორია. მარუსია შამილის მრჩევლის შთამომავალს, მეგალა ხანს შეხვდა, რომელსაც ამერიკაში ხალიჩების ბიზნესი და შამილის ფონდი აქვს. მან ამდენი წლის მერე მარუსია ჭავჭავაძეს ბოდიში მოუხადა...

■ ■ ■

**მარუსია ჭავჭავაძე:** აქ თავს ვგრძნობ, როგორც სახლში.



პოლ ჭავჭავაძე.



მარუსია ჭავჭავაძე დედასთან და ქალიშვილთან ერთად.



პოლის და ნინას ქორწილი.

# სამი წიგნის პრეზენტაცია

თამარ სუხიშვილი

გუშინდელი დღე წიგნის მაღაზია "პარნასისთვისაც" და ქართველი მკითხველისთვისაც გამორჩეული იყო. ამ დღეს "პარნასს" ჩვენი საყვარელი მწერალი ოთარ ჭილაძე ეწვია. მკითხველმა კი საჩუქრად მიიღო მისი ახალი რომანი "გოდორი" ავტოგრაფით, და შესაძლებლობა მიეცა პირადად შეხვედროდა მწერალს, რომელიც იშვიათად ჩნდება ხოლმე ხალხმრავალ ადგილებში. ბატონი ოთარი საკუთარ შემოქმედებაზე საუბარს თავს არიდებს. ის, როგორც ყოველთვის, ასეთ შემთხვევაში სიტყვაძუნწია. "ვერ გეტყვით, რა არის ახალი ამ რომანში და არც მიმაჩნია, რომ რამე ახალი გავაკეთე" - მხრებს იჩეჩავს მწერალი, და იქვე დასძენს: ჩემს სათქმელს რაც შემიძლია ვმალავ, მკითხველი კი აღმოაჩენს და თუ აღმოაჩენს, ძალიან ბედნიერი ვიქნებიო. ეს არის მწერლისა და მკითხველის ურთიერთობის საიდუმლო.

"მე საერთოდ ძნელად ვწერ," - როგორ დავიჯეროთ, მაგრამ თავად მწერალი ამბობს ასე. ახალი რომანი წლების მანძილზე იქმნებოდა. "გოდორი" ოთარ ჭილაძის ბოლო რომანია "აველუმის" შემდეგ. სულ რაღაც ერთი წელია, რაც მასზე მუშაობა დაამთავრა. "ეს აველუმის გაგრძელებად შეიძლება ჩავთვალოთ, თუ ამას რამე მნიშვნელობა აქვს," - გვეუბნება ბატონი ოთარი. გარშემო შემოკრებილი მკითხველი კი გულისყურით უსმენს მწერალს, რომლის თითოეულ სიტყვას მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ყიდულობს წიგნს, მორიდებით სთხოვს ავტოგრაფს და მერე შინისაკენ მიეშურება, მწერლის ახალი საიდუმლო რომ აღმოაჩინოს, ან ვერ აღმოაჩინოს. და თუ ვერ აღმოაჩენს, ეს ამოუცნობი სათქმელი ააფორიაქებს მაინც. როგორც ოთარ ჭილაძის ერთ ლექსშია: "მე მიხარია, რომ არ იციან, რომ მეც არ ვიცი, ხვალ სად ვიქნები..."


ლევან ხერხეულიძის ფოტო

ოთარ ჭილაძე "პარნასის" სტუმარია.

ოთარ ჭილაძის ახალი რომანი ახალმა გამომცემლობამ "რუსთავი 2 პრინტმა" დასტამბა. "რუსთავი 2 პრინტმა" გამოსცა ორი ახალი წიგნიც: კრებული "დღეს" და ნიკოლოზ რურუას "თავისუფლების კანონი". სამივე გამოცემის რედაქტორი მამუკა ხერხეულიძე გახლავთ. "დღეს" ექვს თანამედროვე ავტორს აერთიანებს. მასში შესულია დათო მაღრაძის, რატი ამაღლობელის, გიგი სულაკაურის ლექსები, დათო ტურაშვილის მოთხრობები, ლაშა ბუღაძის ქალაქში უკვე გახმაურებული პიესა "Moralite ანუ რა ესიამოვნა ზაზა კოშკაძეს?" და აკა მორჩილაძის "ცეცხლისმფრქვეველი". რაც შეეხება "თავისუფლების კანონს", ეს ნიკოლოზ რურუას პირველი წიგნია, რომელშიც დემოკრატიის ცნობილ მამათა ნააზრევი (თარგმანები), ორიგინალური ესეები და პუბლიცისტური წერილებია თავმოყრილი და უთუოდ საინტერესო და თანაც საჭიროა ქართველი საზოგადოებისათვის. ამ წიგნების პარნასული პრეზენტაციაც გუშინ მოეწყო. მოკლედ, წიგნის მაღაზია მარტო ავტორებს ვერ იტევდა, ავტორთა თაყვანისმცემლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამიტომაც ხალხის ერთი ნაწილი გარეთ, მაღაზიის წინ, გამოეფინა, კარგი ამინდი იყო და კარგა ხანს არც დაშლილან.

"გოდორი", "დღეს" და "თავისუფლების კანონი" მკითხველმა პირველად წიგნის ფესტივალზე გაიცნო, დღეიდან კი ამ წიგნებმა უკვე "პარნასში" დაიდეს ბინა.

# „ინკოგნიტო" თბილისშია

## თბილისის მეშვიდე საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალს დღეს ინგლისელი ჯაზმენები გახსნიან

ვერა ნეფარიძე

*თბილისის ტრადიციული ჯაზ-ფესტივალის დაწყებას წინ აღარაფერი ემუქრება. ფესტივალის პირველი სტუმრები გუშინ საღამოს "აირზენას" ავიარეისით პარიზი-თბილისი ჩამოვიდნენ. მხიარულ კონცერტამდე ერთი დღით ადრე მუსიკოსებმა აეროპორტში სახელდახელოდ პატარა, ლაღი პრესკონფერენცია გამართეს.*

ამ ჯაზ-ფესტივალს რამდენი ღირსება აქვს, ამაზე საუბარი ახლა მართლა ზედმეტია, მითუმეტეს, რომ თავის დროზე ბევრჯერ გვითქვამს. მაგრამ, არამარტო საზოგადო სიკეთეების გამო გვიხარია მისი მოახლოება ფესტივალზე აკრედიტებულ ჟურნალისტებსაც. თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი ხომ ერთ-ერთი გამონაკლისია იმ მცირედი ღონისძიებებიდან, რომელიც პაპანაქება ზაფხულში სამუშაო გრაფიკს გვიხალისებს. და აი, მოახლოვდა. გუშინაც მთელი დღე ჯაზ-ფესტივალის მოახლოებასთან დაკავშირებული განწყობით გავატარე. ნაცნობი ემოციები, ინტერესი, შთაბეჭდილებები, რომლებიც აეროპორტიდანვე იწყება. ასე დაიწყო გუშინ საღამოსაც. ნაცნობი იყო მოლოდინიც. "თვითმფრინავი ორმოცი წუთით აგვიანებს", - ამ სიტყვებით შეგვეგება აეროპორტის სამთავრობო გასასვლელში კომპანია "ისთერნ პრომოუშენის" დირექტორი მიშა გიორგაძე.

ნაცნობი ფუსფუსია აეროპორტის შენობაშიც. ორგანიზატორები ცდილობენ დროის გაყვანას, ნერვიულობის დაფარვას, მაგრამ საკმარისია აეროპორტის თანამშრომლის განცხადება - "თვითმფრინავი ჯდება", რომ "ისთერნ პრომოუშენის" ბიჭები უმალ საქმეზე გადადიან. ნაწილი დასახვედრად მიდის, ნაწილი ფართე შუშებს მიღმა "რჩეულ" ჟურნალისტებთან (აეროპორტში შესვლის უფლება მხოლოდ ფესტივალის მხარდამჭერი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებს აქვთ) ერთად სტუმრების მოახლოებას ადევნებს თვალს. სტუმრები საკმაოდ ბევრნი არიან – თვრამეტნი. ცამეტი სცენაზე მუშაობს, დანარჩენები – ხმის ოპერატორები, მოკლედ კონცერტის ტექნიკურ მხარეს უზრუნველყოფენ. სტუმრების მოახლოებასთან ერთად ძლიერდება განცდები: რომელია მთავარი? - ვეკითხებით ერთმანეთს. საუბარია ჟან-პოლ მაუნიკზე, ადამიანზე, რომელმაც ოცნება რეალობად აქცია და შექმნა პროექტი "ინკოგნიტო". იმედი არ მქონდა, რომ ვიცნობდი - ფოტოზე მყავს ნანახი, მაგრამ ფოტო საკმაოდ ძველია. თუმცა, ავტობუსიდან ჩამოსვლისთანავე ვცნობ – გიტარა აქვს გადაკიდებული, ის ხომ ერთადერთი გიტარისტია "ინკოგნიტოში".




ვახო ხ[illegible] ფოტოები

"ინკოგნიტო" - რიტმ-სექცია და ვოკალისტები დამოუკიდებლად ერთობიან ვიზების მოლოდინში.

ვიზების გაფორმებამდე მუსიკოსები მასპინძელთა შეკითხვებს პასუხობდნენ. იმის მიუხედავად, რომ ჟურნალისტები ჯგუფის თავს, მაუნიკს მიადგნენ, მათი ყურადღება მაინც "ინკოგნიტოს" რიტმ-სექციის წევრებმა მიიქციეს. მუსიკოსებმა ჩანთების დალაგებისთანავე კარტის თამაში დაიწყეს. ჩვეულ ამპლუაში არიან ვოკალისტი ქალბატონები: ისინი ცდილობენ დაღლილობა მოიშორონ და საკუთარი თავის მოწესრიგებას იწყებენ. ყველაზე დიდი ჯაფა აეროპორტშივე ჟან-პოლ მაუნიკს (მეტსახელად blue) დაადგა. თუმცა, ამ ყველაფერს მაუნიკი დიდი ხნის მიჩვეულია, იმდენად, რომ ერთ-ერთ პროფესიულ თვისებად აქვს ქცეული. ამიტომაც, არ იმჩნევს დაღლილობას, არ ეზარება და ისეთი ენთუზიაზმით იწყებს მილიონჯერ დასმულ შეკითხვებზე საუბარს, მიკვირს...

"თბილისში შესანიშნავი განწყობით ჩამოვედით. პირველ რიგში, ეს განწყობა ოპტიმიზმზეა დამყარებული. აქ იმისთვის ვართ, რომ გავცეთ ჩვენი სიყვარული, მუსიკის ჩვენეული გაგება. ყველანაირად ვეცდებით, ხალხს დავავიწყოთ ყველანაირი პრობლემა, თუკი მათ რამე პრობლემა გააჩნიათ. ვეცდებით, რომ ხვალ მათ კონცერტის მეტი არაფერი ახსოვდეთ", - ოპტიმისტურად საუბრობს მაუნიკი. შემდეგ გადადის ჯაზზე, თუმცა აღიარებს, რომ "ინკოგნიტო" არაა სუფთა ჯაზი. საკმაოდ საინტერესო პასუხი მივიღე შეკითხვაზე: რატომ არასდროს ჰყავს ლიდერი "ინკოგნიტოს". პასუხი შეკითხვის მცირეოდენი შესწორებით გამცა: "ინკოგნიტოს" ლიდერი ვარ მე, უბრალოდ, ჯგუფს არასდროს ჰყოლია არა ლიდერი, არამედ ვარსკვლავი. როდესაც ძალიან ბევრი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ხდება ვარსკვლავი, შემდეგ მას საკუთარი თავი ყველა დანარჩენ წევრზე უფრო მნიშვნელოვანი ჰგონია. ჩვენი კონცეფცია თავიდანვე ასეთი იყო: ჯგუფში ვარსკვლავი არ უნდა გვყოლოდა. ანუ, ყველანი თანაბარი რანგის ვარსკვლავი უნდა ვყოფილიყავით, ამიტომაც გვქვია "ინკოგნიტო". ვარსკვლავობის შემდეგ ბევრ მუსიკოსს "თავში უვარდება". ამიტომაც, არავინ არ რჩება ჯგუფში იმდენად დიდ ხანს, რომ თავში აუვარდეს და თავი იგრძნოს სხვებზე უფრო მნიშვნელოვნად".

მაუნიკმა ასევე გულწრფელად გვიპასუხა, რომ ბევრი არაფერი იცის არც საქართველოზე და არც თბილისის ჯაზფესტივალზე და სწორედ ეს ინფორმაციული ვაკუუმის შევსების სურვილი დაასახელა თბილისში ჩამოსვლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად. "ინკოგნიტოს" ავტორმა საკუთარი შთაბეჭდილებები წლევანდელი ფესტივალის დანარჩენ ვარსკვლავებზეც გაგვიზიარა: "კენი გარეტზე რა შეიძლება ითქვას, ეს არის ადამიანი, რომელიც მუსიკალურ მწვერვალებზე დააბიჯებს. რაც შეეხება Take 6-ს, ვამაყობ, რომ ჩვენ ერთი ეკლესიიდან მოვდივართ. როდესაც პირველად მოვუსმინე ჯგუფს, აბსოლუტურად გაოგნებული დავრჩი. ახლაც ვუსმენ მათ. ლონდონში ჩემ სახლს აქვს დიდი ფანჯრები; როდესაც ძალიან კარგი ამინდია, ვრთავ მათ მუსიკას, ბოლომდე ვუწევ ხმას ჩემ დიდ გამაძლიერებლებს და უნდა ნახოთ, თუ რა სახით უტრიალდებიან ჩემს ფანჯრებს გამვლელები. რამდენიმეჯერ ყოფილა შემთხვევა, მოსულან, უთხოვიათ ამ მუსიკის ჩაწერა, უკითხავთ, თუ ვინ უკრავს და მე მათთვის მიმიცია დისკები, შემდეგ კი ხელახლა შემიძენია". სტუმრებთან საუბარი აქ შევწყვიტეთ, მაინც დაღლილები იყვნენ, თანაც ოფიციალური პრესკონფერენცია მუსიკოსებს დღეს აქვთ დაგეგმილი "შერატონ-მეტეხი პალასში". რაც შეეხება დღევანდელ კონცერტს, ის დარწმუნებული ვარ, არაჩვეულებრივი იქნება: ძალიან მხიარული, ახალგაზრდული და, ერთი სიტყვით, საზაფხულო. მითუმეტეს, რომ როგორც "ინკოგნიტოს" მუსიკოსები გუშინ შეგვპირდნენ, კონცერტზე ისინი რამდენიმე სიურპრიზს შემოგვთავაზებენ. რაც მთავარია, სიურპრიზში არ იგულისხმება მათი ძველი ჰიტების შესრულება. დაველოდოთ, კონცერტამდე რამდენიმე საათი დარჩა.

# პრემიერით დახურული სეზონი

## ˝ექვსი შინაბერას˝ ლაღი და ძალიან პრობლემატური ინტერპრეტაცია

ვერა ნეფარიძე

*"ახმეტელის თეატრმა" სეზონი პრემიერით დახურა. დღეს თეატრის დასი ოტია იოსელიანის ცნობილი პიესის "ექვსი შინაბერასა და ერთი მამაკაცის" მოტივებზე შექმნილ დავით ანდღულაძისეულ თეატრალურ ვერსიას "ზამთრის ღამის სიზმარს" ამ სეზონზე უკანასკნელად ითამაშებს.*

როდესაც დავით ანდღულაძემ, "ახმეტელის თეატრის" სამხატვრო ხელმძღვანელმა გაახმაურა თავისი ჩანაფიქრი, რომ უნდა დაედგა სპექტაკლი "ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცის" მოტივებზე, ამ განაცხადს თეატრალების წრეში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ძირითადად, ეს იყო საინტერესო – რატომ აირჩია რეჟისორმა მაინცდამაინც ეს პიესა; ნაწარმოები, რომლის თეატრალური ვერსიაც თავის დროზე, დაახლოებით, 20-30 წლის წინათ რუსთავის თეტრში საკმაოდ წარმატებით განხორციელდა. თუმცა, როგორც რეჟისორთან საუბრისას და მოგვიანებით, სპექტაკლის ნახვისას გაირკვა, "ახმეტელის თეატრის" ვერსია პიესის პირველი თეატრალური ინტერპრეტაციისგან ძალიან განსხვავებულად ჩაიფიქრეს.

"ცოტა ვიცელქეთ და გამოვიყენეთ მოტივები, რა თქმა უნდა, ბატონი ოტიას თანხმობით. უბრალოდ, ცხოვრებამ ბევრი საინტერესო რამ შემოგვთავაზა იმ ხნის განმავლობაში, რაც ამ პიესის პირველი თეატრალური ვერსიიდან გავიდა და არ შეიძლება, რომ ჩვენ გუშინდელ ამბებზე ვისაუბროთ, ამიტომ თავს უფლება მივეცი, მოტივები გამომეყენებინა", - გვითხრა პრემიერამდე რამდენიმე ხნით ადრე დავით ანდღულაძემ. "გუშინდელი ამბები", ანუ ძველი პრობლემები კი სპექტაკლში თითქმის არ გვხვდება – "ახმეტელის თეატრის" ბოლო სპექტაკლში ყველა პრობლემა დღევანდელია. სპექტაკლს აქტუალობას სძენს პანკისის, ტრეფიკინგის, საინფორმაციო საშუალებების, გაყინული ხელფასების თემატიკა – ეს ყველაფერი უკვე, რასაკვირველია, პიესაში არ გვხვდება და ის თეატრის დასის ინტერპრეტაციაა.

სპექტაკლი უჩვეულოდ, დარბაზში "ისტერიჩკა" ტელეჟურნალისტის შემოჭრით იწყება. ჩანაფიქრმა ჩემს შემთხვევაში გაამართლა. რა დასამალია, და მსგავსი სცენები იმდენად ხშირად მინახავს ცხოვრებაში, მეგონა ისიც ერთ-ერთი მათგანი იყო. საერთოდ, საინფორმაციო საშუალებების თემა, ისევე როგორც რადიოინტერვიუები სპექტაკლს, ისევე როგორც ჩვენს ცხოვრებას (გაიხსენეთ თუნდაც ორშაბათის რადიოინტერვიუ), ფონად გასდევს. მოულოდნელ დასაწყისს აგრძელებს ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი მიტუა (მსახიობი გია ჯაფარიძე საკმაოდ კარგად ასრულებს სულით ხორცამდე ქართველი გლეხის როლს). "ეს ცხოვრება ვირის საპალნეა", - ერთსაწოლიან, ლამფის შუქით განათებულ ოთახში


იური მეჩითოვის ფოტო

წლევანდელი სეზონი ახმეტელის თეატრში პრემიერით დაიხურა.

ჰყვება მიტუა თავის მარტოობაზე და ყველაფერი თითქოს ისე მიდის, როგორც ეს ოტია იოსელიანის პიესაშია.

რეჟისორული გადაწყვეტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სპექტაკლში ერთ-ერთი ეფექტურია სცენაზე ნიღბიანი შინაბერების შემოჭრა. აქვე უნდა ითქვას, რომ "ახმეტელის თეატრს" არც ახლა უღალატია ტრადიციისთვის და მაყურებელთა ყურადღებას ამჯერადაც სხვა თეატრებისგან ყოველთვის გამორჩეული სცენის დეკორაცია (სცენაზე აგებულია სასრიალო - დასასვენებლად გამგზავრებული გმირები ხომ თოვლიან მთებში ერთობიან, - და პატარა საბაგიროები) იპყრობს.

რეჟისორი პრემიერამდე გვპირდებოდა, რომ მაყურებელს ელოდა სიურპრიზი გივი ბერიკაშვილთან დაკავშირებით. "გივი ბერიკაშვილი, ლეგენდარული მსახიობი, მონაწილეობს სპექტაკლში, არა როგორც მსახიობი, არამედ, მისი ლეგენდა. "თუ როგორ არის ეს ყველაფერი გაკეთებული, ამას თეატრის ენაზე გიამბობთ", - ამბობდა დავით ანდღულაძე. რაღა დაგიმალოთ და სპექტაკლზე მისული, პირველივე წუთებიდან ამ სიურპრიზის ამოცნობას შევუდექი. გივი ბერიკაშვილის გმირის ასოციაციებს, მართლაც, იწვევს თავიდანვე სცენის კუთხეში მიმჯდარი "სუპსარქისი" (მსახიობი ვალერი ტორონჯაძე საჭირო მომენტში ხელნაკეთი დაზგის დახმარებით უამინდობის ხმოვან ეფექტს ქმნის). თუკი ოტია იოსელიანის პიესიდან გეჩვენებათ, რომ მთავარი გმირი, ნინელი ერთობ სანდომიანი, შეიძლება ითქვას, საწყალი ქალია, მაშინ სპექტაკლის ნახვისას, შესაძლოა, არც დაეთანხმოთ რეჟისორს ამ გმირის ინტერპრეტაციის გამო. ყოველ შემთხვევაში, რეჟისორის ასეთი გადაწყვეტა აუცილებლად ჩაგაფიქრებთ.

თეატრალურ დადგმაში მხოლოდ "ახმეტელის თეატრის" მსახიობები მონაწილეობენ – ამ შემთხვევაში, თეატრი არ მიმართავს არც თუ იშვიათად აპრობირებულ ანტერპრიზას ხერხს. ორმოქმედებიანი სპექტაკლის ხანგრძლივობა საკმაოდ აკადემიურია – თითქმის ორსაათნახევარი და, ალბათ, ცოტა გაწელილიც. მაგრამ, ფინალისკენ სპექტაკლში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი რაღაცეები (როგორც რეჟისორი ამბობს) ხდება. რაც შეეხება ფინალს, ის მართლა განსაკუთრებულია, რაც სახასიათოა

# ლიონის ბალეტი და ევროპული მუსიკის დღე

ნათია ვადაჭკორია

გუშინ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ლიონის ახალგაზრდა საბალეტო დასმა ორგანყოფილებიანი წარმოდგენა - მილპიეს Claping Music წარმოადგინა. ტრიო "ბუბარის" მიერ ცოცხლად, ტამტამებზე დაკრული მუსიკის ფონზე იცეკვეს მსახიობებმა, ცოტა ხანში კი ტრიოს წევრები უკვე ცოცხალი ტაშის კვრაზე გადავიდნენ და მათ მსახიობებიც ცეკვით აყვნენ. რაც შეეხება ანტონი ტიუდორის Fandango-ს, სიმართლე რომ გითხრათ გამართლდა ჩემი ვარაუდი ამ ნომრის ორიგინალურობის შესახებ, რომელსაც ხუთი მოცეკვავე გოგონა ასრულებს. მეტი რაღა ორიგინალობა გნებავთ, შუა ცეკვისას გოგონებმა მხოლოდ ცეკვა არ იკმარეს და სიმღერაც შემოსძახეს. ჯერ მეგონა ფონოგრამაა მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად, ცოცხალი შესრულება გახლდათ.

მეორე განყოფილებას რაც შეეხება, რომელშიც სტრავინსკის მუსიკაზე დადგმული იუვალ პიკის "კურთხეული გაზაფხული" შემოგვთავაზეს - ის უმარტივესი ხერხებით იყო მაყურებლისთვის მოწოდებული. მართალია, ამ ბოლო დროს თანამედროვე ცეკვა – მოდერნი, უაღრესად მოდური გახდა და კლასიკურმა ბალერინებმაც იგემეს მისი გემო მაგრამ, მოდერნი მაშინაა სასიამოვნო სანახავი, როდესაც მის შემსრულებელს კლასიკური – პროფესიონალური ცეკვის მომზადების ბაზისი აქვს. იმ შემთხვევაში, როდესაც მოდერნს, რბილად რომ ვთქვათ, დილეტანტები ასრულებენ, მაშინ იგი მოსაწყენი სანახავი ხდება. მით უმეტეს, როდესაც სცენაზე არც კატრინ დივერესი და მოდერნის არც სხვა ცნობილი მოცეკვავე დგას.

თავისთავად რთული შინაარსის და საკმაოდ რთული სტრავინსკის მუსიკის ფონზე დადგმული "კურთხეული გაზაფხული", თავის დროზე მორის ბეჟარმაც განახორციელა, მაგრამ დიდი ტრიუმფით ვერც ის ბალეტი დაიკვეხნიდა, რაც ბეჟარმა თავად აღიარა. მით უმეტეს, ლიონის საბალეტო დასის მცდელობა, ბოლომდე წარმატებული ვერ გამოდგა.

ვერ ვიტყვი, რომ ლიონის დასის მოცეკვავეების – მარი ანჟიბოს, ალისონ შეკარის, ემილია გუდიჩელის, დელფინ იაკობახის, კლემან ლეის, სეჟ მალეს, ლიზ მანავის, ლეა პერას, ფრანსუა რენოს, ლუსი ტომასის და სხვათა შრომამ მთლად უშედეგოდ



ლიონის ბალეტი ორიგინალობით ვერ დაიკვეხნიდა.

ჩაიარა, რადგან ბალერინების ცეკვის ენა საკმაოდ გამომსახველობითი გახლდათ, მაგრამ საკმაოდ მშრალი და ულიმღამო მოძრაობებიც იგრძნობოდა. როგორც გავიგეთ, ფრანგ მოცეკვავეებზე მთლად კარგად ვერც ჩვენს წყალს და საკვებს უმოქმედია.

საერთოდ თანამედროვე კულტურა, თანდათანობით, სიმარტივისკენ მიდის და ალბათ ფართო მასებისთვის უფრო ადვილად აღსაქმელი და ადვილად ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო, ლიონის დასის მესვეურებმა მარტივ ფორმებს მიმართეს, რაც, მათი აზრით, უფრო ხელსაყრელი გახლავთ.

არადა, იმ ფონზე, როდესაც დღეს ოპერისა და ბალეტის სცენაზე ნიკა ცისკარიძემ და ირმა ნიორაძემ უნდა იცეკვონ, ლიონის დასი მთლად უსუსურად გამოიყურებოდა.

ესეც თქვენი ორიგინალობა...

დღეს კი მთელი ევროპა მუსიკის დღეს აღნიშნავს. 21 ივნისის ევროპული მუსიკის დღედ გამოცხადების ისტორია ასეთია – ერთ მშვენიერ დღეს, ფრანგებმა აღმოაჩინეს, რომ მუსიკა ყველგან იყო, მაგრამ კონცერტები არსად. 1982 წლის 21 ივნისს პირველად ჩატარდა მუსიკის დღესასწაული, რომელსაც მას შემდეგ ფრანგები და არა მხოლოდ ისინი, ყოველწლიურად დღესასწაულობენ. წლეულსაც, 22-ედ მუსიკის დღესასწაული უამრავ მსახიობს, მოყვარულ თუ პროფესიონალ მუსიკოსს შემოიკრებს თავის გარშემო. ფრანგი მუსიკოსები როგორც ღია ცის ქვეშ, ისე საკონცერტო დარბაზებში მოიყრიან თავს. რაც მთავარია, დღესასწაული არც მუსიკალური ჟანრებითაა შეზღუდული - ფანფარები, ქორალი, კლასიკური თუ თანამედროვე მუსიკა, როკი, რეპი, ელექტრო, ჯაზი, ტრადიციული თუ არატრადიციული ჟღერადობა.

საფრანგეთის კულტურის სამინისტროს განკარგულებით, დღეს 1200-მდე მუსიკალური მანიფესტაცია გაიმართება მთელი საფრანგეთის ტერიტორიაზე.

მუსიკის დღეს არც ჩვენთვის ჩაუვლია გვერდი, საფრანგეთის საელჩომ გუშინ გარნდიოზული კონცერტი მოაწყო ღია ცის ქვეშ ნიაზ დიასამიძის "33 ა-ს" და ტრიო "ბუბარის" მონაწილეობით. დღესასწაული დღესაც გრძელდება დიუმას სახელობის კულტურის ცენტრში მსუბუქი აპერიტივ-კონცერტით.

# კიდევ ერთი "თაობა"

## ტიხრული მინანქარი "ორნამენტში"

ანა კორძაია-სამადაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ტიხრული მინანქრის ხელოვნებით ძალიან ვამაყობთ, საქართველოში მინანქრის ერთადერთი სპეციალიზებული გალერეა ფუნქციონირებს - "ორნამენტი", რომელიც 2000 წელს გაიხსნა. მისი მიზანი "თანამედროვე ქართული ტიხრული მინანქრის ხელოვნების განვითარება და მისი მსოფლიო კულტურაში ინტეგრაციაა"; და თუმცა თავად ეს განაცხადი თითქოს საკმაოდ პრეტენზიულად ჟღერს, გალერეის მესვეურნი ამ ამოცანას საკმაოდ წარმატებით უმკლავდებიან. გალერეაში განთავსებულ კოლექციას თუ გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ის ჟანრულად მრავალფეროვანია, და ყოველი საავტორო ნამუშევარი როგორც შუასაუკუნოვან, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიურ მეთოდებს ემყარება. რას აღარ ნახავთ: ძვირფას ლითონებზე შესრულებულ მინანქრის მინიატურულ ხატებს, კომპოზიციებს, ყოველი ქალისთვის სასურველ სამკაულს...

განსაკუთრებით ის ფაქტია საინტერესო, რომ ჩვენში მინანქრის ოსტატები უკვე "ძველებად" და "ახლებად" იყოფიან. "ძველები" მხატვართა ის ჯგუფია, რომელსაც ქართული ტიხრული მინანქრის აღორძინებაში მართლაც ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის: სოსო ალავიძე, ზაზა ლოდია, პაატა პაატაშვილი, ირაკლი მეგრელიშვილი, თეა გურგენიძე და სხვანი. "ახლების" ჩამოთვლა კი ძალიან შორს წაგვიყვანდა - მინანქრის





ჟანრის კლასიკოსების - ზაზა ლოდიას და თეა გურგენიძის ნამუშევრები.

სკოლა-სახელოსნო უკვე 100-ზე მეტმა ახალგაზრდამ დაამთავრა.

"ორნამენტის" მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგი გუშინ ვიხილეთ. საქმე ის გახლავთ, რომ გალერეასთან ტიხრული მინანქრის სკოლა-სახელოსნო ფუნქციონირებს, სადაც პრაქტიკულ მეცადინეობას პროფესიონალი მინანქრის ოსტატები უძღვებიან, და კურსდამთავრებულთა ნამუშევრების დათვალიერების საშუალება ყოველ ექვს თვეში ერთხელ გვაქვს ხოლმე. თუკი ერეკლე II-ის ქუჩაზე "ორნამენტს" ესტუმრებით, თავადაც იხილავთ სხვადასხვა თაობის მინანქრის ოსტატების ნამუშევრებს. თან ოსტატთა და შეგირდთა ერთობლივი გამოფენა, მოგეხსენებათ, ყოველთვის შთამბეჭდავია ხოლმე.

ისე, უკვე მეეჭვება, რომ გუშინ "ორნამენტში" გამართულ ვერნისაჟს საერთოდ ვინმე მოაკლდა: ამ ქუჩაზე ასეთ ხალხმრავლობას, დიდი-დიდი, ლიტანიობის დროს თუ შევსწრებივარ. თან გაითვალისწინეთ, რომ დამთვალიერებელთა ნაწილი შარდენის ქუჩისკენ გაეშურა, ჩანს, "შარდენისკენ" ჰქონდათ გეზი აღებული - ტიხრული მინანქრის ნიმუშები ხომ ამ გალერეაშიც არის ხოლმე გამოფენილი. "ორნამენტს" არა ერთი, არამედ რამდენიმე თაობის წარმომადგენლები შესეოდნენ. სანამ ერეკლე II-ის ქუჩაზე ჩავუხვევდი, მხატვარი ზაზა ბერძენიშვილი შემხვდა, და როცა ვკითხე, როგორი გამოფენაა-მეთქი, სევდიანად მომიგო, აბა, მე რა ვიცი, ვერ შევაღწიეო.

დარბაზში შეღწევა მართლაც ჭირდა. ხალხმრავლობის გამო ქუჩაზე ჩამომჯდარი სიმებიანი კვარტეტის მიერ შესრულებული მოცარტის "ღამის პატარა სერენადაც" ძლივს ისმოდა, მაგრამ მაინც კარგი იყო. იქვე მშვენიერი სუფრაც გაეშალათ, ზოგი სულსწრაფი დამთვალიერებელი სინებზე გადაფარებული ხელსახოცების ქვეშ იჭყიტებოდა და იქიდან ათასგვარი სიამოვნება მოჩანდა... საერთოდ, ძალიან საზეიმო განწყობა იყო, ხალხიც მშვენივრად გამოიყურებოდა, პაპანაქების მიუხედავად მორთულ-მოკაზმული და გახალისებული იყო.

ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვთქვა, რომ ექსპონატების გულდასმით დათვალიერება ვერც მოვახერხე - მეტისმეტად დამცხა და გავმწარდი. გალერეის დიასახლისმა, ხათუნა ბაბუნაშვილმა გამაოცა: მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც გალერეასა და მის მიდამოში დავყავი, გაბრწყინებული იდგა დახლთან და გულითადი მასპინძლის როლს ჩინებულად უძღვებოდა.

როგორც ჩანს, ხელოვნება მსხვერპლს მართლაც მოითხოვს...

# მოდელები ესკიზებში

მარინე ნუცუბიძე

გუშინ ბავშვთა ნახატების გალერეაში, "კონკას" გვერდით, ბერიკების ძეგლთან დიდი ხალხმრავლობა და მხიარულება იყო. დამთვალიერებლებში თინეიჯერების ჭარბობდნენ, რომლებიც თავიანთი მეგობრების - ორი ახალგაზრდა მხატვრის, ეკა ბერიძისა და ბიჭოლა თეთრაძის ნამუშევრებს დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ, მთელი სერიოზულობით განიხილავდნენ და მოწონებულ მოდელებს თავიანთთვისაც არჩევდნენ. დამავიწყდა მეთქვა, გალერეაში მხატვრების მიერ შექმნილი მოდელების ესკიზები იყო გამოფენილი.

გალერისტები სიხარულს ვერ მალავდნენ: დღეს განსაკუთრებულად საზეიმო დღე გვაქვსო, - ამბობდნენ. საზეიმო განწყობას ქმნიდა ყველაფერი ერთად: ესკიზების ნათელი ფერები, ცოცხალი მუსიკა - ვიოლინოს ჰანგები, სახეზე ღიმილგადაფენილი კმაყოფილი მასწავლებლები და მოსწავლეები. იყო საზეიმო გახსნაც, სადაც გამომსვლელები ახალგაზრდების მიმართ საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ, და გვიყვებოდნენ, თუ როგორი სიყვარულით იქმნებოდა თითოეული ნამუშევარი, თითოეული პატარა დეტალი, და იმედს გამოთქვამდნენ, რომ ეს ბავშვები აუცილებლად მიაღწევენ თავიანთ მიზანს.

გაგიკვირდებათ, ხელოვნების კოლეჯის მოსწავლისთვის, 14 წლის ბიჭოლა თეთრაძისთვის ეს უკვე მერვე გამოფენაა. პირველი შვიდი გამოფენა პერსონალური იყო, ახლაც თითქმის პერსონალურია - ორკაციანი. რამდენიმე წლის წინ მან სწორედ აქ თოჯინების მოდელები შესთავაზა დამთვალიერებელს და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ამჯერად მან ესკიზები გამოფინა - სტილიზებული ტანსაცმელი (მწერების, ცხოველების, მობილური ტელეფონების ფორმების სტილიზაცია), ზოდიაქოს ნიშნების სერია... ესკიზები გამოფინა ეკა ბერიძემაც, რომლის ფერადოვანი მოდელებიც




ახალგაზრდა მოდელიორები: ბიჭოლა თეთრაძე და ეკა ბერიძე.

ვახო ხარაზიას ფოტო

აუცილებლად მიიქცევს ახალგაზრდების ყურადღებას, მით უმეტეს, ზაფხულის ზღვის სეზონზე. ეკამ თოიძის სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა და სამხატვრო აკადემიაში აპირებს სწავლის გაგრძელებას, მონაწილეობა აქვს მიღებული ქარვასლას ჯგუფურ გამოფენებში, ასეთი ნახევრად პერსონალური გამოფენა მისთვის პირველია. ამ გამოფენაში მონაწილეობა მას ბიჭოლამ შესთავაზა და ისიც სიამოვნებით დათანხმდა. ახალგაზრდა მხატვრებს ერთმანეთის ნამუშევრები ძალიან მოსწონთ.

ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა გალერეამ ეკა ბერიძე და ბიჭოლა თეთრაძე ელენე ახვლედიანის ბუკლეტით, დავით კაკაბაძის ალბომითა და გალერეის დიპლომით დაასაჩუქრა.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ამ ახალგაზრდებს წარმატებები ვუსურვოთ.

# მფრთხალი გოგონა დადინჯდა



ოდრი ტოტუ დადინჯდა.

ანა კორძაია-სამადაშვილი

წარმატებული დუეტი, რომელსაც ფრანგულ ფილმს, "ამელის ჯადოსნურ სამყაროს" ვუმადლით - რეჟისორი ჟან-პიერ ჟონე და მსახიობი ოდრი ტოტუ - ახალ ფილმზე მუშაობს. "ამბავი ფრანგულია, მსახიობები ფრანგები არიან და ნაწარმი ამერიკულია. საოცნებო ამბავია," ჰყვება ჟონე თავისი ახალი პროექტის შესახებ. ფილმს ჰქვია "ნიშნობის გრძელი კვირადღე", მას სებასტიან ჟაპრიზოს ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით იღებენ. ფილმის მოქმედება პირველი მსოფლიო ომის დროს ვითარდება, ეს მატილდასა და ფრანგი ჯარისკაცის სიყვარულის ამბავია.

"ეს ერთადერთი წიგნია, რომლის ეკრანიზაციაც მინდოდა. ის ჩემი ფილმის, "დელიკატესების" შემდეგ წავიკითხე და მოხიბლული ვიყავი. სულ მცირე, ოთხჯერ მაქვს წაკითხული. ამ წიგნში უამრავი დეტალია, რომელიც ძალიან მიყვარს," განაცხადა ჟონემ, რომელიც კინოსამყაროში სარეკლამო და ვიდეოკლიპების სფეროდან მოვიდა. 1991 წელს გამოქვეყნებული "ნიშნობის გრძელი კვირადღე" ბესტსელერი იყო და მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი.

ჟონე ამ ფილმზე იმავე ჯგუფთან ერთად მუშაობს, რომელთან ერთადაც ჰიტად ქცეული "ამელი" გადაიღო. "კარგად ვთანამშრომლობთ. ერთმანეთს შესანიშნავად ვიცნობთ, ეს საქმეს ძალიან აიოლებს. ხოლო იმას, რომ ამ ფილმს ოდრისთან ერთად გადავიღებდი, ჯერ კიდევ "ამელიზე" მუშაობის დროს მივხვდი. მაგრამ ამ ფილმში ოდრი მფრთხალი გოგონა კი არა, სერიოზული, ნებისყოფიანი ქალი იქნება, რომელიც თავის საყვარელი კაცის სიკვდილს არ დაიჯერებს და ძალღონის დაუშურველად განაგრძობს მის ძებნას," თქვა რეჟისორმა.

ახალგაზრდა, ჩუმი და საიდუმლოებით მოცული გმირი მამაკაცის როლის შემსრულებლის შესახებ ჟონე, ჯერჯერობით, არაფერს ამბობს. "ჯერ ვერ ვიტყვი. მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ მსახიობი ფრანგი იქნება".

ფილმის გადაღებები პარიზში, ბრეტანსა და კორსიკაზეა დაგეგმილი. "არ მინდა, რომ ომის შესახებ ფილმი გამომივიდეს. მე არ გადავიღებ პირველ მსოფლიო ომს – ის მხოლოდ ფონი იქნება. მთავარი ორი ახალგაზრდას სიყვარულია და მატილდას რწმენა, რომ თავის საქმროს აუცილებლად იპოვნის".

ფილმი 40 მილიონ ევროზე მეტი დაჯდება – ეს ყველაზე დიდი ბიუჯეტია, რომელიც ამერიკელებს ფრანგული ფილმისთვის გამოუყვიათ.

ფეხბურთი

# შუშაკი მომავალ მეტოქეებზე

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში გამართულმა ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრამ თბილისის "დინამოს" პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში მეტოქედ ალბანეთის ჩემპიონი, "ტირანა" არგუნა. პირველი მატჩი თბილისში, 16 ივლისს გაიმართება, განმეორებითი კი 23 ივლისს ტირანაში შედგება. იმ შემთხვევაში, თუ "დინამო" ალბანურ ბარიერს დაძლევს, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე მისი მეტოქე ავსტრიის "გრაცი" იქნება.

თუ "დინამოს" ასე თუ ისე ლმობიერად მოექცნენ, კენჭისყრა ულმობელი აღმოჩნდა ქუთაისის "ტორპედოსთვის". უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე "ტორპედოს" მეტოქე საფრანგეთის "ლანსი" იქნება, ხოლო ბოლნისის "სიონი" სლოვაკეთის "პუხოვს" დაუპირისპირდება. ქუთაისელებიც და ბოლნისელებიც პირველ მატჩებს 14 აგვისტოს სტუმრად ჩაატარებენ. განმეორებითი კი 28 აგვისტოს გაიმართება.

გთავაზობთ "დინამოს" მთავარი მწვრთნელის, ივო შუშაკის კომენტარს ჩემპიონთა ლიგაში "დინამოს" მომავალ მეტოქეებთან დაკავშირებით.

"უკანასკნელ პერიოდში ალბანური ფეხბურთი აღმავლობის გზაზეა. მათი ნაკრების რუსეთთან გამარჯვებამ ალბანეთში საფეხბურთო ბუმი გამოიწვია. ძალიან გვირთულებს საქმეს ის, რომ პირველ თამაშზე "დინამოს" ერთგული გულშემატკივრები მხარს ვერ დაგვიჭერენ (უეფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, შარშან ეროვნულ სტადიონზე "ლიბერეცთან" მატჩის დროს მომხდარი უწესრიგობების გამო "დინამოს" დისკვალიფიკაცია მიეცა და ის ევროტურნირებზე პირველ მატჩს ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაატარებს, - რედ.).

პირველ შეხვედრაში ჩვენი ამოცანა მარტივი და ნათელია: რაც შეიძლება კარგი შედეგი და, რაც მთავარია, საკუთარი კარის "მშრალად" შენახვა. თუ თბილისში გოლს არ გავუშვებთ, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს მნიშვნელოვნად გავზრდით. დარწმუნებული ვარ, წყვილში გამარჯვებულის ბედი ალბანეთში, საპასუხო მატჩში გადაწყდება. ვფიქრობ, ჩემს გუნდს ორი შეხვედრის ჯამში დადებითი შედეგის მიღწევისა და შემდეგ ეტაპზე გასვლის ძალა შესწევს.

რაც შეეხება "გრაცერს", მასზე ფიქრი ჯერ ნაადრევია. მსურს, ჩემმა ფეხბურთელებმა და კლუბის ხელმძღვანელობამ არც იფიქროს ამ გუნდზე და მისი არსებობა დაივიწყოს. "გრაცერზე" პირველი ეტაპის გავლის შემდეგ ვილაპარაკოთ", - განუცხადა "24 საათს" შუშაკმა.

აქვე დავძენთ, რომ თუ "დინამო" პირველ ეტაპს დაძლევს, მეორე საკვალიფიკაციო რაუნდში ისევ პირველი შეხვედრის მასპინძელი იქნება. ეს თამაში 30 ივლისს გაიმართება, ხოლო განმეორებით მატჩს "გრაცერი" 6 აგვისტოს უმასპინძლებს.

### ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდის კენჭისყრა

**I ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | პიუნიკი (სომხეთი) | რეიკიავიკი (ისლანდია) |
| 2 | შერიფი (მოლდოვა) | ფლორა (ესტონეთი) |
| 3 | ტორსჰავნი (ფარერები) | კაუნასი (ლიტვა) |
| 4 | ბატე (ბელარუსი) | ბოჰემიანსი (ირლანდია) |
| 5 | ვარდარი (მაკედონია) | ბერი თაუნი (უელსი) |
| 6 | გრევენმახერი (ლუქსემბურგი) | ლეოტარი (ბოსნია) |
| 7 | პიკი (ფინეთი) | გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) |
| 8 | შლემა (მალტა) | სკონტო (ლატვია) |
| 9 | ომონია (კვიპროსი) | ირტიში (ყაზახეთი) |
| 10 | დინამო (საქართველო) | ტირანა (ალბანეთი) |

**II ეტაპი**

| | |
|---|---|
| მტკ (უნგრეთი) | მე-7 წყვილში გამარჯვებული |
| პირველ წყვილში გამარჯვებული | ცსკა (ბულგარეთი) |
| მე-3 წყვილში გამარჯვებული | სელტიკი (შოტლანდია) |
| მე-6 წყვილში გამარჯვებული | სლავია (ჩეხეთი) |
| მე-2 წყვილში გამარჯვებული | შახტარი (უკრაინა) |
| ჟილინა (სლოვაკეთი) | მაკაბი (ისრაელი) |
| მე-4 წყვილში გამარჯვებული | როზენბორგი (ნორვეგია) |
| მარიბორი (სლოვენია) | დინამო (ზ. ხორვატია) |
| ცსკა (რუსეთი) | მე-5 წყვილში გამარჯვებული |
| რაპიდი (რუმინეთი) | ანდერლეხტი (ბელგია) |
| პარტიზანი (სერბეთი) | ჯიურგარდენი (შვედეთი) |
| ვისლა (პოლონეთი) | მე-9 წყვილში გამარჯვებული |
| დანიის ჩემპიონი | მე-8 წყვილში გამარჯვებული |
| მე-10 წყვილში გამარჯვებული | გრაცერი (ავსტრია) |

## უეფას თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი

პუხოვი (სლოვაკეთი) – სიონი (საქართველო)
ლანსი (საფრანგეთი) – ტორპედო (საქართველო)
აიკ (შვედეთი) - ფიულკირი (ისლანდია)
ვლაჟნია (ალბანეთი) – დანდი (შოტლანდია)
ლევადია (ესტონეთი) – ვარტექსი (ხორვატია)
სანტა კოლომა (ანდორა) – დანიიდან ფეირ-პლეის მფლობელი
ჟელეზნიჩარი (ბოსნია) – ანორთოსისი (კვიპროსი)
ბანანცი (სომხეთი) – ჰაპოელი (თ-ვ. ისრაელი)
დანიის თასის მფლობელი – დინამო (ბელორუსი)
მალმე (შვედეთი) – პორტადაუნი (ჩრდ. ირლანდია)
დინამო (რუმინეთი) – მეტალურგსი (ლატვია)
ლა ვალეტა (მალტა) – ქსამაქსი (შვეიცარია)
კერნტენი (ავსტრია) – გრინდავიკი (ისლანდია)
ვიქტორია (ჩეხეთი) – ჟენისი (ყაზახეთი)
სარაევო (ბოსნია) – სარტიდი (სერბეთი)
აპოელი (კვიპროსი) – დერი სიტი (ირლანდია)
ლიტექსი (ბულგარეთი) – ზიმბრუ (მოლდოვა)
ნემანი (ბელორუსი) – სტიაუა (რუმინეთი)
ეტცელა (ლუქსემბურგი) – კამენი (ხორვატია)
მანჩესტერ სიტი (ინგლისი) – ლანსანტფრეიდი (უელსი)
მიოლდე (ნორვეგია) – კი (ფარერები)
დანიის მესამე გუნდი – ტფმკ (ესტონეთი)
ვენტსპილსი (ლატვია) – ვისლა (პლოცკი პოლონეთი)
მიუპა 47 (ფინეთი) – იანგ ბოიზი (შვეიცარია)
ვადუცი (ლიხტენშტეინი) – დნიპრო (უკრაინა)
კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია) – ლეირია (პორტუგალია)
გროცლინი (პოლონეთი) – ატლანტასი (ლიტვა)
დინამო (ალბანეთი) – ლოკერენი (ბელგია)
ქუიმბრან თაუნი (უელსი) – მაკაბი (ჰ. ისრაელი)
პუბლიკუმი (სლოვენია) – ბელასიცა (მაკედონია)
ცემენტარნიცა (მაკედონია) – კატოვიცე (პოლონეთი)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) – ნისტრუ (მოლდოვა)
ეკრანასი (ლიტვა) – დებრეცენი (უნგრეთი)
ბირკირკარა (მალტა) - ფერენცვაროში (უნგრეთი)
ჰაკა (ფინეთი) – ჰაიდუკი (ხორვატია)
ტორპედო (რუსეთი) – დომანიანო (სან-მარინო)
ატირაუ (ყაზახეთი) – ლევსკი (ბულგარეთი)
ოლიმპია (სლოვენია) – შელბურნი (ირლანდია)
დანიის ვიცე-ჩემპიონი – შირაქი (სომხეთი)
პეტრჟალკა (სლოვაკეთი) – დიუდელანჟი (ლუქსემბურგი)
ნსი (ფარერები) – ლინი (ნორვეგია)
პირველი მატჩები 14, განმეორებითი კი 28 აგვისტოს გაიმართება.

## TV-სპორტი

**შაბათი. 21 ივნისი**

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "ტოტენჰემი"
15:00 "პოსტსკრიპტუმი"
15:30 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "ამერიკა კალი" - "ბოკა ხუნიორსი"
17:15 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
18:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
18:45 "დარტყმა გოლისთვის"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" - "მილანი"
21:05 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "ბორუსია"
22:50 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ინტერი"
00:25 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ფლამენგო" – "კრუზეირო"

НТВ + СПОРТ
11:00, 14:15, 17:00, 20:00, 22:00 პრეს-ცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:30 აერობიკა
11:45 მაგიდის ჩოგბურთი. რუსეთის ღია ჩემპიონატი
13:45 "სპორტული გლობუსი"
15:00 WNBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
15:30 ძალოსნობა. რუსეთის ჩემპიონატი
17:15 სპორტული ცეკვები
18:20 "ჩქაროსნული სამყარო"
18:50 ცხენოსნობა. "Royal ascot". პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან
20:15 სუმო. რუსეთის ჩემპიონატი
21:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის წინ
21:30 "ჩემი ძმა და მე". ფილმი ძმებ კლიჩკოებზე
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 კარატე. მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური ფინალები
22:55 კარატე. მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური ფინალები
23:30 ფიგურული სრიალი. შესვენებისას (01:00) ახალი ამბები

EUROSPORT
11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსში
12:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
13:00 ტრიატლონი. ევროპის ჩემპიონატი
15:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური შვეიცარიაში
16:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი. ჰოლანდია
17:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსში
18:00 მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი
22:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
23:45 ახალი ამბები
00:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
02:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
03:00 ახალი ამბები
03:15 ექსტრემალური სპორტი
03:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსში
04:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი. ბრიტანეთი

# სახალისო ფეხბურთი: უეფას დახმარების ახალი პროგრამა

მიხეილ აბაიშვილი


ანდრეს ლევინსენი (შუაში) დახმარებას გვპირდება.

საკმაოდ უცნაური დასახელების თანამდებობის მქონე დანიელი ყოფილი ფეხბურთელის, დანიის კულტურათა გადაკვეთის საპროექტო ასოციაციის ხელმძღვანელი დირექტორის, ანდერს ლერინსენის ვიზიტი ქართულ ბავშვთა ფეხბურთს ბევრ სიახლეს და სიკეთეს ჰპირდება. ამ ადამიანმა ევროპის პოსტსოციალისტური ბანაკის ქვეყნებისთვის შეიმუშავა ფეხბურთის განვითარების პროექტი, რომელიც ევროპის საფეხბურთო კავშირს ისე მოეწონა, რომ ლერინსენი უეფას ოქროს მედლით დააჯილდოვა. თუ რამდენად დიდი პატივია ეს ჯილდო, თავად განსაჯეთ: ამ მედლით დღემდე მხოლოდ რინუს მიხელსი, ჟერარ ულიე და მაიკლ ოუენი არიან დაჯილდოებულნი.

ლერინსენის პროექტი, რომელსაც Open Fun Football Schools (სახალისო საფეხბურთო სკოლების გახსნა) ეწოდება, აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში წარმატებით განხორციელდა. ბოსნია და ჰერცეგოვინა, სერბია, ხორვატია, მაკედონია - ის ქვეყნებია, რომლებშიც ამ პროექტის ხელშეწყობით საფეხბურთო აქტივობა და სპორტის ამ სახეობისადმი ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა. უკვე კავკასიის ჯერიც დადგა და ლერინსენის თბილისში სტუმრობაც იმის მაუწყებელია, რომ სულ მალე საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში სახალისო საფეხბურთო სკოლები გაიხსნება.

ამასთან დაკავშირებით გუშინ სფფ-ს ოფისში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც პროექტის დანიელი ავტორის გარდა, ფედერაციის გენერალური მდივანი, ვალერი ჩოლარია და ამ პროექტის კოორდინატორი საქართველოში, თამაზ თევზაძე ესწრებოდნენ.

"ჩვენ რამდენიმე დღის განმავლობაში აქტიურ მოსამზადებელ სამუშაოებს ვატარებდით ბატონ ჩოლარიასთან ერთად. შეიძლება ითქვას, ყველა დეტალი შევათანხმეთ და ამ პროექტისთვის მწვანე შუქის ამნთები ხელშეკრულება გავაფორმეთ. კავკასიაში სახალისო ფეხბურთის 15 ღია სკოლას გავხსნით, რომელთაგან 12 საქართველოში, 2 სომხეთში, ხოლო 1 აზერბაიჯანში იქნება ბაზირებული. ჩვენს პროექტში მონაწილეობას მიიღებს 8-დან 12 წლამდე ასაკის 3000 გოგონა და ბიჭი, ასევე, 200 მწვრთნელი. მწვრთნელებს ჩავუტარებთ ერთკვირიან ტრენინგს.

პროექტი ორ მიზანს ისახავს: კავკასიაში ბავშვთა ფეხბურთის განვითარება და სპორტში მოზარდების ადრეული ასაკიდან ჩაბმა. წლეულს სხვადასხვა ქვეყანაში ასეთ 80-მდე სკოლას გავხსნით. რაც შეეხება დაფინანსებას, ამის პრობლემა არ არსებობს, რადგან არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია გვეხმარება. მაგალითად, უეფა ყოველწლიურად 1 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს გვაძლევს", - განაცხადა ანდერს ლაურსენმა.

12 სკოლა თავიდან არ აშენდება. ეს უფრო ტექნიკური და მატერიალური ხასიათის დახმარება იქნება, რომელსაც ეს ორგანიზაცია უკვე შერჩეულ 12 ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში განახორციელებს. იმ შემთხვევაში, თუ ამ პროექტმა კავკასიაში გაამართლა, მაშინ ხელშეკრულება, რომელიც სფფ-სა და ლაურსენს შორის წლის ბოლომდე არის გაფორმებული, კიდევ რამდენიმე წლით გაგრძელდება და დახმარების პროგრამაში უკვე სხვა საფეხბურთო სკოლები ჩაებმებიან. თუ ვის აკისრებს უეფა წამყვან საფეხბურთო როლს კავკასიაში, ამ ინფორმაციიდანაც ჩანს: 15-დან 12 სკოლა ჩვენში გაიხსნება და დარჩენილ სამსაც თბილისიდან გაუწევენ კონტროლს. ანუ, ორგანიზაციის ცენტრალური კავკასიური ოფისი სფფ-ს შენობაში იქნება განთავსებული.

Fox Kids

# ჩვენ მოვიგებთ "ფოქს კიდსის" თასს

გიგა გურასაშვილი

*გოგო-ბიჭები ამერ-იმერიდან - არგენტინიდან, აშშ-დან, ბრაზილიიდან, ბულგარეთიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ესპანეთიდან, თურქეთიდან, ისრაელიდან, იტალიიდან, მექსიკიდან, პანამიდან, პერუდან, რუმინეთიდან, რუსეთიდან, საფრანგეთიდან, უნგრეთიდან, ჩილედან, საქართველოდან და მასპინძელი ჰოლანდიიდან. რა ხდება? პასუხი მარტივია: მათ ფოქს კიდსის თასი აერთიანებთ. ორიოდე დღეც და სტარტს აიღებს ფოქს კიდსის თასის გათამაშების ფინალური ეტაპი. ჩვენი თანამემამულეები - თელაველი ბიჭები და ხაშურელი გოგონები დღეს როტერდამის გზას გაუდგებიან.*


თელავის "ნადიკვარი"

ფოქს კიდსის თასი დიდი ტრადიციებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ხანმოკლე არსებობის მანძილზეც საკმაო პოპულარობა მოიპოვა.

1999 წელს პირველ გათამაშებას ლათინურმა ამერიკამ უმასპინძლა. თავდაპირველად ოთხმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა. თუმცა, სულ გათამაშებაში 3 800 ბავშვმა მოსინჯა ძალა. მომდევნო წელიწადს ფოქს კიდსის თასი ორლანდომ (აშშ) მიიღო და შვიდი ქვეყნის გოგო-ბიჭებმა ივასპარეზეს, სულ კი 7 ათასმა ბავშვმა გააგორა ბურთი. ყველაზე მასშტაბური შეჯიბრება ბარსელონაში გაიმართა. ესპანეთის არენამ 20 ქვეყნის 400 ფინალისტს მოუყარა თავი. დასკვნითი ეტაპის საგზურს კი 140 ათასი ბავშვი ეცილებოდა ერთმანეთს. ასეთივე მასშტაბური იქნება წლევანდელი, მე-4 გათამაშებაც, რომელსაც 22-26 ივნისს ჰოლანდია უმასპინძლებს. როტერდამში სწორედ იმ ქვეყნების მოზარდები მოსინჯავენ ძალებს, რომლებიც დასაწყისში ვახსენეთ. ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ ფოქს კიდსის თასზე პირველად იასპარეზებენ საქართველოს რჩეული გუნდები - გოგონათა გუნდი "დიანა" (ხაშურიდან) და ბიჭების გუნდი "ნადიკვარი" (თელავიდან). ასევე პირველად გამოვლენ ბულგარეთის, უნგრეთის, პანამისა და რუსეთის გუნდებიც. შეჯიბრების მთავარი არსი კი მსოფლიოს ბავშვთა გაერთიანება, დაახლოება და დამეგობრებაა. მეგობრობისა და ჯილდოს დასაუფლებლად მზად არიან ქართველი გოგო-ბიჭებიც. მაგალითად, თელაველები დარწმუნებული არიან, რომ როტერდამში სწორედ ისინი გაიმარჯვებენ. ყოველ შემთხვევაში, "ნადიკვარის" მწვრთნელი ლევან ალადაშვილი იმედიანადაა. ისევე იმედიანად, როგორც ეს თბილისში, 24 მაისს, შესარჩევი ეტაპის ფინალური ასპარეზობის წინ იყო.

**- როდესაც როტერდამის საგზურს დაეუფლეთ, განაცხადეთ, რომ სხვა შედეგს არც ელოდით. ახლა რას ელით, როტერდამში როგორ იქნება საქმე?**

- ბავშვები ახლაც მოსაგებად არიან განწყობილნი. მზად არიან როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. ერთი სიტყვით, ყველანი მოსაგებად მივდივართ, რა თქმა უნდა, ჩემი თამადობით.

**- თბილისური ფინალის შემდეგ ერთი თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში როგორ მოემზადეთ?**

- საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ, ისეთივე, როგორსაც დიდი, პროფესიული გუნდები გადიან - ორჯერადი ვარჯიშებით, თეორიული თუ პრაქტიკული მზადებით. რა თქმა უნდა, შესაბამისი მასშტაბურობით. ბავშვები დიდი მონდომებით ვარჯიშობდნენ, უფრო სწორად, დაფრინავდნენ.

**- თელავში როგორ დაგხვდნენ?**

- როგორც კი თელავში შევედით, ბავშვებს სამახსოვრო სუფრა გაუშალეს. ისეთი შეხვედრა მოგვიწყვეს, როგორიც გამარჯვებულებს ეკადრებათ.

**- "ნადიკვარის" გამარჯვება როგორ აღიქვეს?**

- სხვათა შორის, ბოლომდე არ სჯეროდათ. ვერაფრით წარმოედგინათ, თუ თბილისელები როტერდამის საგზურს სხვას გაატანდნენ. სიმართლე გითხრათ, მეც ეჭვი მეპარებოდა, მაგრამ ფაქტია, ორივე საგზურს არათბილისელები დაეპატრონნენ. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის "რუსთავი 2-ის" მიმართ. მან წესების სრული დაცვით ჩაატარა შეჯიბრება. ასე რომ არ ყოფილიყო, ეს ბავშვები ასეთ სიხარულს ვერც განიცდიდნენ. დანარჩენი ჩვენზე იყოს.

# ჩვენ ჩემპიონები გავხდებით!

დიანა ღვალაძე


ხაშურის "დიანა"

სამაუწყებლო ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის მიერ ორგანიზებულმა "ფოქს-კიდსის" თასის გათამაშებამ საქართველოს წარუდგინა ხაშურის გოგონათა ერთი არაჩვეულებრივი გუნდი. "დიანა" საქართველოს ჩემპიონი გახდა და როტერდამში "ფოქს-კიდსის" თასის გათამაშების დასკვნით ეტაპზე მიიღებს მონაწილეობას.

24 მაისი ის დღე იყო, რომელმაც დიდი სიხარული მოუტანა ამ პატარებს. ხაშურის ცენტრში შეკრებილი ასობით გულშემატკივარი ელოდა "ფოქს-კიდსის" თასის ტრიუმფატორებს.

**თემურ კობერიძე ("დიანას" მწვრთნელი):** "24 მაისი ჩვენი ქალაქის ისტორიასა და ჩემს ცხოვრებაში ოქროს ასოებით ჩაიწერა. ჩემმა პატარა გოგონებმა შეძლეს "ფოქს-კიდსის" თასის გათამაშებაში გამარჯვება და საქართველოს სახელით ჰოლანდიაში გასამგზავრებელი საგზურის მოპოვება."

**- იქნებ გვიამბოთ, რა ხდებოდა თბილისში?**

- გორის გუნდის შემდეგ ჩვენ ფავორიტად ვითვლებოდით. თბილისში პირველი მატჩი ლაგოდეხელ გოგონებთან გვქონდა და იოლად გავიმარჯვეთ (2:0), შემდეგ ლანჩხუთს მოვუგეთ (4:0) და ფინალში ზესტაფონს შევხვდით. კარგად დავიწყეთ, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში ძალიან უბრალო სიტუაციიდან გაგვიტანეს გოლი. ჩვენმა გოგონებმა მთელი ძალა და ენერგია შეალიეს იმას, რომ საბოლოო გამარჯვება მათ დარჩენოდათ. თეა ციცქიშვილის ბრწყინვალე თამაშმა გააოცა მაყურებელი. მან შესანიშნავი გარღვევით გაიტანა პირველი გოლი და გაათანაბრა ანგარიში, დამატებით დროში კი საჯარიმო ფანტასტიკურად დაარტყა და გუნდს ჰოლანდიის საგზური მოაპოვებინა. ეს ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წუთები იყო.

**- ელოდით ასეთ წარმატებას?**

- მოგება, ალბათ, ყველა გუნდს უნდოდა. ჩვენ სამივე ეტაპზე სულ 3 გოლი გავუშვით, გავიტანეთ 20, აქედან 15 თეამ გაიტანა. საინტერესოა, რომ ჩვენი გოგონების მიერ გატანილი გოლების რაოდენობა აღემატება დანარჩენი გუნდების მიერ გატანილი გოლების საერთო რაოდენობას. გუნდის თავდამსხმელი და გოლეადორი თეა ციცქიშვილი დაასახელეს 13 წლამდე გოგონათა შორის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად.

**- როგორ შედეგს უნდა ველოდოთ ჰოლანდიაში?**

- მე დიდი იმედი მაქვს ჩემი გოგონებისა და გპირდებით, რომ ისინი თავის სიტყვას იტყვიან, კიდევ ერთხელ გაახარებენ გულშემატკივარს. ჩვენ მსოფლიო ჩემპიონები გავხდებით!

**- როგორ ემზადება გუნდი ჩემპიონატისთვის?**

- განვლილ ტურნირზე ბავშვებმა დიდი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა მიიღეს და საჭირო იყო მათი დასვენება. ივნისის პირველი რიცხვებიდან განვაახლეთ ვარჯიში. ვაპირებთ, ბავშვები ორკვირიან შეკრებაზე წავიყვანოთ, რომ ერთმანეთს უფრო კარგად შეეჩვიონ. ვფიქრობ, ჰოლანდიაშიც არ გაუჭირდებათ მშობლების გარეშე.

დიდ მადლობას ვუხდი ხაშურელ გულშემატკივარს და თბილისელებსაც, რომლებიც არანაკლებ ქომაგობდნენ ჩვენს გოგონებს; იმ გუნდებს, რომლებიც თავიანთ რაიონებში არ დაბრუნდნენ და ბოლომდე ჩვენი გოგონების ერთგული გულშემატკივრები იყვნენ, "გაერთიანებული დემოკრატების" ხაშურის ფილიალს, რომელმაც არაჩვეულებრივი შეხვედრა მოგვიწყო ხაშურის ცენტრში, რაც კიდევ ერთი დიდი სტიმული იქნება მომავალი გამარჯვებისთვის.

**- რას ფიქრობენ მშობლები?**

- მშობლებთან საუბრისას გაირკვა, რომ თითქმის ყველა არასერიოზულად უყურებდა გოგონების ფეხბურთით გატაცებას, თითქმის ყველა მათგანი ცდილობდა, დაეშალა შვილისთვის ფეხბურთის თამაში, რადგან ეს "ბიჭების საქმეა", მაგრამ პატარა გოგონებმა დაუმტკიცეს მშობლებს, რომ ის, რაც შეიძლება ბიჭებმა გააკეთონ, იქნებ უფრო უკეთესად გამოსდით გოგონებს. ეს, მართლაც, ასეა. ხაშურში ბიჭების ფეხბურთი ათეულობით წელიწადს ითვლის, მაგრამ ისეთი წარმატება, როგორსაც ორი თვის შექმნილმა ფეხბურთელ გოგონათა გუნდმა მიაღწია, ბიჭებისთვის დიდი ხნის, ან, უკეთეს შემთხვევაში, კიდევ ერთი წლის განმავლობაში აუხდენელ ოცნებად დარჩება.

**ელგუჯა ივანაშვილი (მარიამ ივანაშვილის მამა):** "ძალიან გახარებულები ვართ მეც და ჩემი შვილიც. კარგია, რომ ასეთ დიდ წარმატებას მიაღწიეს და ვუსურვებ, ჰოლანდიიდანაც გამარჯვებულები ჩამოსულიყვნენ. დღედაღამ არ ეძინა, დილით სტადიონზე მიდიოდა, საღამოს უბანში ვარჯიშობდა, ძალიან მონდომებული იყო. ყველა ხელს ვუწყობდით, ოჯახიც, უბანიც და, რა თქმა უნდა, მწვრთნელი, ბატონი თემურ კობერიძე. ისე ვარ გახარებული, რომ აღარ ვიცი, რა გითხრათ. დიდი მადლობა მათ, ვინც ხელი შეუწყო გუნდს მომზადებაში და მათ, ვინც ასეთი ლამაზი შეხვედრა მოუწყო ჩვენს შვილებს ხაშურში".

**ცირა ქურდაძე (თეა ციცქიშვილის დედა):** "თბილისში ძალიან ვინერვიულეთ, მაგრამ გამარჯვების სიხარულმა ყველაფერი გადაგვავიწყა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა პატარა გოგომ ასეთი სიხარული მიანიჭა მისი გუნდის ყველა გულშემატკივარს. დიდი იმედი მაქვს, ჰოლანდიიდანაც გამარჯვებულები დაბრუნდებიან!"

**თეა ციცქიშვილი (გუნდის ლიდერი):** "ადრე ფეხბურთს ყოველთვის ბიჭებთან ერთად ვთამაშობდი. ერთ დღესაც, ფიზკულტურის გაკვეთილზე, მასწავლებელმა იკითხა, გოგონებიდან ფეხბურთს ვინ თამაშობსო. მე არაფერი მითქვამს, მაგრამ ჩემმა კლასელებმა არ დამალეს და მასწავლებელს უთხრეს, რომ ფეხბურთს კარგად ვთამაშობდი. მან რამდენიმე ბავშვი აგვარჩია და ერთმანეთთან გვათამაშა. საუკეთესოები გუნდში ჩავირიცხეთ. მერე "ივერიის" სტადიონზე ვვარჯიშობდით."

**- 21 ივნისს ჰოლანდიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე მიემგზავრებით. რას ფიქრობთ, როგორ შედეგს მიაღწევთ?**

- რა თქმა უნდა, გავიმარჯვებთ! მე ბევრ გოლს გავიტან, ყველას გავახარებთ - მშობლებს, თქვენ, ხაშურელებს და მთელ საქართველოს!

კრივი

# ჯენტლმენთა პრესკონფერენცია

მელორ სტურუა
ლოს ანჯელესი

ჩვეულებრივ, კრივში მსოფლიო პირველობისთვის ორთაბრძოლის წინ პრესკონფერენციას იმისთვის აწყობენ ხოლმე, რომ მოკრივეებმა ხალხის თანდასწრებით იბზუბონ, საზოგადოებას მოლოდინი გაუმძაფრონ და ბევრი ბილეთი გაიყიდოს. ამჯერად იმპროვიზაციების ოსტატი მუჰამედ ალი იყო. მაიკ ტაისონი კი იმდენად შედიოდა როლში, რომ ნამდვილ ცემა-ტყეპას მართავდა ხოლმე.

ლენოქს ლუისისა და ვიტალი კლიჩკოს ორთაბრძოლის წინ გამართული პრესკონფერენცია სენსაციური გამოდგა. მოკრივეები არამცთუ მუშტებით არ დაეტაკნენ, არამცთუ არავის უგინებიათ, არამედ კომპლიმენტებს უცხადებდნენ ერთმანეთს. ლუისმა კლიჩკოს მამაცობა და გაბედულობა აღნიშნა, ვინაიდან ვიტალი დროის მოკლე მონაკვეთში ჯონსონის შეცვლაზე დათანხმდა. კლიჩკომ კი ლუისს მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ მასთან შერკინების საშუალება მისცა. მოკრივეები, უბრალოდ, ჯენტლმენებივით კი არა, დიპლომატებივით იქცეოდნენ. კლიჩკომ თავი აარიდა კითხვას, თუ როგორი იქნება მისი სტრატეგია, ლუისს ოსტატობა შეუქო და სძინა: "იდეალური ვარიანტი იქნება. მეც შევამჩნიე ლუისის სისუსტეები", მაგრამ ლუისმა ... მისი ბევრი სისუსტე შევნიშნე და შაბათს ამას გიჩვენებთ კიდეც. საქმე ის არის, რომ ვიტალი ჩემნაირ მოკრივეს არ შეხვედრია". ლუისმა ისიც თქვა, რომ მისი ორთაბრძოლა კლიჩკოსთან ბევრად უფრო სახიფათო იქნება, ვიდრე ორთაბრძოლა ჯონსონთან, რომელიც ამ უკანასკნელის ტრავმის გამო გადაიდო. "ჯონსონის სტრატეგია ჩემთვის გაქცევა იქნებოდა," - იხუმრა ჩემპიონმა.

მოკლედ, საშინელი მოწყენილობა იყო. ხალხი ცოტა გამოაცოცხლა მუჰამედ ალის ქალიშვილმა ლაილამ. ის იმუქრებოდა, რომ თავის მოწინააღმდეგეს, ვალერია მაფუდს, ნოკაუტში ჩააგდებს, და მამამისს ბაძავდა (ორთაბრძოლა ალი-მაფუდი ლუის-კლიჩკოს ორთაბრძოლის წინ ჩატარდება).

წინა დღით კლიჩკომ ჟურნალ "სპორტს ილუსტრეიტედს" ინტერვიუ მისცა: "მაგარი ბიჭია. ჩვენ "ოლიმპიის თეატრში" შევხვდით ერთმანეთს, სადაც ჩემი ძმა მასთან ჩხუბობდა. ლუისზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი". შემდეგ ინტერვიუ ამგვარად გრძელდება.

**- თქვენ თქვით, რომ ძმასთან არასოდეს იჩხუბებთ. თითოეულს რომ 50 მილიონი დოლარი მოგცენ?**

- 50 მილიონი დოლარი იმისთვის, რომ ძმა მოვკლა ან ის მომკლას? დიდი მადლობა. ჩვენ უილიამსები კი არა ვართ, თანაც, არც კრივია ჩოგბურთი.

**- თქვენ და თქვენი ძმა მრავალ გამოჩენილ ადამიანს შეხვედრიხართ. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ვინ დატოვა?**

- ბილ კლინტონი სხვებზე უფრო შთამბეჭდავი მომეჩვენა. ვისაუბრეთ, როცა მოუხსენი იყო. მოგვიანებით, კახმაში, გვითხრა: "ბიჭებო, მე ვიცი, ვინც ხართ და თქვენი დიდი თაყვანისმცემელი ვარ". არ ვიცი, შეიძლება იხუმრა, მაგრამ სასიამოვნო იყო...

**- უკრაინაში, როცა პატარა იყავით, რას ფიქრობდით შეერთებულ შტატებზე?**

- ბევრი ცუდი მქონდა გაგონილი. მესმოდა, რომ ამერიკელები აღმფოთებულნი არიან, რომ მათ ჩაგრავენ. 1990 წელს პირველად ავიყვანეს ამერიკაში, მეგობრებთან. ღმერთო, თავს ვეძებდით. ამან ყველანაირი წარმოდგენა შემიცვალა. ახლა აშშ-ზე სულ სხვა აზრისა ვარ.

**- ძმას ამერიკიდან სალუქი რეზინი და ერთი ქილა კოკა-კოლა ჩაუტანეთ. ახლა რას ჩაიტანთ?**

- ეს თავადაც კარგად მოგეხსენებათ!

მართლაც, ოღონდ მისახვედრია. ვიტალი მსოფლიო ჩემპიონის ქამარზე ოცნებობს. ახდება თუ არა მისი ოცნება - ამას დღეს, გვიან საღამოს შევიტყობთ, როცა ლოს ანჯელესში, დახურული სტადიონის "სტეიპლს ცენტრის" რინგზე, ორი გიგანტი - ლენოქს ლუისი და ვიტალი კლიჩკო შეხვდება ერთმანეთს.



ამაღამ ლოს-ანჯელესში დიდი ჩხუბი იქნება.

REUTERS

ჩოგბურთი

# უიმბლდონის ისტორია

სრულიად ინგლისის ბალახის ჩოგბურთისა და კროკეტის კლუბი, რომელიც უიმბლდონის ტურნირს უწევს ორგანიზებას, 1868 წელსაა დაარსებული. 1874 წელს ვალტერ კლოპტონ ვინგფილდმა მანამდე "შპაირისტიკად" წოდებულ თამაშს სახელი შეუცვალა და ბალახის ჩოგბურთი დაარქვა. ერთი წლის შემდეგ სპორტის ეს სახეობა კროკეტის კლუბმა თავის პროგრამაში შეიტანა. 1877 წელს კლუბს უკვე სრულიად ინგლისის კროკეტისა და ბალახის ჩოგბურთის კლუბი ეწოდა. ამავე წელს დაიბადა საჩოგბურთო ტურნირის ჩატარების იდეაც. დაადგინეს წესები, რომელთა უმეტესობა დღესაც იგივეა. მხოლოდ ზოგიერთმა დეტალმა განიცადა ცვლილება. მაგალითად, შეიცვალა ბადის სიმაღლე, საწყის პოზიციაში ბადისგან დაშორების მანძილი და ა.შ.

1877 წელს გაიმართა პირველი ტურნირი, რომელშიც მხოლოდ მამაკაცები ასპარეზობდნენ და ისიც მარტოოდენ ერთეულთა თანრიგში. უიმბლდონის პირველი გამარჯვებული სპენსერ გორი გახდა. მაყურებელმა ერთი შილინგი გადაიხადა ფინალის სანახავად. ფინალურ მატჩს 200-მდე კაცი დაესწრო.

პირველ ტურნირზე ბალახის საფარი ისე იყო განთავსებული, რომ ყველაზე დიდი კორტი შუაში იყო მოქცეული, დანარჩენები კი - მის გარშემო. ამის გამო შუაში მყოფ კორტს ცენტრალური უწოდეს. კორტების ასეთი განლაგება მას შემდეგაც შენარჩუნდა, რაც 1922 წელს კლუბი ჩარჩ როუდზე გადავიდა. 1984 წელს ჩრდილოეთ ნაწილში ოთხი ახალი კორტი დაამატეს.

1884 წელს უიმბლდონის ტურნირზე ქალებმაც დაიწყეს თამაში. პირველ სეზონზე ერთეულთა თანრიგში მხოლოდ 13 სპორტსმენი ქალი გამოდიოდა. გამარჯვება მოდ უიტსონმა მოიპოვა. იმავე წელიწადს შემოიღეს წყვილთა თანრიგიც, ოღონდ მხოლოდ ვაჟებისთვის. საპრიზო ფონდი დააფინანსა ოქსფორდის უნივერსიტეტის ჩოგბურთის კლუბმა, რომელმაც 1879 და 1883 წლებში ორჯერ ჩაატარა შეჯიბრება წყვილებს შორის.

უიმბლდონის ტურნირი თანდათან სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. 1884-89 წლებში უიმბლდონს ორი ერთპიროვნული მბრძანებელი ჰყავდა: ტყუპი ძმები ერნესტ და უილიამ რენშოუები, რომელთაც ერთად და ცალ-ცალკე ცამეტჯერ მოიგეს ტურნირი. 90-იან წლებში ცოტათი მინელდა ინტერესი უიმბლდონის მიმართ, მაგრამ 1897 წელს ერთგული მაყურებელი კვლავ დაუბრუნდა ტრიბუნებს, რაც, პირველ ყოვლისა, ძმები დოჰერტების დამსახურებაა. ლეგენდარულ ლორ და რეჯი დოჰერტებს ათი წლის განმავლობაში ბადალი არ ჰყავდათ.

მეოცე საუკუნის დასაწყისში უიმბლდონი უკვე ინტერნაციონალური ტურნირი ხდება. 1903 წელს ამერიკელმა მეი სატონმა ქალთა შორის გაიმარჯვა და პირველი უცხოელი ჩემპიონი გახდა. ვაჟთა თანრიგში ეს პატივი წილად ხვდა ავსტრალიელ ნორმან ბრუკს, რომელმაც 1907 წელს იმარჯვა. იმავე წელიწადს მეი სატონმა მეორედ მოიგო უიმბლდონი. აქედან მოყოლებული, დიდი ხნის განმავლობაში, ინგლისელებს საკუთარი ტურნირის მოგება ოცნებად ჰქონდათ გადაქცეული. პეტერ გორმა და ფრედ პერიმ მომდევნო წლებში კიდევ ორჯერ გაახარეს ბრიტანელი გულშემატკივრები, მაგრამ 1910-13 წლებში ვერაფერი მოუხერხეს ახალზელანდიელ ენტონი ვილდინგს, რომელმაც სამჯერ გაიმარჯვა უიმბლდონის ტურნირზე. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ განახლებული ასპარეზობის პირველი ჩემპიონი ისევ ავსტრალიელი ნორმან ბრუკი გახდა.

1922 წელს უიმბლდონის ტურნირს უკვე მეფე ხსნის - ჯორჯ მეხუთის სტუმრობა ყველასთვის ნათელს ხდის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია უიმბლდონი დიდი ბრიტანეთისთვის. სწორედ ამიტომ კორტებისა და ტრიბუნების კეთილმოწყობას იწყებენ. ახლა უკვე 14.000 მაყურებელს შეუძლია კორტზე მისვლა და თამაშის ნახვა. ახალი საფარის მოწყობა საკმაოდ ძვირი ჯდება, მაგრამ კლუბის მესვეურები ნამდვილად არ ნანობენ - პირველივე სეზონში იმდენი ბილეთი იყიდება, რომ მთლიანად ანაზღაურებს რემონტისთვის გაღებულ ხარჯებს და მოგებაც მოაქვს კლუბისთვის.

20-იან წლებში უიმბლდონის ტურნირი, ძირითადად, ფრანგების უპირატესობით მიმდინარეობს. სახელგანთქმულმა "ოთხმა მუშკეტერმა" - ჟან ბოროტამ, ჟაკ ბრუნიონმა, ანრი კოშემ და რენე ლაკოსტმა ათი წლის განმავლობაში ექვსჯერ გაიმარჯვეს ერთეულთა თანრიგში, ხუთჯერ კი წყვილთა შორის მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული. ქალთა შორის შეუდარებელი იყო ასევე ფრანგი სიუზან ლანგლანი.

1924 წელს, ადგილობრივი საზოგადოების გულის გასახარად, ქალთა ტურნირი ინგლისელმა კიტ მაკეინმა მოიგო. 1927 წელს 38 წლის ბილ ტილდენი კიდევ ერთხელ გავიდა კორტზე და მესამედ გახდა უიმბლდონის გამარჯვებული. 1931 წელს პირველმა გერმანელმა ჩოგბურთელმა მოახერხა უიმბლდონის მოგება - სილი ასემა ქალთა შორის უძლიერესი იყო.

მომდევნო წელს თამაშებს უკვე 200 000 მაყურებელი დაესწრო, რაც იმ დროისთვის რეკორდული მაჩვენებელი იყო. 1934-37 წლები ოქროს ხანა იყო ინგლისური ჩოგბურთისთვის. ამ პერიოდში ბრიტანელებმა ერთეულთა და წყვილთა თანრიგში თერთმეტი ტიტული მოიპოვეს. იმავე დროს ინგლისის გუნდი წარმატებით გამოდიოდა დევისის თასზეც. მან სამჯერ გაიმარჯვა ამ ტურნირზე, მერე კი ბრიტანელებს ამერიკელებმა აჯობეს.

მეორე მსოფლიო ომის დროს უიმბლდონის ტურნირი არ ტარდებოდა, მაგრამ სრულიად ინგლისის კროკეტისა და ბალახის ჩოგბურთის კლუბი არ დახურულა, უბრალოდ, სამხედრო რეჟიმზე გადავიდა. კლუბის შენობა ჰოსპიტლად იქცა. კორტის ახლოს კი განათავსეს სამხედრო ნაწილი და ფერმა, სადაც გოჭები, ქათმები და ბოცვრები დარბოდნენ. 1940 წლის ოქტომბერში ცენტრალური კორტი არაერთხელ დაიბომბა, რის შედეგადაც 1200 სკამი დაზიანდა. ომის შემდეგ კორტი აღადგინეს და 1945 წელს უიმბლდონის ტურნირი ისევ განახლდა.

ომის შემდგომი პერიოდი უიმბლდონზე ამერიკელთა უპირატესობით აღინიშნა. 50-იან წლებში ჩემპიონატი ექვსმა ამერიკელმა მოიგო. მათ შორის იყო ალტეა გიბსონი, უიმბლდონის პირველი შავკანიანი გამარჯვებული. 1956-დან 1970 წლამდე ვაჟთა შორის უკვე ავსტრალიელები ჩაგრავდნენ ყველას. ქალთა ერთეულთა თანრიგში კი ისევ ამერიკელები იმარჯვებდნენ, სანამ 1959 წელს ბრაზილიელმა მარია ბუენომ არ შეწყვიტა "იანკების" წარმატებათა ტრიუმფალური სერია. 1960 წელს მარგარეტ სმიტი გახდა პირველი ავსტრალიელი ქალი, რომელმაც უიმბლდონზე ტიტულის მოპოვება შეძლო. შემდგომ წლებში კი ანჯელა მორტიმერმა და ენ ჯონსმა გაახარეს ბრიტანელი ფანები.



GRAPHIC NEWS

50-იან წლებში უიმბლდონი უკვე იმდენად პრესტიჟული იყო, რომ მასში მონაწილეობა ყველა პატივმოყვარე სპორტსმენს სურდა, მაგრამ იქ მოხვედრა მხოლოდ პროფესიონალებს შეეძლოთ. 1964 წელს სრულიად ინგლისის კროკეტისა და ბალახის ჩოგბურთის კლუბმა თხოვნით მიმართა ჩოგბურთის ინტერნაციონალურ ფედერაციას, ტურნირი ღია ყოფილიყო ყველასთვის - პროფესიონალებისთვისაც და მოყვარულებისთვისაც. 1968 წლამდე ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. 1968 წელს კი გადაწყდა, რომ უიმბლდონზე (და ასევე ინგლისის ყველა სხვა საჩოგბურთო ტურნირზე) ყველა კატეგორიის ჩოგბურთელს ჰქონოდა მონაწილეობის უფლება. იმ წელიწადს უიმბლდონზე როდ ლევერმა და ბილი ჯეინმა გაიმარჯვეს და, 26 150 გირვანქა სტერლინგთან ერთად, ღია ჩემპიონატის პირველი გამარჯვებულის ტიტულიც მიიღეს.

1973 წელს უიმბლდონის ტურნირმა უცნაურ ვითარებაში ჩაიარა - პროფესიული ჩოგბურთის ასოციაციის 81 წევრმა ჩემპიონატს ბოიკოტი გამოუცხადა იმის გამო, რომ ცოტა ხნით ადრე იუგოსლავიის ბალახის ჩოგბურთის ასოციაციამ ნიკი პალიჩს საერთაშორისო ტურნირებზე გამოსვლა აუკრძალა. მიუხედავად იმისა, რომ უიმბლდონს ამდენი კარგი სპორტსმენი აკლდა, ტურნირს მაინც 300 000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო. გამარჯვება ჩეხოსლოვაკიელ იან კოდეშსა და ბრიტანელ ბილი ჯეინს ხვდათ წილად.

1977 წელს უიმბლდონი ასი წლის გახდა. ტურნირი საზეიმოდ გახსნა ჩემპიონატის 52 გამარჯვებულმა. ცენტრალურ კორტზე აღლუმი შედგა ვეტერანი და ახალგაზრდა ჩემპიონების მონაწილეობით. ყველა გამარჯვებულმა მიიღო სამახსოვრო ვერცხლის მედალი, რომლებიც მათ კენტის ჰერცოგმა და კლუბის პრეზიდენტმა გადასცეს. ფინალს დედოფალი დაესწრო და გამარჯვებულს საპატიო მედალი გადასცა.

ქალთა ტურნირის სენტენარიო 1984 წელს იზეიმეს. ცენტრალურ კორტზე ისევ გაიმართა ჩემპიონატის ყველა გამარჯვებულის დაჯილდოება. 20 ჩემპიონიდან მხოლოდ სამი აღარ იყო ცოცხალთა შორის. ჩვიდმეტმა ქალბატონმა კენტის ჰერცოგისგან მიიღო ვატერფორდის უნიკალური კრისტალი.

1980 წლიდან უიმბლდონზე რეკორდების მსხვრევის ხანა დადგა. 1880 წლის შემდეგ ვაჟთა თანრიგში ზედიზედ ხუთჯერ უიმბლდონი არავის მოეგო, შვედმა ბიორნ ბორგმა კი ეს ასწლიანი რეკორდი დაამხო და 1980 წელს მეხუთედ იზეიმა გამარჯვება. 1985 წელს 17 წლის გერმანელმა ბორის ბეკერმა ერთბაშად სამი რეკორდი დაამყარა: გახდა ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული ვაჟთა თანრიგში, უიმბლდონის პირველი გერმანელი ჩემპიონი ვაჟთა შორის და პირველი განუთესავი ჩოგბურთელი, რომელმაც თამაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო და ტურნირის მოგებით დაასრულა. 1987 წელს მარტინა ნავრატილოვას ჯერი დადგა - ამ სათვალიანმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა ზედიზედ ექვსჯერ მოიგო ტურნირი. 1990 წელს ნავრატილოვამ ყველა დროის საუკეთესო შედეგი აჩვენა - უიმბლდონზე მეცხრე ტიტული მოიპოვა. ნავრატილოვა უნიკალური ფიგურაა უიმბლდონის ისტორიაში. ერთეულთა თანრიგში მოპოვებული ცხრა ტიტულის გარდა, მის კოლექციას ამშვენებს ისეთი ჯილდოებიც, როგორიცაა წყვილთა თანრიგის შვიდი თასი და შერეულ წყვილთა სამი ტიტული. 2000 წელს ამერიკელმა პიტ სამპრასმა თავისი მეშვიდე უიმბლდონური თასი იზეიმა, 2001 წელს კი ხორვატი გორან ივანიშევიჩი პირველი ჩემპიონი გახდა, რომელიც ტურნირზე უაილდ კარდით იყო დაშვებული.

ჭორჭორი



ნინო I

# ვიქტორია ბექჰემი: ინგლისელი იოკო ონო?

ამ დღეზე დიდხანს ოცნებობდა ვიქტორია ბექჰემი, დაბადებით ადამსი, ინგლისურ პოპელიტაში "პოშ სპაისის" მეტსახელით ცნობილი. მანჩესტერის დატოვება იმ წუთიდანვე უნდოდა, რაც ინგლისის ყველაზე პოპულარული ფეხბურთელის, დევიდ ბექჰემის მეუღლე გახდა, საკუთარი მუსიკალური კარიერა შეწყვიტა და ბექჰემის შემოსავლის კურირება დაიწყო. ვიქტორიას მანჩესტერი არ უყვარდა. არც მანჩესტერს უყვარდა ვიქტორია. "პოშ სპაისი" ევროპის დიდ, ლამაზ ქალაქში ცხოვრებაზე ოცნებობდა, იქ, სადაც ყოველ კვირას ფეშენ შოუ გაიმართებოდა, სადაც დაუსრულებლად შეიძლებოდა ლამაზ, მოდურ ბუტიკებში ხეტიალი და ფულის დაუზოგავად ხარჯვა, სადაც მუდამ ყურადღების ცენტრში იქნებოდა და მისი "ბექსი" მილიონებს მიიღებდა. პროვინციული მანჩესტერი ვიქტორიას ვერც ერთ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა, გარდა ერთისა - აქ ბექჰემი უსაზღვროდ პოპულარული იყო. ქერათმიანი ნახევარმცველი ყველას ძალიან უყვარდა და "მან იუს" თილისმად მიაჩნდათ, ვიქტორიას კი ვერ იტანდნენ, რადგან მას ბექჰემის ბოროტ გენიად თვლიდნენ.

"ანტისპაისური" კამპანია წამოიწყო "მანჩესტერ იუნაიტედის" შოტლანდიელმა თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა, რომელიც ნათლად გრძნობდა, როგორ მეტამორფოზას განიცდიდა მისი გაზრდილი ქერაკულულებიანი "ჩაილდ ჰაროლდი" ამ შავთმიანი, დიდებაზე გადარეული როკაპის გვერდით. სადღა იყო თავიდან ფეხებამდე ფეხბურთზე შეყვარებული დევიდ ბექჰემი, რომლის მუყაითობის შესახებაც სერ ალექსი სიამოვნებით უყვებოდა ყველას: "ვარჯიშის შემდეგაც კი ისევ მოედანზე რჩება და მხოლოდ ერთი რამ სურს - რაც შეიძლება მეტი ივარჯიშოს და ტექნიკა დახვეწოს". სწორედ ამ შრომისმოყვარეობის გამო უყვარდა ოსტატს შეგირდი. "ბექსი" მხოლოდ 11 წლის იყო, როცა სერ ალექსმა აღმოაჩინა და გადაწყვიტა, მისგან ვარსკვლავი შეექმნა. ვიქტორიასთან დაქორწინებამდე ყველაფერი კარგად იყო, მერე კი "სპაის გერლმა" ბექჰემი ნამდვილ "სპაის ბოიდ" აქცია: ფეშენ შოუები, ათასგვარი წვეულებები, პრეზენტაციები, შოპინგები... ვიქტორია არაფერს აკლდებოდა და დევიდსაც სულ თან დაათრევდა. ბექჰემი სრულიად შეიცვალა - ლამის თვეში ერთხელ იცვლიდა ვარცხნილობებს, ფრჩხილებს ვარდისფრად იღებავდა, საყურეებით ირთვებოდა, ჟურნალისტების წინაშე პოზიორობდა, რეკლამებში მონაწილეობდა და მილიონებს იღებდა... მოკლედ, სულ იმის ცდაში იყო, თავისი პოპულარობისგან რაც შეიძლება მეტი სარგებელი ენახა. ვიქტორიამ ის უპრობლემოდ გარდაქმნა. "პოშ სპაისს" ერთი სურვილიღა ჰქონდა - ბექჰემი სხვა გუნდში გადასვლაზე დაეთანხმებინა. ამასაც მალე მიაღწია, რაშიც ხელი შეუწყო თავად სერ ალექს ფერგიუსონმა, რომელიც უკვე ველარ იტანდა თავის პრანჭია შეგირდს. თავში ნასროლმა ბუცმა ყველაფერს წერტილი დაუსვა. დღეს



დევიდ და ვიქტორია ბექჰემები

უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს, შემთხვევით მიაყენა ფერგიუსონმა ტრავმა ბექჰემს თუ განზრახ. ბუცი თუ არა, სხვა რამე იქნებოდა. "ფერგი" ხომ უკვე ველარ ითმენდა ბექჰემის ჭირვეულობას. ამ ინციდენტმა, უბრალოდ, დააჩქარა განხეთქილება.

ვიქტორიამ გაიმარჯვა. მან "მანჩესტერი" პირდაპირ აიძულა, ბექჰემი სხვა გუნდში გაეშვა. და ეს სხვა გუნდი, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს საუკეთესო კლუბი მადრიდის "რეალია". ვინ იყო ისეთი გულუბრყვილო, ვისაც სჯეროდა, რომ "სპაის ბოი" ბარსელონაში წასვლაზე დათანხმდებოდა? განა იმიტომ იწვალა ამდენი ვიქტორიამ, რომ ერთი პროვინციიდან მეორეში წასულიყო? მას ხომ დიდი ქალაქების ბრწყინვალება იტაცებდა? ან მილანი, ან მადრიდი! ასეთი იყო "პოშ სპაისის" სურვილი. რაკი სილვიო ბერლუსკონიმ თავი შეიკავა და სკანდალურად ცნობილი ფეხბურთელი თავის ჰარმონიულად დაკომპლექტებულ გუნდში არ აიყვანა, ბექჰემი მადრიდში წავიდა. როგორც იქნა, ვიქტორიას ოცნება აუხდა. ახლა ის სწორედ ისეთ ქალაქში იცხოვრებს, რომელისკენაც მუდამ მიილტვოდა.

მერე რა, რომ "პოშ სპაისს" მთელი ინგლისი ლანძღავს და მოღალატეს ეძახის? მერე რა, რომ მას ჯონ ლენონის ქვრივს, იაპონელ იოკო ონოს ადარებენ, რომელმაც "ბითლზი" დაშალა? ვიქტორია მაინც უსაზღვროდ ბედნიერია და ახალი ცხოვრების დაწყებისთვის ემზადება. მას ისტერიული მიდრეკილება აქვს სიმდიდრისკენ, ჭკუას კარგავს ყველაფერ მოდურსა და ძვირად ღირებულზე. დონატელა ვერსაჩე მისი მეგობარია და ხშირად უკერავს ისეთ კაბას, რომელიც, მის გარდა, არავის აცვია მსოფლიოში. ვიქტორიას თავი იმდენად მნიშვნელოვანი პიროვნება ჰგონია, რომ ყველგან სრულ მორჩილებას ითხოვს. მსოფლიოს დღემდე არ დავიწყებია მისი ლოს ანჯელესური გამოხდომა, როცა ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელს უსირცხვილოდ მოსთხოვა, ყველა მყიდველი გააგდე, რომ მე და მისტერ ბექჰემმა მშვიდად შევძლოთ ნივთების არჩევაო. გაოცებულმა ამერიკელმა, მისტერ ბექჰემი ვინ ოხერიაო და, თავად ვიქტორია გააგდო მაღაზიიდან, - ასეთი ვინ ხარ, რომ პრეტენზიებს მიყენებო. თუმცა, ამ შემთხვევამ ვიქტორიას ჭკუა ვერ ასწავლა, ისევ დარწმუნებულია, რომ მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნებაა.

მადრიდში ბექჰემები, მართლაც, მეფურად იცხოვრებენ, ამ სიტყვის პირადპირი გაგებით. მათი ახალი ვილა "ლა მურტა", რომელშიც ბექჰემმა 3,5 მილიონი ევრო გადაიხადა, ესპანეთის მეფის, ხუან კარლოსის სასახლის მეზობლად დგას. "ლა მურტაში" რვა საძინებელი ოთახი და ხუთი აბაზანაა. ვილა იმდენად დიდი და მდიდრულია, რომ მას ირონიულად "ბექინგემპალასს" ეძახიან (უინძორების სახელგანთქმული ბუკინგემპალასის ანალოგიით). ინგლისელებს კი უკვე გაბრაზების უნარიც აღარ შერჩათ. ბრიტანული ჟურნალ-გაზეთები მშვიდად აღწერენ ბექჰემის ახალი ცხოვრების დეტალებს და ინტერესით კითხულობენ, მაინც ვინ იქნება ვიქტორიას და დევიდის ახალი მძღოლი მადრიდში? თავად მიხაელ შუმახერი ხომ არა? ვიქტორია, ალბათ, არც მსოფლიოს საუკეთესო პილოტის მომსახურებაზე იტყოდა უარს...

მოკლედ, ვიქტორიამ მიზანს მიაღწია. "ბექსი" უკვე "რეალშია", სადაც მას არც ისე დიდი სიხარულით ელიან. ბექჰემის გამო ყველას მიავიწყდა "სამეფო კლუბის" სხვა ვარსკვლავები, მათ შორის ისიც, რომ "რეალი" ჩემპიონობისთვის იბრძვის. ისიც საკითხავია, სად გაამწესებენ ბექჰემს. "რეალს" ხომ ამდენი გრანდი ჰყავს მოედნის ცენტრში. თუმცა, შეიძლება ყველაფერი ძალიან იოლადაც მოგვარდეს. ხმები დადის, "რეალს" ვინსენტე დელ ბოსკეს ნაცვლად სვენ გორან ერიქსონის მიწვევა უნდაო. შვედი სპეციალისტი კი ის კაცია, რომელმაც ბექჰემი ინგლისის ნაკრების კაპიტნად დანიშნა. თუ ერიქსონი ნამდვილად მივა "რეალში", ბექჰემს ესპანურ კლუბთან შეგუება ნამდვილად აღარ გაუჭირდება. სწორი იყო თუ არა ბექჰემის "რეალში" გადასვლა, ამას სულ მალე გავიგებთ, როცა 2003-04 წლების სეზონი დაიწყება და ვარსკვლავებით დახუნძლული "რეალი" ჩემპიონთა ლიგასა და პრიმერა დივიზიონში აიღებს სტარტს.



**თბილისის ბაირონის სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ორი ფორმით:**

**ქართულ-ინგლისური საშუალო სკოლა I-V კლასის ჩათვლით. ინგლისური ენის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის კულტურის შემსწავლელი დამატებითი სკოლა 5-დან 16-წლამდე.**

**მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა 2.**
**ტელ: 99-04-91.**

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მხილი“
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61




## TV პროგრამა 21 ივნისი

### რუსთავი - 2

08.00 კლასიკა
09.00 კურიერი
09.20 დრაკონთა მომთვინიერებლები
10.00 ფიფქია
10.45 საბ.ფილმი „ოქროს ვარდის გამოქვაბული“
12.00, 15.00 კურიერი
12.20 სიმფსონები
12.50 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.15 სერიალი „კოლომბო“
18.00, 02.00 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო“
19.15 დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები“
20.05 სერიალი „მეწამული ყვავილი“
21.00 კურიერი PS
22.00 საოჯახო ტოტო
22.30 ფსიქო. მხ.ფ. „ამენ“ რეჟ: კოსტა გავრასი.
02.20 მხ.ფ.“საწვრთნელი დღე“ მთ. რ-ში: დენზელ ვაშინგტონი.
04.00 ღამის ჯაზი

### პირველი არხი

08.00, 15.00 მოამბე
08.15 მხ. ფილმი „სრულ მზადყოფნაში“
09.45 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“
10.00 დილის პაემანი
11.05 მხიარული კარუსელი
11.35 „გლობუსი“
12.10 „მეტრო“
12.50 კვალი
13.25 დოკ. ფილმი „ფეხბურთი“
14.25 „საქართველო, დრო, მოვლენები“
15.15 მხ.ფილმი „ჰომერი და ედი“
16.55 საწინდარი
17.30 მულტსერიალი „დაკარგული სამყაროს თავგადასავალი“
18.00 „ვესტნიკი“
18.45 „თბილისის დროით“
19.05 ენერგია
19.35 გინდ დაიჯერეთ გინდ არა
20.00 ცაიტნოტი
21.20 ნუგზარ ერგემლიძის კონცერტი
23.30 პროფათეული
00.05 მოამბე
00.20 მხ. ფილმი „ყველაფერი სიყვარულზე“.

### პირველი სტერეო

09.00 მუსიკა
10.00 ტოროლა
13.00 ფილმი
15.00 მუსიკა
16.00 ფილმი „ინდიანა ჯონსი და ბედის ტაძარი“
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
19.50, 20.15 სველი ხაზი
21.15 ქართული მუსათეული
22.35 კვირის საუკ. ლექსები
23.00 აბა გამოიცანი კადრი
00.00 „ბრავო“ „რეკრუტი“ მთ. რ-ში ალ პაჩინო.
01.50 „ღამურა“ „დაზიანება“. მთ. რ-ში პოლ უინტერსი.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00 მულტფილმი
19.30 ორატორი
19.40 სერიალი „ქალბატონები ზღვისპირეთიდან“
20.30 „ახლო ხედი“
21.00 „ვმესტე“
21.30 წარსულის ტერიტორია
22.00 მხ. ფილმი „მე თქვენ მიყვარხართ“

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „დიდი დედილოს სახლი“
13.30 მხ. ფილმი „შერბურგული ქოლგები“
15.00 მხ.ფილმი „ეპიდემია“
17.00 მხ. ფილმი „მის კონგენიალობა“
19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“
19.15 დოკ. ფილმი
21.00 მხ. ფილმი „პერლ ჰარბორი“
00.30 მხ. ფილმი „მკვდარი პოეტების საზოგადოება“

### იბერია

08.00 ანონსი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „ცხელი კევი“
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10 დოკ. ფილმი
15.15 მხ. ფილმი
17.30 მუსიკა
18.00, 19.30 მულტფილმი
18.45 ბუნების ფერები
20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი
21.00 დოკ. ფილმი
22.40 სერიალი „საჰაერო პოლიცია“
23.30 მუსიკალურ ტალღაზე
01.30 მხ.ფ. „გლადიატორი“
02.40 ღამის ფილმი

### მეცხრე არხი

09.30 მულტფილმი „მხიარული მელოდიები“
09.55, 15.15, 17.50, 18.50 მუსიკა
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
10.25 მულტსერიალი „სიმბა მეფე ლომი“
11.00 სერიალი „მოჯადოება“
11.55 დოკ. ფილმი „მსოფლიო ფერწერის ისტორია“ მე-36.
12.20 მხ. ფილმი „მეფე მეწისქვილე“
14.15 მულტფილმი „ტომი და ჯერი“.
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.50 „ყვითელი კვადრატი“
15.30 სერიალი „სირინოზები“
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება“
18.05 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
18.25 მულტსერიალი „სიმბა მეფე ლომი“
19.00 „საუბრები სტუდიაში“
20.00 დოკ. სერიალი „ფაქტზე დაჭერა“ მე-4ს.
21.15 ფილმი-კონცერტი. „ელო“.
22.25 მოკლ.მხ.ფილმი „შხამიანი წამალი“ (აშშ)
23.00 „ცხელი ცხრიანი“
23.45 „ტელემეტრი“
00.20 მხ. ფილმი „ჟანეტის სურვილი“.

### იმედი

08.55 ქრონიკა
09.05, 13.40, 01.20 იმედის მელოდიები
10.20 ანიმაციური სერიალი „მითიური მეომრები“მე-3 ს.
10.50 ფანების კინოკლუბი „მაკრატელი“
12.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00, 22.00 ქრონიკა
13.15 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“
13.50 თოქ-შოუ „არჩევანი თქვენ“
15.15 რეტროსკოპი „თოკი“
17.15 დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის“
18.00 „ერთხელ ჰოლივუდში“
18.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“
19.30 სერიალი „ნირო ვულფი“
21.05 ქართ. სერიალი „მგლების ხორუმი“ 1-ლი ს.
22.45 „საღამოს ღიმილი“
23.00 „კლიპ-ლოტო“
23.30 მხ. ფილმი „ესკორტი 3“.

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 სათავგადასავლო ფილმი „პიფ-პაფ, ვაი ვაი ვაი“
11.30 მულტფილმი „ვუდი ვუდპეკერი“
12.10 ისტორიული ფილმი „სირანო დე ბერჟერაკი“
14.30 მუსიკა
14.35 კომედია „ფორტუნა“
16.10, 19.20, 22.40, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“
16.20 მულტფილმი „ძაღლები ლას-ვეგასიდან
17.30 სათავგადასავლო ფილმი „სინდბადის მეშვიდე მოგზაურობა“
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“
19.30 „პრესდაიჯესტი“
19.35 „ყველანი ვართ პატარები“
19.45 დოკუმენტური ფილმი
20.25 მხატვრული ფილმი „მიმინო“
22.20 „სათქმელი“
23.00 „Слово“
23.30, 03.20 მუსიკა
00.40 „ქართული კინო“
02.10 დოკუმენტური ფილმი
03.50 მელოდრამა „საბრალო, პატარა, მდიდარი გოგონა“ 1 ს.

### VII არხი

18.10 მოგილურები
19.00 „აჩიკუდა
19.20 „ბედნიერი ერი“ ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით
19.25 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.50 ღამის კაპრიზი
20.40 რაგბი - ავსტრალია-ინგლისი
22.25 აუდიო - ვიდეო - ტელე
23.00 „კინოკლუბი „ - „ჯარლი დევიდსონი და კოვბოი მალბორო“ მძაფრსიუჟეტიანი. რეჟ-საიმონ უინსერი . როლებში: მიკი რურკი, დონ ჰონსონი.
00.25 კომპიუტერული თამაშები
00.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ -ესპანეთის ჩემპიონატი.
02.20კომპიუტერული ტექნიკა

### ОРТ

07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“
11.05 „Сердца трех“. 5 с.
12.05 Док.фильм „Владимир Этуш“
12.35 Дисней-клуб: „Геркулес“
13.15 Худ.фильм „Фронт в тылу врага“, 2 с.
15.00 „Путешествия натуралиста“
15.30 „Идолы“. Б.Уиллис
16.20 Худ.фильм „Вторжение“
18.00 „Большая стирка“
19.30 Док. детектив „Семья душегубов“.
20.50 „Поле чудес“ с Л.Якубовичем
22.00 Время
22.30 Творческий вечер А.Абдулова
00.05 Худ.фильм „Казино“
03.15 Драма „Воскресная ночь“

### РТР

06.45 „Доброе утро, Россия!“
09.40 „Золотой ключ“
10.05 Детектив „Марш Турецкого“
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Детектив „Пуаро Агаты Кристи. Убийство Роджера Акройда“
14.15 „Клуб сенаторов“
15.20 „Моя семья“
16.15 „Комната смеха“
17.15 „Синемания“
17.45 „Экспертиза“
18.20 „Сам себе режиссер“
19.20, 21.30 Местное время. Вести - Москва
19.50 „Аншлаг“
20.50 Вести. Дежурная часть
21.50 „Спокойной ночи, малыши!“
21.55 Комедия „Вход через окно“
00.30 Худ.фильм „Жизнь этого парня“
02.45 „Дорожный патруль“
03.05 Сериал „Клоун“

### НТВ

07.00 Утро на НТВ
09.55 „Совершенно секретно. Генералы отступления“
11.00 „Сегодня утром“
11.25 „Команда.ru“
12.00 „Кулинарный поединок. Е.Воробей и К.Балаханов“
12.55 Спорт „Лотто 6 из 49“
13.00, 16.00, 18.00, 20.00 „Сегодня“
13.30 „Страна Советов“
14.30 Боевик „Случай в квадрате 36-80“
16.35 „Принцип „Домино“. „Хочу вернуть любимого“
18.30 Комедия „Большая няня 2“
20.00 „Новейшая история“. „Из камеры смертников на лубянку“
20.50 Боевик „Агент национальной безопасности“
22.00 „Личный вклад“ с А.Герасимовым
23.00 Боевик „Фактор холода“
01.05 „Все сразу!“
01.40 Худ.фильм „Любовник леди Чаттерлей“

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
უკრაინის კულტურის დღეები
უკრაინის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი
დას: 18:00 სთ

### თეატრები

**ახმეტელის თეატრი**
"ზამთრის ღამის სიზმარი", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ

### კლუბები

**„აჭარა მიუზიკ ჰოლი„**
თბილისის მეშვიდე საერთაშორისო ჯაზფესტივალი
"ინკოგნიტო" (დიდი ბრიტანეთი)
დას: 23:00 სთ

### საგამოფენო დარბაზები

TMS
დავით ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

**„ქარვასლა„**
პოლონური პლაკატის გამოფენა
მხატვრულად დამუშავებული ცივი იარაღის გამოფენა

**N გალერეა**
პეტრე ბლიოტკინის 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა

**„კავკასიური სახლი„**
პაატა კლდიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
გახსნა 17:00 სთ

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"თალკი"
დას: 13:00; 17:30; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
"დანიშნულების ადგილი"
დას: 15:30; 20:00 სთ; ფასი 7,8

**„ელისო„**
"დიდი ძარცვა"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ზემოდან ხედი უკეთესია"
დას: 17:00; 21:00 სთ; ფასი 5,7 ლარი

## ბინები

### იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება გრიგოლეთში საააგარაკე ნაკვეთი. გადაჰყურებს პირდაპირ ზღვას. ტელ: 93-27-82, 893 203292.

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი საагარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.

იყიდება ფოთში მალთაყვის პირას ორსართულიანი სახლი, ციტრუსიანი 600 კვ.მ ეზოთი, გამოდგება როგორც საагარაკედ, ისე საცხოვრებლად. ტელ: 93-27-82, 893 203292.

იყიდება ასურეთში აგარაკი 1100 კვ.მ., ხეხილიანი ეზოთი, კაპიტალური ორსართულიანი გარემონტებული სახლით, საკვანძით, ელექტროგაყვანილობით, წყლით. ტელ: 93-27-82, 893 203292.

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12

იყიდება!
სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.

## ბინები

### ქირა, გირაო

ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.

ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-74-56 მამუკა.

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.
ტელ: 99-74-83, 99-93-62.
19.00 სთ-ის შემდეგ.

ქირავდება!
3-ოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა ავეჯით.
ფასი 200$. უზნაძის 53. ტელ: 95-40-23 ნანა.

ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).
ტელ: 99-74-83, 99-93-62.
19.00 სთ-ის შემდეგ.



## მანქანები

**სასწრაფოდ!**
**იყიდება BMW-728 1998 წლის. ტელევიზორი, კლიმატ-კონტროლი, პროგრამული სავარძლები, სანავიგაციო სისტემა, პარკტრონიკები.**
**ფასი: 13 500$**
**ტელ: 899 182227**

იყიდება BMW-320, 2 -კარებიანი, 6 ცილინდრიანი ძრავით, 1984 წლის გამოშვება, ფასი 1000$. ტელ: 29-00-92.

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

შევასწავლი გერმანულ ენას.
ტელ: 32-03-71.

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.




## სხვადასხვა

ვარ გამოცდილი მასაჟისტი, ჭარბი ბიოენერგიით. ვიმუშავებ კლუბებში, სალონებში ან სხვა გამაჯანსაღებელ კომპლექსში კარგი ანაზღაურებით. შესაძლებელია ბინაზე გამოძახებაც, ჩაწერა წინასწარ.
ტელ: 98-31-32.

ვამზადებთ წვეულებებისთვის მრავალფეროვან კერძებს (როგორც ქართულს, ასევე, ეგზოტიკურს). შეკვეთისათვის დაგვიკავშირდით ორი დღით ადრე.
მის: ა. ყაზბეგის N55ა (კაფე "ჩარგალის" პირდაპირ) – კაფე "ცეზო".
ტელ: 39-46-30, 899 978757
მაკა ან ცეზო.

კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.
ტელ: 899 584855





# სანამ თქვენ გეძინათ

## შობა ივნისში


პატარები ძველებური ინტერესით ელოდნენ ახალ "ჰარი პოტერს".

თამარ ბაბუაძე

სანამ გუშინ ღამით თქვენ ტკბილად გეძინათ, ბრიტანეთში ფხიზლობდნენ. ფხიზლობდნენ დიდებიც და პატარებიც, მსუქნებიც და გამხდრებიც, მომუშავენიც და უმუშევრებიც. თუმცა, არა, ეს უკვე ტყუილია – უმუშევრები ნამდვილად ვერ გაიმეტებდნენ 29.99 დოლარს ერთ წიგნში. შესაბამისად, ვერც მეხუთე "ჰარი პოტერის" შესაძენად გაათევდნენ გუშინდელ ღამეს.

დანარჩენები კი, ანუ, უკლებლივ ყველა "პოტერომანი" (და არა ბიბლიოფილი! ჰარი პოტერის ისტერიული კითხვა – ეს სულ სხვა მანიაა და არავითარი კავშირი არ აქვს უშუალოდ წიგნის კითხვის სიყვარულთან) შუაღამის 12 საათის დადგომამდე მაღაზიებთან შეგროვდნენ, ერთ გრძელ რიგად იქცნენ და დაელოდნენ სანატრელ წუთს – "ჰარი პოტერის" მეხუთე წიგნის პრეზენტაციის დაწყებას. გამყიდველები ხომ მათ თვეებით ადრე პირდებოდნენ, რომ 21 ივნისს, უპრეცედენტო და სარეკორდო ტირაჟით დაბეჭდილი "ჰარი პოტერის" გასაყიდად მაღაზიებს შუაღამიდანვე გააღებდნენ.

მოკლედ, ასე იდგნენ და ელოდნენ. თან, ხელების ფშვნეტით ხარობდნენ, რომ შვიდსერიანი გამოცემის მეხუთე წიგნი თავის წინამორბედებზე გაცილებით დიდია; რომ თუ ამ ტემპით განაგრძო როულინგმა გვერდების ზრდა, მაშინ ბოლო, მეშვიდე წიგნს ორ ტომად გამოსვლა მოუწევს (ჰო-ჰო, რამხელა სიამოვნება ელით წინ!)...

### რა ხდება წიგნში

მართლაც, "ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენი" 870 გვერდზეა "გადაჭიმული". ჰარის სამყარო კი "ჰოგვარტსის" სკოლის საზღვრებსაც სცილდება და ლონდონამდე აღწევს. ჰარი უკვე ურთიერთობს არა მხოლოდ ჯადოქარ პროფესორებთან და მასწავლებლებთან, არამედ ჩვეულებრივ ადამიანებთანაც. ის მომავალზე ფიქრობს. არკვევს, რა უნდა რომ გამოვიდეს სკოლის დამთავრების შემდეგ.

მეხუთე წიგნში ემოციებიც კი უფრო დიდი და სერიოზულია. რა თქმა უნდა, ტექსტში შეხვდებით ხუმრობებს, ჩვეულ სიცილ-ხარხარს, ძმები უიზლების ტრადიციულ ტრიუკებს, მაგრამ მკითხველი მაშინვე მიხვდება, რომ ჰარი და მისი მეგობრები 11 წლის გულუბრყვილო ბიჭები აღარ არიან. პოტერი უკვე 15 წლის თინეიჯერია, რომელიც რამდენჯერმე გადაურჩა ბოროტ ჯადოქარს, ლორდ ვოლდემორტს – მისი მშობლების მკვლელს.

მეოთხე წიგნი სწორედ ასე მთავრდება: ჰარი პოტერი ძლივს დააღწევს თავს ვოლდემორტს, რომელიც დაკარგულ ჯადოქრულ ძალებს აღიდგენს.

მეხუთე წიგნი ამ ამბიდან ერთი თვის შემდეგ იწყება – პირველ თავში ჰარი არაჯადოსან ხალხშია მოხვედრილი და არაფერი იცის ვოლდემორტის შესახებ. როულინგი ჰარის მაშინვე გამოატარებს ერთ დიდ განსაცდელში, რის შემდეგაც, პოტერი და მისი მეგობრები კვლავაც ერთად შეიყრებიან. თუმცა, ხიფათი მაინც არ მცირდება. ვოლდემორტის ნებისმიერ დროს გამოჩენის პერსპექტივა ყველას აფრთხობს. პრობლემებია სკოლაშიც – უფრო მეტი საშინაო დავალება, გართულებული გაკვეთილები და იდუმალი სიზმრები, რომლებიც ჰარის წუთით არ აძლევს მოსვენებას.

მოკლედ, მეხუთე წიგნში ყველაფერი მძაფრდება – ურთიერთობებიც და გრძნობებიც. შიში, დაბნეულობა, სასოწარკვეთა სინანული – ეს ის ემოციებია, რაც ჯადოქარ ბავშვებს წამდაუწუმ აწუხებთ. ჰარი იძულებულია, ვიღაც-ვიღაცეებზე აზრი შეიცვალოს: ვინც კეთილი და მამაცი ეგონა, მის კეთილშობილებაში დაეჭვდეს, ხოლო ვინც – დიდი გარეწარი, აღმოაჩინოს, რომ მასაც ჰქონია დადებითი თვისებები. მას ძალიან ახლობელი ადამიანის სიკვდილის გადატანაც მოუწევს...


გასაყიდად დამზადებული წიგნები.


ჰარის ფანის საძინებელი ოთახი.


სამანტას და დედამისს "ჰარი პოტერი" ერთნაირად უყვართ.

აი, სწორედ ამ დაძაბული შინაარსის გამო ასკვნიან, რომ მეხუთე წიგნი უფრო დიდებისთვისაა განკუთვნილი და ის აღარ გახლავთ სათავგადასავლო, სახალისოდ წასაკითხი წიგნი პატარებისთვის.

და, რაც მთავარია, "ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენი" შეიცავს პასუხს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კითხვაზე, რომელიც ჰარის ფანებს პირველივე ტომის გამოსვლის შემდეგ არ ასვენებთ: "რატომ ცდილობდა ვოლდემორტი თოთო ჰარის მოკვლას?"

აი, მხოლოდ ამ ზოგად ინფორმაციას ფლობდნენ ჰარის ფანები წიგნის მსოფლიო პრეზენტაციამდე. მათ ასევე ჰქონდათ ბედნიერება, ჯეი ქეი როულინგთან ინტერვიუც მოესმინათ, საიდანაც არანაკლებ საინტერესო ამბები შეიტყვეს:

თურმე, გამომცემლებისგან დაწესებული ვადები ავტორს ისე ბოჭავდა, რომ ერთ ხანს მზად იყო, ტყუილი ეთქვა – ხელი მოვიტეხე და წერას ვეღარ ვაგრძელებო. მისგანვე შეიტყვეს ფანებმა, რომ ახალ წიგნში ჰარი "ძალიან, ძალიან, ძალიან გაბრაზებულია" და საამისო მიზეზებიც აქვს. ზემოთნახსენები სიკვდილის სცენის წერისას კი როულინგს უტირია კიდეც: "როცა ეს ეპიზოდი დავწერე, სამზარეულოში შევედი, თვალებზე ცრემლები ღვარ-ღვარით ჩამომდიოდა. შეშფოთებულმა ნილმა (ჯეი ქეის მეუღლე) შესძახა, რა გჭირსო. მე კი მივუგე, ეს-ესაა ადამიანი მოვკალი-მეთქი. ძალიან განვიცადე" – ჰყვება როულინგი.

ის ჟურნალისტებს პოსტ-ჰარის პერიოდზეც ესაუბრა. "ძალიან გამიჭირდება... მართალია, ველი ამ პერიოდის დადგომას, რადგანაც ჰარიზე წერას არცთუ სასიამოვნო ამბები ახლავს თან; მაგრამ თან მეშინია კიდეც... ვიცი, რომ ჰარის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში დიდი სიცარიელე დარჩება".

თუმცა, ჯერ სიცარიელემდე შორსაა. ჯერ დღის შუქი უნდა იხილოს კიდევ მეექვსე და მეშვიდე წიგნებმა. მათ, ვინც ჰარი პოტერის თავგადაკლული ფანია, ვაცნობებთ, რომ როულინგს უკვე დაწყებული აქვს მუშაობა მეექვსე ტომზე. ანუ, მეექვსე "ჰარიც" გზაშია.

ამასობაში როულინგი მდიდრდება და მდიდრდება. ამბობენ, რომ ედინბურგელი მწერალი ქალი, რომლის გაყინულ ბინაშიც წინათ ვირთხები დარბოდნენ, ახლა დედოფალ ელიზაბეტზე მდიდარია. უფრო ზუსტად, კი არ ამბობენ, ასე ამტკიცებს გაზეთ "სანდი თაიმსის" "მდიდართა ნუსხა". მასში ნათქვამია, რომ როულინგის ქონება "ჰარი პოტერის" წიგნების, ფილმების და მისი სახელობის ნივთების გაყიდვიდან 444 მილიონ დოლარს აღწევს. დედოფალს კი – 397 მილიონი დოლარი აქვს. თუმცა, ამ ინფორმაციის სიზუსტე ეეჭვება თავად ავტორს: "არა მგონია, დედოფალზე მდიდარი ვიყო. მით უფრო, რომ არც 280 მილიონი დოლარი მაქვს". შეიძლება, ის დედოფალზე მდიდარი, მართლაც, არ იყოს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ 200 ქვეყანაში, 55 ენაზე მისი ოთხი წიგნის 190 მილიონი ეგზემპლარია გაყიდული. ეს კი ცოტა თანხას სულაც არ უდრის. ამას დაუმატეთ "ჰარის" ფილმებიდან შემოსული თანხაც და შედეგი სახეზე იქნება.

### ბიზნესი: ჰარი პოტერი

მოკლედ, თუ ღამეულ რიგებში დგომით დაღლილ ფანებს ერთი სული ჰქონდათ, სანამ ნანატრ წიგნს მოიპოვებდნენ, ბიზნესმენები მოუთმენლად ელოდნენ დოლარებს, რომელთაც წიგნების გაყიდვის შემდეგ ჩაიგდებდნენ ხელში.

მაგალითად, "უოლ-მარტის" მაღაზიათა ქსელი ავიღოთ. ისინი მეტი მყიდველის მისაზიდად ერთი კვირით ადრე პირდებოდნენ ფანებს, რომ შუაღამისას ჰარისთვის გამოცხობილი ტორტებით გაუმასპინძლდებოდნენ მათ, ხოლო მეხუთე წიგნთან ერთად, გაჰყიდდნენ ჰარის სათამაშოებს და DVD-ებსაც. სათამაშოების ცნობილმა ქსელმა Toys R Us-მა კი სპეციალურად პრეზენტაციისთვის თავის მაღაზიებში სახელდახელოდ მოაწყო ჰარის ბუტიკები – მისი სახელობის ათასგვარი სათამაშოთი სავსე.

ეს კი იმის საუკეთესო მაგალითია, რომ მასკულტურული (მეტიც, "ჰარი პოტერი" მასკულტურულზე უარესია – ის დამოუკიდებელი მსოფლიო მიმდინარეობაა. ამიტომაც არის გაჩაღებული მისი მავნე გავლენის შესახებ დიდი დავა) წიგნის გამოსვლა მის გარშემო გაჩაღებული ბიზნესის უდიდეს წარმატებასაც უზრუნველყოფს. ანუ, იყიდება სუპერ-პოპულარული წიგნი და იყიდება წიგნის გმირების თოჯინებიც, ზურგჩანთებიც, თმის სამაგრებიც, თეთრეულიც კი... ჰარის შესახებ გამოსული ნივთები იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ ინტერნეტ აუქციონმა eBay-მ ცალკე ვებ-გვერდი გახსნა ჰარის პროდუქციისთვის. როგორც ამბობენ, საიტზე ათი ათასამდე ნივთი იყრის თავს.

თუმცა, ეს წვრილ-წვრილი ბიზნესი იქით იყოს. მთავარი ვაჭრობა ხომ წიგნების მაღაზიებში მიდის. გამომცემლობა "სქოლასტიქი", რომელიც "ჰარის" ამერიკული გამოცემის ექსკლუზიურ უფლებას ფლობს, მეხუთე წიგნს რეკორდული რაოდენობით სტამბავს – გაყიდვაში უკვე ჩაეშვა 8.5 მილიონი ეგზემპლარი. თანაც, არ დაგავიწყდეთ, ეს მხოლოდ პირველი გამოცემაა. უკვე არსებობს 1 მილიონით მეტი შეკვეთა და ვარაუდობენ, რომ მისი რიცხვი კიდევ უფრო მოიმატებს.

მოგების გასაზრდელად დაგეგმილ საპრომოუტერო კამპანიაზე გამომცემლობა 3.5 მილიონ დოლარს ხარჯავს (ესეც, თავის მხრივ, რეკორდული რიცხვია). ამ თანხით გამომცემლობა თითოეულ მყიდველს უფასოდ ურიგებს 3 მილიონამდე სტიკერს, 400 ათას ბროშს და პრეზენტაციისთვის განკუთვნილი ნივთების 15 ათას კომპლექტს.

ეს "პოტერომანია" მწიფდებოდა ჯერ კიდევ დღევანდელ პრეზენტაციამდე. როდესაც გაირკვა, რომ წიგნი 21 ივნისს გამოვიდა, "ამაზონ. კომმა" მაშინვე ათასობით წინასწარი შეკვეთა მიიღო. მერე ეს რიცხვი 1 მილიონამდეც გაიზარდა. შედარებისთვის გეტყვით, რომ ეს იმაზე მეტია, ვიდრე ჰილარი კლინტონის ყბადაღებული მემუარები Living History. დიდ ციფრებზე საუბრობს წიგნების ცნობილ მაღაზიათა ქსელი Barnes & Noble. მისი წარმომადგენლების თქმით, წინასწარი შეკვეთების რიცხვმა ასობით ათასს მიაღწია.

ინიციატივა გამოიჩინეს დანარჩენმა მაღაზიებმაც. მათ ჰარის ფანებს ღამეული წვეულებები მოუწყვეს. პრეზენტაციებზე დაბორიალებდნენ ჯადოქრები და ქვიდიჩის მოთამაშეებიც კი. გამდიდრდა ტკბილეულების მწარმოებელი კომპანია "ჯელი ბელი ქენდი", რომელმაც დაამზადა იმ სახეობის კანფეტები, რაც "ჰარიშია" ნახსენები და პრეზენტაციის ღამეს მაღაზიებში დაარიგა. ხაშის, ისპანახის და ა.შ. კანფეტების გამოჩენამ ჰარის ფანებში, მართლაც, ფურორი მოახდინა...

მოკლედ, ზუსტად იწინასწარმეტყველა წიგნის მაღაზიის კალიფორნიელმა მფლობელმა მაიკ რუსომ – 21 ივნისი, ანუ, "ჰარი პოტერის" მეხუთე წიგნის გამოსვლა ეს იგივე იქნებაო, რაც შობის დღესასწაული ივნისში. ასეც მოხდა. 21 ივნისი პიკი იყო იმ ყველაფრისა, რასაც "პოტერომანია" ჰქვია. თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სანამ ფანები მეხუთე წიგნს "ნთქავენ", ფსიქოლოგები მათ ქცევას აკვირდებიან და ცდილობენ დაადგინონ, ბოლოს და ბოლოს, როგორი გავლენა აქვს ჰარი პოტერს მკითხველზე.

## ოცეულები

### კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ოცეული

| ფილმის დასახელება | უიკენდის შემოსავალი | რეჟისორი | მსახიობი |
|---|---|---|---|
| 1. Finding Nemo | $28,384,483 | ენდრიუ სტენტონი | ალბერტ ბრუქსი, უილემ დეფო, ჯეფრი რაში |
| 2. 2 Fast 2 Furious | $18,679,370 | ჯონ სინგლტონი | პოლ უოკერი, ტაირესი, ევა მენდესი, დევონ აოკი |
| 3. Bruce Almighty | $14,238,315 | ტომ შედიაკი | ჯიმ კერი, ჯენიფერ ანისტონი, მორგან ფრიმენი |
| 4. Rugrats Go Wild | $11,556,869 | ნორტონ ვირჯიენი, ჯონ ენგი | ბრუს უილისი, კრისი ჰაინდი, ნენსი კარტრაიტი |
| 5. Hollywood Homicide | $11,112,632 | რონ შელტონი | ჰარისონ ფორდი, ჯოშ ჰარტნეტი, ლენა ოლინი |
| 6. Dumb and Dumberer: When Harry Met Lloyd | $10,845,064 | ტროი მილერი | ერიკ კრისტიან ოლსენი, დერეკ რიჩარდსონი, რეიჩელ ნიკოლსი |
| 7. The Italian Job | $9,609,425 | გერი გრეი | მარკ უოლბერგი, შარლიზ თერონი, ედვარდ ნორტონი |
| 8. The Matrix Reloaded | $5,745,465 | ენდი და ლერი ვაჩოვსკები | კეანუ რივზი, მონიკა ბელუჩი, ლორენს ფიშბერნი, |
| 9. Daddy Day Care | $2,204,402 | სტივ კარი | ედი მერფი, ჯეფ გარლინი, სტივ ზანი |
| 10. X2: X-Men United | $1,740,529 | ბრაიან ზინგერი | ჰიუ ჯეკმენი, ჰალი ბერი, რებეკა რომეინ-სტამოსი, იან მაქკელენი |
| 11. Wrong Turn | $1,317,972 | რობ შმიდტი | ელიზა დუშკუ, დესმონდ ჰარინგტონი |
| 12. Bend It Like Beckham | $801,301 | გურინდერ ჩადჰა | პარმინდერ ნაგრა, კაირა ნაითლი |
| 13. The In-Laws | $677,377 | ენდრიუ ფლემინგი | მაიკლ დუგლასი, ალბერტ ბრუქსი, ლინდსეი სლოანი |
| 14. Down With Love | $352,467 | რეიტონ რიდი | რენე ზელვეგერი, ევან მაკგრეგორი |
| 15. Holes | $345,101 | ენდრიუ დევისი | სიგურნი უივერი, ჯონ ვოიტი |
| 16. Spellbound | $323,211 | ჯეფრი ბლიცი | ჰარი ალტმანი, ანჯელა არენივარი |
| 17. Winged Migration | $322,961 | ჟაკ პერენი | ჟაკ პერენი (მთხრობელი) |
| 18. A Mighty Wind | $309,318 | კრისტოფერ გესტი | კრისტოფერ გესტი, მაიკლ მაქკინი, იუჯინ ლევი |
| 19. L'Auberge Espagnole | $248,348 | სედრიკ კლაპიში | რომეინ დურისი, სესილ დე ფრანსი, ჯუდიტ გოდრეში, ოდრი ტატუ |
| 20. Ghosts of the Abyss | $232,050 | ჯეიმს კამერონი | ბილ პექსტონი, ჯონ ბრუელოტი, ლორი ჯონსტონი |



### ჟურნალ "ბილბორდის" კვირის საუკეთესო ალბომების ოცეული

| შემსრულებელი | ალბომი |
|---|---|
| 1. ლუთერ ვენდროსი | Dance With My Father |
| 2. ჯგუფი "მეტალიკა" | St. Anger [CD & DVD] |
| 3. ჯგუფი "რეიდიოჰედი" | Hail To The Thief |
| 4. ენი ლენოქსი | Bare |
| 5. ჯორჯ სტრეიტი | Honkytonkville |
| 6. თანმხლები მუსიკა ფილმისთვის | 2 Fast 2 Furious [Edited] |
| 7. 50 Cent | Get Rich Or Die Tryin' [PA] |
| 8. ჯო ბადენი | Joe Budden [Edited] |
| 9. ჯგუფი "სთილი დენი" | Everything Must Go |
| 10. ნორა ჯონსი | Come Away With Me |
| 11. ჯგუფი Evanescence | Fallen |
| 12. ჯგუფი Jewel | 0304 [ECD] |
| 13. კელი კლარკსონი | Thankful [ECD] |
| 14. ჯგუფი "ლედ ზეპელინი" | How The West Was Won [Box] |
| 15. შერი | Very Best Of Cher |
| 16. ჯგუფი "ბიჩ ბოიზი" | Sounds Of Summer: Very Best Of |
| 17. თანმხლები მუსიკა ფილმისთვის | The Lizzie McGuire Movie |
| 18. ლოუნ სტარი | From There To Here: The Greatest Hits |
| 19. ჯგუფი "თრეინი" | My Private Nation |
| 20. ჯასტინ გუარინი | Justin Guarini [ECD] |



# ბეწვზე გადარჩენილი



*ჰელენა კრისტენსენი*

მოდელი ჰელენა კრისტენსენი მხოლოდ ახლა მოყვა, რომ მეგობართან ერთად 1994 წელს ავსტრალიაში, ახალ სამხრეთ უელსში მოგზაურობის დროს კინაღამ მანიაკის მსხვერპლი გახდა.

დანიელმა ტოპ-მოდელმა The Sun-ს უამბო: “გვიანი იყო. ის კაცი ოდნავ მოშორებით, მანქანით ნელა მოგვყვებოდა. მერე მანქანა გააჩერა, გადმოხტა და დაგვეძგერა. გავიქეცით, მაგრამ ნამდვილად დაგვეწეოდა, უბრალოდ, ამ დროს სატვირთო მანქანა გამოჩნდა. უცნობს მისი შეეშინდა და თავი დაგვანება”.

მოგვიანებით ჰელენამ პოლიციაში თავდამსხმელის ამოცნობა შეძლო. ის ივან რობერტო მარკო მილატი იყო, სერიული მკვლელი. 1989-დან 1992 წლამდე მან შვიდი ახალგაზრდა ქალი გააუპატიურა და წამებით მოკლა. მერვე გოგონა მძიმედ ყოფილა დაჭრილი, მაგრამ გაქცევა მოახერხა. მილატი 1994 წელს დააკავეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

# ორმოცდაათიანები



*კრისტიან დიორი. ვილი ნეივალდი*

გერმანულ ქალაქ საარის ისტორიულ მუზეუმში გახსნილი გამოფენა Nylon & Caprisonne გასული საუკუნის 50-იანი წლების მოდას ეძღვნება. ექსპოზიცია იმ დროის ტანსაცმელს, აქსესუარებს და საყოფაცხოვრებო საგნებს წარმოადგენს. დარბაზებში კოქტეილის კაბები, თეთრეული, საბანაო კოსტუმები, სათამაშოები და მრავალი სხვა ნივთია გამოფენილი. ყველაზე თვალსაჩინო ექსპონატები მიუნხენის საქალაქო მუზეუმის კოლექციაში შესული ელეგანტური ტანსაცმელია.

ომის წლების ასკეტური და პრაქტიკული მოდის შემდეგ, 50-იანებში ახალი თაობის მოდა შეიქმნა, რომლის დიდოსტატებიც კრისტობალ ბალენსიაგა, კოკო შანელი, პიერ ბალმენი და, რასაკვირველია, კრისტიან დიორი იყვნენ – ამ უკანასკნელის New Look ელეგანტურობის ეტალონად იქნა აღიარებული.

იმ დროის ბრწყინვალებას გამოფენაზე მსახიობი ქალების კაბები წარმოადგენს – რომი შნაიდერის, ლილ დაგოვერის და საბინა სინიენის ტანსაცმელი.

გამოფენა 14 სექტემბრამდე გაგრძელდება.



*პიერ ბალმენი და რუთ ფორდი*

# მომავალი დედები

ორსულმა იტალიელმა ქალებმა პირველად გამართეს სილამაზის კონკურსი. გამარჯვება 30 წლის ჯესიკა პასკუალეს ხვდა წილად, რომელიც, რასაკვირველია, სულ მალე დედა გახდება. მას უკვე შეურჩევია სახელი თავის მომავალი შვილისთვის - ფელიპე, და იმედოვნებს, რომ ის დედიკოს წარმატებით ძალიან ამაყობს.

ექიმები თვლიან, რომ მსგავს აქციებში მონაწილეობა ორსული ქალებისთვის საუკეთესო რამაა. ისინი ხალისობენ, ხალხში ტრიალებენ, რაც სტრესებს თავიდან აარიდებთ – მოგეხსენებათ, ორსულობის ჟამს ხასიათი ხშირად უფუჭდებათ ხოლმე. ორგანიზატორები კი ამაყად აცხადებენ, მომავალი მამებიც ძალიან კმაყოფილები იყვნენო.

## კროსვორდი




## კომპანია "იუ-ჯი-თი"

აცხადებს კონკურსს [illegible]

UGT

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება (ეკონომიკური ან ტექნიკური განხრით);
- ბიზნეს პროექტების ჩამოყალიბების, განხორციელებისა და ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) სრულყოფილი ცოდნა.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის დოკუმენტები:

- განაცხადი (მოგვწოდებთ UGT-ის ოფისში);
- ფოტოსურათი;
- დიპლომის ასლი.

ან გამოაგზავნეთ თქვენი რეზიუმე: vacancy@ugt.com.ge
მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 17 ა UGT
განცხადების მიღების ბოლო ვადაა 26 ივნისი.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24






## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, ტელ: 202424 ფაქსი: 202425, e-mail: public@24hours.ge
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში

# ხელოვნებას ქმნიან ინ-დი-ვი-დუ-უ-მე-ბი

ქეთევან სადღობელაშვილი

*ერთ შაბათ-კვირას დედას დაჰყავს კათოლიკურ ეკლესიაში (დედა ქართველ კათოლიკეთა ოჯახიდანაა), სადაც კონსერვატორიის სტუდენტები ლუთერანი ბახის მუსიკას უკრავენ ორგანზე. მეორე შაბათ-კვირას ბებიას მიჰყავს მართლმადიდებლურ ტაძარში, სადაც გუნდი გალობს. უმეტეს დროს კი ბიჭი სახლთან ახლოს, "გოფილექტის" საზაფხულო ბაღში ატარებს. ხშირად ესწრება სიმფონიური ორკესტრის რეპეტიციებს, რომლებსაც ოდისეი დიმიტრიადი ატარებს. კონცერტებზე ბილეთის შეძენა არ სჭირდება - ბაღში ისედაც მშვენივრად ისმის ყველაფერი. ძველი ფილარმონიის საზაფხულო თეატრში, ესტრადის მომღერლების გარდა, ისეთი შემსრულებლებიც გამოდიან, როგორც ისააკ სტერნი, ვან კლაიბერნი, კარლო ცეკი და ლეონიდ კოგანია.*

*მართალია, ოჯახში მუსიკოსი არავინაა, მაგრამ ბიჭი ინტენსიურად დაჰყავთ ფორტეპიანოზე, ირინა ორეხოვსკაიასთან. ამასობაში, თბილისში გამოჩნდება ფილმი "მზიური ველის სერენადა", გლენ მილერის მუსიკით. მასაც უსასრულოდ შეუყვარდება ჯაზი და განუწყვეტელ იმპროვიზაციებშია. მოგვიანებით იტყვის კიდეც: ჯაზის უსაზღვრო სიყვარული რომ არა, მუსიკოსი არ გავხდებოდი და ჩემი ბედი სხვაგვარად წარიმართებოდაო. მუსიკალური შვიდწლედი კი დაამთავრა, მაგრამ მუსიკალურ ტექნიკუმში მისაღებ გამოცდაზე ჩაიჭრა ("ხორუმის" რითმი ვერ დაუკრა მაგიდაზე) და გაბრაზებული "ჩამოშორდა" მუსიკას. ომიდან დაბრუნებული მამის მცდელობის მიუხედავად - შვილი მის პროფესიას გაჰყოლოდა და ექიმი გამხდარიყო, სხვაგვარად მოიქცა. მაშინდელ მოდურ - გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა უნივერსიტეტში, თუმცა, მალევე, ერთ-ერთ გეოლოგიურ ექსპედიციაში მტკიცედ გადაწყვიტა, მუსიკას დაბრუნებოდა, კონსერვატორიაში ჩაებარებინა და აეხდინა ოცნება - შეექმნა საკუთარი ჯაზ-ბენდი. უნივერსიტეტის სახელმწიფო გამოცდების პარალელურად მუსიკალურ თეორიასა და ჰარმონიაში ემზადებოდა შესანიშნავ პედაგოგთან, ქრისტეფორე არაქელოვთან. 1958 წელს უნივერსიტეტის მეხუთეკურსელისა და კონსერვატორიის აბიტურიენტის სახელი უკვე ცნობილი იყო მუსიკალური წრისათვის, რადგან დაწერილი ჰქონდა რომანსი ილია ჭავჭავაძის ლექსებზე, პიესები ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის და საესტრადო სიმღერა "უცნაური გოგონა".*

*ინტერესი გია ყანჩელის მუსიკისადმი დღემდე მძაფრია, რადგან მისი სიმფონიები, კამერული ნაწარმოებები, თეატრისა და კინოს მუსიკა გამოკვეთილად ინდივიდუალური, მელოდიური და ჰარმონიულია (თითოეულ მათგანზე მცირეოდენი შთაბეჭდილებაც კი უკვე სქელტანიანი წიგნის მასალაა). ცალკე თემაა ყანჩელის მიძღვნები: III სიმფონია - ჯანსუღ კახიძეს, V სიმფონია - მშობლებს, ლიტურგია "ქარით დატირებულნი" - გივი ორჯონიკიძეს. ხოლო როცა IV სიმფონიის შესახებ ჰკითხეს, რატომ მიუძღვნა ეს ნაწარმოები მიქელანჯელოს, უპასუხა: იმიტომ, რომ კარგი ადამიანი იყო. არადა, ისე იშვითია, აღიარო, რომ კარგი ადამიანი კარგია... თუნდაც, ის მიქელანჯელო იყოს. ვინც უყვარს, მათზე დაუზარებლად ლაპარაკობს. საკუთარ სამყაროზე საუბრისას კი ხშირად იყენებს ერთ, ძუნწ ფრაზას - არ ვიცი.*






გია ყანჩელი.

- არ იფიქროთ, რომ პასუხის გაცემას ვერიდები, მართლა არ ვიცი. როგორ გითხრათ ჩემს შინაგან სამყაროზე, როცა მეცნიერებას, რომელმაც უმაღლეს დონეს მიაღწია, ადამიანის შინაგანი მდგომარეობა ჯერჯერობით ამოუხსნელი დარჩა და დარწმუნებული ვარ, ვერც ვერასდროს ამოხსნის. ხოლო იმაზე, თუ რა არის ჩემთვის სამყარო, შემიძლია გითხრათ, რომ ყველაფერია, რაც გარშემო ხდება, მაგრამ, რა შეიძლება იყოს სტიმული იმისათვის, რომ სამუშაო პროცესი დაიწყოს, აბსოლუტურად გაუგებარი ამბავია. მეტსაც გეტყვით, ვინც ამბობს, რომ მისი სამყარო ბგერები ან ფერებია, არ დაიჯეროთ, ჩემი აზრით, ამას იმიტომ ამბობენ, რომ თქვენ ნორმალური პასუხი მიიღოთ.

**- ეს პასუხებიც, ალბათ, უფრო პირობითია.**

- ალბათ. ახმატოვა ხომ ამბობს: ვინ იცის, ან ვის შეუძლია, განსაზღვროს, რომელი ნაგავიდან იქმნება ლექსიო. იგივე ხდება მუსიკაშიც. არსებობს ხმაური და ბგერები, ვინ როგორ ალაგებს ამ ბგერებს და ქმნის მუსიკას, ჩემთვის გაუგებარია. ვიღაცისთვის შეიძლება გასაგები იყოს.

**- თქვენს მუსიკაში თუ ახდენთ "არ ვიცი"-ს რეალიზებას, ანუ იქ მაინც თუ იცით, რა ხდება?**

- ეს შემიძლია განვსაზღვრო მხოლოდ სიჩუმის კატეგორიით დარბაზში. არა ხანგრძლივი ოვაციით, არა პრესითა და რეცენზიებით, არამედ იმ სიჩუმით, რომელიც მუსიკის შესრულების დროს ჩამოვარდება ხოლმე დარბაზში. ვიცი ის სიჩუმე, რომელიც მსმენელის ინტელიგენტობის გამომხატველია, როცა, უბრალოდ, სხედან და მისმენენ. ვიცი ის სიჩუმე, როდესაც იბადება კონტაქტი, ანუ იბმება ძაფები შემსრულებლებსა და დარბაზს შორის, შუამავალი კი მათ შორის დირიჟორია... და არის კიდევ ერთი სიჩუმე, რომლის მიღწევასაც ყოველთვის ვნატრობ - როცა მსმენელი თავიდანვე, მისებურად ახდენს მუსიკის აღქმასა და გაიგივებას. აი, მაშინ არც გაბმულ ძაფებზე ვფიქრობ, არც იმაზე, ვისი დამსახურება მეტია: კარგი შემსრულებლის, დირიჟორის თუ დარბაზის. არ შეიძლება, დარბაზში ორი ადამიანი იჯდეს და ერთნაირად აღიქვამდეს მუსიკას. შედარებით ერთნაირად შეიძლება ფერწერის აღქმა, ვინაიდან ის მაინც ხედვასთანაა დაკავშირებული, პროზისა და პოეზიის აღქმა, მაგრამ ერთნაირი აღქმა არ არსებობს მუსიკაში, მისი აბსტრაქტული ხასიათის გამო. მუსიკის მოსმენისას ერთმა შეიძლება იფიქროს თავის დუხჭირ ცხოვრებაზე, მეორემ კი წარმოიდგინოს მომავალი და იმედი გაუჩნდეს. სწორედ ამ, აბსოლუტურად სხვადასხვა აღქმაშია მუსიკის ბედნიერება.

**- ბევრისგან გამიგონია, რომ შინაგანი მდგომარეობის მიხედვით, ხშირად ხსნას მუსიკაში პოულობენ. ამ ნიშნით, არის თუ არა მუსიკა ერთგვარი თავშესაფარი?**

- ალბათ, არის. უბრალოდ, თითოეული ადამიანისთვის, შესაძლოა, ასეთი თავშესაფარი იყოს მუსიკალური ჟანრები, ძალიან განსხვავებული, ხშირად გაუგებრად კონტრასტულიც კი. მაგალითად, თუ მინდა გამოვეთიშო ყოველდღიურობას და დავივიწყო ის, რამაც უარყოფითად იმოქმედა ჩემზე, შემიძლია, მოვისმინო ბახი და ის მეხმარება, ან სტინგის რომელიმე არაჩქარი ნაწარმოები, ასევე, საეკლესიო საგალობლები, გურული სიმღერა, მაგრამ არა "ხასანბეგურა", არამედ ისეთი, გურულები რომ ღიღინებენ. აი, უკვე გითხარით, რას ნიშნავს მუსიკის ინდივიდუალური აღქმა. სხვამ შეიძლება დაგისახელოთ ისეთი ავტორები, რომელთა ინტენსიური, ჩქარი მუსიკა აძლევთ იმას, რასაც მე - ნელი მუსიკა.

**- რა არის კომპოზიტორისთვის ის მნიშვნელოვანი თვისება, რომელსაც ეყრდნობა მუსიკალური ნაწარმოების შექმნისას?**

- საკუთარ თავს მივაკუთვნებ იმ ადამიანებს, რომლებიც ბევრად არიან დამოკიდებული ინტუიციურ შეგრძნებასა და აღქმაზე. ვიცი ავტორები, რომლებიც ნაკლებად ენდობიან ინტუიციას და წინასწარ აქვთ განსაზღვრული მუსიკალური მასალა, ფორმა, დრამატურგია და ჩანაფიქრის პარტიტურას ერთ გვერდზე მოინიშნავენ ხოლმე. მე ვიწყებ მასალის მოძიებიდან და ვცდილობ, მოძიებული მუსიკალური მასალა იყოს მრავალფეროვანი და კონტრასტული. დავუშვათ, მოვხაზე თხუთმეტიოდე თემა, რომლიდანაც საბოლოოდ რჩება ორი ან სამი. დანარჩენზე უარს ვამბობ. მთელი სამუშაო პროცესი დამოკიდებულია ინტუიციასა და ქვეცნობიერის აღქმაზე. ამ დროს პირობითობა მუშაობს და ძალიან მეხმარება ქვეცნობიერისა და ინტუიციურის თანაარსებობა.

**- ახლახან ბრძანეთ კონტრასტზე, რომელიც თქვენს მუსიკაში ძალზე საგრძნობია. არის თუ არა ყანჩელის მუსიკა ერთგვარი თეატრალური კატეგორია? გავიხსენოთ, თუნდაც რომელიმე სპექტაკლი...**

- შეგაწყვეტინებთ. ალბათ, არის თეატრალური კატეგორია. როცა თეატრში ან კინოში ვმუშაობ, იძულებული ვარ, გავაკეთო ის, რაც სჭირდება დამდგმელ რეჟისორს, რადგან ჩემს თავს ვთვლი ისეთივე დამხმარე ძალად, როგორც მხატვარი, მსახიობები და გამნათებლები არიან. მე ვარ ერთ-ერთი ვექტორი იმ შემოქმედებისა, რომელსაც ახორციელებს რეჟისორი. ახალგაზრდობაში ორი სპექტაკლი გავაკეთე ტოვსტონოგოვთან და კიდევ რამდენიმე სხვასთან. მერე უარი ვთქვი ყველაფერზე და მთელი ცხოვრება სტურუასთან ვმუშაობ. უახლოეს მომავალში ლონდონში ძალიან საინტერესო პროექტი ხორციელდება და ვმუშაობ ინგლისელ რეჟისორთან. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ტანჯვაა ეს ჩემთვის, რადგან იქ რობიკო არა მყავს და იმ კაცთან კიდევ საერთო ენას ვერ გამოვნახავ.

**- გიჭირთ ახალი ადამიანების შემოშვება თქვენს სამყაროში? საერთოდ, გამიგონია, რომ მკაც-**



მამასთან ერთად



სტუდენტობის წლები



ჯანსუღ კახიძესთან



ფურცელთან და ფანქართან...

**რად განსაზღვრული ადამიანების წრე გყავთ და საკმაოდ არაკომუნიკაბელურიც ხართ. რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ უცბად მიიღოთ ადამიანი - ინტერესთა თანხვედრა, ინტელექტი, ნიჭი... თუ რა შეიძლება ეს იყოს?**

- ძნელია პასუხი, იმიტომ რომ ყველაფერი მაინც ადამიანის ბუნებაზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, მაქსიმალისტი ვარ, ან ვიღებ, ან არა. და ვისაც არ მივიღებ, ისინი ჩემთვის არც არსებობენ. საერთოდ, ძალიან იშვიათად ვიღებ ადამიანს, მაგრამ ახლა არ მინდა დავკარგო აზრი, როცა მოგახსენებდით, თეატრსა და კინოში დამხმარე ძალა ვარ-მეთქი. მართლა ასე ვფიქრობ, მაგრამ როცა ჩემს თავთან ვრჩები და ვწერ კამერულ ნაწარმოებს, მაშინ თავად ვარ რეჟისორიც და კომპოზიტორიც, მყავს ქორეოგრაფი, მხატვარი, გამნათებლები და ვქმნი ჩემს თეატრს. ვინაიდან დაკავშირებული ვარ თეატრთან და კინოსთან, უმრავლეს ნაწარმოებში, რომელთაც ჩემთვის ვწერ, მაინც მუშაობს მონტაჟის პრინციპი და ნაწარმოები თეატრისთვის დამახასიათებელ თვისებებს იძენს. ამიტომ ჩემი თეატრი არ შეიძლება აბსოლუტურად განსხვავებული იყოს სტურუას თეატრისგან, დანელიასა და ელდარ შენგელაიას თეატრისგან. ამას, რა თქმა უნდა, პირობითად ვამბობ.

**- შესაძლოა, ეს შემთხვევით ხდებოდეს, შესაძლოა, კანონზომიერად, მაგრამ თქვენ ყოველთვის ირჩევთ მაღალი დონის შემსრულებლებს. თითქმის არ გამიგონია, ნაკლებად წარმატებულ ადამიანებთან თქვენი შემოქმედებითი ურთიერთობის შესახებ. წინასწარ განსაზღვრავთ ხოლმე იმ სიმაღლის ნიშნულს, რომლის მიხედვითაც არჩევთ პარტნიორებს?**

- თუკი შეიძლება რაღაც ნიშნულზე ლაპარაკი, ალბათ, ეს გახლავთ მოვლენა, რომელიც დღემდე ამოუხსნელია ჩემთვის. გაუგებარია, როგორ მოხდა, რომ ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, როცა კონსერვატორიაში ჩაბარება გადავწყვიტე, ჩემს გვერდით აღმოჩნდნენ: ბიძინა კვერნაძე, სულხან ნასიძე, რობერტ სტურუა, უბრწყინვალესი მეცნიერი, ფილოსოფოსი და მუსიკისმცოდნე გივი ორჯონიკიძე, ჯანსუღ კახიძე, რომელმაც საერთოდ გარდაქმნა ჩემი ცხოვრება. როცა ჯანსუღს დავუახლოვდი, ჩემი ოცნება იყო, დამემთავრებინა კონსერვატორია და მიმეღო გარკვეული ცენზი, რომელიც უფლებას მომცემდა, ოდესმე დავმდგარიყავი ბიგ-ბენდის წინ და მედირიჟორა. მაშინ ჯაზით ვიყავი გატაცებული. რომ არ ყოფილიყო ჯანსუღი, შეიძლება, არასოდეს გამჩენოდა სიმფონიურ და კამერულ მუსიკასთან შეხების სურვილი, რომელიც ჩემი ცხოვრების მთავარ მიზნად იქცა. ანდა, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტს მექნებოდა ბედნიერება და ჩემს ნაწარმოებს "ლარგო და ალეგრო სიმებიანი ორკესტრისა და დასარტყმელი ინსტრუმენტებისათვის", მოსკოვში, ფილარმონიის ორკესტრთან ერთად უდირიჟორებდა კირილ კონდრაშევი. ბედისწერასთანაა დაკავშირებული ისიც, რომ როჟდესტვენსკი დაინტერესდა ჩემი მუსიკით და დაიწყო მისი შესრულება. ერთ მშვენიერ დღეს კი კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ჩემი სიმფონიის შესრულების შემდეგ, მოვიდა იური ბაშმეტი და მთხოვა, მისთვის რამე დამეწერა. იმ პერიოდში მოხდა ტრაგედია - გივი ორჯონიკიძე წავიდა ამ წუთისოფლიდან და ბაშმეტისთვის დავწერე ლიტურგია - "ქარით დატირებულნი", რომელიც გივის ხსოვნას მივუძღვენი. ამის შემდეგ ბაშმეტი ჩემი უახლოესი მეგობარი გახდა.

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ 56 წლის ასაკში, გერმანიაში ერთი წლის ჩასულს, საშუალება მომეცემოდა, დღემდე ჩემი მუსიკით მერჩინა თავი. უცხოეთში 11 წლის ცხოვრების მანძილზე დავწერე დიდი ფორმის 25 ნაწარმოები, მაშინ, როცა მანამდე მხოლოდ 9 მქონდა, მათ შორის - ერთი ოპერა. ასეთი რაოდენობა იმ ადამიანისთვის, რომელიც ძალიან ნელა მუშაობს, თითქმის წარმოუდგენელია. რასაც გიყვებით, ყველაფერს ბედიღბალთან ვაკავშირებ, რადგან ახსნას ვერ ვპოულობ, როგორ შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში ალფრედ შნიტკე და გიდონ კრემერი, რომელმაც მთხოვა, მისთვის რამე დამეწერა. ასე გაჩნდა "ლამენტი" - 45-წუთიანი ნაწარმოები ვიოლინოს, სოპრანოსა და დიდი ორკესტრისათვის. წარმოიდგინეთ, კაცმა, რომელსაც მსოფლიოს ყველა ქალაქში კონცერტები 2-3 წლით ადრე აქვს დაგეგმილი, ჩემი ნაწარმოები წელიწადნახევარში 37-ჯერ დაუკრა. მაშინ მას სჭირდებოდა მტკიცება, თუ რატომ აკეთებდა ამას, რადგან მე არ მქონდა ისეთი სახელი მსოფლიოში, როგორიც დღეს. 1993 წელს შევხვდი როსტროპოვიჩს, რომელმაც თვითონ მოისურვა ჩემი გაცნობა და ჩვენი ურთიერთობა დღემდე გრძელდება. რაც შეეხება დირიჟორებს, ჯანსუღ კახიძე ჩემთვის ტაძარზე მეტია, იმიტომ რომ ჩემი არც ერთი პრემიერა მის გარეშე არ შემდგარა. როცა ვმუშაობდი და ვწერდი, ჯანსუღისთვის ვწერდი, ის მედგა თვალწინ, მისი სადირიჟორო მანერა, მისი გაუგებარი ნიჭი, ალღო. საერთოდ, მიმაჩნია, რომ მთელი ჩემი სიმფონიების თანაავტორი არის ჯანსუღი, ამიტომ ჩემს გვართან ერთად მისი გვარიც რომ ეწეროს, აბსოლუტურად ნორმალურია. კანონზომიერი აღმოჩნდა ჩემთვის 1991 წელს ბერლინში გამგზავრებაც, რადგან თბილისიდან ისეთ დროს წავედი, როცა ჩემი ნერვული სისტემის არანორმალურმა მდგომარეობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. იმ დროს მეტისმეტად უარყოფითი დამოკიდებულება მქონდა მაშინდელი რეჟიმისა და პროცესების მიმართ.

**- რამდენადაც ვიცი, ძალიან დეპრესიული ადამიანი ხართ, თუ უფრო მელანქოლიური?**

- არც დეპრესიული ვარ და არც მელანქოლიური. უბრალოდ, ვერ ვეგუები იმას, რაც არ მესმის. შეიძლება ვერ გამოვხატო სიტყვით ან ჩარევით პოლიტიკურ პროცესებში, მაგრამ, მერწმუნეთ, ყველაფერი გამოიხატება ჩემს მუსიკაში. თუ თქვენ ხელახლა მოისმენთ მანამდე დაწერილ ჩემს ნაწარმოებებს, ნახავთ, წინასწარ რას ვგრძნობდი იმ წლებში, ვინაიდან, მუსიკა მაინც ადამიანის სულის გამომხატველია.

**- საქართველოში რომ დარჩენილიყავით, ვერ მიაღწევდით იმ აღიარებას, რომელმაც საშუალება მოგცათ, დამკვიდრებულიყავით მსოფლიო მუსიკალური სამყაროს ინდუსტრიაში?**

- ალბათ, ვერა. თუმცა, ესეც ბედია. იყო დრო, როცა უცხოეთში, არც ერთ წინადადებაზე უარს არ ვამბობდი, რადგან ბინის ქირა უნდა გადამეხადა. დღესაც უამრავი შემოთავაზება მაქვს, მაგრამ უკვე უარს ვამბობ. მე ხომ ვიცი, რა შემიძლია და რას მოვასწრებ. აი, ასე წამივიდა ცხოვრება, თუმცა, ძალიან კარგად მესმის, რომ მუსიკაზეც ბევრია დამოკიდებული. ხანდახან ვნატრობ, ნეტავი შემეძლოს, მატერიალური დახმარების მიზნით, ჩემს რომელიმე კოლეგას გადავულოცო შეკვეთები, დროებით მოვაწერო ჩემი გვარი და ხელწერილი დავდო, რომ 3 ან 5 წლის შემდეგ გამოვააშკარავებ მათ ვინაობას და ავხსნი, რატომ გავაკეთე ეს. ამით დიდად დავეხმარებოდი მეგობრებს, მაგრამ არ შემიძლია, რადგან გარკვეულ ავანტიურაზე მომიწევს წასვლა. ბუნებით კი ნამდვილად არა ვარ ავანტიურისტი.

**- ჯანსუღ კახიძე ამბობდა ხოლმე: 3-4 დღითაც რომ ვარ საზღვარგარეთ, ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ საქართველოში, რადგან მის გარეშე არ შემიძლიაო.**

- თქვენ გგონიათ, მე შემიძლია საქართველოს გარეშე ან საკუთარი თავი ბელგიის მცხოვრებად მიმაჩნია? ყოველთვის ვცხოვრობ თბილისში, რადგან არ შეიძლება, ჩემს ასაკში წასულმა ადამიანმა, თანაც, ასე შეყვარებულმა საკუთარ ქალაქზე, უბანსა და სახლზე, სადაც 5 თაობა გაიზარდა, სხვაგან მშვიდად იგრძნოს თავი. არავინ მეკითხება, უცხოეთში წასვლამდე სად დავწერე დიდი ფორმის ცხრა ნაწარმოები... გეტყვით, რომ შემოქმედებით სახლებში: დილიჟანში, რუზაში, რეპინოში, ბორჯომში, მერე ბერლინში და ახლაც, ანტვერპენში, თავს ისე ვგრძნობ, როგორც შემოქმედებით სახლში. იქ, გარდა იმისა, რომ დილიდან ღამემდე ვმუშაობ, მეტს არაფერს ვაკეთებ. მაქვს ქართული ტელეარხები, ვუსმენ რადიო "თავისუფლების" ქართულ გადაცემებს და მიმაჩნია, რომ ისევ თბილისში ვცხოვრობ.

რაც შეეხება ჯანსუღის ნათქვამს. შემსრულებლის ამბავი სხვაა და შემოქმედის - სხვა. წარმოიდგინეთ, რა უბედურება იქნებოდა, ჯანსუღი და რობიკო საზღვარგარეთ რომ დამკვიდრებულიყვნენ. მაშინ არც რუსთაველის თეატრი იარსებებდა და არც სიმფონიური ორკესტრი, რადგან ისინი დაკავშირებული არიან კოლექტივთან. მე კი, დაკავშირებული ვარ საწერ მაგიდასთან, ფანქართან და ფურცელთან. მართალია, დღეს ყველა კომპიუტერთან მუშაობს, მაგრამ მე ისევ ჩემს ძველ, განუყრელ საგნებთან ვრჩები.

**- თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ ფლობთ უზარმაზარ მუსიკალურ ინფორმაციას - სად რა იქმნება და იწერება, ან უკვე შექმნილს კარგად ამუშავებთ და ტრანსფორმირებული სახით გამოგაქვთ მსმენელის წინაშე.**

- ძალიან მშურს იმ ადამიანების, ვინც ამას ამბობს, რადგან არაჩვეულებრივი ფანტაზია ჰქონიათ. გეტყვით, რომ თანამედროვე კომპოზიტორების მიერ გამოცემული 50 დისკი მაქვს სახლში და არც ერთი არ მომისმენია.















**- გინდათ თქვათ, რომ არ იცით, რა ტენდენციებია თანამედროვე მუსიკაში?**

- სამწუხაროდ, არ ვიცი. მაგის დრო არა მაქვს. ერთადერთი, თუ სადმე ჩემთან ერთად სრულდება თანამედროვე ნაწარმოები, მაშინ ვუსმენ, მაგრამ რომ გავიგო, რა ხდება მსოფლიო მუსიკალურ სფეროში, მაშინ თავი უნდა დავანებო ჩემს საქმეს. სხვაგვარად არაფრის დრო არ მრჩება. მეტსაც გეტყვით: ის, რომ საქმის კურსში არა ვარ, რა ხდება მსოფლიოში, ძალიან მშველის. თბილისის კონსერვატორიაში საშუალოზე დაბალი განათლება მივიღე. ეს, ერთი მხრივ, ცუდია, მეორე მხრივ კი - ძალიან კარგი.

**- როგორც მსმენელს, მეჩვენება, რომ თქვენი მუსიკალური ფრაზები, რომლებიც ძალზე ნაცნობია, ხშირად გადადის და მეორდება სხვადასხვა ნაწარმოებში. თუ მეთანხმებით, ფიქრობთ, რომ ეს ფრაზები სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს ერთ დიდ ნაწარმოებად კრავს?**

- გეთანხმებით და მეტსაც გეტყვით. ერთი დიდი ფორმის ნაწარმოების დაწერა ერთ სიცოცხლეს უდრის, იმდენად მტანჯველი და რთული პროცესია. არ მჯერა ავტორების, რომლებიც ამბობენ, რომ მელოდიები მოსდით თავში, სხედან და ქაღალდზე გადააქვთ. თუ ასეთი კომპოზიტორები არსებობენ, მშურს მათი, რადგან თავად ყველაფერს ვაღწევ აუტანელი ტანჯვისა და შრომის შედეგად. მეორე ამბავია, რომ ეს შრომა და ტანჯვა არ უნდა იგრძნოს მსმენელმა, რაც დამღუპველი იქნება მუსიკისთვის. მუსიკის მოსმენისას უნდა რჩებოდეს შთაბეჭდილება, რომ ნაწარმოები დაწერილია უბრალოდ, ადვილად და ლაღად. ამიტომ მთელი პერიოდი, რომელიც ეძღვნება ერთ ნაწარმოებს, არის სიყვარულისა და სიძულვილის თანაარსებობის პერიოდი, სადაც ერთ ცხოვრებას გამოივლი ხოლმე. როცა ამთავრებ ნაწარმოებს, რჩება სრული სიცარიელე. ამიტომ შეუძლებელი ხდება, ერთი დაამთავრო და იქვე დაიწყო მეორე.

**- ბევრს ასწორებთ ხოლმე?**

- ახლა ნაკლებად. ადრე უფრო ბევრს ვასწორებდი. ძირითადად, ეს ეხებოდა გაორკესტრებას, გარკვეული ტემბრების შეცვლას, ეპიზოდების გადაადგილებას. თქვენ მკითხეთ, ფრაზები თუ გადადისო. როცა ერთი ნაწარმოები მთავრდება, გადის რაღაც დრო და იძულებული ხარ, შეუდგე ფიქრს შემდეგი ნაწარმოების მასალის მოძიებაზე.

**- შეგიძლიათ ამიხსნათ, რას ნიშნავს მასალის მოძიება?**

- ესაა ტანჯვა-წამება დილიდან ღამემდე, ჯდომა ინსტრუმენტთან, რადგან მის გარეშე მასალას ვერ ვპოულობ. როდის-როდის ჩაავლებ. არიან კომპოზიტორები, მაგალითად, შოსტაკოვიჩი და შნიტკე, რომლებიც ინსტრუმენტის გარეშე ეძებდნენ მასალას. სტრავინსკი - პირიქით, ინსტრუმენტის დახმარებით აკეთებდა ამას.

**- რას ნიშნავს პაუზა და თქვენს დაწყვეტილ მელოდიებში პაუზით მაძლევთ თუ არა საშუალებას, მომდევნო მუსიკალური ფრაზა მივიღო ისეთივე განცდით, როგორც წინა?**

- ჩემი სურვილია, მუსიკა გადავიდეს სიჩუმეში, რომელიც აღიქმება, როგორც მუსიკა და მერე ამ სიჩუმიდან დაიბადოს ისევ მუსიკა - ესაა ჩემთვის პაუზა, იგივე მუსიკა, თუ, რა თქმა უნდა, ამ პაუზის დროს ვიღაცამ გემრიელად არ ჩაახველა, რაც პირდაპირ მაგიჟებს. ერთი პროექტი გავაკეთე, რომელსაც "მილენიუმი" ერქვა და ჩემს ნაწარმოებს ასრულებდა ნიუ-იორკის ორკესტრი კურტ მაზურის დირიჟორობით. მოგეხსენებათ, ამერიკაში დემოკრატია უმაღლეს დონეზეა და კონცერტზე ქცევაც დემოკრატიის ფორმაში შედის. ნაწარმოები იწყება ეფექტით, რომელსაც შეუძლია გაჟღერება მხოლოდ სიჩუმეში. გადაჭედილ დარბაზში ჯერ ერთმა ჩაახველა, მერე მეორემ... კურტ მაზურმა ხელები ჩამოუშვა, გაჩერდა, დარბაზისკენ მოტრიალდა და 15 წამი იყო ჩუმად. დარბაზი მიხვდა სიჩუმის აუცილებლობას. მხოლოდ ამის შემდეგ შეტრიალდა დირიჟორი და თავიდან დაიწყო. ამ კონცერტთან დაკავშირებით მთხოვეს, დამეწერა ანოტაცია, რომელშიც დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით მივმართე მსმენელს: თუ მოგინდებათ ხველება, ჩემს მუსიკაში ბევრია ხმამაღალი ადგილები, სადაც შეგიძლიათ თავისუფლად ახველოთ, მაგრამ არის ჩუმი ადგილები და, ძალიან გთხოვთ, იქ ჩუმად ჩაახველეთ. შარშან, ავსტრალიაში ჩატარდა ჩემი მუსიკის ფესტივალი, რომელიც 12 დღეს გრძელდებოდა. მელბურნის ბრწყინვალე საკონცერტო დარბაზში შესრულდა ჩემი 7 თუ 8 ნაწარმოები და ერთიც, სპეციალურად მათთვის დაწერილი. მარკუს სტენცი - ორკესტრის მთავარი დირიჟორი, ყოველი კონცერტის წინ დარბაზს მიმართავდა: ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან. ახლა დავიწყებ ხველებას. ძალიან გთხოვთ, ამყვეთ, ჯერ პარტერი, მერე იარუსები. ახველეთ, რამდენიც მოგესურვებათ, ოღონდ მერე ისეთი მუსიკა უნდა შევასრულო, რომლის დროსაც ხველება არ შეიძლებაო. მართლაც, 40 წამი სიცილ-ხარხარში ახველეს და ამის შემდეგ დაიწყო შესრულება. ამიტომაც, პაუზების პრობლემა ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია.

**- თქვენს ერთ ნაწარმოებს, რომელიც კურტ მაზურის თხოვნით დაწერეთ, ჰქვია "სევდა ნათელი". მეჩვენება, რომ ეს უცნაური სიტყვა ზუსტად გამოხატავს თქვენი მუსიკის ბუნებას - სევდას და სინათლეს, სევდას და სილაღეს...**

**სუბიექტური ვარ შეფასებაში თუ მივუახლოვდი თქვენი მუსიკის კონცეფციას?**

- თუკი 35 წუთი გაქვთ ჩემი მუსიკის მოსმენის თავი, შეგიძლიათ, გქონდეთ თქვენი კონცეფცია, რომელიც, არაა აუცილებელი, ჩემსას ემთხვეოდეს. კიდევ გავიმეორებ: ჩემთვის ყველაზე ძვირფასია ის სიჩუმე, რომელიც დგება დარბაზში ნაწარმოების დამთავრების შემდეგ. ეს ყოფილა 5-10-12 წამი, ხშირად 15-იც, მაგრამ "სევდა ნათელის" შესრულებისას, რომელსაც კურტ მაზური დირიჟორობდა, ნაწარმოების დამთავრებიდან ოვაციამდე სიჩუმე გაგრძელდა... 48 წამი. მართალია, ვნერვიულობდი, მაგრამ ამაზე ძვირფასი ჩემთვის არაფერია. რაც შეეხება სევდას, მართალი ხართ.

**- იმას, რაც უცხოეთში გააკეთეთ და ქართველ მსმენელს ჯერჯერობით არ მოუსმენია, ჩვენთან ვინ შეასრულებს ჯანსუღ კახიძის შემდეგ?**

- ჯანსუღმა დატოვა უზარმაზარი ვაკუუმი, რომელსაც ვერავინ შეავსებს. ჩემს ნაწარმოებს კი როჟდესტვენსკი და მისი ვაჟი დაუკრავს შემოდგომის ფესტივალზე, რომელსაც ვახტანგ კახიძე აწყობს. რაც შეეხება ქართველ შემსრულებლებს, ეს ჩემზე არაა დამოკიდებული. თუ რომელიმე დირიჟორს გაუჩნდება სურვილი...

**- ჰო, მაგრამ, უმეტესობას თქვენს მიმართ ზედმეტი შიშისა და პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, რადგან თითოეულ მუსიკალურ ფრაზას ისე პედანტურად უფრთხილდებით ხოლმე...**

- თბილისს არ ვგულისხმობ, მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში უკრავენ ჩემს მუსიკას და ჩანაწერებსაც მიგზავნიან. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ხშირად ვარ უკმაყოფილო მათი შესრულებით, მაგრამ რა შემიძლია გავაკეთო? არაფერი! არსებობს გამომცემლობა, საიდანაც გამოაქვთ ნოტები და ასრულებენ მუსიკას. ძალიან იშვიათია კარგი შესრულება, უფრო ხშირია საშუალო.

**- ალბათ, ისევე, როგორც ნაწარმოები. თქვენ, რა, ყველა ერთი დონისა და სიღრმის ნაწარმოებად მიგაჩნიათ?**

- რა თქმა უნდა, არა. ამასწინათ, როდესაც ჩემი მუსიკის მიხედვით აგებული კონცერტი დამთავრდა, ვილაპარაკე ნიკა მემანიშვილის ამ ნამუშევარზე და ვთქვი, რომ თუ რამე არ მომეწონა, იმიტომ კი არა, რომ ნიკამ ვერ გააკეთა. იმიტომ რომ მუსიკალური მასალა იყო სუსტი. მაგალითად, მუსიკა ფილმიდან "ზღვის შვილები", ჩემი სტუდენტობისდროინდელი ნამუშევარი, ან ვალსი ოპერიდან "და არს მუსიკა". ვთხოვე, რომ ეს ვალსი პანღურით ამოაგდონ იქიდან.

**- კი მაგრამ, ეს სუსტიც ხომ თქვენი ბიოგრაფიაა, რატომ ცდილობთ გადაგდებას?**

- არ ვცდილობ გადაგდებას. როდესაც ვაიმარში რობიკომ გაიმეორა "არს მუსიკა", ეს ვალსი პარტიტურიდან არ ამომიღია, რადგან იქ უკრავს მთელი ორკესტრი და ორგანულ მთლიანობაში კიდევ შეიძლება მისი აღქმა, მაგრამ ცალკე ნომრად, როგორი პიანიზმიც არ უნდა ჰქონდეს შემსრულებელს, მაინც სუსტია მასალის მხრივ.

**- განუხებთ ის ფაქტი, რომ საქართველოში თეატრისა და კინოს მუსიკით უფრო პოპულარული ხართ (სტურუას, დანელიას, შენგელაიას, გაბრიაძის შემოქმედება), ვიდრე თქვენი სიმფონიებითა და კამერული ნაწარმოებებით?**

- ეს ნორმალურია. არც შეიძლება, ჩემი სიმფონიური მუსიკით ვიყო პოპულარული. წარმოიდგინეთ, რაოდენობა ხალხისა, რომელიც თუნდაც ჯანსუღის შესრულებებს ესწრებოდა და ის რაოდენობაც, რომელიც დადის სპექტაკლებზე და კინოში. "არაჩვეულებრივი გამოფენა" და "კავკასიური ცარცის წრე" ხალხს, მგონი, 20-20-ჯერ აქვს ნანახი.

**- წელან თქვით, მუსიკა მეორე**

**პლანზეა თეატრში და მხოლოდ რეჟისორის დამხმარე ძალა ვარო. მართლა ასე ფიქრობთ? რადგან სპექტაკლი თეატრის სპეციფიკისა და გარკვეული დროის შემდეგ აღარ არსებობს, მუსიკა კი რჩება.**

- არის მომენტი, როცა მუსიკა წყვეტს ამა თუ იმ სცენას, მაგრამ ეს ჩემი ნიჭის კი არა, რობიკოს დამსახურებაა, რადგან ის ჯერ მუსიკოსია და შემდეგ - რეჟისორი. მუსიკა ხდება ბიძგის მიმცემი იმისთვის, რომ გადააკეთოს სპექტაკლი. "რიჩარდის" ისტორიას მოგიყვებით. ერთხელ გადავწყვიტეთ, რომ ერთმანეთისგან დავისვენოთ. რობიკომ მონახა იაპონური ხალხური მუსიკა და მთელი სპექტაკლი იმაზე ააგო. იმ პერიოდში მუსიკას ვწერდი გიორგი შენგელაიასთვის, რომელიც "ხანუმას" გადაღებას აპირებდა. გიორგიმ მიშა ჭიაურელის სანოტო მასალა მომიტანა, გადავათვალიერე და რეგტაიმი გავაკეთე. მოვიდა რობიკო და, მომასმენინეო, - მითხრა. მოვასმენინე. შეგიძლია მომცეო? ვუთხარი, - გიორგის დაელაპარაკე-მეთქი. გიორგიმ მისცა მუსიკის გამოყენების უფლება და რობიკომ ამ რეგტაიმის გამო მთელი სპექტაკლი გადააკეთა. ეს ხომ ჩემი დამსახურება არ არის. ყოველთვის ვამბობ, რომ რობიკოს გვერდით ყოფნამ მომცა ბევრად მეტი, ვიდრე შეეძლო მოეცა სხვას, თუ გნებავთ, თვითგანათლების ფაქტორს.

**- კონფლიქტი არასოდეს გქონიათ?**

- რობიკოსთან არ შეიძლება კონფლიქტი გქონდეს.

**- არა მხოლოდ მასთან. თქვენ სხვა რეჟისორებთანაც მუშაობდით...**

- ძალიან ბევრია დამოკიდებული სიყვარულსა და ნდობაზე. ის ადამიანები, რომლებსაც ვილებ, ჩემი არსების ნაწილი ხდებიან. ერთადერთი კონფლიქტი მქონდა გია დანელიასთან. როცა "არ იდარდოზე" დავიწყეთ მუშაობა, ცოტა ხნის შემდეგ ვუთხარი - თქვენთან ვერ ვიმუშავებ-მეთქი. ზრდილობიანად დავემშვიდობე და წამოვედი. ერთ საღამოს დარეკა და მკითხა - ჩაის თუ დამალევინებო? უარს ხომ არ ვეტყოდი. 7 სურათი გავაკეთე გიასთან და ხშირად იყო კონფლიქტური სიტუაციები, ვინაიდან მუსიკალური ადამიანია და იცოდა, რა მუსიკა უნდოდა. ყოველთვის ცდილობდა, მიეღწია იმისთვის, რაც მის ტვინში ხდებოდა. თუმცა, ჩვენი კონფლიქტი არასოდეს გადაზრდილა სერიოზულ დაპირისპირებაში, დღესაც არაჩვეულებრივი მეგობრები ვართ. ერთხელ დავწერე კიდეც: მართალია, ციხეში არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ დანელიასთან მუშაობა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში ყოფნას მაგონებს, სტურუასთან მუშაობა კი - სანატორიუმში ცხოვრებას-მეთქი.

**- დღეს, როცა მსოფლიო გლობალიზაციამ წარმოშვა პატარა ერების თვითმყოფადობის დაკარგვის შიში, რამდენად შეიძლება ქართული მუსიკა აითქვიფოს სხვაში, ან გახდეს მხოლოდ გავლენების სფერო?**

- თუ წარსულს გადავხედავთ და მხედველობაში მივიღებთ ჩვენი უკიდურესი გაჭირვებისას შენარჩუნებულ ენას და ქართულ ხალხურ სიმღერას, არა მგონია, საფრთხე გვემუქრებოდეს. ეს ორი ფაქტორი - ენა და ხალხური სიმღერა არის განმსაზღვრელი იმ ინდივიდუალობის შენარჩუნებისა, რომელზეც დღეს ასე ვნერვიულობთ. რაც შეეხება გავლენებს, ის იარსებებს ყოველთვის, და მასთან ერთად იარსებებს გავლენების ქვეშ მოქცეული ხელოვნების ცუდი და კარგი მაგალითები, მაგრამ ხელოვნებას ქმნიან მხოლოდ ინ-დი-ვი-დუ-უ-მე-ბი.

**- უშუალოდ თქვენზე ვინ მოახდინა ისეთი გავლენა, რომელიც განვითარებაში დაგეხმარათ?**

- ერთი მხრივ, ეს იყო ჩემთვის მისაღები მუსიკის გავლენა იმ დროს, როცა "დათბობის" პერიოდი დაიწყო, ინფორმაცია შემოვიდა და რკინის ფარდა გარდაიქმნა საცრელ ბადედ. იქიდან მოყოლებული, გარდა შოსტაკოვიჩისა, რომელიც ჩემთვის რჩება გენიალურ მოვლენად მუსიკაში, არსებობს შონბერგის მუსიკა, სტრავინსკი. ასევე, მაგ დროს მივხვდი, რომ ლენინისა და სტალინის გარდა, არსებობს ღმერთი. გამოგიტყდებით, რომ ერთ-ერთი მათგანი ვიყავი, ვინც 1956 წელს სტალინის ძეგლთან მიდიოდა. მაშინ, 21 წლის ასაკში, აზრზე არ ვიყავი, რას წარმოადგენდა სისტემა, რას წარმოადგენდა იდეოლოგიისა და პროპაგანდის მიერ შექმნილი ღმერთი-ბელადი. რომ არსებობს მუსიკა, არსებობს დანარჩენი სამყარო. თქვენ მკითხეთ, რა ახდენდა გავლენას. გეტყვით, რომ იმდენად მუსიკა არა, რამდენადაც ურთიერთობა ადამიანებთან, ვის შესახებაც უკვე გელაპარაკეთ. ჩვენ ერთმანეთი გავზარდეთ. არც ერთი ნაწარმოები არ გამომიტანია სამსჯავროზე, საქმის კურსში რომ არ ყოფილიყვნენ ჯანსული, სულხან ნასიძე, ბიძინა კვერნაძე, გურამ მელივა. ყველაფერს ვასმენინებდი როიალზე და ვიღებდი არაჩვეულებრივ რჩევებს იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო იმისთვის, რომ თემა ფორმისა და მელოდიკის მხრივ იყოს დასრულებული. უცხოეთში სულ მეკითხებიან - ვისი გავლენის ქვეშ ვარ მოქცეული და იქით ვეკითხები - იქნებ დამისახელოთ კომპოზიტორი, ვის გავლენასაც განვიცდი და მადლობელი დაგრჩებით-მეთქი. ვერ მისახელებენ. არსებობს აზრი, რომ სიმფონიურ მუსიკაში შევქმენი სამყარო, რომელიც მანამდე არსებულს არ ჰგავს. არ ვიცი, რამდენად მართალია ეს აზრი, მაგრამ ნებისმიერი გავლენა ყოველთვის ჩანს მუსიკაში.

**- რამდენად დადებითი გავლენა მოახდინა ან დაგთრგუნათ ქართულმა ფოლკლორმა?**

- საერთოდ, ხალხური მუსიკის ხელის ხლება არც მიკადრებია და არც ვიკადრებ. იმიტომ რომ ეს მუსიკა შექმნილია გენიალური ანონიმების მიერ. ესაა საავტორო მუსიკა, რომელსაც ოდესღაც ჰყავდა ავტორები. თუ ვინმეს ჰგონია, რომ სამხმიანი სიმღერები ხალხმრავალ მოედნებზე შეიქმნა, ძალიან ცდება. უბრალოდ, ეს მუსიკა წლების მანძილზე შალაშინდებოდა და ამიტომაც ეწოდა ხალხური. ყოველთვის ვცდილობ, მის სულს მივუახლოვდე, ამიტომ ის კომპოზიტორები, რომლებიც თავიანთ სიმფონიურ-კამერულ ნაწარმოებებში ხალხურ მუსიკას იყენებენ, ჩემში ღიმილის მეტს არაფერს იწვევენ. შეუძლებელია ინსტრუმენტულ მუსიკაში იმის გადმოცემა, რაც შეუძლია ადამიანის ხმას, რადგან ინსტრუმენტები ტემპერირებულ წყობას ეკუთვნიან, ხალხური მუსიკა კი არატემპერირებულ წყობასთანაა დაკავშირებული. ხანდახან ორკესტრში გაიჟღერებს ხოლმე "კრიმანჭული", ფლეიტები და ჰობოები უკრავენ. სასაცილოა, რა თქმა უნდა.

**- საქართველოს ჰიმნის შესახებ რას ფიქრობთ?**

- ერთადერთი მელოდია, რომელიც საუკეთესოდ მიმაჩნია, ესაა "სამშობლო", მენშევიკების დროინდელი. თუმცა, მეორე ნაწილი ბევრად დაბალი ხარისხისაა. თავის დროზე ჯანსულს ვეუბნებოდი: იქნებ ერთად მოგვეფიქრებინა მეორე ნაწილის მაგივრად სხვა გაგრძელება, მაგრამ არ ისურვა ამის გაკეთება. მე კი მიმაჩნია, რომ დღეს ამაზე უკეთესი ვერაფერი შეიქმნება. ბრწყინვალედ მოფიქრებული მელოდიაა, რომელიც სამი ბგერისგან შედგება და ეს სამი ბგერა მეორდება. სამღერადაც ადვილია, აღსაქმელადაც და, რაც მთავარია, მისაღებია ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები ყველა ადამიანისთვის. რაც შეეხება დღევანდელ ჰიმნს, გულახდილად გეტყვით, არა ვარ აღტაცებული. მაგრამ უფრო მეტად არ მომწონს ჩვენი დროშა და ამდენი სჯა-ბაასი ჯვრების რაოდენობაზე. არ მსმენია, ვინმეს ანგარიში გაეწიოს ისეთი ცნებებისთვის, როგორიცაა სილამაზე და სისადავე. ქართველებს სჭირთ "самолюбование", რომელიც ეხება დროშასაც, ჰიმნსაც და დანარჩენ სხვა პროცესებსაც.

**- თქვენს ერთადერთ ოპერაში მთავარი გმირი მუსიკაა. საერთოდ, არის თუ არა მუსიკა მთავარი გმირი თქვენს დანარჩენ მუსიკალურ ნაწარმოებებში?**

- აბა, რა უნდა იყოს მთავარი გმირი?

**- ვთქვათ სიუჟეტი, ამბავი, პროზაული ან პოეტური ტექსტი...**

- ძალიან მაღალ პოეზიაში უკვე არსებობს მუსიკა. გალაკტიონს თავისი მუსიკა აქვს, ბარათაშვილს და პუშკინს - თავისი, ბროდსკის - თავისი. ბევრი იწერება მათ ლექსებზე. მე არ შემიძლია ამის გაკეთება, იმიტომ რომ მათ მუსიკაზე უკეთესს ვერ შევქმნი, ამიტომაც ვიღებ ხოლმე ერთ სტროფს ან ერთ ფრაზას, რომ პარალელურად შევქმნა მუსიკა იმ მუსიკისა, რომელიც ლექსში არსებობს. ერთი ნაწარმოები მაქვს, "არ იდარდო", სადაც თითო სტროფია აღებული გალაკტიონის, პასტერნაკის, რილკეს, შექსპირისა და ბაირონის პოეზიიდან.

**- და როგორ აკავშირებთ მათ ერთმანეთთან?**

- ეს უკვე ჩემი საქმეა. თუ ისმინება, ესე იგი, ვაკავშირებ, თუ არ ისმინება, მაშინ მიზნისთვის ვერ მიმიღწევია. ყოველი სტროფის შემდეგ მოდის საორკესტრო ეპიზოდი, რომელიც თავისი ხასიათით ამზადებს მომდევნო სტროფს. და რადგანაც ძალიან ტრაგიკული ნაწარმოებია, ბოლო ფრაზა არის "Don`t Grief" - არ იდარდოთ! "სევდა ნათელშიც" მხოლოდ სტროფები მაქვს გამოყენებული. მიზეზი, რატომ ვცდილობ, თავი ავარიდო ერთი დამთავრებული პოეტური ნაწარმოების გამოყენებას, მგონი, მოგახსენეთ.

**- პირობითად ჩავთვალოთ, რომ თქვენი მუსიკა მოიცავს მსოფლიო კულტურებს (ევროპული, აღმოსავლური, ქართული)?**

- შეიძლება მოიცავს, შეიძლება არა. მაგალითად, "ლამენტში" - ვიოლინოს, სოპრანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის, შევეცადე, ერთმანეთთან დამეახლოებინა აღმოსავლური ორიენტალიზმი და დასავლურ-ევროპული მაჟორულ-მინორული სისტემა. იცით, რატომ დამებადა ასეთი აზრი? იმიტომ რომ გამოსავალს ვერ ვხედავ იმ ფანატიზმში, რომელიც არსებობს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა შორის. სანამ ისინი არ დაუახლოვდებიან ერთმანეთს, მსოფლიო ყოველთვის იქნება სისხლისღვრის მოწმე. არადა, თან მეეჭვება, როგორ უნდა დაახლოვდნენ ქრისტიანები და ისლამისტები მაშინ, როცა მართლმადიდებლები და კათოლიკები ემიჯნებიან ერთმანეთს. შევეცადე, "ლამენტის" ზოგიერთ ეპიზოდში მომეხდინა ეს შერწყმა. რამდენად მივაღწიე ამას, მსმენელი განსჯის.

**- "ლამენტი" რას ნიშნავს?**

- ლათინური სიტყვაა, რომელსაც ხშირად ხმარობენ იტალიაში. ესაა გარკვეული სულიერი მდგომარეობის გამოხატულება- დაკავშირებული სევდასთან.

**- არსებობს თუ არა მუსიკალური ნაწარმოების კანონი, რომლის დარღვევა არ შეიძლება, თუ მუსიკას საერთოდ არა აქვს კანონი?**

- არ არსებობს ისეთი კანონი, რომლის დარღვევაც არ შეიძლება. მიმაჩნია, რომ რაც უფრო მაღალ და კარგ განათლებას იღებს ახალგაზრდა, მით უფრო შებოჭილია ხოლმე მომავალში. ავიღოთ ფორმა - სონატური ალეგრო, რომელიც გაჩნდა ვენის კლასიკოსთა შემოქმედებაში. თუ ამ საგანს გიკითხავს ბრწყინვალე პედაგოგი და შენ მას ეუფლები, შეიძლება მთელი ცხოვრება დარჩე შებოჭილი და ფორმის ტყვედ იქცე, მაგრამ თუ შედარებით "უვიცი" ხარ, მაშინ გყოფნის გამბედაობა, არსებულ კალაპოტში ჩაასხა ახალი სითხე, ან მოიგონო კალაპოტი, რომელიც არ შეესაბამება წესად შემოღებულ ყალიბს. ჩემი აზრით, მუსიკაში ახალი იქმნება მაშინ, როცა, ერთი მხრივ, ემყარები ტრადიციებს და, მეორე მხრივ, უარყოფ მათ.

**- ანუ ინტელექტი მუსიკაში დამთრგუნველია?**

- ისევ საქმე გვაქვს პლუს-მინუსთან. ის, რაც ჩვენ 90-იან წლებში ვიწვნიეთ ეროვნული მოძრაობისაგან, შედეგია იმისა, რაც დღეს ხდება, მაგრამ ამასაც აქვს დადებითი მხარე. ეტყობა, ეს პროცესი უნდა გაიაროს ხალხმა და კიდევ ბევრი რამ გვაქვს გამოსავლელი. ჩვენ შეცდომებზე ვსწავლობთ, მაგრამ წინ კიდევ გველოდება ჩასადენი შეცდომები, რომლის გამოსწორებასაც ისევ დრო დასჭირდება. ასე ხდება შემოქმედებაშიც.

**- თქვენი სულიერი წყობისთვის რომელი პერიოდია ყველაზე მისაღები?**

- ვილაცისთვის მისაღებია აღორძინების პერიოდი, ვილაცისთვის - წარმართული. ჩემი უსაყვარლესი პერიოდია XIX-XX საუკუნის გასაყარი, როცა ჯერ კიდევ არსებობდა ფაეტონი და შემოდიოდა პირველი ავტომობილი, როცა სამყარო იდგა ახალი საუკუნის მიჯნაზე, მაგრამ საბოლოოდ არ იყო გამქრალი რომანტიზმი, როცა გამოჩნდნენ იმპრესიონისტები. როცა ორი ათეული წელი წყნარი იყო იმ პერიოდთან შედარებით, სანამ დაიწყებოდა I მსოფლიო ომი, ჩამოყალიბდებოდა ფაშიზმი და ჩვენი თანამემამულე ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებას მოინდომებდა. რაც შეეხება მუსიკას, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, არსებობდნენ ადამიანები, რომლებმაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოახერხეს ნიშების შევსება. მგონია, რომ ჩემი შემოქმედებით ვავსებ იმას, რაც მაშინ დარჩა შეუვსებელი. დასჭირდება თუ არა მომავალში ვინმეს ჩემი მუსიკა, არავინ იცის. განსჯის უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ დროს. თუ აღმოჩნდა, რომ 100 ან 50 წლის შემდეგ ჩემს მუსიკას დაუკრავენ სხვადასხვა კონტინენტზე და მას მსმენელი გამოუჩნდება, გამოვა, რომ ჩემი ყოველდღიური, მტანჯველი შრომა ფუჭი არ ყოფილა. მანამდე კი, არავინ იცის, რა ელის მომავალში იმას, რაც დავწერე. ხოლო რასაც ვერ დავწერ იმის გამო, რომ რაიმე შემემთხვევა, ესე იგი, ასეც უნდა მომხდარიყო. ფატალისტი ვარ და მჯერა, რაც ხდება ჩემს ცხოვრებაში, ღვთის ნებით, ასე უნდა ყოფილიყო. თავს უბედნიერეს ადამიანად ვთვლი და ღმერთმა ქნას, ჩემისთანა ბედნიერი იყოს ჩემი რამდენიმე კოლეგა.

**- თვლით, რომ სრულყოფილება თქვენთვის მისაწვდომია?**

- თუ რომელიმე ადამიანი თვლის, რომ სრულყოფილებას აღწევს, თავი უნდა დაანებოს საქმეს, რადგან ამაზე დამღუპველი არაფერი არსებობს. როცა შენს მიერ გაკეთებული მოგწონს, იქ მთავრდება შემოქმედება.

**- გარშემომყოფთა აზრი თუ გაინტერესებთ?**

- ორი რამ მაინტერესებს: მათი აზრი, ვისიც მჯერა და დარბაზში ჩამოვარდნილი სიჩუმე. იწერება ისეთი რეცენზიები, სადაც მაქებენ და ისეთიც, სადაც მიწასთან ვარ გასწორებული. როცა დასავლეთ ბერლინის ფესტივალზე პირველად შესრულდა ლიტურგია "ქარით დატირებულნი" (ბაშმეტმა დაუკრა და გერგიევმა იდირიჟორა), ყველაზე მნიშვნელოვანმა კრიტიკოსმა, ჩემთვის შეურაცხყოფა რომ მოეყენებინა, იცით, როგორ დაამთავრა რეცენზია? "ეს მუსიკა ისეთივე მკვდარია, როგორც ადამიანი, რომელსაც ყანჩელმა ეს მუსიკა მიუძღვნაო" (საუბარია გივი ორჯონიკიძეზე). რა შეიძლება დაიწეროს ამაზე უარესი, მაგრამ თქვენ გგონიათ, გულთან ახლოს მივიტანე? დღეს სახლში მიდევს ამ ნაწარმოების მიხედვით დადგმული 4 სხვადასხვა ბალეტის ფირი. როცა მუსიკამ თავისი ცხოვრება უკვე გამოიარა, აბსოლუტურად ვამართლებ ჩემს დამოკიდებულებას ასეთი რეცენზიების მიმართ.

**- რამდენად ენდობით მუსიკისმცოდნეებსა და კრიტიკოსებს?**

- თუ არ მეშლება, ოდენს აქვს ნათქვამი: ზოგიერთს ყოფნის ჭკუა, გახდეს კრიტიკოსი და თავი დაანებოს შემოქმედებასო. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჟანრებს. როცა თეატრალურ სპექტაკლზე იწერება რეცენზია, მინდა, რომ სწორად გაიგონ სპექტაკლი, რომელიც ხშირად სამუზეუმო ექსპონატად იქცევა და გარკვეული პერიოდის შემდეგ ისტორიას ბარდება. რაც შეეხება მუსიკას, რომელმაც შეიძლება განაგრძოს სიცოცხლე, მნიშვნელობა არა აქვს, რა დაიწერება მის შესახებ. წარმოიდგინეთ, XX საუკუნის 20-იანი წლები, როცა ქმნიდა შონბერგი, ბერგი, რაველი, პუჩინი, სიბელიუსი და ა.შ. წარმოიდგინეთ მათი რეცენზენტებიც, ალბათ, რა სიძულვილი ჰქონდათ ერთმანეთისა და, ნაწილობრივ, ავტორების მიმართ. როგორ შეიძლება, ადამიანებს, რომლებსაც მოსწონდათ სიბელიუსი, მიეღოთ შონბერგის მუსიკა. გავიდა 83 წელი და დღეს მსოფლიოს ესტრადებზე ერთად სრულდება პუჩინიც, სიბელიუსიც, რაველიც... აღარავის აინტერესებს, რა იწერებოდა მაშინ. ამიტომაც არ ვაქცევდი ყურადღებას კრიტიკოსებს, რომლებიც ჩემზე წერდნენ - პოლონური პარტიტურიდან იწერს, ანტიქართულიაო და ა.შ. ისინი ჩემთვის ერთუჯრედიანი არსებები არიან, რომელთა "მოღვაწეობა" იმგვარივე სიბნელისთვისაა განწირული, როგორშიც არიან. სხვათა შორის, მათნაირი დღესაც ბევრია, ვითომ თავგამოდებული რომ იცავენ ყოველგვარი ქართულის საზღვრებს, ქართულ მართლმადიდებლობას და "სიწმინდეს". ამასაც "самолюбование" ჰქვია.

**- შეუძლია თუ არა მუსიკას გავლენა მოახდინოს ადამიანთა ქმედებებზე?**

- არა. ეს ვერ შეძლო ბახისა და შუა საუკუნეების მუსიკამაც კი. გჯერათ დოსტოევსკის სიტყვების, რომ "სილამაზე იხსნის კაცობრიობას"? უბრალოდ, ყველაფერი იქმნება იმისთვის, რომ შენარჩუნებული იყოს სილამაზე. მუსიკის ან ფერწერის სილამაზემ ოდესმე რამე გავლენა იქონია ისლამისა და ქრისტიანობის ურთიერთდამოკიდებულებაზე? სამწუხაროდ, ფანატიზმი უფრო მეტ გავლენას ახდენს მდაბიო საზოგადოებაზე.

**- გამოდის, რომ მირაჟისთვის ქმნით მუსიკას...**

- თქვენ გგონიათ, რომ ადამიანი, რომელიც ზის, მუშაობს და რაღაცას ქმნის, იმაზე ფიქრობს, რომ მისი მოღვაწეობის შედეგი სამყაროს შეცვლის? თუ არსებობს ასეთი ადამიანი, მან კალამი უნდა დადოს.

**- ესე იგი, მხოლოდ საკუთარი თავისთვის ქმნით...**

- რა თქმა უნდა. იცით, რომ მთელი ცხოვრება ისე გამოვიარე, არასოდეს, არავისთვის მითხოვია, დაეკრა ჩემი მუსიკა, არც დირიჟორისთვის, არც შემსრულებლისთვის, ჩემი უახლოესი მეგობრებისთვისაც კი.

**- შინაგანადაც არა გაქვთ სურვილი, სხვამ იცოდეს თქვენი ინტუიციური შეგრძნებების შესახებ?**

- არავის რომ არ დაეკრა ჩემი მუსიკა, შეიძლება გამჩენოდა სურვილი, მაგრამ უკრავენ და როგორ გითხრათ, რომ მაქვს ეს სურვილი? მაპატიეთ, ახლა უნდა წავიდე და ვიმუშაო...






სიმართლეს მისი გამოთქმისათვის სპეციალურად გამოყოფილი ჟამი არა აქვს. მისი გამოხატვის დრო ახლაა, და ყოველთვის, და განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც იგი გარემოებებთან ყველაზე შეუსაბამოდ გვეჩვენება...

არანაკლებ ძლიერი ნებაა საჭირო გულწრფელობისთვის, ვიდრე ეს სიმართლის თქმის შემთხვევაშია. მხოლოდ იმ ეპოქას, რომელსაც გულწრფელობის გამბედაობა გააჩნია, აქვს ის სიმართლე, რომელიც მასში მთავარ სულიერ ძალად გვევლინება...

თუნდაც ყველაზე პატარა და ყველაზე უმნიშვნელო ადამიანური ტანჯვისა და ადამიანთა სიცოცხლის მიმართ არსებული მოწიწება უნდა იქცეს იმ კანონად, რომელიც ამ დღიდან მსოფლიოს წარმართავს. სულაც არ ვცვლით ძველ მოწოდებებს ახლებით, და არ გვწამს, რომ გარკვეული სიკეთის მოპოვება ამაღლებული ხასიათის მოწოდებებითა და განცხადებებითაა შესაძლებელი. უნდა ვაღიაროთ, რომ ამის მიღწევა მხოლოდ ადამიანთა გულების სიღრმისეულ ცვლილებას ხელეწიფება, რაც ერთი ადამიანიდან მეორეზე გადავა...

როგორ უნდა ვაშენოთ ახალი სამყარო? მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი, ჭეშმარიტი და ჩამოურთმევი ეთიკისაკენ ადამიანთა წარმართვით... სიცოცხლისადმი მოწიწება სიყვარულის მთლიან და სრულ ეთიკას შეადგენს ამის ყველაზე ღრმა და ამაღლებული მნიშვნელობით. მასშია ჩაბუდებული პიროვნებისა და კაცობრიობის განახლების უშრეტი წყარო...

ალბერტ შვეიცერი
1875-1965



## პოლიტიკური მეცნიერება

**პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა აუცილებელი გახადა, რომ ჩვენი საზოგადოების წევრებმა ლოკალურ მოქმედებას გლობალური კატეგორიებით აზროვნება შეუფარდონ. საერთაშორისო თუ ადგილობრივ მოვლენათა სრულყოფილი ანალიზისთვის აუცილებელია, გავერკვეთ იმ უნიფორმალურ ტერმინოლოგიასა და კონცეფციებში, რომლითაც დღეს მთელი ცივილიზებული საზოგადოება ურთიერთობს. ანუ საჭიროდ მიგვაჩნია, მივეჩვიოთ მეტყველებას იმ ენაზე, რომელზეც დასავლური კულტურა საუბრობს - კულტურა, რომელსაც ოდესღაც, უდავოდ ვეკუთვნოდით, და რომელსაც აწმყოშიც დაბეჯითებით მივაკუთვნებთ თავს. მკითხველს, პერიოდულად შევთავაზებთ, პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო სამართლის გავრცელებულ ტერმინებს, რომელთა შესისხლხორცება უმიზნო მრავალსიტყვიანობისა და გაუგებრობებისაგან თავდაცვის კარგ საშუალებად მიგვაჩნია.**

**მობილიზაცია** - პოლიტიკური ხასიათის მობილიზაცია მდგომარეობს ხალხის მასების ძლიერ გააქტიურებაში, იმისათვის, რომ ხალხმა პოლიტიკური თვითგამოხატვა შეძლოს და იტვირთოს პოლიტიკური აქციის განხორციელება. ტოტალიტარულ სისტემაში ეს მმართველი პარტიის ვალდებულება იქნებოდა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სიტუაცია, სადაც ხალხის მთელი მასები პარტიის ერთადერთ კანდიდატს აძლევენ ხმას. ამგვარ გარემოებაში, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას დაშინების მეთოდებიც. მმართველობის დემოკრატიულ სისტემებში კი ლიდერები მუშაობენ როგორც ამომრჩეველთა, ისე პარტიის ლოკალურ ორგანიზაციათათვის მოხალისეების აქტივირებაზე, რომელთაც, საბოლოო ჯამში, მომხრეთა რაოდენობა უნდა გაზარდონ. მხარდამჭერთა მჭიდრო დასახლების ადგილმდებარეობას კანდიდატები კანვასირების საშუალებით იგებენ. ასეთ კამპანიას, როგორც წესი, აქვს ხალხის მობილიზების ეფექტი, რადგან ამ პროცესს პრესა და ტელევიზია ინტენსიურად აშუქებს.

**ფილიბასტერი** - ეს არის მეთოდი, რომელიც გამოიყენება ზოგიერთი კანონმდებლის მიერ, რათა კონკრეტული საკანონმდებლო ინიციატივა სიტყვაში განუწყვეტელი გამოსვლით დაიბლოკოს ან გადაიდოს. პარლამენტების უმრავლესობას ათვისებული აქვს ე.წ. "გილიოტინის" მოთხოვნის სახელით ცნობილი ინსტრუმენტები, რომ მათი საშუალებით ფილიბასტერის შესაძლებლობის ლიმიტირება მოხდეს. ამგვარი პრაქტიკისათვის ყველაზე ნოყიერ ნიადაგად ჯერჯერობით ისევ რჩება აშშ-ს სენატი, სადაც სენატორები ძლიერ უფრთხილდებიან საკუთარი თავისუფალი და შეუზღუდავი სიტყვის უფლებას და სადაც არსებობს ის მიზანდასახული უმცირესობა, რომელსაც ძლიერ სურს მათთვის არასასურველი კანონპროექტის დაბრკოლება. რაკი სენატორები მიჩნეული არიან საკუთარი შტატების სახელით მოლაპარაკეებად, დამსწრეთა უმრავლესობას მათთვის სიტყვის გაწყვეტა საკუთარი იმიჯისთვის არასასურველ მოვლენად მიაჩნიათ. გამომსვლელს რომ სიტყვა შეაწყვეტინო, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ პეტიციას ამგვარი გადაწყვეტილების შესახებ დამსწრე სენატორთა ორმა მესამედმა დაუჭირა მხარი. ასეთი საკითხებისთვის მხარდაჭერა ამ რაოდენობით ძლიერ იშვიათია.

**ლოგროლინგი (მორების გადაგორება)** - ეს აღნიშნავს იმ პროცედურას, რომლის მიხედვითაც კანონმდებლები, ან ე.წ. "ზეწოლის ჯგუფები", რომლებიც განსხვავებულსა და სპეციფიკურ ინტერესებს წარმოადგენენ, ერთმანეთის პოლიტიკური მიზნებისთვის მხარდაჭერაზე თანხმდებიან.

**საკითხების პოლიტიკა** - უკანასკნელი წლების განმავლობაში ხშირად გაისმის მტკიცებულება, რომ პარტიების პოლიტიკაში აღარ რჩება ადგილი ახალი საკითხებისთვის და ახალი საკითხების მხარდაჭერა უფრო უკეთ ე.წ. "ზეწოლის ჯგუფების" საშუალებითაა შესაძლებელი. ადამიანებს სულ უფრო მეტად სჯერათ, რომ "ზეწოლის ჯგუფების" წევრობით ისინი უკეთეს შედეგებს მიაღწევენ, ვიდრე პოლიტიკური პარტიის წევრობით. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური პარტიები ახდენენ საკითხთა გაერთიანებას, პრიორიტეტირებასა და რაციონალიზებას. ამომრჩევლები, როგორც წესი, არჩევნების ჟამს პარტიების პროგრამებს შორის აკეთებენ არჩევანს. ამისგან განსხვავებით, "ზეწოლის ჯგუფები" ერთმანეთისგან გამოყოფენ საზოგადოებრივ აზრსა და ნაციონალურ პოლიტიკას. მრავალი დამკვირვებელი ამტკიცებს, რომ ისეთი ჯგუფების რაოდენობის ზრდა, როგორიცაა, მაგალითად, გარემოს დამცველთა ლობი, მოასწავებს ახალი ტიპის პოლიტიკის - საკითხების პოლიტიკის დამკვიდრებას.

საკითხების პოლიტიკა, როგორც ამბობენ, გულისხმობს "საკითხების მიხედვით ხმის მიცემას". მაშინ, როცა 1940-იან და 1950-იან წლებში ამომრჩეველი იმ ჩვევის მიხედვით აძლევდა ხმას, რომელიც მას ასაკოვანი და მატერიალისტური საკითხებითა და კლასობრივი ხასიათის სენტიმენტებით ჰქონდა ჩამოყალიბებული, გვიანდელ ხანაში იგი საკუთარ არჩევანს კანდიდატის ამა თუ იმ საკითხთან დამოკიდებულების საფუძველზე აკეთებს. დროთა განმავლობაში ამ ტენდენციამ, შესაძლოა, წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირდაპირი დემოკრატიით შეცვლა მოასწავოს.

ამომრჩეველთა პარტიებისა და კლასობრივი შეკავშირებულობის შესუსტება პოსტმატერიალისტური პოლიტიკის ხანის დადგომის სიახლოვეზე მიგვანიშნებს. პოლიტიკოსები იძულებული არიან, გახდნენ უფრო მოქნილნი, რადგან წარსულში არსებული "ზეწოლის ჯგუფთა" ხელთ არსებული სტაბილური "საკითხობრივი ქსელები" თითქმის აღარ არსებობენ.

**ინკრემენტალიზმი** - ეს ტერმინი აღნიშნავს გადაწყვეტილებათა მიღების განსაკუთრებულ სტილს. ის გულისხმობს ამა თუ იმ პოლიტიკის გატარებისას დროში განაწილებული მცირეოდენი ცვლილებების გზით დასახული მიზნის მიღწევას. ეს პრაქტიკა ყველაზე უკეთ საბიუჯეტო პოლიტიკას ესადაგება: დემოკრატიულ ხელისუფლებათა მხრიდან ხშირია დიდი სიფრთხილის გამოჩენა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, იმისათვის, რომ მათ ამომრჩეველი არ დააფრთხონ ამ უკანასკნელის ეკონომიკური მოლოდინის უეცარი ცვლილებით. მეორე მხრივ, ამ პრაქტიკის მოდელის ხარისხში აყვანა, შესაძლოა, გადაჭარბებად იქცეს. ხშირად აუცილებელია მოულოდნელი საგარეო ძალების საპასუხოდ მრავალი თამამი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და ამგვარ სიტუაციაში ინკრემენტალური ცვლილებების გატარება შესაფერის ზომებად არ გამოდგება.

**პირდაპირი დემოკრატია** - ესაა დემოკრატიის ფორმა, რომელშიც პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი ემყარება ხალხის მასებს. ამდენად, იგი ძლიერ კონტრასტულია წარმომადგენლობითი დემოკრატიის სისტემის ფონზე. პირდაპირი დემოკრატია სამი ძირითადი ინსტრუმენტისგან შედგება; ესენია - რეფერენდუმი, ინიციატივა და გამოხმობა. დემოკრატიის ეს ფორმა პოპულარიზებული და დაცული იყო ჟან-ჟაკ რუსოს მიერ, ვინც ასეთი ტიპის მმართველობა საკუთარ ქალაქში, ჟენევაში გამოსცადა, და ვინც პოლიტიკურ სისტემებს მცირედ დასახლებული ქალაქების ჭრილში მოიაზრებდა. ასე რომ, პირდაპირი დემოკრატები, ძირითადად, ყველაზე წარმატებულნი მცირე, დეცენტრალიზებულ სახელმწიფოებში აღმოჩნდნენ. ამის კლასიკური მაგალითია შვეიცარია, თუმცა, იგივე სისტემას ამერიკული შტატებიც იყენებენ, განსაკუთრებით ქვეყნის დასავლეთ რეგიონში. სხვა მხრივ, პირდაპირი დემოკრატია, ძირითადად, ადგილობრივი მმართველობის სისტემაში გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტად რჩება.

**ინტელექტუალები** - ინტელექტუალად შეიძლება ჩაითვალოს ის ადამიანი, რომელსაც მართავს არა იმპულსი და ემოცია, არამედ ინტელექტი. თუმცა, როგორც ტერმინი, ეს სიტყვა ადამიანთა განსაკუთრებული ჯგუფის აღსანიშნავად იხმარება, რომელთაც ფასეულობათა გარკვეული სისტემა აერთიანებთ. ინტელექტუალები დიდიდ აფასებენ იდეებისა და არტისტული ფორმების გამოხატვის თავისუფლებას. ისინი, ჩვეულებრივ, გმობენ მატერიალიზმსა და დამკვიდრებულ შეხედულებებს. ხშირად ეს მათ საზოგადოების ძირითადი ნაწილისგან გამოყოფს. შესაძლოა, ინტელექტუალები პოლიტიკური საქმიანობისგან შორს დადგნენ. მეორე მხრივ, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩაერევიან პოლიტიკურ მოქმედებაში, ხშირად თავდადებულ სუბიექტებადაც გვევლინებიან. მეოცე საუკუნის განმავლობაში ინტელექტუალები საზოგადოების მხრიდან საკმაო ეჭვის ობიექტად იქცნენ, რადგან ხშირად ისინი მკვეთრად უჭერდნენ მხარს ტოტალიტარულ თეორიებს.

## პრეცედენტი

# ეზრა პაუნდის სასამართლო პროცესი

ბერნარდ რაიანი

**განსასჯელი:** ეზრა პაუნდი.

**ბრალდება:** სამშობლოს ღალატი.

**მთავარი დამცველი:** ტურმან არნოლდი, ჯულიენ კორნელი და რობერტ ფურნისი.

**მთავარი ბრალმდებელი:** ისაია მატლაკი და ოლივერ გაში.

**მოსამართლე:** ბოლიტა ლოუსი.

**პროცესის ადგილმდებარეობა:** ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი.

**პროცესის თარიღი:** 1946 წლის 13 თებერვალი.

**განაჩენი:** განსასჯელის მენტალური მდგომარეობა გამორიცხავს მის გასამართლებას; ბრალდება 1958 წელს გაუქმდა.

**მნიშვნელობა:** ეს საქმე ელემენტების უნიკალურ კომბინაციას შეიცავდა - ღალატის ბრალდებას; განსასჯელს, რომელიც ლიტერატურულ სამყაროში აღიარებული და ცნობილი ავტორიტეტი გახლდათ; შეშლილობის საკითხს (რომელიც საბოლოოდ არასდროს გარკვეულა) და ისეთ ცნობილ პიროვნებებს, როგორიცაა ტომას ელიოტი, რობერტ ფროსტი, ერნესტ ჰემინგუეი და არჩიბალდ მაკლიში.



წმ. ელისაბედის ფედერალური ჰოსპიტალიდან გათავისუფლებისას ადვოკატთან ერთად.



ვენეციაში გარდაცვალებამდე.

ეზრა პაუნდი დაიბადა 1885 წელს აიდაჰოს შტატის ქალაქ ჰაილიში; ქალაქში, რომელშიც იყო ერთადერთი ქუჩა, ერთი სასტუმრო და ორმოცდაშვიდი ბარი. კოლეჯში სწავლის არცთუ ისე ბედნიერი წლების შემდგომ, იგი პირველმსოფლიოომამდელ ევროპაში გაემგზავრა. ევროპაში ცხოვრებისას პაუნდმა, ვინც, გარდა იმისა, რომ საკუთარი პოეზია გამოაქვეყნა და ირლანდიელი პოეტის, უილიამ ბატლერ იტსის მდივნადაც იმუშავა, აგრეთვე სერიოზული დახმარება გაუწია ისეთ ლიტერატურულ ბუმბერაზებს, როგორებიც არიან ტომას ელიოტი, რობერტ ფროსტი და ჯეიმს ჯოისი.

1920-იანი წლების პარიზში დასახლებულ ამერიკელთა სათვისტომოს პაუნდი წარუდგა, როგორც საკუთარ ლიტერატურულ ტალანტში ძლიერ თავდაჯერებული ვინმე; კაცი, ვინც ხმამაღლა აკრიტიკებდა ყველა იმ იდეასა თუ ადამიანს, ვისაც მისი გულისწყრომა დაემსახურებინა. 1930-იან წლებში მან ბინა დაიდო იტალიაში, ქალაქ რაპალოში, სადაც განაგრძო მუშაობა ვრცელ პოემებზე, რომელთაც ის "კანტოსებს" ეძახდა.

### "ევროპა გვიხმობს! ლაპარაკობს პაუნდი!"

ჰიტლერის მხრიდან მოსალოდნელი ომი თანდათან მკაფიო კონტურებს იძენდა. პაუნდს კი მსოფლიო პოლიტიკის შესახებ საკმაოდ გამოკვეთილი შეხედულებები ჰქონდა. მან ურჩია იტალიის მთავრობას, გამოექვეყნებინა პუბლიკაციები, რომელთაც შეეძლოთ ამერიკელთა სიმპათიის გაღრმავება იტალიური ფაშიზმის მიმართ. პაუნდმა იტალიის ხელისუფლებისგან მოითხოვა ამერიკის აუდიტორიაზე ორიენტირებული, მოკლე ტალღებზე გადაცემული რადიოპროგრამა. 1941 წლისთვის პაუნდის რადიოგადაცემა "ევროპა გვიხმობს! ლაპარაკობს პაუნდი! ლაპარაკობს ეზრა პაუნდი!", რეგულარულად მიეწოდებოდა ამერიკელ და ევროპელ მსმენელს. ამ საქმიანობაში პაუნდი ხელფასს იღებდა და საკუთარი გადაცემით ურჩევდა შეერთებულ შტატებს, რომ ეს უკანასკნელი ომში არ ჩარეულიყო; პოეტის არგუმენტები, ძირითადად, კონცენტრირებული იყო ანტისემიტიზმზე, როგორც მისი გადაცემის უმთავრეს მესიჯზე. "ცბიერი ებრაელი - მისი სიტყვებით, - მართავს ჩვენს მთლიან საკომუნიკაციო სისტემას". პეარლ ჰარბორის თავდასხმის შემდეგ, 1942 წლის დასაწყისისთვის, პაუნდმა მსმენელს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

"ამერიკას **შეეძლო,** არ ჩარეულიყო ამ ომში... **თუ** ის ნეიტრალური დარჩებოდა ამ კონფლიქტის მიმართ, ომი აქამდე უკვე დამთავრებული იქნებოდა... შეერთებული შტატების მხრიდან იტალიასთან **და** ევროპასთან ომი, უბრალოდ, გაუგონარი სიბრიყვეა... ამ ვითარებისთვის ყველა ადამიანზე მეტად პასუხისმგებელი ფრანკლინ რუზველტი უნდა იყოს".

ამერიკამ გაიგო პაუნდის სიტყვები. გენერალურმა პროკურორმა ფრენსის ბიდლმა მას სახელმწიფო ღალატის ბრალდება წაუყენა - ანუ ის ერთადერთი დანაშაული, რომლის დეფინიციაც მოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში:

"შეერთებული შტატების ღალატად ჩაითვლება მხოლოდ მის წინააღმდეგ ომის წარმოება, ან მისი მტრებისთვის მხარდაჭერის აღმოჩენა, რაც გამოიხატება მათთვის გაწეულ დახმარებასა და კომფორტის შექმნაში. არც ერთი ადამიანი არ იქნება ცნობილი მოღალატედ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მის წინააღმდეგ ორი მოწმის ჩვენება იარსებებს იმავე ქმედების თაობაზე, ან იგი თვითონ აღიარებს საკუთარ მოღალატეობრივ ქმედებას ღია სასამართლო პროცესზე".

პაუნდისთვის ეს "გამაოცებელი სიურპრიზი" იყო. მან ბიდლს ასეთი წერილი მისწერა:

"მე არ მჯერა, რომ რადიოში უბრალო საუბარი შეიძლება თავისთავად ღალატად ჩაითვალოს. ჩემი აზრით, ასეთი დასკვნა დამოკიდებული უნდა იყოს თვით ნათქვამის შინაარსზე...

რომის რადიოთი გამოსვლას მე მხოლოდ ერთი პირობით დავთანხმდი - რომ არაფერს ისეთს არ მოითხოვდნენ ჩემგან, რაც ჩემს სინდისს ეწინააღმდეგება; და არც რაიმე ისეთს, რაც ეწინააღმდეგება ჩემს, როგორც ამერიკელი მოქალაქის, ვალდებულებას...

მე არ მისაუბრია ამ კონკრეტულ ომზე. მე გამოვხატე ჩემი პროტესტი იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელიც განუწყვეტლივ წარმოშობს ერთ ომს მეორის შემდეგ... მე არ მიმიმართავს ჯარისკაცთათვის და არ მომიწოდებია მათთვის აჯანყებისა თუ ამბოხისაკენ..."

საბრალდებო დასკვნის შესწავლისას, კონგრესის ბიბლიოთეკარ არჩიბალდ მაკლიშს დაებადა კითხვა: "ხომ არ დააჯილდოებდა ასეთი ბრალდება ამ ნახევრად მოტეხილ და საშინლად სულელ ადამიანს წამებულის პარაფერნალიით".

რომში კი, იმის შემდეგ, რაც იტალიის მთავრობა დაეცა, ეზრა პაუნდმა გერმანული ოკუპაციის ქვეშაც განაგრძო საკუთარი გადაცემები. მაგრამ იტალიის დანებებისთანავე პარტიზანებმა იგი იარაღის ძალით აიყვანეს. იტალიაში ექვსთვიანი პატიმრობის შემდეგ პაუნდი ამერიკაში გადააფრინეს.

### "საბრალო მოხუცი ეზრა ძლიერ, ძლიერ გასულელდა"

ერნესტ ჰემინგუეიმ მასზე თქვა: "იგი უნდა წავიდეს იმ საგიჟეთში, რომელსაც ყველაზე მეტად აგინებს, სადაც შემდეგ თქვენ შეგეძლებათ მისი კანტორების ის ნაწილები შეაგროვოთ, რომლებშიც იგი ამ ყველაფერს გამოლანძღავს". მაკლიშმა დაამატა: "დღესავით ნათელია, რომ საბრალო მოხუცი ეზრა ძლიერ, ძლიერ გასულელდა".



ეზრა პაუნდი პატიმრობაში.







პაუნდის ქომაგები: ტომას ელიოტი, რობერტ ფროსტი და არჩიბალდ მაკლიში.

ადვოკატმა ჯულიერ კორნელმა დაასკვნა, რომ თუ პაუნდს კლინიკურ შეშლილობას დაუმტკიცებდნენ, ეს მისი სასიკვდილო განაჩენისგან დახსნის ყველაზე საიმედო საშუალება იყო. ოთხი ექიმის მიერ ჩატარებულმა ფსიქიატრიულმა გამოკვლევამ ერთხმად დაასკვნა, რომ ეზრა პაუნდი არ იყო საკმარისად ჯანმრთელი მენტალური თვალსაზრისით, რომ მისი გასამართლება შესაძლებელი ყოფილიყო. ერთმა ექიმმა დაადგინა, რომ პაუნდს ჰქონდა აკვიატებული აზრები, რომ მას "ათობით ქვეყანაში ჰქონდა" უმნიშვნელოვანესი კავშირები, და რომ ამ მიზეზით იგი "უნდა ყოფილიყო სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი". მიუხედავად ამისა, ბრალმდებელმა ისაია მატლაკმა მაინც მოითხოვა "საჯარო მოსმენა შეშლილობის დასადგენად" მსაჯულთა პანელის წინაშე.

1946 წლის 13 თებერვალს მსაჯულებმა მოისმინეს, რომ პაუნდი:

"ავლენს არაჩვეულებრივ გრანდიოზულობას... და სჯერა, რომ მისი ხვედრია ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის გადარჩენა ამერიკელი ხალხისათვის... მას სწამს, რომ ხელთ უპყრია მსოფლიო მშვიდობის გასაღები, რომელიც კონფუციუსის ნაწარმოებიდან მოიპოვა... მას ასევე სჯერა, რომ ინტელექტუალთა ერთ ჯგუფს მისი მეთაურობით ძალუძს მსოფლიო მოწყობისა და წესრიგისთვის მუშაობა..."

მსაჯულები სულ სამიოდე წუთით განმარტოვდნენ, და ამის შემდეგ განაცხადეს, რომ, მათი აზრით, პაუნდი "გაუწონასწორებელი გონების" პატრონი იყო. იგი დაუყოვნებლივ მოათავსეს წმინდა ელისაბედის ფედერალურ ჰოსპიტალში სულიერ ავადმყოფთათვის, მენტალური კონდიციის მოსალოდნელ გაუმჯობესებამდე. მისი მეგობრები, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ პაუნდი სულაც არ იყო შეშლილი, დარდობდნენ იმაზე, თუ როგორ მოახერხებდა იგი თავისუფლებაზე გამოსვლას მორიგი სასამართლო პროცესის გარეშე.

პაუნდმა სიტუაცია ჩვეულებისამებრ მიიღო და საკუთარ ოთახში წერა-კითხვა განაგრძო. მომდევნო თორმეტი წლისთვის ყველა მოთხოვნა მისი გირაოს ქვეშ გათავისუფლების ან ე.წ. ჰაბეას კორპუსის პეტიციის (უკანონო პატიმრობის) დაკმაყოფილების თაობაზე, მთავრობის მხრიდან უარყოფილ იქნა. 1948 წელს მან მიიღო ათი ათასი დოლარის ოდენობის პრესტიჟული "ბოლანგენი პრიზი", რასაც ადამიანებს პოეტური ღვაწლისთვის ანიჭებდნენ. ამას მოჰყვა ის, რომ კონგრესმა პრიზის სპონსორს, კონგრესის ბიბლიოთეკას უბრძანა, რომ ამ უკანასკნელს პაუნდი არანაირი პრიზით აღარ დაეჯილდოებინა. 1954 წელს საუბარი დაიწყეს საპრეზიდენტო შეწყალების თაობაზე, რაც იქვე უარყოფილ იქნა იმ საკმაოდ საეჭვო მიზეზის გამო, რომ პიროვნების შეწყალება მხოლოდ მისი დამნაშავედ ცნობის შემდგომ იყო შესაძლებელი.

1955 წელს მაკლიში შეეცადა გენერალური პროკურორის დარწმუნებას, რომ ამ უკანასკნელს ღალატის ბრალდება გაეუქმებინა. ამ წამოწყებას შეუერთდნენ ჰემინგუეი, ელიოტი და ფროსტი. 1958 წელს მოსამართლე ბოლიტა ლოუსმა, რომელიც პაუნდის 1945 წლის "შეშლილობის დასადგენ საჯარო მოსმენას" წარმართავდა, გააუქმა პაუნდის ბრალდება. მოსამართლის ასეთი გადაწყვეტილება დაეფუძნა ექიმ უინფრედ ოვერჰოლსერის ჩვენებას, ვინც წმინდა ელისაბედის ჰოსპიტალის მეთვალყურე გახლდათ, რომ პაუნდი სასამართლო პროცესისთვის ისევ შეუფერებელი იყო მისი მენტალური კონდიციის მიზეზით.

ეზრა პაუნდი სასწრაფოდ გაათავისუფლეს წმინდა ელისაბედის ჰოსპიტალიდან, საიდანაც მან პირდაპირ იტალიას მიაშურა. იგი გარდაიცვალა ვენეციაში 1972 წელს.

*ინგლისურიდან თარგმნა ნიკოლოზ რურუამ*

*კრიტიკული აზროვნება*

# იმედგაცრუება და ახალი შესაძლებლობა

გიორგი მარგველაშვილი

წინა საუკუნის 80-იანების დასასრული, 90-იანების დასაწყისი – მთელი საზოგადოება პოლიტიზირებულია და თანამონაწილეა რუსეთის იმპერიის, მისი ბოლო ინკარნაციის – საბჭოთა კავშირის ნგრევის. ამ პერიოდში, ჩვენ არ გვაქვს პოლიტიკური აქტივობის არავითარი გამოცდილება, მაგრამ მაინც ყველა, ვინც როგორ ვიცით, ვმონაწილეობთ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიზანი – საქართველოს დამოუკიდებობა. დღეს – თხუთმეტი წლის შემდეგ – ჩვენ პოლიტიკა, ალბათ, უკეთ გვესმის, მაგრამ მიზანი აღარ გვაქვს, ვეღარ ვხედავთ მომავალს.

რატომ? საით მივდივართ ხვალ?

ჩვენი უახლესი ისტორია ეროვნული მოძრაობით იწყება. 80-იანების ბოლოსა და 90-იანების დასაწყისში, ქართული საზოგადოების მისწრაფების მიზანი, შინაარსი და რეჟიმი მისი ორიენტაციისა, იყო გამოკვეთილად ეროვნული. საზოგადოებრივი ინტერესის ეროვნული თემატიკაზე კონცენტრაციის ფონზე, ძნელად გამოიკვეთებოდა ის ფორმა, რომლითაც ეროვნული შინაარსი უნდა გამოვლენილიყო. რაში მდგომარეობდა ჩვენი ეროვნული ინტერესი? სად უნდა დაგვეცვა იგი? ვისთან და ვის გვერდით? ამ ფორმას, მოკავშირეებსა და საკუთარ თავს სინჯავდა მაშინ ჩვენი საზოგადოება. იწყებოდა ქართული ენის დაცვით, გრძელდებოდა მონასტრის ფრესკების და ტრანსკავკასიური რკინიგზის თემით და ხანდახან ისეთ ოდიოზურ ფორმასაც იღებდა როგორიც იყო თვითბლოკადა, რომლის დროსაც ჩვენ საკუთარ თავს რუსული საქონლისაგან ვიცავდით. ყოველივე ეს იყო დასაწყისში, ეს იყო ძიება, ამ დროს ბევრი არავინ იცოდა და ბევრს ვერც ვერავინ თვლიდა. მთავარი იყო ქმედება, საკუთარი მეობის დამტკიცება და დადგენა – თვითიდენტიფიკაცია. სწორედ ამიტომ, ჰქვია ამ პერიოდს არა "ეროვნული მშენებლობის", არა "ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის", არამედ "ეროვნული მოძრაობის" პერიოდი. პერიოდი, რომლის დროსაც მოძრაობდა ყველა, მოძრაობდა პრინციპში ერთი იდეით – ეროვნული იდეით, და ძირითადში ყველა მოძრაობდა განსხვავებული მიმართულებით. საინტერესო და ამაღელვებელია ჩვენი ერის განვითარების ამ "ბავშვური", მეამიტი ფაზის გახსენება, იმ პერიოდის, როდესაც მისწრაფებაში ასე ერთიანი იყო ერი. ერთიანი არა თავის ქმედებებაში, არა ხედვებში, არამედ სურვილში სამსახური გაეწია ეროვნული იდეალებისათვის. დიდხანს ნანატრი, ან შეიძლება არც კი ნანატრი, არამედ, ჩვენს სულში პოტენციად ჩაბუდებული თავისუფლება და ეროვნული თვითმყოფადობა, "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" გახდა უცებ შესაძლებელი და ხორცი შეისხა, და ამ რეალობას არ ეცალა ფიქრისა თუ დაგეგმვისათვის, იგი საკუთარ თავს მოქმედებაში შეიცნობდა.

ამ პერიოდმა აღტაცებასთან ერთად პირველი იმედგაცრუებაც მოუტანა ჩვენს ერს. **ეს იყო ერთიანობის იმედგაცრუება**. აღმოჩნდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველას გვიყვარდა ჩვენი სამშობლო და საქართველოსთვის ვიღწვოდით, ყველას იგი სხვადასხვაგვარად გვიყვარდა და მისთვის განსხვავებული რამ გვინდოდა. მეტიც, პრინციპში, აღმოჩნდა, რომ ჩვენ გვიყვარდა საქართველო მაგრამ მაინცდამაინც არ გვიყვარდა ქართველები – ჩვენივე თავი. ანდა, რა საყვარლები ვიყავით ორი საუკუნე რუსეთთან მოკალათებული, საბჭოეთის ლიდერთა – ბერიას, სტალინის, ორჯონიკიძის მშობელი, "ბედნიერი", ილიას მკვლელი ერი? მაგრამ მეორეს მხრივ, ვიღასთვის გვინდოდა ეს საქართველო, თუ არა ქართველებისთვის? ყოველ შემთხვევაში ამ ფორმისა და შინაარსის უდაო დაპირისპირებამ ეროვნული მოძრაობის ადრეულ ფაზაშივე და შემდგომ, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, ჩვენ პირველი იმედგაცრუება შეგვიქმნა – ნათლად გამოჩნდა, რომ ჩვენ არამც თუ არ ვართ ერთიანნი, არამედ პრინციპში, რადიკალურად განვსხვავდებით იმის ხედვაში, თუ რა არის საქართელო, გვაერთიანებდა საქართველოს სიყვარული და გვთიშავდა სიძულვილი ერთმანეთისა.

ამ დაპირისპირებამ სულ მალევე, იჩინა თავი. საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა მიუღებელი არმოჩნდა ბევრი ისეთი ადამიანისთვის, ვისაც ძალა, ავტორიტეტი და ზეგავლენა გააჩნდა. მოდელი – ყველა ყველას წინააღმდეგ, ყველა საქართველოსათვის, უფრო რეალური სქემით შეიცვალა, გაჩნდა ორი ბანაკი – ზვიადისტი და ანტიზვიადისტი (შემდგომში "პუტჩისტი"); პუტჩისტებმა და ზვიადისტებმა ერთმანეთს ესროლეს. **წარმოიშვა შემდეგი იმედგაცრუება – ჩვენ ერთმანეთს მოსაკლავად ვიმეტებთ, ჩვენ გახლეჩილი ერი ვართ**. გახლეჩილი ერის ფენომენი, მარტივად გამოიხატა – სამოქალაქო ომის შედეგად, იარაღის ძალით მოვიდა ახალი ხელისუფლება, რომელიც ძალუფლებას ისევ იარაღის ძალით ინარჩუნებდა.

ამ მომენტისათვის უკვე გავიდა რამდენიმე წელი, რაც ჩვენმა საზოგადოებამ ინტენსიური დუღილის, კატაკლიზმებისა და სისხლიანი დაპირისპირების რეჟიმში გაატარა. მუდმივად ერთ სიბრტყეში მოძრაობით შექმნილი მოკირჭყება, დაპირისპირების ინტენსიური გარემო განტვირთვას ითხოვდა; ჩვენ გვჭირდებოდა ფანჯარა, კარები, რომლსაც გავაღებდით და გავარღვევდით ჩვენს შეზღუდულობას. ასეთი ფანჯარა საქართველოსთვის ედუარდ შევარდნაძე და მისი "სამეგობრო" აღმოჩნდა. შევარდნაძის ჩამოსვლა საქართველოში, პრინციპში სამოქალაქო ომგადატანილი, უმეთაუროდ დარჩენილი



გიორგი მარგველაშვილი

ქვეყნისათვის და მისი ხალხისათვის გამოსავალი იყო. საინტერესოა, შევარდნაძე არც დამპყრობელი არმიის ძალით მოსული გენერალი იყო, არც მილიარდერი, რომელიც ხალხს ინვესტიციებს პირდება, არც პოლიტიკოსი, რომელსაც რაიმე პროგრამით ირჩევს ხალხი. შევარდნაძეს ჩუქნიდნენ (აჩუქეს) მთელი ქვეყანა და ის ფასი, რომელსაც ჩვენი ახალი მმართველი ამ პატივში იხდიდა იყო მისი "მეგობართა წრე". "ჩემი მეგობარი ბეიკერი" – საერთაშორისო აღიარება, საერთაშორისო მაშტაბი – აი რა სჭირდებოდა საქართველოს; და შევარდნაძემ ჩვენ ეს მაშტაბი მოგვცა. 92 წლიდან, მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე, საბჭოთა იმპერიის წითელ-შინდისფერ-ყავისფერი პოლიტიკური სივრციდან დაიწყო გამოყოფა ახალმა ქართულმა ფერმა და როგორც შევარდნაძე ხედავდა, ეს განსხვავებული ფერი უნდა გამხდარიყო ნაწილი სრულიად ახალი გამისა. საქართველო უნდა ჩართულიყო მსოფლიო პოლიტიკის ისეთი წარმმართველ ვექტორში, როგორიცაა ნავთობის პოლიტიკა, გამხდარიყო ნავთობის ახალი სქემის ნაწილი, ჩართულიყო თანამედროვე პოლიტიკურ თამაშში, ანუ გამხდარიყო თანამედროვე ერი.

მაგრამ, მალევე რეალობამ ახალი იმედგაცრუება მოუტანა ჩვენს სამშობლოს – ჩვენ დავიწყეთ და წავაგეთ აფხაზეთის ომი. თავისთავად ომის წაგება აპრიორი არ გულისხმობს ქვეყნის წაგებას, სულით დაცემას. მაგრამ სხვაა შენი "პირველი ომი". სხვაა, როდესაც შენ ხარ ახლად ჩამოყალიბებული, ახლად ფეხადგმული ერი, როდესაც ორი საუკუნეა შენ არ გქონია საკუთარი თავის იარაღით დაცვის შესაძლებლობა, როდესაც შენ აღიზარდე წინაპართა გმირობისა და თავდადების, მათი უძლეველობის ისტორიაზე, და შენ წააგებ შენს პირველსავე ომს. ჩვენ წავაგეთ ომი, წავაგეთ ცუდათ – შიგნიდან ღალატით, თავდადებულთა დაუფასებელი მსხვერპლით და ორგულთა გამდიდრებით. **აფხაზეთის ომი, ჩვენი ახალი ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი ჭრილობა და ყველაზე ძლიერი იმედგაცრუებაა.** აფხაზეთის ომმა ჩვენ პირველად გამოგვიყვანა ეროვნული მოძრაობის ეიფორიიდან და რეალობა მისი ყველაზე მძაფრი, დაცემული სოხუმისა და ზაფხულის სანაპიროზე მოფენილი სიკვდილის სახით დაგვანახა. აღმოჩნდა, რომ ჩვენ არა მხოლოდ სხვადასხვანაირად გვიყვარს საქართველო, აღმოჩნდა რომ ჩვენ არა მხოლოდ დავუპირისპირდით და ვესროლეთ ერთმანეთს; მეტი – აღმოჩნდა, რომ ჩვენ იმდენად ზნედაცემული ერი ვართ, რომ ჩვენ პირადი გამორჩენის გულისთვის მზად ვართ ჩვენი სამშობლო გავწიროთ. ყოველივე მანამდე მომხდარი, თითქოს, იდეათა დაპირისპირების მიზეზით ხდებოდა – ეს "ზვიადისტია", ეს "პუტჩისტი", ეს "შევარდნაძისტი", ამას "კავკასიური სახლის" კონცეფცია ურჩევნია, იმას "აბრეშუმის გზის", ეს "იზოლაციონისტია", ის "კოსმოპოლიტი" – ჩვენ თითქოს ამის გამო ვქიშპობდით. მაგრამ აფხაზეთში აღმოჩნდა, რომ ჩვენ მარტივად, ფულის გამო, არა დღევანდელ ქართველს, არამედ საქართველოს იდეას, მის ტერიტორიულ მთლიანობას დავუპირისპირდით.

ასე, მართლაც მძიმედ დაიწყო კიდევ ერთი პერიოდი ჩვენი თვითშეცნობისა და იმედგაცრუების – 94 წელი. იმედი, ახლა უკვე, კრიმინალებმა გაგვიცრუვეს. "ჩარხმშენებელი" და "ელმავალმშენებელი" ქარხნების გაჩერებას საოცარი სინქრონულობით დაემთხვა იოსებ სტალინისა და მის თანაგუნდელთა მიერ აგებული "ქურდული" ავტორიტეტებისა და ქურდული სისტემის ნგრევა. სისტემა, რომელიც არალეგალურ სამყაროს არეგულირებდა სამართალდამცავი სისტემის შესუსტებასთან ერთად დაინგრა; არენაზე ახალი კრიმინალური ძალები – საძმოები გამოვიდნენ.

გაგრძელება D4 გვერდზე

D3 გვერდიდან

**იმედგაცრუება შემდეგი – აღმოჩნდა რომ ჩვენ ძალიან იოლად, ძალიან პატარა ფულის გულისთვის შეგვიძლია ვესროლოთ ერთმანეთს**. უცებ აღმოჩნდა, რომ პატარა ბიჭებს აქვთ იარაღი და "ქსივა" (ერთგვარი, თუმცა საეჭვო, მაგრამ მაინც ლეგიტიმურობის ელფერის მატარებელი საბუთი) და რომ ადამიანის სიცოცხლეს ეხლა უკვე არა ისტორიულ კატაკლიზმებში, არა თავისუფლებისათვის ბრძოლის ქარცეცხლში, არამედ ყოველდღიურ ყოფაში, ფასი არა აქვს.

ამ დროს, ვერ ააფეთქეს შევარდნაძე. 95-ის არშემდგარმა ტერაქტმა შევარდნაძეს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების, მტრებისაგან სწრაფი და უაპელაციო განთავისუფლების, ძალით წესრიგის დამყარების შესაძლებლობა მისცა. ახალი კონსტიტუცია, კრიმინალური არასტაბილურობის შეწყვეტა, ახალი პოლიტიკური გუნდის – "მოქალაქეთა კავშირის" არენაზე გამოსვლა, ეკონომიკური სტაბილიზაციის, სახელმწიფოს დაფუძნების პირველი პრეცენდენტები, ახალი, ეფექტური პარლამენტი, ევროპასთან პოლიტიკური დაახლოვების პირველი ნაბიჯები, დასავლეთისთვის – საქართველო დემოკრატიული გარდაქმნების მოდელი ქვეყანა – ყოველივე ეს 95-98 წლების მონაპოვარია. ამ პერიოდში ყალიბდება საინტერესო და ქართული პოლიტიკური რეალობისათვის არაჩვეულებრივი სიმბიოზი – ქვეყნის აღმასრულებელი შტოს ხელმძღვნელი, პრეზიდენტი შევარდნაძე, არის პარტია "მოქალაქეთა კავშირის" ლიდერი, რომელიც პარლამენტში უმრავლესობას აკონტროლებს. სიტუაცია მართლაც უნიკალურია, რეფორმათა გასატარებლად და ახალი ქვეყნის შენების დასაწყებად – არის იმედი ცვლილების... მაგრამ 95-98 წლებში ქვეყნის აღორძინება არ შედგა (თუმცა შეიქმნა პარტია "აღორძინება").

ქართველ პოლიტიკურ ლიდერებს ახასიათებთ უცნაური მანერა პოლიტიკური რეალობის შეფასებისა – მოსახლეობის სრული მხარდაჭერა მათ ბუნებრივად მიაჩნიათ, ხოლო ყოველივე ამაზე ნაკლები – ბედის უკუღმართობად. არადა, მომენტი პოლიტიკის განმსაზღვრელი ცნებაა. პოლიტიკური მომენტი არის ის, რასაც ელის ყოველი პოლიტიკოსი, რათა თავისი განუმეორებელი კვალი დატოვოს ქვეყნის ისტორიაში; ეს არის ის დრო, როდესაც შენს ძალას ვერაფერი ეწინააღმდეგება, როდესაც შენი სიტყვა კანონია, როდესაც შენი ერთი წარმომადგენელი აჯანყებულ არმიებს იმორჩილებს, როდესაც უცნაური დამთხვევით ყველაფერი წარმატებით გამოდის. და ამ დროს, სწორედ იმიტომ, რომ ყველაფერი შენს ხელშია და ყველაფერი წინააღმდეგობის გარეშე გამოდის, მნიშვნელოვანია შეცდომის არ დაშვება. მნიშვნელოვანია და ძალიან ძნელიცაა, იმიტომ, რომ რეალობა მყისიერად არ გპასუხობს; ყველა შენი ქმედება წარმატებულია, მაგრამ, საბოლოო ჯამში შესაძლოა დღევანდელი წარმატება, ხვალინდელი მარცხის საწინდარი იყოს. 95-98 წლებში გაჩნდა რეალური შესაძლებლობა საქართველოს სახელმწიფოს დაფუძნების და მისი ფეხზე დაყენებისა. ჩვენ – ქართველებმა, პოლიტიკურმა ელიტამ, შევარდნაძემ და ჟვანიამ, ქვეყანამ, ვერ გამოვიყენეთ ეს ისტორიული მომენტი. 99-2000-წლიდან გამოიკვეთა **ახალი იმედგაცრუება – საქართველოში სტაგნაცია დაიწყო**.

თუ საქართველომ რეალურად 98 წლიდან დაკარგა უნარი რეფორმებისა და ეკონომიკური აღმავლობის გზით წარმატების სწრაფი მიღწევისა, პოლიტიკურად ეს გაშვებული შესაძლებლობა ორმა მთავრმა მოთამაშემ – შევარდნაძემ და ჟვანიამ ბევრად უფრო გვიან – 2001 წელს გააფორმეს. 95-98 წლებში გაშვებულმა შესაძლებლობამ, 98-2000 წლების გაუგებარმა და დამღლელმა გაურკვევლობამ 2001 წელს ერთმანეთთან დააპირისპირა შევარდნაძე და ჟვანია. დაპირისპირებითა და გათიშვით, დაშორიშორებით მათ შექმნეს სრულიად ახალი პოლიტიკური კონტექსტი, სრულიად ახალი პოლიტიკური კლიმატი, რომლის რეჟიმშიც ახალი ტიპის, პოლიტიკოსები გამოვიდნენ არენაზე, და ორივესთვის – შევარდნაძისა და ჟვანიასათვის ბევრად ნაკლები საარსებო სივრცე დატოვეს. 2001 წლიდან საქართველოში ისევ აღარ ლაპარაკობენ სამომავლო გეგმებზე, არამედ, ისევ ლოზუნგებით ალაპარაკდნენ. რაციონალური აზროვნება ისევ ხატოვანმა რიტორიკამ შეცვალა, გათვლა შეცვალა მოწოდებებმა, და ჩვენ ისევ არქეტიპულ პოლიტიკას დავუბრუნდით.

ამ პერიოდში მტკიცდება **ახალი იმიჯი, ახალი, ახლა უკვე საერთაშორისოდ აღიარებული იმედგაცრუება – საქართველო არშემდგარი, კორუფციული ქვეყანაა**. იწყება ახალი, სტაგნაციის შემდგომი - დეპრესიის პერიოდი. და მიუხედავად იმისა, რომ უკვე რეალური ხდება ბაქო-ჯეიჰანის ნავთსადენი, იწყება აქამდე წარმოუდგენელი სამხედრო თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რეალურად იწყება საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესი, თუმცა, ყოველივე ეს, შესაძლოა, უკვე დაგვიანებულია. ბედის უცნაური ირონიით ამ წარმატებებს ფასი უკვე დაკარგული აქვს. ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მიღწევათა მეათედიც, მეასედიც კი ბევრად უფრო ფასობდა მაშინ, რამდენიმე წლის წინ; დღეს კი რეალური წარმატებებიც გაუფასურებულია. იმიტომ, რომ დაიკარგა პოლიტიკური მომენტი, კონტექსტი, რომელშიც ამ მიღწევებს მნიშვნელობა ჰქონდათ. წარმომიდგენია რა რთულია შევარდნაძისათვის იმის გააზრება, რომ ის ქვეყანა, რომელიც გუშინ მთლიანად ენდობოდა მის იდეებსა და ხედვას, დღეს ამ იდეათა ხორცშესხმის მომენტში ყველა მის წამოწყებას "კმარა"-ს ეუბნება. მაგრამ, ეს ლოგიკურია – თუ, საქართველო არშემდგარი ქვეყანაა, ამ ფონზე ბაქო-ჯეიჰანი თუ ნატო, ბუნებრივად კარგავს აზრსა და ფერს. თუ ჩვენ ერი არ ვართ, ვის რად უნდა ნავთობსადენი?

ამ რეალობით, იმედგაცრუებებისა და წაგებების მთელი კომპლექსით დგას ქართველი ადამიანი ახალი პოლიტიკური პროცესების მიჯნაზე და ბუნებრივად ემზადება ახალი დარტყმებისათვის. დღეს ამ ადამიანს პრინციპში ბევრიც არა აქვს დასაკარგი, ან არც იცის რა შეიძლება დაკარგოს. ეროვნული იდეალები მისთვის გაუფასურებულია, საქართველოს კრიზისიდან ამოსვლის არანაირი რეალური შანსი აღარ ჩანს, პოლიტიკოსთა მიმართ ნდობა აპრიორი დაკარგულია და დასავლეთის სენტიმენტი განელების ზღვარზეა... ერთ სუფისტურ არაკში ასეთი ამბავია მოყოლილი – მეფე თავის ქვეშევდომთ გამუდმებით გადასახადებს უმატებდა და შემდგომ თავის მრჩევლებთან განიხილავდა მომავალ გეგმებს. რა შედეგიაო? – კითხულობდა იგი მორიგი გადასახადის დაწესებისას – "უკმაყოფილოაო ხალხი" – მიუგებდნენ მრჩეველები. პასუხად მეფე კიდევ უფრო ადიდებდა გადასახადებს. ერთხელაც მრჩევლებმა უცნაური ამბავი მოიტანეს – "ამჯერად ხალხი იცინის" – მოახსენეს მათ მეფეს. აი ეხლა კი სასწრაფოდ შეწყვიტეთ ხალხის შევიწროვება, ეხლა მართლაც საშიშნი გახდნენო – უპასუხა მეფემ.

ამ სუფისტურ ამბავსა და ჩვენს ამჟამინდელ ყოფას შორის, ვფიქრობ არის მსგავსება. დღეს ჩვენ განვიძარცვეთ იმედებისაგან და გულისტკივილს ძნელად თუ გამოიწვევ ჩვენში. აღარც სხვისი და არც საკუთარი თავის ცუდი გვიკვირს. სხვას კი უფრო ადვილად ვლანძღავთ, მაგრამ, პრინციპში, არც საკუთარ თავზე გვაქვს გადამეტებული წარმოდგენა – ჩვენ ილუზიებისა და იმედებისაგან დაცლილი ერი ვართ. ესაა ჩვენი ტრაგედია, ჩვენი სისუსტე, ჩვენი ჭრილობა და ერთდროულად ესაა ჩვენი ძალაც.

ამ პოლიტიკურ კონტექსტში ჩვენ რამდენიმე შესაძლებლობა გაგვაჩნია: პირველი შესაძლებლობა, პრინციპში უკვე ხორსშესხმულია; ეს ის პოლიტიკური სტილია, რომელიც დღეს აქტიურად დამკვიდრდა ოპოზიციურ პარტიათა შორის მთავრობა, მას ხშირად "პოპულიზმად" ნათლავს, თუმცა არსი ამ პოლიტიკური ტენდენციისა, სრულიადაც არ არის პოპულისტური, მისი სიღრმისეული ფესვი, ვფიქრობ უფრო რევანშისტულია. ამ პოლიტიკური მენტალიტეტის არსი განადგურებაშია. განადგურება იმ ყველაფრის, რაც ასე წარუმატებლად შეიქმნა საქართველოში. მისი ემოცია კანონიერია – მოვსპოთ ჩვენი სირცხვილი, მოვსპოთ ჩვენი წარუმატებლობა, იმედგაცრუება, გავანადგუროთ ის, რაც ჩვენ დღეს ვართ, ჩვენ არ გვინდა ყოფნა იმად, რადაც ვაქციეთ საკუთარი თავი. ბუნებრივია, რომ, პოლიტიკოსები, ამ ფორმაში არ აყალიბებენ თავის იდეოლოგიას, აქ "ხალხის მმართველობაზე", "ხალხის ნებაზე", "ხალხის ინტერესებზეა" ლაპარაკი. თუმცა რელური მოტივაცია, როგორც მოგახსენეთ, სწორედ რომ წარუმატებლობის, სირცხვილის, ჩვენი ამჟამინდელი თავის სრულ განადგურებაშია. ეს მოტივაცია, მოძრაობა მითიურ საფუძველს – გარდაცვალების, სიკვდილით ახლად დაბადების არქეტიპს ეფუძნება; ჩვენ უნდა მოვკვდეთ იმად, რანიც ვართ დღეს, რათა ვიშვათ ახლებად ხვალ.

მეორე შესაძლებლობის, პოლიტიკური ტენდენციის, შინაარსი რეალობის ახალი რეჟიმის აგებაში მდგომარეობს. ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი რეალობა არა ძველი რეალობის განადგურებით, არამედ რეალობის ახალი რეჟიმის შექმნით. ეს ტენდენცია ახალი და ჯერ კიდევ მყიფეა, დღეს მას რეალური პოლიტიკური სტრუქტურა არ გააჩნია; მოიხაზება მხოლოდ შტრიხები, ნიშნები მისი განმტკიცებისა. ასეთი ნიშნები, არც პოლიტიკურ პარტიათა განცხადებებში და არც მასმედიით არ გაისმის. ეს უფრო, პირად ურთიერთობებში, მცირე შეკრებებზე, მეგობართა შორის გაზიარებული ემოციაა. და მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არ არის ადგილი რაციონალური აზროვნებისთვის და ბევრად უფრო ხმამაღალი და კატეგორიული ნოტები ბუნებრივად ახშობს ძიების, გამოსავლის ძებნისა და რაციონალური მსჯელობის რიტორიკას, მაგრამ არა პოლიტიკურ, არამედ უფრო პრივატულ დონეზე კითხვა - "საით მიდის ეს ქვეყანა" (და არა "რა ხდება?!"), სულ უფრო აქტიურად ისმის.

ასეთი აზროვნების მაგალითი ჩემთვის იყო ირაკლი კაკაბაძისა და მის თანამოაზრეთა მიერ მოწყობილი კონფერენცია "ღირსეული მომავლისათვის", ასეთი იყო ინტელიგენციის მიერ შექმნილი გაერთიანებული ოპოზიციის მხარდამჭერი დარბაზის შეკრება, რომლის წევრებად გახდომის პატივი მე და ჩემს მეგობრებს მოგვეცა.

ახალი პოლიტიკური ლოგიკის არსი, თანამონაწილეობასა და თანამოაზრეობაშია. დარბაზის შეკრებაზე, იქ წარმოდგენილი პოლიტიკური ლიდერები (ალბათ, პირველად ქართული პოლიტიკის ისტორიაში) იყვნენ მსმენელების როლში. ისინი არ მოუწოდებდნენ, არ მოძღვრავდნენ, არამედ, აკეთებდნენ იმას, რაც არის დანიშნულება დემოკრატიული პოლიტიკოსისა – მიიღოს "შეკვეთა" თავისი მხარდამჭერისაგან და შესაბამისად დაგეგმოს თავისი სტრატეგია. ამ შეკრებაზე ლაპარაკი იყო თანამოაზრეობაზე გამომდინარე არა იქიდან, რომ ჩვენ მოვნახეთ ტომის შეუმცდარი ბელადები, რომლებიც მიგვიყვანენ ნათელ მომავლამდე, არამედ, აქ იყო ლაპარაკი თანამოაზრეობაზე, გამომდინარე იმ საერთო პრინციპებიდან, რომელსაც ჩვენ ვიზიარებდით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც აქ აქცენტი არა მტრების დამარცხებასა ან გამარჯვების მოპოვებაზე იყო გაკეთებული, არამედ პრინციპების ერთგულებაზე. ეს სწორედ ის ახალი სივრცეა, რომლის იმედიც მაქვს მე მომავალი საქართველოსათვის. არსი აქ არა ინტერესთა, არამედ იმ პრინციპთა ერთგულებაშია, რომელთა საფუძველზეც უნდა აშენდეს ჩვენი სახელმწიფო, რომელშიც შემდეგ ჩვენ უნდა ვეძიოთ ჩვენი ინტერესები. ის არა ინდივიდებსა, არამედ სისტემებზე, სტრუქტურებზე, წესებზე დამყარებული სახელმწიფოს მშენებლობაშია. ჩვენი მიზანია სისტემა და ის, რომ სახელმწიფო შექმნან არა ლიდერებმა, არამედ პრინციპების ერთგულმა ხალხმა, რომელთა ქმედებაც არა მათ გამჭრიახობასა და სიბრძნეზეა დამყარებული, არამედ ჩვენს შეთანხმებაზე. სქემა კლასიკურია – მე, როგორც მოქალაქეს არ მგონია, რომ ვინმეს ჩემზე უკეთესად შეუძლია ჩემი ცხოვრებისა და ინტერესების დაგეგმვა. მაგრამ, მე მზადა ვარ გადავცე საზოგადოებრივი რეგულირების უფლება გარკვეულ ხალხს, იმის პირობით, რომ ისინი ამ უფლებას კონკრეტულ პრინციპებზე დამყარებულ წესებად აქცევენ.

ამ კონტექსტში, რეალობის შეცვლის იმედი არის რისკი შემდეგი იმედგაცრუებისა. ჩემი აზრით, ემოცია, რომლითაც იბადება ახალი პოლიტიკური ტენდენცია, ბევრით განსხვავდება საქართველოში არსებული ყველა სხვა საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური მსოფლხედვისაგან. საქმე ისაა, რომ რეალურად ყველა სხვა ტენდენციას იმედგაცრუება აღარ ემუქრება. სამთავრობო ბლოკისა და მათ მხარდამჭერთა პოზიცია შეუძლებელია იმედგაცრუებით დასრულდეს. მათი მიზანია არსებული სტატუს ქვოს შენარჩუნება, გახანგრძლივება იმისა, რისიც არ სჯერათ, რაც მარტივად მათ ინდივიდუალურ ინტერესებს ემსახურება. სამთავრობო ბლოკი ვერ იგემებს იმედგაცრუებას, რადგანაც მათ არც იდეალები და არც ილუზიები არ გააჩნიათ; ისინი უბრალოდ ან მოიგებენ ან წააგებენ – როგორც კინოფილმ "ნათლიმამაში" ამბობენ – "არაფერი პიროვნული, ეს ბიზნესია". მეორეს მხრივ, არც ნგრევის ტენდენციის წარმომადგენელნი არ იგემებენ უმედგაცრუებას, ისინიც ან მოიგებენ ან წააგებენ; ნგრევის სურვილი, უკვე უკიდურესი იმედგაცრუების ფაზაა.

განსხვავებით მათგან, იმედგაცრუება კიდევ ერთხელ ემუქრება მათ, ვისაც აქვს იმედი რეალობის, პარადიგმის შეცვლის; ამდენად ჩვენ, ვისაც ეს ემოცია გვაერთიანებს, გვაერთიანებს შიშიც მისი გაცუდების. მაგრამ, წარმატების შემთხვევაში, ჩვენ შევინარჩუნებთ ქვეყანას, სიამაყეს და ღირსებას.

დემოკრატიზაცია

# პატარა სახელმწიფოების ახალი ტიპი: პოსტსაბჭოური სახელმწიფო

ალექსანდრე რონდელი

**უანგელოზოს საყდარსა ეშმაკი დაჰპატრონდება.**
*ვაჟა-ფშაველა*

სოციალისტური ბანაკისა და საბჭოთა კავშირის დაშლამ, საბაზრო ეკონომიკებად და დემოკრატიულ ქვეყნებად ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოების განვითარებამ მსოფლიოს 20-ზე მეტი ახალი პატარა სახელმწიფო შემატა.

ხსენებული ქვეყნები ისტორიულად მეტად თავისებური წარმონაქმნებია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მართლაც უნიკალურნი არიან. აქამდე ისტორიისათვის უცნობი იყო ცენტრალიზებული ეკონომიკის მქონე მრავალეროვანი ტოტალიტარული იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოების საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის ქვეყნებად გარდაქმნის შემთხვევები. ეს ახალი ქვეყნები გარკვეულწილად "მუტანტებია"; მათი განვითარება XX საუკუნის მანძილზე ხელოვნური პოლიტიკური და ეკონომიკური სქემების საფუძველზე მოხდა და ამდენად, გარკვეული თვალსაზრისით, ისტორიულ ექსპერიმენტს წარმოადგენდა. ხელოვნურმა მარქსისტულმა სქემებმა არ გაამართლა, შეიწირა ათობით მილიონი ადამიანი, დიდძალი რესურსები ქარს გაატანა და ამ "ექსპერიმენტში" ჩართული ერები ისტორიული განვითარების გზას დიდი ხნით ჩამოაშორა. 80-იანი წლების მიწურულიდან და 90-იანი წლების დასაწყისიდან, ეს ქვეყნები კვლავ ბუნებრივი განვითარების გზას უბრუნდებიან და თავიანთი მძიმე ხვედრის გამოსწორებას ცდილობენ.

დედამიწაზე ახლად წარმოქმნილი პატარა ქვეყნები უჩვეულო და ურთულეს პირობებში ცდილობენ ფეხზე წამოდგომას და საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში თავიანთი ადგილის პოვნას.


ალექსანდრე რონდელი

როცა პატარა ქვეყნების მეტად თავისებური ჯგუფის, ახალი ტიპის შესახებ ვსაუბრობთ, ბუნებრივია, რომ ამ დროს ხსენებული ქვეყნების მართლაც ახალ სპეციფიკურ ნიშნებს, თვისებებს და მათ შეთანაწყობას ვგულისხმობთ. სიახლე, სპეციფიკურობა - განუმეორებლობაა, უნიკალურობაა. ახალი, განსხვავებული ტიპის (ყოფილი სოციალისტური თუ საბჭოთა) ქვეყანა ჯერჯერობით 23-ია (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, მოლდოვა, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, მონღოლეთი). მათ რიცხვს მალე, ალბათ, დაემატება კუბა, კსდრ (ჩრდილოეთი კორეა) და ჩინეთი.

მათი დიდი ნაწილი (რუსეთის, ჩინეთისა და უკრაინის გარდა) პატარა, სამხედრო-პოლიტიკურად და ეკონომიკურად სუსტი სახელმწიფოებია. მათი დიდი ნაწილი კვაზი-სახელმწიფოებია, რადგანაც მათ არ გააჩნიათ სუვერენული სახელმწიფოებრიობის საკმარისი ტრადიციები.

რატომ არიან ხსენებული ქვეყნები უნიკალურნი? წარმოადგენენ თუ არა ისინი ნამდვილად თანამედროვე სახელმწიფოთა სპეციფიკურ, ახალ ტიპს?

როგორც უკვე აღინიშნა, მათი დიდი ნაწილი (15 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა) კომპაქტური (ტერიტორიულად დაუნაწევრებელი), მრავალეროვანი, ტოტალიტარული იმპერიის ნარჩენებს წარმოადგენს. ამავე დროს, პოლიტიკურად, სოციალურ-ეკონომიკურად და კულტურულად ისინი, როგორც უკვე ითქვა, "მუტანტი" სახელმწიფოები არიან. ზოგიერთ მათგანს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გარკვეული, შედარებით ხანგრძლივი გამოცდილება აქვს, ზოგიერთს კი პირველად უწევს სახელმწიფოებრიობის შექმნა. უმრავლესობას თანამედროვე სახელმწიფოებრიობის არანაირი გამოცდილება არა აქვს (მხოლოდ ესტონეთი, ლატვია და ლიტვა იყვნენ დამოუკიდებელნი დაახლოებით 20 წლის მანძილზე, ხოლო საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობამ მეოცე საუკუნის დასაწყისში 3 წელიწადს ვერ გადააჭარბა).

რუსეთის და უკრაინის გარდა, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობა პატარა სახელმწიფოა (ყაზახეთიც და უზბეკეთიც პატარა, სუსტი ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნება).

ამავე დროს, ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა (დიდიცა და პატარაც), თანამედროვე ერი-სახელმწიფოს ტრადიციებისა და გამოცდილების უქონლობის გამო, ე.წ. კვაზი-სახელმწიფოა. ამ ქვეყნების სახელმწიფოებრიობა, სახელმწიფო ინსტიტუტები ძირეულ ცვლას განიცდის, ზოგიერთი ინსტიტუტი კი თავიდან იქმნება. სახელმწიფოს, საზოგადოებას კორუფციის მძიმე სენი სჭამს და სახელმწიფო ინსტიტუტები არაეფექტურია.

ამ სახელმწიფოთა შიგნით უაღრესად სუსტია სამოქალაქო საზოგადოების ელემენტები, ადგილობრივ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კულტურაში პრაქტიკულად არ იგრძნობა დემოკრატიის ტრადიციები და მოსახლეობის მენტალიტეტში ჯერჯერობით ეთნიკური ნაციონალიზმია გამჯდარი. თვითშეგნებისა და თვითიდენტურობის ძირითადი და, ხშირად ერთადერთი, ფორმა ეთნიკური კუთვნილებაა.

ამ სახელმწიფოთა საზოგადოებაში ჯერ კიდევ მძლავრობს "საბჭოთა" მენტალიტეტი და მართვის "საბჭოური" კულტურა. მოსახლეობაში, კორუფციასთან ერთად, ფესვები აქვს გადგმული კუთხურობას, უზნეო ინდივიდუალიზმს, ინიციატივის უქონლობას და ძლი-

ერი ლიდერის (ავტორიტარული ლიდერის თუ დიქტატორის) იმედად ყოფნას, ეთნიკურ და რელიგიურ ქიშპს, ნაციონალიზმს და შოვინიზმს და ამის შედეგად სეპარატიზმსა და ირედენტიზმს.

ამ ქვეყნებში შეინიშნება თვითგამორკვევის მაძიებელი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების აქტიურობა, არსებული ავტონომიურობისა და ფედერალიზმის ნორმებითა და პრაქტიკით უკმაყოფილება, სრული დამოუკიდებლობის ან სხვა სახელმწიფოსთან შეერთების მოთხოვნები (სეპარატიზმი, ირედენტიზმი).

ამავე დროს, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში შემორჩენილი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების მსხვრევა და ახალზე (დემოკრატიული სახელმწიფო, საბაზრო ეკონომიკა) გადასვლა მიმდინარეობს. გარდამავალ პერიოდში კი ღრმა სოციალური და ეკონომიკური კრიზისი შეიმჩნევა და სახელმწიფო უკიდურესად არის დასუსტებული.

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში არსებული სახელმწიფო საზღვრები ხშირად იყო გავლებული ვოლუნტარისტულად და პოლიტიკურ თუ კულტურულ წანამძღვრებს არ ეფუძნებოდა, რაც ეთნიკური და რელიგიური ქიშპის სერიოზული წყარო გახდა.

როგორც ვხედავთ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ახალ სუვერენულ სახელმწიფოებად გადაიქცნენ, მაგრამ მათ შიგნით საკმარისი შეკავშირება (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური) არ შეინიშნება. ისინი თანამედროვე ერსახელმწიფოებად ჯერ ვერ ჩამოყალიბდნენ. ეს კი აუცილებელი პირობაა, რათა ისინი, როგორც პოლიტიკური ერთეულები, მდგრად და ეფექტურ ორგანიზმებად იქცნენ, რომლებსაც საკუთარი მოსახლეობის მშვიდობიანი არსებობისა და განვითარების უზრუნველყოფა და შიდა და გარეშე საფრთხესთან გამკლავება შეეძლებათ.

ყოფილ კომუნისტურ (განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა) სახელმწიფოებში განსახორციელებელია უაღრესად სერიოზული ამოცანა - თანამედროვე ერი-სახელმწიფოს შექმნა. დასავლეთში ეს პროცესი დიდი სირთულეებითა და დრამატიული კოლიზიებით წარიმართა. პოსტსაბჭოთა სივრცეში კი ერი-სახელმწიფოების შესაქმნელად ბევრი დრო არ რჩება, რადგან მათი შინაგანი არამდგრადობა და ცენტრიდანული ძალები, უკვე არსებულ კვაზი-სახელმწიფოებს აფეთქებით ემუქრება, თუ მათ ერმა-სახელმწიფომ "ლაგამი არ ამოსდო". ყოფილი საბჭოთა იმპერიის მთელ სივრცეში ამჟამად ყველაზე ძლიერი ფაქტორი ეთნიკური ნაციონალიზმია, რომელსაც ხსენებული სივრცის რესტრუქტურიზაცია არსებულ ვითარებაში მხოლოდ სისხლიანი კონფლიქტების გზით ძალუძს.

თანამედროვე სამყაროში სახელმწიფო არის უსაფრთხოების კონცეფციის საკვანძო ელემენტი, მისი საძირკველი. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობას სწორედ თანამედროვე ერი-სახელმწიფოების სასწრაფოდ შექმნით შეუძლია საკუთარი უსაფრთხოებისა და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა. ეს უნდა მოხდეს ისტორიულად მოკლე ვადაში და, რაც მთავარია, მაშინ, როცა ერი-სახელმწიფო, როგორც ადამიანთა თვითმმართველობის, პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი, გაბატონებული ფორმა, გადაგვარების პროცესის ნიშნებს ავლენს - ერი-სახელმწიფო უკვე ეროზიას განიცდის როგორც შიგნიდან, ასევე გარეშე ზეეროვნული ძალებისა და ფაქტორების გავლენით.

გლობალიზაციამ, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებამ, კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიამ საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა ერთიან მსოფლიო მეურნეობად აქცია. მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში ინტეგრაცია გაღრმავდა, ხოლო დასავლეთ ევროპაში ინტეგრაციის პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო და პოლიტიკური ინტეგრაციის ფაზაში შედის. დასავლეთ ევროპის ქვეყნები თანდათან თმობენ არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ სუვერენულობას და ერთიან ევროპულ სახელმწიფოს ქმნიან. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება მსოფლიოს სხვა რეგიონებში, ინტეგრაციის ესა თუ ის ფორმა ვითარდება ჩრდილოეთ ამერიკაში, ლათინურ ამერიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აფრიკის ზოგიერთ რეგიონში.

ინტეგრაციის მცდელობაა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნა და მისი განვითარებისაკენ მიმართული ძალისხმევა. მის ჩარჩოებში ინტეგრირების მცდელობამ გამოავლინა პოსტსაბჭოთა სივრცისათვის დამახასიათებელი ისეთი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები და პროცესები, რომლებიც ინტეგრაციისათვის არახელსაყრელი გამოდგა. პოსტსაბჭოთა სივრცეში რეინტეგრაციაზე მეტად დეზინტეგრაციის პროცესი მიმდინარეობს. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები უმეტესწილად ცდილობენ არა რუსეთის "მეთაურობით" გაერთიანდნენ, არამედ იმგვარ ინტეგრაციულ პირობებზე დათანხმდნენ, რომლებიც მათი ეროვნული ინტერესების შესაბამისი იქნება. ამიტომაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობა ცდილობს ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებასთან შეგუებას, საკუთარ პოლიტიკაში მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებათა გათვალისწინებას. სხვა გზა მათ არც აქვთ - მსოფლიო ბაზარი აიძულებს ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში დიდი ხნის წინ დამკვიდრებული თამაშის წესები მიიღონ, მსოფლიო ბაზრის ულმობელ წესებს დაემორჩილონ.

მსოფლიო ბაზრის ფუნქციონირებას ხელს უწყობდა ერი-სახელმწიფოს არსებობა. პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციის ამ ფორმამ ადამიანის თვითშეგნებასა და თვითმმართველობას შორის ურთიერთკავშირი უზრუნველყო. ერი-სახელმწიფო აღმოჩნდა მეტ-ნაკლებად თვითკმარი პოლიტიკური და ეკონომიკური ერთეული, რომელმაც ამავე დროს საერთო ენის, ისტორიისა და ტრადიციების მქონე ადამიანთა კოლექტიური თვითშეგნება გამოხატა. კოლექტიური თვითშეგნება ტერიტორიულ სახელმწიფოში, სუვერენულობაში გამოიხატა.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ევროპაში თანამედროვე ერი-სახელმწიფოების განვითარება სამ მთავარ "ბურჯს" – ძალოვან სტრუქტურებს (შეიარაღებული ძალები, პოლიცია), გადასახადების აკრეფის ეფექტურ მექანიზმს და სასამართლოს ეყრდნობოდა. სახელმწიფომ შეძლო საზოგადოებრივი კონტროლის დამყარება საკუთარ მოქალაქეებზე, რის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება და განვითარება.

ეფექტურად მომუშავე სასამართლოების სისტემა ეფექტური სახელმწიფოს საწინდარია, ხოლო საგადასახადო სისტემის მოქნილობა და ეფექტურობა - სახელმწიფოს განვითარების საფუძველი. ძლიერი სახელმწიფოებრიობის გარეშე ნებისმიერი ქვეყნის არსებობა მუდამჟამს სათუო იქნება. მართალია, სუსტი პოლიტიკური ერთეულები ზოგჯერ საკმაოდ ეფექტურად იყენებენ ძალთა წონასწორობის მექანიზმს და ოსტატურად ახერხებენ თავის გადარჩენას, მაგრამ გაუთავებლად ამის კეთება შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ სუსტი სახელმწიფოებრიობა აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და შეიძლება ეკონომიკური კატასტროფის მიზეზი გახდეს.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერი-სახელმწიფოს პოზიციები შესუსტებას იწყებს. სახელმწიფო სუვერენიტეტს კაპიტალის მოძრაობა, საერთაშორისო ვაჭრობა, სახელმწიფო საზღვრების დამძლევი ინფორმაციული ნაკადები, მსოფლიო საფინანსო ბაზრების ინტეგრაცია და ტრანსნაციონალური წარმოება გარედან უთხრის ძირს. შიგნიდან კი მისი ძირის გამომთხრელნი თვითგამორკვევის მაძიებელი ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფები არიან. ორმხრივი შემოტევის შედეგად სახელმწიფო სუვერენიტეტის პოზიციები სუსტდება. მსოფლიო მეურნეობის ინტეგრაციული ტენდენციების და სახელმწიფოთა შიგნიდან "გამხლეჩი" ფაქტორების მოქმედების შედეგად ერი-სახელმწიფო სუვერენულ სახელმწიფოს ჩარჩოებში ადამიანების თვითიდენტურობისა და თვითმმართველობის ურთიერთქმედებას ველარ უზრუნველყოფს. მოქალაქეები სახელმწიფოებისადმი ლოიალურობას კარგავენ. გლობალური ურთიერთდამოკიდებულების იმპერატივთა ზემოქმედებას ყველაზე დიდი და ძლიერი ქვეყნებიც კი ვერ აღწევენ თავს; შიდა შეუკავშირებლობისა და ფრაგმენტაციისაგან ყველაზე პატარა ქვეყნებიც კი არ არიან დაცულნი.

მეოცე საუკუნის ერი-სახელმწიფოს, სუვერენიტეტის ეპოქა იყო. ერთი მხრივ, სოციალიზმის იდეებმა და კომუნისტური სახელმწიფოების შექმნისა და ფუნქციონირების პრაქტიკამ სახელმწიფოს უკიდურესი ძლიერება მიანიჭა, რამაც პიროვნება, მისი ინიციატივა დათრგუნა. მეორე მხრივ, დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფოს როლი ზოგჯერ ძალიან იყო დაკნინებული, რათა ბაზრის ძალებს უფრო თავისუფლად ემოქმედათ. საუკუნის მიწურულს კი ერი-სახელმწიფო თითქმის ანაქრონიზმად იქცა. საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოებთან ერთად პოზიციებს არასახელმწიფო მოქმედი პირებიც (მრავალეროვნული კორპორაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ბანკები და ა.შ.) იმაგრებენ. სახელმწიფოს კონკურენციას სხვა მოქმედი პირებიც უწევენ, თუმცა სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში ადრინდელი მონოპოლიური თუ არა, წამყვანი როლის შესრულებას ჯერ კიდევ წარმატებით ახერხებს.

ყველა მხრიდან მომდინარე დაწოლის მიუხედავად, ერი-სახელმწიფო, სუვერენული სახელმწიფო, ის უნივერსალური პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენია, რომლის არსებობა თვით გლობალიზაციის პროცესს სჭირდება. სახელმწიფო არა მხოლოდ უსაფრთხოების ერთადერთი რეალური გარანტია, არამედ ქონებრივი უფლებების გარანტიც. ხსენებული უფლებების არსებული სისტემა თუ მოიშალა, რომელ საერთაშორისო ტრანსაქციებზე მოხერხდება საუბარი? პოსტსაბჭოთა სივრცის ახალ სუვერენულ სახელმწიფოებს რაც შეეხება, მათი უსაფრთხოების თუ ეკონომიკური განვითარების პროცესის უზრუნველყოფა მხოლოდ სრულყოფილ ერ-სახელმწიფოებად ჩამოყალიბების შემთხვევაში გახდება შესაძლებელი.

მზარდ პოლიტიზაციასა და არაეფექტურ პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობა - ასე დაახასიათა სემუელ ჰანტინგტონმა ის ვითარება, რომელშიც ყოფილი კომუნისტური ქვეყნები აღმოჩნდნენ. ამგვარ ვითარებაში მყოფ საზოგადოებებში ძლიერდება ანარქია, დამნაშავეობა, სოციალური და პოლიტიკური ძალები ერთმანეთს უპირისპირდება, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ემხრობა ავტორიტარიზმს, დიქტატურას, სამხედრო ხელისუფლების დაწესებას. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ამას ემატება მოსახლეობის გარკვეული (ხშირად - მნიშვნელოვანი) ნაწილის ნოსტალგია წარსულის მიმართ ("დიდ, ძლიერ სახელმწიფოში იყო უსაფრთხოება, სამართლიანობა, კანონი კანონობდა და არ იყო მომავლის შიში") და ადრე არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების (სსრკ) რესტავრაციის სურვილი. პოსტსაბჭოთა სივრცეში ამგვარი განწყობა საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მოსახლეობის იმ ფართო ფენებში, რომლებსაც ყველაზე მეტად შეეხო საბჭოთა კავშირის დაშლისა და ახალი სუვერენული სახელმწიფოების შექმნის უკიდურესად მტკივნეული პროცესების თანმხლები ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი და უკიდურესი ნაციონალიზმი.

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტები (და, რაც მთავარია, სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტები) ვერ ახერხებენ მოჭარბებული პოლიტიკური ენერგიის სახელმწიფოს მშენებლობის მიმართულებით კონსტრუქციულ წარმართვას. ამასთანავე, ეთნიკურ-ტერიტორიული პრინციპის მიხედვით ორგანიზებულ ყოფილ საბჭოთა კავშირში, სადაც ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დაყოფას ძირითადად ეთნიკური ჯგუფების განსახლების მოხაზულობა განაპირობებდა, დათრგუნვილი იყო ყველა სახის (ეროვნული, რელიგიური, სოციალური, პოლიტიკური) თვითშეგნება. ამის საპასუხოდ, ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში განვითარდა ეროვნული ინტელიგენცია, წარმოებდა ეროვნული ისტორიისა და კულტურის კვლევა, დაწინაურდა ეროვნული ხელოვნება. თავი იჩინა ეროვნულმა თვითშეგნებამაც, რადგან პიროვნებას სწორედ მისი მეშვეობით შეეძლო ოფიციალურად დეკლარირებული ე.წ. სოციალისტური იდეოლოგიის შემოტევისაგან საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის დაცვა და შენარჩუნება. საბჭოთა კავშირის ნგრევის შედეგად პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველა სახის კულტურული თვითშეგნებიდან პრაქტიკულად მხოლოდ ერთი - ეროვნული თვითშეგნება არსებობდა. სწორედ მან შეავსო ოფიციალური იდეოლოგიის მსხვრევის შედეგად წარმოშობილი ვაკუუმი.

*დასასრული შემდეგ ნომერში.*

*ალექსანდრე რონდელის ახალი წიგნიდან "პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში"*

### ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲐ

# ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

ილია ჭავჭავაძე

დედათა საქმე, რომელიც ჩვენში მონათლულია ქალების საქმედ, დღითიდღე წინ მიდის განათლებულს ქვეყნებში, დღითიდღე მომხრეებსა ჰპოულობს, ძლიერდება და კუთვნილს ადგილს იჭერს ადამიანის ცხოვრებაში. დედათა მხნეობა, სამართლიანის უფლების მოპოვებაზედ მიმართული, აღარა ჰრჩება "ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა" და დღე თითქმის ისე არ გადის, რომ სადმე - რასაკვირველია, განათლებულს ქვეყნებში-კი - ცოტად თუ ბევრად დედათა საქმე ფეხს არ იმაგრებდეს და ცხოვრების სარბიელზედ ცოტ-ცოტაობით მაინც ადგილს არ იპყრობდეს შემდეგის წარმატებისათვის. დედათა სქესმა კაცობრიობის უკეთესთა წარმომადგენელთა თაოსნობით, ღვაწლით და გარჯით უკვე დაიმტკიცა უფლება უმაღლესის სწავლისა და განათლების მიღებისა და ეხლა მარტო ბრმანი და თვალახვეულნიღა ეურჩებიან ამ უფლებას. დედათა სქესმა დაიპყრა ამასთანავე ზოგიერთს სფერაში უფლება სახელმწიფო, თუ საზოგადო სამსახურისა და თუმცა აქ ბევრი რამ კიდევ დარჩენია დასაპყრობად, მაგრამ ეს პირველდაწყებითი ბიჯიც უმნიშვნელო არ არის შემდეგისათვის. იგი უსამართლობა, რომელიც დღეს აქამომდე დედათა სქესს, ამ ნახევარს მთელის კაცობრიობისას, საძძაოდამ და სამზარეულოდამ გარეთ არ უშვებდა და ამათ გარე არავითარს საქმეში მონაწილედ არა ხდიდა, ასე რომ ლუკმაპურის საშოვარის გზასაც არ აძლევდა, დიდხანს ველარ გაუძლებს ერთხელ ფეხადგმულს მოძრაობას.

რომ უფრო დიდი ავალა მისცენ ამ მოძრაობას და დედათა სქესს მისი სამართლიანი ადგილი მიეზომოს კაცთა ცხოვრებაში, დედათა საქმე ამ ბოლოს ხანებში იმაზედ მიიმართა, რომ ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და კანონმდებლობაში ხმა მიანიჭოს დედათაცა, როგორც მამაკაცთა აქვსთ მინიჭებული. ამ მხრით ამერიკამ ჯერ-ხანად ყველა ქვეყნებს წინ გაუსწრო და იქ დღეს არამცთუ ვისმე ეხამუშება, რომ მოხელეთა და ქვეყნის საქმეთა გამგებელთა საარჩევნოდ მამაკაცებთან ერთად დედათაც კენჭი იქონიონ, არამედ თითონ დედანიც-კი რომ ამორჩეულ იქმნან თუნდ რესპუბლიკის პრეზიდენტადაც, არავინ გაიკვირვებს და იოცებს.

ამ ხანებში ამერიკის ქალაქში, რომელსაც ბოსტონი ჰქვიან, ქალაქის გამგეობის არჩევნები იყო. თუმცა როგორც აქ, ისე სხვაგანაც ამერიკაში, დედათა აქვსთ უფლება არჩევანში მონაწილეობისა, მაგრამ დღეს-აქამომდე დედანი ამ უფლებას ბევრს არაფერს დასდევდნენ და არ ერეოდნენ არჩევნებში. ეხლა-კი, ამ ბოლოს არჩევანებში, თითქმის ყველანი მოსულან და დედათა კენჭის წყალობით დემოკრატები, რომელთაც აქამომდე ხელთ ეპყრათ გამგეობა ქალაქისა, დამარცხებულან და რესპუბლიკელებს გაუმარჯვნიათ. 22.000 დედაკაცი ჩაწერილა, საარჩევნოდ მოსული. ამათ თავისი საკუთარი კომიტეტი ჰქონიათ "ასთა დედათა". ამ "ასთა დედათა" კომიტეტს ისე ხერხიანად წაუყვანია არჩევანის საქმე, რომ სწავლა-განათლების საბჭოში და ქალაქის გამგეობაში სულ თავისი მომხრე რესპუბლიკანელები გამოურჩევიათ.

თუმცა ევროპაში ესე საქმეში გამოყენებული უფლება დედათა სქესისა თითქმის არსად მაგალითს არ წარმოგვიდგენს, მაგრამ დედათა სანუგეშოდ უნდა ვსთქვათ, რომ აქაც-კი არჩევანის საქმეში აზრი მათკენ არის გადახრილი და ლამის დღესა თუ ხვალ საქმითაც განხორციელდეს. კონსერვატორთა მეთაური სალუსბერი, რომელიც დღეს მთავარმინისტრია ინგლისში, მომხრეა იმისი, რომ დედათა მიენიჭოთ საარჩევანო უფლება. ამას წინათ ლორდი სალუსბერი ყოფილა შოტლანდიაში, ეს მომხრეობა გამოუცხადებია და ყველანი გაუოცებია, რადგანაც კონსერვატორთა მეთაურისაგან არავინ არ მოელოდა დედათა უფლებისათვის გამოსარჩლებას. ედინბურგში უთქვამს, რომ მე ჩემ თავად არ ვეურჩები ამ მხრით დედათა ემანსიპაციასაო და "შორს არ არის ის დრო, როცა დედათაც ექნებათ ხმა ამორჩევისა, როცა ისინი მიიღებენ მონაწილეობას როგორც ჩვენის ქვეყნის საპოლიტიკო საქმეთა მსვლელობასა და მიმართულებაში, ისეც საპოლიტიკო კაცთა ამორჩევაშიო". ამისათვის არავითარს დაბრკოლებას არა ჰხედავს მთავარმინისტრი ინგლისისა.



თუ კონსერვატორთა მეთაური ასე ძლეულა დედათა საქმის სამართლიანობითა და ასეთის აზრით გამსჭვალულა ამ საქმის სასარგებლოდ და გასამარჯვებლად, სხვას ვისღა არა აქვს საბუთი სთქვას, რომ შორს არ არის ის დრო, როცა დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისის კუთვნილის ადგილის დასაჭერად. რაკი დედანი კანონმდებლობაში ხმას მოიპოვებენ მისთა მომხრე კაცთა წარმომადგენლობით და ქვეყნის საქმისა გამგებლობის ამორჩევაშიაც მონაწილენი იქნებიან, ამ გზით დიდს ზემოქმედებას იქონიებენ თვით კანონზედ, რომელნიც დღეს სჩაგრავენ და ჰხუთვენ დედათა სამართლიანს უფლებას. ამ ზემოქმედების სიმძიმის ქვეშ შეიცვლებიან ის კანონები და დედათა საქმე წარიმატებს იმოდენად, რამოდენაც შესაძლოა თვით ამ საქმის ბუნებისაგან, იმიტომ რომ განგებ მოგონილი ბორკილი აღარ შეუშლის ფეხს, ამ ბორკილისაგან დახსნილი იქნება და მარტო თავის ბუნებაზედღა დამოკიდებული.

*ტფილისი,*
*12 დეკემბერი, 1883 წ.*

# უნდინე მიდის



ინგებორგ ბახმანი




| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მარიო ვარგას ლიოსა | 2 | ზურაბ ლეჟავა | 7 | დალილა ბედიანიძე | 12 |
| ვალტერ ბენიამინი | 4 | ანა კორძაია-სამადაშვილი | 9 | ელიზაბეტ ბიშოპი | 13 |
| შოთა იათაშვილი | 6 | | | ინგებორგ ბახმანი | 15 |

# "თუნუქის დოლი"



მარიო ვარგას ლიოსა

პირველად "თუნუქის დოლი" ინგლისურად წავიკითხე 60-იან წლებში. მაშინ ლონდონის გარეუბანში ვცხოვრობდი, უწყინარი მედუქნეების უბანში, სადაც უკვე ათი საათისთვის ყველა დასაძინებლად ემზადებოდა. ასეთი სიმყუდროვისა და უშფოთველობის პირობებში გრასის რომანი უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებდა. პირველივე გვერდებმა დამიპყრო და გამახსენდა, რომ ესეც ცხოვრება იყო: ქაოსი, ამაოება, სიცილი, აბსურდი.

რომანი სულ სხვა ვითარებაში გადავიკითხე. ჩემს ქვეყანას ძალზე უჭირდა, და უეცრად, პოლიტიკური მოღვაწეობის ქარიშხალმა ჩამითრია. წიგნს დისკუსიებსა და ქუჩის მიტინგების შუალედებში ვკითხულობდი, გამთანგველი შეკრებების (სადაც სიტყვით წყვეტდნენ სამყაროს ბედს, თუმცა მხოლოდ სიტყვითვე კმაყოფილდებოდნენ ხოლმე) ან სახიფათო აქციების, სროლისა და დარბევების შემდეგ.

მაგრამ მაშინაც, ოსკარ მაცერატის რაბლეზიანური ოდისეა, მისი დოლი და მინისმსხვრეველი ხმა მეხმარებოდა წყობიდან არ გამოვსულიყავი, მათ თავშესაფრად წარმოვიდგენდი, რადგან ესეც სიცოცხლე იყო: ფანტაზია, სიტყვა, გაცოცხლებული სიზმრები, ლიტერატურა.

1959 წელს, როცა "თუნუქის დოლი" გამოვიდა გერმანიაში, რომანის არნახული წარმატება რამდენიმენაირად ახსნეს. გეორგ შტაინერმა დაწერა, რომ პირველად დამღუპველი ნაცისტური ექსპერიმენტის შემდეგ, ერთ-ერთმა გერმანელმა მწერალმა გაბედა მიკერძოების გარეშე, ფხიზელი თვალით შეეხედა თავისი ქვეყნის საბედისწერო წარსულისთვის, ჩაეტარებინა გაკვეთა და ნანახი მკაცრად, ძალზე კრიტიკულად გაეანალიზებინა. სხვა აზრსაც გამოთქვამდნენ: თავისი ენის - თამამი, ფანტაზიით აღსავსე, ბარბარიზმებითა და ხალხური მეტყველებით შეჯერებული ენის - წყალობით, რომანი აღადგენდა ცხოვრებისეულ ძალასა და თავისუფლებას, რომელიც გერმანულმა ენამ დაკარგა იმ ოცი წლის განმავლობაში, როცა იგი ტოტალიტარულ შხამს ეწაფებოდა.

ალბათ, ორივე ახსნა მართებულია, მაგრამ დღევანდელი პერსპექტივიდან - როცა რომანს იმდენივე წელი უსრულდება, რამდენისაც მისი გენიალური პერსონაჟი იყო, როცა წერა დაიწყო (ანუ ოცდაათი წლისა) - პირველ პლანზე სულ სხვა გარემოება იჩენს თავს და გვაუწყებს, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში წიგნი ასეთ ძლიერ ზეგავლენას ახდენდა მკითხველებზე: გაბედული ჩანაფიქრი, სიხარბე, რომლითაც რომანი ცდილობს მთელი სამყარო მოიცვას - ახლანდელიც და წარსულიც - ისტორია, სხვადასხვა მოვლენები, ადამიანური ცირკის არენაზე რომ ვითარდებოდა და სურვილი, ყველაფერი ეს ლიტერატურად ექცია. მაგრამ იგივე დაუცხრომელ მოთხოვნილებას - ერთ წიგნში ყოფილიყო მოთხრობილი ყველაფერი, მთელი ცხოვრება - ჩვენ რომანული ჟანრის ნებისმიერ, ყველაზე საუკეთესო ნიმუშებშიც შევხვდებით. სწორედ ეს თვისება დომინირებს რომანის საუკუნეში, XIX-ში, მაგრამ ჩვენს ეპოქაში ეს მისწრაფება თითქმის მთლიანად მიიჩქმალა. ჩვენს რომანისტებს თავიანთი გონებისმიერი სიძუნწითა და გაუბედაობით, გულუბრყვილობად მიაჩნიათ საზოგადოებისთვის ზნეობრივი კანონების საკუთარი კოდექსის შეთავაზების იდეა, ან იდეა იმის შესახებ, რომ მიკერძოების გარეშე დახატონ სინამდვილე (რასაც ბალზაკი და სტენდალი ესწრაფვოდნენ): ამას ხომ კინო უკეთესად აკეთებს.

მაგრამ არა, კინო ამას ვერ ართმევს თავს. უბრალოდ, იგი ამას სხვაგვარად აკეთებს. დიად კინემატოგრაფიულ ეპოპეათა ეპოქაშიც, რომანი შეიძლება ღმერთს აუჯანყდეს: ჩაიფიქროს რეალობის ისეთი რთული და მასშტაბური რეკონსტრუქცია, რომ გეგონება შემოქმედს ეპაექრებაო, დაანგრიოს და ახლიდან შექმნას ის, რაც უკვე შექმნილია ღმერთის მიერ. გრასი ერთ-ერთ თავის ძალზე ემოციურ ესეში დაჟინებით მოითხოვდა, რომ მის მასწავლებლად და წინამორბედად ალფრედ დიობლინი ეღიარებინათ, ვისი დაფასებაც მხოლოდ ახლა, დიდი დაგვიანებით დაიწყეს და იგი დიდ მწერალთა რიგებშიც ჩარიცხეს. რა თქმა უნდა, რომანში "ბერლინი-ალექსანდერპლაცი" უკვე იგრძნობა პროტოპლაზმის ის ცოცხალი მღელვარება, აურზაური, რომელმაც "თუნუქის დოლი" კაცობრიობის ისტორიის თემაზე შექმნილ ვეებერთელა ფრესკად აქცია. თუმცა, აშკარაა ისიც, რომ მოსწავლემ გაცილებით მეტს მიაღწია, ვიდრე მასწავლებელმა. გრასის რომანი ამ ჟანრის ყველაზე დიდი ქმნილებების რიგში უნდა განვიხილოთ, სადაც ავტორები შეშლილთათვის დამახასიათებელი გულუბრყვილო სითამამით უპირისპირებდნენ ერთმანეთს გამოგონილ და რეალურ სამყაროს. და რეალობაც მკრთალი და ფერმიხდილი ჩანდა და უკვე აღარ იყო იმის ღირსი, რომ ვინმეს ერწმუნა მისი.

პოეზია დაძაბულობაა, რომანი კი განფენილობა. რიცხვი, რაოდენობა მისთვის სისხლხორცეული ცნებებია, რადგანაც ნებისმიერი პროზაული ნაწარმოები დროში რეალიზდება, ეს დრო კი მკითხველის თვალწინ იქმნება. ნებისმიერ, მართლაც, ღირებულ რომანში სწორედ ეს რაოდენობრივი ყოვლისმომცველობისკენ, მრავალმნიშვნელობისკენ, ხანგრძლივობისკენ სწრაფვა წამყვანი ფაქტორია: როგორც წესი, დიდი რომანი მოცულობითაც დიდია. ხოლო "თუნუქის დოლი" დიდი რომანების ოჯახში ერთიანდება. დოლის ხმის ფონზე, ამ რომანში მთელი სამყარო იქმნება - სრული და მჭიდროდ დასახლებული, კონტრასტებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე. მაგრამ, მიუხედავად სიჭრელისა და ყოვლისმომცველობისა, რომანი არ აღიქმება როგორც სამყარო, სადაც ქაოსი მეფობს, არ ტოვებს გაცოცხლებული, უცენტრო და უსაყრდენო დისპერსიის შთაბეჭდილებას ("ბერლინ-ალექსანდერპლაცისგან" და დოს პასოსის ტრილოგიისგან "აშშ"-სგან განსხვავებით). იმიტომ, რომ პერსპექტივა - რომელშიცაა გააზრებული და გამოსახული ეს გამოგონილი სამყარო - ბაროკალურ ბუნდოვანებას მთლიანობასა და გამართულობას ანიჭებს. ამ პერსპექტივას განასახიერებს გმირი და მთხრობელი ოსკარ მაცერატი - თანამედროვე პროზის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი და თამამი ქმნილება. მისი პოზიცია აბსოლუტურად ორიგინალურია, ამ ორიგინალობისა და განსაკუთრებული ირონიის ნათელითაა მოსილი მთელი რომანი - ეს კი მხატვრული რეალობის დამოუკიდებელ ღირებულებად აღქმის საშუალებას იძლევა. თავისი სახიჩრობით, ოსკარი უკვე გამონაგონისა და რეალობის ზღვარზე დგას, მისი ფიზიკური იერის განსაკუთრებულობა არსებითად თავად რომანის მეტაფორას წარმოადგენს: დამოუკიდებელი, თვითმყოფადი სამყაროს მეტაფორას, რომელშიც კონკრეტული სამყაროს ყველაზე არსებითი თვისებები იჩენს თავს, სიცრუისას, ვის მზაკვრობაშიც ღრმა ჭეშმარიტებაა დაფარული.

მაგრამ ჭეშმარიტებები, რომელთაც რომანები გვიცხადებენ, ძალზე იშვიათად არიან უბრალო და თვალსაჩინონი, როგორც მათემატიკური ფორმულები, ან იდეოლოგიური ლოზუნგებივით სწორხაზოვანნი. ჩვეულებრივ, ეს ჭეშმარიტებანი - ისევე როგორც ადამიანის გამოცდილებათა გააზრების ნებისმიერი ცდა - რელატივისტური არიან და გარკვეულ ფიგურას წარმოადგენენ ბუნდოვანი კონტურებით, სადაც წესი და გამონაკლისი, თეზისი და ანტითეზისი ერთ მთლიანობას ქმნიან და ერთიანი ეთიკური ღირებულება აქვთ. მაგრამ თუკი ოსკარ მაცერატის მიერ მოთხრობილ ისტორიულ პერიპეტიებში რაიმე სიმბოლური აზრია დაფარული, რაში მდგომარეობს იგი? სამი წლის ასაკში, გმირი თავს უბრძანებს აღარ გაიზარდოს, ანუ სხვა სიტყვებით, იგი უარყოფს სამყაროს, რომელშიც მას ინტეგრირება მოუწევდა, ნორმალური ადამიანი რომ ყოფილიყო. მაგრამ ამგვარი გადაწყვეტილება, თუკი ამ სამყაროში გამეფებული სისასტიკისა და აბსურდის მიხედვით ვიმსჯელებთ, ოსკარის უეჭველ სიბრძნეზე მეტყველებს. დაბალი სიმაღლის გამო იგი განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობს, მაგალითად, ექსტერიტორიალურობის უფლებით - ანუ მას ნაკლებად ერჩიან და თავისუფალია იმ მოვალეობებისგან, სხვა მოქალაქეებს რომ აკისრიათ.

ცეროდენობა თავშესაფარია, საიდანაც ოსკარს ყველაზე უკეთ შეუძლია დაინახოს და გაიგოს ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდება. ცეროდენობა გარკვეული ზნეობრივი პოზიციის სიმბოლოს წარმოადგენს - უმანკო ბავშვის პოზიციისა, ვისი პირითაც... თანაც ოსკარის ეს პოზიცია რომანში განსაკუთრებულადაა მატერიალიზებული: იგი არ მონაწილეობს გარშემო მიმ-



*1968 წელი. მიუნხენი, გიუნტერ გრასი ხვდება სტუდენტებს*

დინარე მოვლენებში, მაგრამ თითქოს უხილავი აბჯრით იყოს დაცული, ოსკარი ყველაზე სახიფათო ადგილებში შეღწევას ახერხებს, საღ-სალამათი გამოდის ყველაზე სარისკო სიტუაციებიდან: ასე ხდება, მაგალითად, წიგნის ერთ-ერთ ყველაზე ღრმა სცენაში, მის ერთ-ერთ კრატერზე - დანციგის პოლონური ფოსტის დაცვის სცენაში. იქ, ომის ქარცეცხლში, პატარა მთხრობელს მუდამ სიკვდილის საშიშროება ემუქრება, იგი აკვირდება და ირონიულ კომენტარს უკეთებს მომხდარს ისე, თითქოს დარწმუნებული ყოფილიყოს თავის უშიშროებაში.

ასეთი პოზიციის უნიკალობის წყალობით ოსკარის მონათხრობი ძალზე თავისებურ ხასიათს იძენს. როგორც იდუმალი არომატებით აღსავსე ეგზოტიკურ კოქტეილში, აქაც ერთმანეთშია არეული არნახული თავხედობა და მგრძნობიარობა, ნებისმიერი ძალაუფლების ზიზღი და დელიკატურობა, ექსტრავაგანტულობა, სიმკაცრე და სარკაზმი. ოსკარის ხმა ისევე ფანტასტიკურია, როგორც გმირის მიერ შექმნილი ინტელექტუალური ტოტემი - გოეთესა და რასპუტინის ჰიბრიდი. მისი ხმა არტეფაქტია და სამყაროზე, რომელსაც იგი აღწერს (უფრო სწორად, ქმნის, იგონებს), ეს ხმა შეუდარებელი პიროვნული აღქმის ბეჭედს ასვამს.

და მაინც, გმირის ბუნების აშკარა ხელოვნურობის, ამ სახის მეტაფორულობის მიუხედავად, დოლზე მორაკუნე ჯუჯა - რომელიც სისხლისგან დაცლილი, ტოტალიტარული სიჩლუნგით დასახიჩრებული ევროპის აპოკალიპტურ სურათს გვიხატავს - არ აღძრავს სიცოცხლისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას. პირიქით, მის მიერ მოთხრობილ ამბავში საოცრადაა გადაჯაჭვული ორი მოტივი: თანამედროვეთა დაუნდობელი გაკიცხვა და სამყაროს მხურვალე ერთგულება, მის მიმართ უსაზღვრო ინტერესი. სიმახინჯე და დაუცველობა არ უშლის ხელს ოსკარს, ყველაზე მძიმე წუთებშიც თავის უბრალო და სრულიად ბუნებრივ მისწრაფებებზე გვესაუბროს: თამაშის, სიყვარულის, მეგობრობის, ჭამის, თავგადასავლებისა და მუსიკის შესახებ. ალბათ, დაბალი სიმაღლის გამო, ოსკარი გაცილებით უფრო მგრძნობიარეა ყველაფერი ელემენტარულის მიმართ, ყველაფრის მიმართ, რაც მიწასთანაა ახლოს. ოსკარს ბედმა "დაბლა" ყოფნა არგუნა და მანაც აქვე აღმოაჩინა - ისევე როგორც მაშინ, როცა ბანქოს მაგიდის ქვეშ დამალული, დედამისისა და იან ბრონსკის ფეხების აკრძალული სასიყვარულო თამაშის მოწმე გახდა - რომ ყველაზე უბრალო და პრიმიტიულ, ყველაზე მიწიერ და პლებეურ ფორმებშიც ცხოვრება არნახულ შესაძლებლობებს იფარავს და პოეზიითაა აღსავსე. შემთხვევითი არაა, რომ ოსკარს ხშირად ახსენდება ხოლმე შემდეგი სურათი: ბებიამისის, ანა კოლაიჩეკის ოთხი კაბა, რომლის ქვეშ მოკალათებული ოსკარი ცხელ და მყუდრო სამყაროში ხვდებოდა, სადაც ყოველი მსურველი უსაფრთხოდ, მშვიდად იგრძნობდა თავს. ყველაზე უბრალო და რუ-



*გიუნტერ გრასი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე*

დიმენტულ ადამიანური ქმედებებიც კი - რომლის შესახებაც ოსკარის რაბლეზიანური ხმა გვაუწყებს - სახეს იცვლიან და მკითხველს უსასრულო სიამოვნებას ანიჭებენ.

რაბლეზიანური ხმა? დიახ. იმიტომ, რომ იგი ხალისიანი და ვულგარულია, თავნება და საოცრად თავისუფალი; და კიდევ იმიტომ, რომ მისი ფანტაზია უცნაურია და უტიფარი, მდაბიური სიტლანქის ქვეშ კი მახვილი აზრი იმალება. საუკეთესო თარგმანშიც კი (არადა, მე სწორედ ასეთი თარგმანი წავიკითხე), ყოველთვის იკარგება გარკვეული სტილისტური თავისებურებანი, ორიგინალის მანერა, მაგრამ "თუნუქის დოლში" ოსკარის მეტყველების ლამის ეპილეფსიური დაძაბულობა და მისი მქუხარე ხმა არღვევს ენობრივ ბარიერს და ჩვენამდე აღწევს მთელი მისი დამანგრეველი ძალა. რომანი ცხოვრებისეული ენერგიითაა აღსავსე, როგორც კოლექტიურ, სახალხო ქმნილებებს ჩვევიათ ეს, მაგრამ მასში, ისევე როგორც კევედოს "გაიძვერაში", თითქმის ყოველი სახე განსაკუთრებულ იდეას ატარებს, ხოლო ერთი შეხედვით ქაოტური მონოლოგი რთული კომპოზიციური სისტემით იმართება. და მიუხედავად იმისა, რომ პირველ პლანზე ხაზგასმით პიროვნული თვალსაზრისი გამოდის, რომანი ყოველთვის კოლექტიური მსოფლმხედველობის სამყაროსაც წარმოგვიდგენს, ჩვენს თვალწინ იშლება როგორც მცირე, უმნიშვნელო ეპიზოდები (სამუშაო იქნება ეს თუ ოჯახური პრობლემები), ასევე ეპოქალური მოვლენებიც - ომი, ოკუპაცია, ნგრევა, გერმანიის აღშენება, თუმცა ყველაფერი ეს მაინც მთხრობელის აღქმაში დეფორმირდება. ნებისმიერი მაღალი ღირებულება - პატრიოტიზმი, გმირობა, თავგანწირვა - ოსკართან ირღვევა, იმსხვრევა, როგორც მინა მისი ხმის ვიბრაციისას და დაღუპვის პირას მდგარი საზოგადოების უაზრო კაპრიზების შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა, აქ რაღაც ძალზე საინტერესო ხდება: "თუნუქის დოლი" თითქოს კატასტროფიზმის იდეით უნდა განიმსჭვალოს, იწამოს საზოგადოების ევოლუციის დამღუპველობა, რაც მეორე მხრივ, ხელს არ უშლის მას დაინახოს, თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანია უფსკრულის პირას მდგარი ეს საზოგადოება, რამდენად ჰუმანური შეუძლია მას იყოს, რამდენია მასში სულიერი თუ უსულო ქმნილებები - განსაკუთრებით ბუნებრივი - რომლებთანაც ღრმა კავშირს ვგრძნობთ, გული გვტკივა მათზე. და ცხადია, ამაში მდგომარეობს გრასის რომანის უდიდესი გამარჯვება: იგი გვასწავლის, აღვიქვათ სამყარო ისე, როგორადაც იგი უბრალო ადამიანებს წარმოუდგებათ - სწორედ ისინი არიან მისი მთავარი პერსონაჟები - გვასწავლის, რომ ცხოვრების გზა - მასში გაბატონებული უგუნურებისა და სისასტიკის მიუხედავად - მაინც ბოლომდე უნდა გავიაროთ.

სტილისტურად, რომანი საოცრად ცვალებადია, პირთამდე სავსეა დაუოკებელი ძიების ენერგიით. მისი კომპოზიცია კი, პირიქით, ძალზე უბრალოა. საავადმყოფოში მოხვედრილი ოსკარი შორეული და ახლო წარსულის ეპიზოდებს ჰყვება თავისი ცხოვრებიდან, ხანდახან ისტორიულ ექსკურსებსაც მიმართავს ხოლმე (გავიხსენოთ დანციგში დინასტიური ბრძოლის პერიპეტიათა პაროდიული გადმოცემა). თხრობა განუწყვეტლივ ხან აწმყოდან წარსულ დროში გადაინაცვლებს, ხანაც პირიქით - ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ახსენდება ოსკარს - და სქემაც ზოგჯერ მექანიკური ჩანს. მაგრამ რომანში სხვა ნახტომებიც არის, გაცილებით ნაკლებად შესამჩნევი: მთხრობელი ხან პირველ პირში გვესაუბრება, ხან მესამეთი, თითქოს დოლიანი ჯუჯა ვილაც სხვა ადამიანი ყოფილიყოს და არა თავად იგი. მაგრამ რისთვის სჭირდება ავტორს მთხრობელის პიროვნების ამგვარი შიზოფრენიული გაორება? ერთადერთი ფრაზის მეშვეობით იგი ხან გულახდილად გვესაუბრება საკუთარი "მე"-ს შესახებ, ხანაც სხვა ადამიანის თვისებებს იძენს. მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ, რომ რომანი ალეგორიებითა და მეტაფორებით შემდგარ კონსტრუქციას წარმოადგენს, მაშინ მთხრობელის ცვალებადი ბუნება არ მოგვეჩვენება მხოლოდ სტილისტურ ხერხად. საუბარი, რა თქმა უნდა, კიდევ ერთ სიმბოლოს ეხება. ორობითობა, ანუ ოსკარის (ისევე, როგორც ნებისმიერი რომანისტისა?) საბედისწერო გაორება იმით აიხსნება, რომ იგი იმავდროულად მთხრობელიცაა და თხრობის ობიექტიც, იგი წერს და იგონებს ისტორიას და საკუთარი ფანტაზიის ნაყოფსაც წარმოადგენს. მაგრამ ოსკარის სწორედ ეს გაორების უნარი - იყოს და ამავე დროს, არ იყოს ისეთი, როგორადაც საკუთარ მონათხრობში გვევლინება - რომანის, როგორც ჟანრის ბრწყინვალე სიმბოლოს წარმოადგენს: რომანი ცხოვრება არაა, იგი მხოლოდ რეალური სამყაროს ანარეკლია, სიმართლეს ამბობს სიცრუის მეშვეობით.

"თუნუქის დოლი" - ბაროკალური, ექსპრესიონისტული, ანგაჟირებული, ამბიციური რომანია, მაგრამ იგი ერთი ქალაქის რომანიცაა.

დანციგი ოსკარ მაცერატს წიგნის მთავარი გმირის წოდებას ეცილება. მოქმედების ადგილი ძალზე ზუსტადაა დახატული, მაგრამ ამავე დროს, იგი მოუხელთებელიცაა, რადგანაც ქალაქი, როგორც ცოცხალი არსება, განუწყვეტლივ იცვლება, ხორცს ისხამს და გარდაისახება დროსა და სივრცეში. დანციგის თითქმის ხელშესახები რეალურობა - სადაც ამ ისტორიის უდიდესი ნაწილი ვითარდება - რომანის სამყაროს განსაკუთრებულ მატერიალურობას ანიჭებს, თუმცა კი ზოგიერთი ეპიზოდი დაუჯერებელი ჩანს და ბოდვას უფრო წააგავს.

მაგრამ რომელ ქალაქზეა აქ საუბარი? ნამდვილ დანციგზე, რომელიც გრასმა წიგნში გადაიტანა როგორც ისტორიული დოკუმენტი, თუ მწერლის დაუცხრომელი წარმოსახვის კიდევ ერთ პირმშოზე, ისევე ორიგინალურსა და ურჩზე, როგორც პატარა ადამიანი, ვისი ხმაც ნამსხვრევებად აქცევს მინებს? ძნელია ამაზე პასუხის გაცემა, რომანებში (კარგ რომანებში) ხომ, ისევე როგორც ცხოვრებაში, ნებისმიერი მოვლენა მრავალსახაა და წინააღმდეგობებით აღსავსე. გრასის დანციგი - ქალაქი-კენტავრია, რომლის ფეხები ისტორიის ტალახში ეფლობა, ტორსი კი პოეზიის ნისლში დაფრინავს.

რაღაც მისტიკური კავშირია რომანებსა და დიდ ქალაქებს შორის - ნათესაური კავშირი - უცხო, პოეზიისთვის და დრამატურგიისთვის. ლექსები და თეატრი შესანიშნავად ვითარდებოდა სხვადასხვა აგრარულ კულტურებსა და ცივილიზაციებში ჯერ კიდევ მანამ, სანამ ქალაქები წამყვან როლს იკისრებდნენ. აი, რომანი კი წმინდა ქალაქური ნაზარდია და აყვავებისთვის აუცილებლად ქუჩები და კვარტლები, სავაჭრო დახლები და კანტორები, ჭრელი, მრავალფეროვანი, სხვადასხვა ჯურის ადამიანთა ბრბოები სჭირდება. ლუკაჩი და გოლდმანი თვლიან, რომ ქალაქსა და რომანს შორის შემაკავშირებელ რგოლად ბურჟუაზია უნდა მივიჩნიოთ, სოციალური კლასი, სადაც რომანმა არა მხოლოდ ნამდვილი მკითხველი მოიპოვა, არამედ შთაგონების წყაროსაც მიაგნო, თავის მასალას, თავის მითოლოგიასა და ღირებულებათა თავის შკალას: ნუთუ ბურჟუაზიის საუკუნე არ იქცა იმავდროულად რომანის საუკუნედაც? თუმცა, ჟანრის ამგვარი ტრადიციული განმარტებისას მხედველობიდან რჩებათ შუასაუკუნეებისა და აღორძინების ხანის რომანისტიკის ნიმუშები - სარაინდო, პასტორალური, სათავგადასავლო რომანები - როცა ჟანრი ყველაზე ფართო, სახალხო აუდიტორიაზე იყო გათვლილი (ბაზრის მოედანზე გამოსული გაუნათლებელი მდაბიონი მონუსხული ისმენენ თქმულებებს ამადისის შესახებ) და თაყვანისმცემლები სასახლეებისა და ციხესიმაგრეების ბინადართა შორისაც მოეძებნებოდა. სიმართლე ითქვას, რომანი მხოლოდ ფართო გაგებითაა ქალაქის საკუთრება: იმ აზრით, რომ იგი თავის თავში მოიცავს და გამოხატავს მრავალშრიან კონგლომერატს - ქალაქურ საზოგადოებას და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ, ალბათ სიტყვა "საზოგადოებას" ენიჭება. რომანის უნივერსუმი ცალკეული ადამიანის სამყარო არაა, არამედ ადამიანისა, რომელიც სხვადასხვა სახის ურთიერთობათა მჭიდრო ქსელშია ჩართული, როცა მისი ბედი მისნაირთა ბედზეა დამოკიდებული. რომანის გმირი, როგორი მარტოსული და თავის თავში ჩაღრმავებულიც არ უნდა იყოს იგი, ყოველთვის საჭიროებს დეკორაციას, საზოგადოებრივ ფონს, მხოლოდ მაშინ იქნება გმირი დამაჯერებელი და სარწმუნო. თუკი ასეთი მრავალსახოვნება მონიშნულიც არაა ან ზედაპირულადაა შესრულებული, რომანი აბსტრაქტული და ირეალური გამოდის (რაც არაა "ფანტასტიკურის"სინონიმი: კაფკას მიერ გამოგონილი კოშმარული ზმანებები ძალზე უკაცრიელია, მაგრამ ყოველთვის სოციალურ ფუნდამენტზეა აგებული). რა შეიძლება განასახიერებდეს საზოგადოების იდეას უკეთ, თუ არა ქალაქი - სივრცე, რომელიც ყველას ეკუთვნის, სამყარო, რომელსაც ერთობლივად ფლობენ? და თუკი ქალაქი რომანის მოქმედების საყვარელ ადგილად იქცა, ეს ჟანრის შინაგანი მისწრაფე-

გაგრძელება E4 გვერდზე



ᲔᲕ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ბების გამოა: წარმოადგინოს ადამიანის ცხოვრება სხვების ფონზე, ინდივიდის ხასიათი სოციალურ კონტექსტში დახატოს.

მაგრამ ზმნები "წარმოდგენა", "დახატვა" ამ სიტყვის ყველაზე ვიწრო, თეატრალური მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. რომანული ქალაქი, ისევე როგორც სპექტაკლი, რეალობა როდია, არამედ მირაჟი, რეალობის პროექცია და "დამდგმელი რეჟისორი" იმდენი პირადი, სუბიექტური ელემენტით ავსებს მას, რომ მოდელს მოწყვეტილი ანარეკლი თავად მის არსსაც ასხვაფერებს. მაგრამ მაინც, ეს რეალობა - რომელიც სიტყვისა და სტილის მაგიურმა ხელოვნებამ გამონაგონად აქცია - ინარჩუნებს კავშირს პირველწყაროსთან, ადამიანის ცხოვრების გარკვეულ მოვლენებთან, რომლებიც მხოლოდ რეალობის რომანული გარდასახვით შეიძლება გამოააშკარაო და გაიაზრო.

"თუნუქის დოლში" დანციგი ხან მოჩვენებითი და უხორცოა - როგორც სიზმარი - ხანაც კონკრეტული, როგორც ტექნიკური ხელსაწყო, ან გეოგრაფიული რუკა. იგი ცვალებადი არსებაა, ვისი წარსულიც აწმყოში ჟონავს. ფანტასტიკური ჰიბრიდი, ვისი საზღვრებიც - ამ ორ დროით პლასტს შორის - წაშლილია და პირობითი. დანციგში ცხოვრობდნენ და თავისი კვალი დატოვეს სხვადასხვა რასებმა, ენებმა და ხალხებმა. ქალაქი იცვლიდა დროშებსა და მაცხოვრებლებს, ემორჩილებოდა ბრძოლის ქარცეცხლის პრეტენზიებს. და იმ მომენტში, როცა მთხრობელი იხსენებს და გვიყვება მთელ ამ ამბავს, ქალაქი, რომლის შესახებაც ეს ისტორია მოგვითხრობს, პრაქტიკულად აღარ არსებობს: ქალაქი გერმანული იყო და დანციგი ეწოდებოდა, ახლა იგი პოლონურია და გდანსკი ჰქვია; მისი უძველესი არქიტექტურა წარსული საუკუნეების ხსოვნას ინახავდა, ახლა კი იგი ნანგრევებიდან აღადგინეს, მაგრამ თითქოს ყველაფერ ძველზეც უარი თქვეს. სხვა სიტყვებით, ძნელია იპოვო რომანული მოქმედებისთვის უკეთესი ადგილი - გაურკვეველი და ცვალებადი - ვიდრე ეს "თუნუქის დოლის" დანციგია. მას უფრო ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევ და არა გააფთრებული ისტორიის უცნაურ ქმნილებად.

რეალობისა და გამონაგონის შუალედში მოქცეული დანციგი გრასთან, თითქოს თვალისთვის უხილავი მკრთალი შარავანდედითაა მოსილი, სევდის საბურველშია გახვეული, როგორც ზამთრის ფაფუკ ნისლში. სწორედ ამაშია, ალბათ, მისი მომხიბლაობის საიდუმლო. ქუჩები და პორტი პირქუში ნავსაყუდელებით, მუნიციპალური საოპერო თეატრი და საზღვაო მუზეუმი - სადაც გემის ქანდაკებაზე უიმედოდ შეყვარებული ჰერბერტ ტრუჩინსკი კვდება - ოსკარ მაცერატზე ისეთ ზემოქმედებას ახდენს, რომ მისი დამცინაობა და ბრაზი დნება, როგორც ყინული კოცონთან და გმირის ხმაში ნაზი ინტონაციები ისმის, ღრმა განცდათა ძახილი. როცა იგი დინჯად და ხატოვნად აღწერს ქალაქის ამა თუ იმ ადგილს, ქალაქი თითქოს ცოცხლდება, ზოგიერთ ეპიზოდში იგი თეატრალურ სხეულებრიობას იძენს. ამავე დროს, ოსკარის მონათხრობი ქალაქის შესახებ - წმინდა პოეზიაა. იგი დაფარულია ქუჩათა ლაბირინთში, მიტოვებულ ნასახლარებსა და კადნიერ, უხამს გრძნობებში, ასე უთავბოლოდ რომ იჭრებიან მოგონებათა ნაკადში, რომელთა აზრიც მთხრობელის ხასიათის მიხედვით იცვლება. უცნაური და ცვალებადი ქალაქი, როგორც რომანის მთავარი გმირი, სიტყვებისა და ფანტაზიისგან გამოხდილ ჯადოსნურ წამალს ჰგავს. ესაა ჯადო, რომელიც რეალური ცხოვრების იდუმალ სახეს გვიმჟღავნებს.

*თარგმნა*
*ირაკლი დვალმა*

# ᲞᲝᲚ ᲕᲐᲚᲔᲠᲘ



ᲕᲐᲚᲢᲔᲠ ᲑᲔᲜᲘᲐᲛᲘᲜᲘ

ოდესღაც ვალერის ზღვაოსანი სურდა გამხდარიყო, ოფიცრობას ნატრობდა. მის საბოლოო სახეს ეტყობა ამ ყმაწვილობისდროინდელი ოცნების ნიშნები. უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ მისივე ფორმათა სიმჭიდროვით და სისავსით აღბეჭდილი პოეზია. ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ენა აზრს შეებრძოლა და გამოსტაცა ეს ფორმები, როგორც ზღვა მიიტაცებს ხოლმე სიჩუმეს უქარო დღეებში; და კიდევ: ასეთივეა ვალერის აზროვნება - ერთიანად გამსჭვალული მათემატიკით, - საგნებს და მოვლენებს ზემოდან ისე დაჰყურებს, როგორც საზღვაოსნო რუკებს და "სიღრმეთა" შემცნობელი, ბედნიერია იმითაც, რომ აღებული კურსიდან არ გადაუხვევია. ზღვა და მათემატიკა: ერთ-ერთი ყველაზე უფრო ლამაზი ფრაგმენტი, მის მიერ დაწერილი სოკრატეს მონათხრობია, სადაც ის უყვება ფედროსს ზღვის პირას ნაპოვნ საგანზე. ეს ძალზე უცნაური საგანია, სპილოსძვლისაა თუ ჩვეულებრივი ძვლისა, ისიც კი შეიძლება იფიქრო, მარმარილოს ნატეხიაო, ზღვისგან ნაპირზე გამორიყული და ფორმით აპოლონის თავის მსგავსი. სოკრატე ეკითხება საკუთარ თავს: ვისი ქმნილებაა ეს, ზღვის ტალღებისა თუ მხატვრისა. სოკრატე ფიქრობს იმის შესახებ, თუ რამდენი დრო დასჭირდება ოკეანეს, ვიდრე მილიარდი ფორმისგან შემთხვევის წყალობით სწორედ ამ ფორმას მიაგნებს, და რამდენ დროს მოანდომებს ამ ქმნილების შექმნას მხატვარი. საბოლოოდ იგი ასკვნის: "ერთი მხატვარი ათასი ათასწლეულის ტოლფასია, და მეტისაც, ასი ათასი ათასწლეულისა... აი სად ძევს საკვირველი მასშტაბი ხელოვნების ნაწარმოებისა". შესაძლებელი რომ იყოს "ევპალინოსის ანუ არქიტექტორის" ავტორისთვის ექსლიბრისის სამოცი წლისთავის აღსანიშნავად ჩუქება, ის ასეთად წარმომიდგებოდა: უზარმაზარი ფარგალი, რომლის ერთი ფეხი ზღვის ფსკერშია ჩასობილი, მეორე კი ჰორიზონტისაკენ არის გაშვერილი. ეს სახე გამოკვეთილად აღიბეჭდავდა ამ ადამიანის უჩვეულო სულიერ დიაპაზონს. მისი სახე ყველაზე მეტად დამუხტულობას ამჟღავნებს. დაძაბულობის მანიშნებელია მისივე თავდაჭერა, გამოხედვა, თვალები, რომელთა მეშვეობითაც ვალერი გამოხატავს თავის მიმართებას მიწიერი სურათებისა და ვარსკვლავებისადმი. მარტოობაა ის ღამე, ამ სურათებს რომ ასხივებს. პოლ ვალერის მარტოობის დიდი გამოცდილება გააჩნია. ოცდახუთი წლის ასაკში მან თავისი პირველი ლექსები და ესეები გამოსცა, მერე ოცი წელი არც ერთი მხატვრული ნაწარმოები არ გამოუქვეყნებია და ერთი შესანიშნავი ლექსის პუბლიკაციით დაარღვია ეს პაუზა. რვა წლის შემდეგ რამდენიმე შესანიშნავი, ცნობილი ნაწარმოების და გააზრებული მანევრის გამოისობით იგი მიიღეს საფრანგეთის აკადემიაში. იქ მას არცთუ ისე ფარული ნიშნისმოგების გარეშე უბოძეს ანატოლ ფრანსის სავარძელი. ვალერიმ ეს დარტყმა არაჩვეულებრივად ელეგანტური შესავალი სიტყვით მოიგერია - წესების თანახმად მას თავისი წინამორბედი უნდა შეექო, არადა, ვალერის ის არც კი უხსენებია. ამ სიტყვაში საკმაოდ უჩვეულო თვალსაზრისია გადმოცემული მწერლობის შესახებ. ეს არის სიტყვა, სადაც ორიგინალობა თავისებურად არის დანახული: "ყოველი ახალი იკარგება სხვა ახალში, ყოველი ილუზია საკუთარი ორიგინალობისა აქ წამიერად ქრება". ვალერისთან საკუთარი გამორჩეულობის ამაო გრძნობის ადგილას სხვა მისწრაფება ჩნდება - ნაწერის დღეგრძელობისა. ნაწერის დღეგრძელობა მწერლის დღეგრძელობისაგან განსხვავებული რამაა, უიმისოდ იკვალავს გზას. ვალერის სწორედ დღეგრძელობა აინტერესებს და არა ორიგინალობა ტექსტისა. ეს განსაზღვრავს მისთვის კლასიკურობას. "კლასიკოსი მწერალი - ამტკიცებს ვალერი - ის არის, ვინც თავის იდეურ ასოციაციებს მალავს ან აბსორბირებას უკეთებს" იმ ადგილებში, სადაც შთაგონება მთლიანად ნთქავს მწერალს, სადაც ის ფიქრობს, რომ განგება მიუძღვის მას, სადაც ვერ ამჩნევს ხარვეზებს. და ამიტომაც არ შეუვსია ისინი - სწორედ აქ იკიდებს ფეხს სიძველის ნიშნად ხავსი.

რათა გააცნობიეროო ნაპრალები, და მათ ადგილას აზრებს შორის გაჩენილი საზღვრები, საჭიროა თვითკრიტიკა. ინკვიზიტორის გამომცდელი გუმანით იკვლევს ვალერი მწერლის, განსაკუთრებით პოეტის, აზროვნებას, მოითხოვს იმ გავრცელებული თვალსაზრისის უარყოფას, რომლის თანახმადაც ყოველი კალმოსანისთვის აზროვნება თავისთავად ნაგულისხმევი რამაა. ასევე ამბობენ პოეტზედაც, მისთვის აზროვნება არცთუ მთლად არსებითიაო. პოეტისთვის აზროვნება თავისთავად ნაგულისხმევი რამ არ შეიძლება იყოს. გავიხსენოთ ბატონი ტესტი, რომელიც აზროვნების განსახიერებაა. ადრეული პერიოდიდან მოყოლებული, ავტორი კვლავ და კვლავ უბრუნდება ამ უცნაურ სახეს, რომლის ირგვლივაც შემოიკრიბა მთელი გვირგვინი მცირე ნაწარმოებებისა. ბატონი ტესტი წარმოადგენს ინტელექტის პერსონიფიკაციას. ის ძალზე გვაგონებს მამალმერთს, რომელზეც გვესაუბრება ნიკოლაი კუზელი თავის ნეგატიურ თეოლოგიაში. ყველაფერი, რაც შეიძლება შევიტყოთ ბატონ ტესტზე, უარყოფითამდე დაიყვანება. უმეტეს მომხიბლაობას მის თვალსაზრისებს ანიჭებენ არა თეორემები, არამედ აზრის

მოულოდნელი სვლები: "ყოველგვარი აღგზნება, ყოველგვარი გრძნობა არის კონსტრუქციაში ხარვეზის ნიშანი". ბატონი ტესტი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანად გრძნობს თავს, მაგრამ ამავე დროს მანვე ძალზე ახლოს მიიტანა გულთან პოლ ვალერის სიბრძნე, რომლის თანახმადაც ყველაზე მნიშვნელოვანი აზრები ისინია, რომელთაც ჩვენი გრძნობები ეწინააღმდეგება. ამასთანავე, ტესტი თავის თავში "ადამიანურის" უარყოფასაც ატარებს: "აი, შეხედე, ზღურბლთან დგას ადამიანის სახეს მოკლებულთა ბატონობა, რომელსაც წარმოშობს სიზუსტე, სიმკაცრე და სისუფთავე ადამიანურ საქმეებში". ვალერის ეს გმირი არავითარ პათეტიკას, სულიერ სიფართოვეს, არავითარ "ადამიანურს" არ აძლევს გზას თავის თავში. მისთვის ერთადერთი სუბსტანცია, რომელსაც სრულყოფილების შექმნა ძალუძს, ისევ და ისევ აზრია. აზრის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი - განუწყვეტლობაა. "ლეონარდო და ვინჩის სისტემის შესავალი" ბატონ ტესტის "წინამორბედია". აქ ის მეთოდია აღნიშნული, რომელმაც საბოლოოდ ცნობილ "წმინდა პოეზიამდე" მიიყვანა ვალერის შემოქმედება. ვალერი გამუდმებით, არაჩვეულებრივად მარჯვედ აღნუსხავდა პოეზიის თეორიის ისტორიაში არსებულ ცალკეულ ეტაპებს - ედგარ პოს, ბოდლერის, მალარმეს თეზისებს, როცა კონსტრუქტიული და მუსიკალური საწყისები ლირიკაში ერთობლივად ცდილობდნენ დაესაზღვრათ ერთმანეთის კომპეტენცია. თვითონ პოლ ვალერის შემოქმედების გვირგვინს ლირიკული შედევრები წარმოადგენს: "La cimetiere marin", "La jeune parque", "La serpent". ამ ნაწარმოებების იდეები კუნძულებივით ამოიზიდება ზღვაური ხმიერების მორევიდან. სწორედ ეს განასხვავებს მის ინტელექტუალურ ლირიკას იმისგან, რასაც ჩვენ ამ სიტყვით გერმანულად აღვნიშნავთ: აქ არსად არ ეჯახება იდეა "ცხოვრებას" ან "სინამდვილეს". აზრს აქ ხმის გარდა არაფერთან არა აქვს საქმე: ეს წმინდა პოეზიის კვინტესენციაა. "ლირიკა - პოეზიის ის გვარია, რომლის წანამძღვარი მოქმედი, მოლაპარაკე ხმაა, ხმა, რომელიც სიახლოვეს მყოფი საგნებით არის უშუალოდ გამოღვიძებული ან საგნებიდანვე ამოდის. ამ საგნებს ხმის თანდასწრებით აღვიქვამთ და ვხედავთ". და კიდევ: "მკაცრი პროსოდიის მოთხოვნილება მხატვრული ხერხია. ამ ხერხის "ძალისხმევით" ჩვეულებრივი ლაპარაკი მასალის სახეს იძენს. ეს მასალა ეწინააღმდეგება ჩვენს სურვილებს და უცხოა ჩვენი სულისთვის". ამაშია წმინდა ინტელექტის თავისებურება. თუმცაღა ეს წმინდა ინტელექტი ვალერისთან ზამთრის ბინებში დამკვიდრებული და ეზოთერული პოეზიის მწვერვალებზე შეფენილი - იგივე ის ინტელექტია, რომლის მეწინავეობითაც ევროპული ბურჟუაზია პირველაღმოჩენათა საუკუნეში მიუკვლეველ მხარეთა აღმოსაჩენად ეშურებოდა; კარტეზიანულმა ეჭვებმა ვალერის ცოდნაში სათავგადასავლო ელფერი შეიძინა და ამავე დროს მეთოდური, სიღრმისეუ-





შტეფან ცვაიგი და პოლ ვალერი

ლი სახეც მიიღო: "შემთხვევის, ღმერთის ან ბედისწერის ძალა ჩვენს სულიერ სისუსტეს გამოხატავს. ყველაფერზე რომ გაგვაჩნდეს პასუხი, მხედველობაში მაქვს ზუსტი პასუხი, ეს ძალები არც კი იარსებებდა... ჩვენ ამასაც ვგრძნობთ ზედმიწევნით და აქ არის საიმისო მიზეზი, რომ საბოლოოდ საკუთარსავე კითხვებს ვუჯანყდებით. მაგრამ ეს უნდა იყოს კიდეც დასაწყისი. აუცილებელია ჩვენსავე არსებაში ჩამოვაყალიბოთ კითხვა, რომელიც ყველა სხვა კითხვაზე მთავარი და მნიშვნელოვანი იქნება". მსგავსი აზრების პირდაპირი კავშირი ევროპული ბურჟუაზიის გმირულ პერიოდთან ნებას გვაძლევს დავიოკოთ გაკვირვება, რომელთან ერთადაც აქ, ძველი ევროპული ჰუმანიზმის ამ შორეულ ფორპოსტზე, კვლავაც გვახვედრებს პროგრესის იდეას. მაგრამ ეს არის უკვე დამკვიდრებული იდეა, მეთოდურად გადმოცემული. ვალერისთან ეს იდეა თვალნათლივ ეხმიანება კონსტრუქციის ცნებას, რომელიც თავის მხრივ შთაგონების აკვიატებულ იდეას ეწინააღმდეგება. "მხატვრული ნაწარმოები - ასეთი ფორმულირება აქვს ვალერის ერთ ინტერპრეტატორს - არ არის ქმნილება; ეს არის კონსტრუქცია, რომელშიც მთავარ როლს თამაშობს ანალიზი, გაანგარიშება, დაგეგმვა". მეთოდური პროცესის უკანასკნელი გმირობა ვალერისთანაც დასაბუთდა. ეს იყო მკვლევარის ახალი უნარის გამოხატვა, გასვლა საკუთარ თავს მიღმა. ასეთია ბატონი ტესტიც. ის არის ინდივიდი, რომელიც ისტორიული გაქრობის ზღურბლზე გადაბიჯებამდე კიდევ ერთხელ შემობრუნდება და ყურს უგდებს ძახილს, რათა იმ ვითარებას შეუერთდეს, ვალერის რომ ახასიათებს: "ნაპოლეონის საუკუნეში ელექტროობას დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ქრისტიანობას ტიბერიუსის დროში. თანდათან ცხადი შეიქნა, რომ ეს საყოველთაო იმპულსი უფრო მკვეთრად შეცვლიდა მომავალს, ვიდრე ყველა "პოლიტიკური" მოვლენა ერთად აღებული ამპერიდან დღევანდელ დღემდე". მზერა, რომელსაც ვალერი ტყორცნის მომავლის ქვეყნიერებას, უკვე ოფიცრის მზერა კი არ არის, არამედ ქარცეცხლში გამოვლილი ზღვაოსანი კაცის მზერაა. ის გრძნობს ნიშნების მიხედვით მძლავრი შტორმის მოახლოებას და ძალზე კარგად ამოიცნობს მსოფლიო მოვლენათა ცვალებადობებს - გაზრდილ მოთხოვნილებას სიზუსტისადმი და დახვეწილობისადმი, ეფექტურობისაკენ სწრაფვას". და კიდევ: "რომელიღაც მაკიაველის ან რიშელიეს ყველაზე უფრო ღრმა აზრებს სადღეისოდ იმაზე მეტი ფასი არა აქვს, რაც ბირჟაზე მოცემულ რჩევას". ამიტომ ვალერი დგას "აზრის კონცხზე. მხარგაშლილი, წელგამართული და გასცქერის სიშორეს თავის მაქსიმალურად გამჭრიახი მზერით. ეს საგანთა ზღვრამდე და თვითონ მხედველობის ზღვრამდე მიწვდენილი მზერაა".

*თარგმნა*
*ანდრო ბუაჩიძემ*

შოთა იათაშვილი

## ტერენტი გრანელი



დღეს გავიღვიძე ნატანჯი გულით,
დღეს მომენატრა ნაზარეველი.
არ მქონდა ლუკმა და სიცივეში
ეკლესიიდან ბაზარს შეველი.

ნოქრები იდგნენ ყველგან და ყიდნენ
უწმინდურსა და გასახარებელს,
ვიყავ უგროშოდ და გამახსენდა,
როცა ვაბამდი მე მატარებელს.

და თვეში ერთხელ დეპოს ბოლოში
ღმერთი მაძლევდა ცოტა ჯამაგირს,
მე ვსვამდი ღვინოს, ვამბობდი ლექსებს
და ყველა იყო იქ ჯანმაგარი.

ამ ბნელ სიხარულს ვერ გავუძელი,
სიჭლექე ტანში დამისადგურდა,
შევცვალე დეპო სასაფლაოთი,
შემრჩა მათხოვრის პეშვი და ხურდა.

შემოიძარცვნენ ფოთლებისაგან
ხეები ირგვლივ თანდათანობით,
ეკლესიაშიც ვეღარ მატკბობდნენ
მე მგალობლები ხშირი გალობით.

დავიწყე მხოლოდ ზეცაზე დარდი,
მხოლოდ სიკვდილზე ვფიქრობდი მშვიდად,
რეკავდა ზარებს დაღლილი მნათე,
გამხმარ პურს ბაღლი ჩიტისთვის ფშვნიდა.

დილით მშიერი ფეხს ავითრევდი,
ნაზარეველთან იყო იუდა,
მივუყვებოდი კოჭლობით გზას და
მატარებელი შორს გაჰკიოდა.



ნაზარეველი ვნახე ბაზარშიც,
დღეს იგი ჩანდა იქ ბობოქარი,
ააყირავა სუყველა დახლი,
გარეთ გარეკა ყველა ნოქარი.

მოვა საღამო, როგორც წამება,
შენ თუ მიშველი, მე რა ვქნა აბა.
ოთახში ვზივარ, გარეთ ღამეა,
მარტო ვარ ისევ და ქრება ლამპა..."

* * *
თებერვლის ღმერთო! თეთრ სასთუმალთან
მე ჩემს ნაკიან ცხოვრებას ვუზი.
ლექსის წერა და სიკვდილი მადგას
ცივ ქედზე, როგორც ლამაზი კუზი.

ნანინასავით ჩამესმის თოვლის
ბოლო ფიქრი და მწუხარე დნობა,
ცა იცრიცება და ვხედავ ქალის
შორეულ კაბის მორღვეულ ქობას.

თებერვლის ღმერთო! მზის სხივი გაჩნდა,
გამოაღწია ორთქლმავლის კვამლში,
ის მენატრება, ვინც ერთხელ ცეცხლი
დაანთო ამ ჩემს პოეტურ გვამში.

ორი ბულბული
მზე გამოვიდა, გაიხსნა გული,
ორი ბულბული მე მიხარია,
ცამ დამავიწყა სიკვდილი უცებ,
ორი ბულბული მე მიხარია.

მზე გამოვიდა, გავყურებ ალვას,
ორივ ბულბული განაბულია,
ისევ მოსულა მარტის პირველი,
და სადღაც თურმე გაზაფხულია.



## დაბრუნება

მე დავბრუნდი შენს ქალაქში ძლივს,
ძველ სიყვარულს მოვაკითხე, დაია,
მიწა თურმე ოცნებებსაც კლავს,
ავდარია თუ ცისფერი დარია.

მე მოვედი შენს საფლავთან დღეს,
რაც მიჭირავს ხელში, ზიზილებია,
მაფშალია სევდიანად მღერს,
ცა და მიწა ერთად იზილებიან.

მოვუკიდებ პაპიროსის ღერს,
შუადღეა, ყველგან ცხელი სიოა,
მე დავბრუნდი ჩვენს ქალაქში დღეს,
ჩემო ტკბილო მკვდარო ჩიტო-ჩიორა.

* * *
ოცდახუთი მარტი,
ცუდი განათება,
ეშმაკი და ღმერთი
სხედან კამათელთან.



მათი ოთხი თვალი -
ცაში დუბარაო,
აღსასრული მოდის,
ცრემლი კი არაო.

ბურუსი და კვამლი,
ფრენა ზეით-ქვეით,
გაბრძოლება ბოლო,
ჩვენი ბოლო დღეი.

ოცდახუთი მარტი,
ცუდი განათება,
ეშმაკი და ღმერთი
სხედან კამათელთან.



# თეთრი გოგო

ზურაბ ლეჟავა




ვაგზლის მეტროს სადგურს ჯერ კიდევ შერჩენია ძველი სილამაზე. ის ძვირფასი მარმარილოთია მოპირკეთებული, მარმარილოს კი, ცხადია, დრო ადვილად ვერ აფუჭებს. სამწუხაროდ ვიღაცის უტიფარ ხელს დაუნდობლად ამოუტვიფრია ზოგიერთ ფილაზე რაღაც უაზრო წარწერები და გამოსახულებები. ეს არ უხდება სადგურს, რომელიც ზამთარში ყოველთვის თბილია, ზაფხულში კი გრილი. სადაც ჰაერიც კი თითქოს უფრო სუფთაა. ეს ჰაერი, რომელსაც გოგირდის არასასიამოვნო სუნი სდის, სინამდვილეში, ალბათ, მართლაც უფრო სუფთაა ქალაქის ჰაერზე, რადგან, როგორც ჩანს, ამ ჰაერში გაზავებული გოგირდი ანადგურებს მიკრობებს.

უკვე გვიანი საღამო იყო, დაახლოებით თერთმეტი საათი და სადგურშიც აღარ იყო ბევრი ხალხი, თუმცა, მიუხედავად მათი სიმცირისა, ისინი სხვადასხვანაირნი იყვნენ: სხვადასხვა ასაკის, სქესის, ზომის, წონის - სამწუხაროდ ჭარბობდნენ უფრო "არასტანდარტულები", ანუ ისეთები, რომელთა მონაცემებიც განსხვავდება საშუალო ადამიანური მონაცემებისგან. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ უმეტეს მათგანს ჰქონდა ზომაზე დიდი ან პატარა თავი, იყვნენ ძალიან კაფანდარანი ან ძალიან სქელნი. საშუალოზე დაბლები, ფერით უმეტესად მუქები, დიდცხვირები, სახით უხეშნაკვთიანები... მამაკაცთაგან ბევრნი იყვნენ მთვრალები. ქალებს გრძელი, კოჭებამდე კაბები ეცვათ, უფრო შავი ფერისა. ეს, ალბათ, ფეხების არასტანდარტულობის გამო თუ ეცვათ ასე, დეფექტების დასაფარად და არა რომელიმე სხვა მოსაზრებით.

შექმნილი ვითარება შეიძლებოდა შეფასებულიყო, როგორც ოდნავ გამაღიზიანებელი, მაგრამ არააღმაშფოთებელი. აღმაშფოთებელი იქ მაშინ იყო მხოლოდ ერთი: სახელდობრ ის, რომ ვიღაცას მარმარილოს სვეტისთვის ურცხვად მიეშარდა. ეს ახლად ნაშარდი წურწურით ჩამოსდიოდა შეურაცხყოფილ სვეტს და იქვე მარმარილოს იატაკზე დაგროვილიყო ქაფიან გუბედ. ეს გარემოება არ აშფოთებდა ან ძალიან არ აშფოთებდა იქ მყოფ ადამიანებს, რადგან ისინი შეჩვეულნი იყვნენ ამისთანებს, მაგრამ ესეც ხომ აღმაშფოთებელია, დალახვროს ეშმაკმა, როდესაც აღმაშფოთებელი რამ აღარავის აშფოთებს.

გიორგი ხმალაძისთვის ბევრი რამ იყო არასასიამოვნო ამ სადგურში, ზოგი კი გამაღიზიანებელი, იმედების გამაცრუებელი, გამბრაზებელი, როგორც თუნდაც ეს მიშარდული მარმარილოს სვეტი. დაღლილი კაცისთვის ხომ თითქმის ყველაფერი ისედაც გამაღიზიანებელია, მით უმეტეს თუ ხელებში ორი მძიმე პარკი უჭირავს. გიორგის უფრო მოზრდილი და მძიმე პარკი მარჯვენა ხელში ეჭირა, ხოლო მარცხენაში შედარებით პატარა, მიუხედავად ამისა, მარცხენა ხელიდან მომდინარე ყრუ ტკივილი ერთობ შემაწუხებელი იყო. ეს ხელი უკვე ათ წელზე მეტია სტკიოდა გიორგის. ხელი, რომელიც რუსი ჯარისკაცის მიერ მოქნეულ მესანგრის ბარს დაუხვედრა 89 წლის 9 აპრილს მთავრობის სასახლის წინ მომხდარ ამბავში და ამით ახალგაზრდა უცნობი გოგონა გადაარჩინა. ბარი გოგონას მაშინ მაინც მოხვდა, სისხლიც ადინა, მაგრამ გამეტებით მოქნეული ბარის ძირითადი ძალა ჯერ მაინც გიორგიმ იწვნია თავის ხელზე. ხელი მაშინ ბარმა თითქმის სანახევროდ ჩაჭრა - კუნთი, მყესი და ძვალი ერთობ დაუზიანა. შემდეგ მას ცნობილმა ექიმებმა (მათ შორის ერთმა უცხოელმაც) უმკურნალეს, ტელევიზიითაც, სხვა დაზარალებულებთან ერთად რამდენჯერმე აჩვენეს. გიორგის მაინცდამაინც არც სიამოვნებდა კამერის წინაშე თავის სატკივარზე წუწუნი და არც იმ გოგონას ძებნაში გამოუდვია თავი, რომელიც მან გადაარჩინა და რომელმაც არც კი იცოდა ეგება, რომ იგი ვიღაცამ იმ გიჟ ღამეს გადაარჩინა, მისი მოსახვედრი ბარი ნებაყოფლობით თვითონ მოიხვედრა.

რაღაცაზე თუ ვიღაცაზე გაღიზიანებული ოცდაათიოდე წლის, მთვრალი ოფიცერი დროდადრო ტერფს ურტყამდა იატაკს. ამ სოფლელ ყეყეჩს სამხედრო ფორმა მხოლოდ სანახევროდ ეცვა, სანახევროდ კი სამოქალაქო, გაუპარსავი იყო და რომ არა კაპიტნის სამხრეულები მის მხრებზე, უბრალო შეზარხოშებული მაწანწალა გეგონებოდათ. სადგურის ბოლოში, ლიანდაგებთან ახლოს ქოთქოთებდნენ მათხოვარი ბოშა ქალები და მათი ბავშვები. პარკებით, კევებით, ბუშტებით, ელემენტებით, ფარნებით, კანფეტებით, ბამბით, ვაზელინით, ავტოკალმებით, კბილის პასტებით და ბლოკნოტებით უხვად დახუნძლული, მატარებლის მოლოდინში ხის სკამებზე მსხდომი დაღლილი მოვაჭრე ქალები ითვლიდნენ ფულს. ვიღაც მთვრალები კოცნიდნენ ერთმანეთს და ლაპარაკობდნენ უთავბოლოდ. შარდის გუბე იდგა მარმარილოს სვეტთან. დაკაწრული იყო კედლები, ხოლო იატაკზე მზესუმზირის ჩენჩოები ეყარა.

"დროზე მოდი რა, შენი!" - მიმართავდა თავის აზრებში, სადღაც გვირაბში გაჭედილ მატარებელს 40 წლის მამაკაცი გიორგი ხმალაძე, რადგანაც ძალიან უნდოდა, იმ ადგილს რაც შეიძლება მალე გასცლოდა და სახლში მისულიყო - სახლში, სადაც მას ოჯახი ელოდა - მეუღლე და ორი ბავშვი. გიორგი, ასე ვთქვათ, მეავეჯე იყო. მას დინამოს ტერიტორიაზე იჯარით ჰქონდა ორ მოწილესთან ერთად აღებული პატარა მაღაზია, სადაც ნახმარი ავეჯით ვაჭრობდა - ძველ ავეჯს იაფად ყიდულობდა, შემდეგ ძვირად ყიდდა. და თუმც, თითქოს ყველაფერი ასე იყო, ფული მაინც არ შემოსდიოდა დიდი, რადგან შემოსავლის უდიდეს ნაწილს გადასახადებში იხდიდა. დარჩენილი თანხებით კი არჩენდა ოჯახს. გიორგი, როგორც წესი, რვა საათამდე მუშაობდა თავის მაღაზიაში, მაგრამ იყო დღეები, როცა იგი რაღაც მიზეზების გამო გვიანობამდე რჩებოდა იქ და შემდეგ ბაზრობაზეც გაივლიდა ხოლმე, სახლისთვის რაღაცების საყიდლად - საღამოს ბაზარი ხომ შედარებით იაფია. იმ დღესაც სწორედ ასე მოხდა, გიორგის გვიან მოუწია სახლში დაბრუნება.

დღისით ხალხით გადატვირთულ ესკალატორს ახლა შვებით ამოესუნთქა და თითქმის ცარიელს მხოლოდ კანტიკუნტად ჩამოყავდა მგზავრები - ისეთივე "არასტანდარტულები", როგორებიც სადგურში მყოფნი. - "დროზე რა, შენი!"

და უცებ, მოულოდნელად ყველასათვის, ესკალატორმა, ამ დედამიწის ზედაპირიდან მის სიღრმეში ხალხის ჩამყვანმა და იქიდან მათმა ამომყვანმა კონვეიერმა, მოულოდნელად ერთი ამ გარემოსთვის უჩვეულო და მაშდამე "არასტანდარტული" კვერიც გამოაცხო. ეს იყო მაღალი, ცისფერთვალება რუსის გოგო მკვრივი, შემართული მკერდით, ლამაზი გავით და ჯიშიანი ფეხებით - "ძალიან მაგარი" - ნუ, ისეთი, როგორებიც ჩვენში კი არა, თავად რუსეთშიც კი უკვე, ალბათ, იშვიათობაა. ოცი წლის არ იქნებოდა ჯერ. სულ მთლად, რაღაცნაირი, გაწკრიალებული, ტანზე მოტმასნილი სამოსით, ფეხისფრჩხილებშელებილი... არასტანდარტული კი არა, ეს იყო თუ იყო სტანდარტი იმისა, რასაც ჰქვია ქალი, მაგრამ ამ "არასტანდარტულებში" ახლა ის ჩანდა "არასტანდარტული". ქალობის ეტალონი კი არა, ალბათ, ანგელოზობაზეც შეიძლებოდა ლაპარაკი, რომ არა ოდნავი, სულ ოდნავი ბიწიერება მის მზერაში - ეშხიანი, გამაგიჟებელი, სულ ოდნავი ბიწიერება.

- ვა-ა!!! - იბრუნეს თავები მთვრალმა კაცებმა, ხვევნა-კოცნას თავი ანებეს და ჩაჩუმდნენ.

ყეყეჩმა სამხედრომ შეწყვიტა ფეხების ბაკუნი და თავისი ჩასისხლიანებული თვალებით, როგორც ანაკონდა ბოცვერს, ისე მიაშტერდა გოგოს.

გრძელშავკაბიანმა ქალებმაც (განსაკუთრებით ახალგაზრდებმა და საშუალო ასაკისებმა) მიაპყრეს თავიანთი შურიანი, ეჭვიანი, კაპასი მზერა არსებას, რომლის მეტოქეობასაც ისინი ვერასოდეს შეძლებდნენ.

"აი ასეთს კი მე ვეღარასოდეს გავუარშიყდები!" - გაიფიქრა გიორგიმ ქადნითა და თავის ქნევით.

გიორგის რუსები არც 9 აპრილამდე ეხატებოდა ძალიან გულზე, 9 აპრილის შემდეგ კი მით უმეტეს, მაგრამ იმ შემთხვევისა არ იყოს, ადრე, 9 აპრილის შემდგომ პერიოდში, დაახლოებით, ოთხიოდე თვის შემდეგ, როცა ხელიც კი არ ჰქონდა ჯერ ხეირიანად შეხორცებული, ბავშვი რომ მოეწონა პატარა რუსის, გაბრაზებული კი იყო მაშინაც რუსებზე, გაბრაზებული კი არადა, სერიოზულ შურისძიებაზეც ფიქრობდა, მაგრამ იმ პატარა გოგომ, 4-5 წლის ბავშუნიამ, რუსის ქალს რომ მიჰყავდა ქუჩაში, სახეში რომ შესცინა, გიორგის თითქმის სულ გადაავიწყა რუსებზე შურისძიება. "თვითონ რა ცუდები არიან და რა კარგი ბავშვები ჰყავთ ამ დამპლებს!" - გაიფიქრა მაშინ. აი ახლაც ასე გაიფიქრა: "რა კარგი ქალები ჰყავთ, ამათი..."

გაგრძელება E8 გვერდზე

E7 გვერდიდან



ცოტა ხანში ერთი "სტანდარტული" თუ "არასტანდარტული" კიდევ გამოაცხო ესკალატორმა მოკლემლავებიან-წითელმაისურიან-ჯინსებიან-შიბლეტებიანი მაიმუნისებრი ყმაწვილი ოციოდე წლისა - ჯანმრთელი, დიდი ადამიანისებრი მაიმუნისებური ყმაწვილი - მეტად შავგვრემანი, ოფლიანი, კისერმაგარი, კუნთმაგარი, დახრილი შუბლითა და ღრმად ჩამჯდარი ავადმყოფური თვალებით.

ქალიშვილს მაშინვე დაეტყო აფორიაქება, შეშფოთება და ზიზღი. შეჩვეული ადგილი დატოვა და სადგურის სიღრმეში გადაინაცვლა. წითელმაისურიანმა ცოტა ხანს იწრიალა, შემდეგ კი ქალიშვილის კვალს მიჰყვა და მის შორიახლოს გაჩერდა. გოგონამ მაშინვე არა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ შეიცვალა ადგილი და გაჩერდა თხუთმეტიოდე ნაბიჯის მოშორებით. მაიმუნისებრმა ყმაწვილმაც იგივე გააკეთა. ამ გადაადგილებისას მაიმუნისებრი არც ერთხელ არ მიახლოებია გოგოს ოთხ-ხუთ მეტრზე ახლოს, არც არაფერი უთქვამს მისთვის, მაგრამ იგი ამ ხნის განმავლობაში არ აცილებდა მას თვალს. ეს არ იყო მოარშიყე დონჟუანის მზერა. ყმაწვილი ამ დროს უფრო ახურუშებულ კუროს ჰგავდა - თვალები რომ აემღვრევა და შეგრძნებები აერევა, ისეთ კუროს.

საღამოობით მეტრო გულის გამაწვრილებლად იგვიანებს ხოლმე და გიორგისაც ოციოდე წუთის განმავლობაში ჰქონდა საშუალება, ეცქირნა რუსის გოგონასა და მაიმუნისებრი ყმაწვილის გაწამაწიისთვის. გოგო ადგილიდან ადგილზე გადაადგილდებოდა, ხოლო მაიმუნისებრი უკან დასდევდა და უყურებდა, უყურებდა, უყურებდა, - გაუთავებლად და დაჟინებით. ჩანდა, რომ გოგო ძალიან უცხოდ გრძნობდა თავს ამ აშკარად არამეგობრულ გარემოცვაში. მას, ეტყობა, იმედი არ ჰქონდა, რომ ვინმე გამოესარჩლებოდა ან დაიცავდა. ასეთი ვინმე რომ დაენახა, ალბათ, აუცილებლად მიეტმასნებოდა, მაგრამ ასეთს ის იქ ვერავის ხედავდა. პირიქით, ის ხედავდა, რომ ყველა იქ მყოფი მამაკაცი მისდამი დაახლოებით ისევე იყო განწყობილი, როგორც მაიმუნისებრი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი თავის გრძნობებს გაცილებით უფრო აშკარად გამოხატავდა. თეთრი გოგო შემთხვევით იყო აქ შემოფრენილი და პატარა დამფრთხალ ბეღურა ჩიტს ჰგავდა ძალიან, ჩაკეტილ ოთახში ფანჯრებს რომ ეხეთქება. იქ არავინ იყო მისი მშველელი.

მოვიდა მატარებელი და გოგო ვაგონში შესასვლელად მოემზადა, მაგრამ როცა კარი გაიღო, ის იქ კი არ შევიდა, სადაც იდგა, არამედ ცოტა მოშორებით, რათა ამ გზით მაინც დასხლტომოდა მაიმუნისებრს ხელიდან, მაგრამ ამან მას ვერ უშველა. მაიმუნისებრი მას მიჰყვა და ისიც იმ კარებიდან შევიდა, საიდანაც გოგონა შევიდა. გიორგი შევიდა იმავე ვაგონში გვერდითა კარებიდან და დაინახა, რომ გოგონა დაჯდა ორ, შედარებით ხნიერ, მამაკაცს შორის. იქ ადგილები ბევრი იყო თავისუფალი, მაგრამ გოგონამ შეგნებულად აირჩია შედარებით ვიწრო ადგილი, რათა გვერდით დაჯდომის საშუალება არ მიეცა მაიმუნისებრისათვის. მაიმუნისებრი მის პირდაპირ დაჯდა და მიაცქერდა. გოგონამ თვალი აარიდა მას, ხელიც აიფარა სახეზე, მაგრამ მაიმუნისებრი მაინც უყურებდა მას - უყურებდა, უყურებდა, უყურებდა...

გოგონა წამოდგა, მოქანავე ვაგონებში რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და გიორგის გვერდით დაჯდა. რატომ დაჯდა მაინცდამაინც მის გვერდით, ამას გოგონა თავადაც ვერ გეტყოდათ, მაგრამ შეიძლება როგორღაც გუმანით იგრძნო, რომ მის გვერდით მჯდომი ადამიანი, ანუ გიორგი ხმალაძე არ იყო ბუნებით ბოროტი კაცი, იყო მასში რაღაც ჯენტლმენური, ულალატო.

მაიმუნისებრი დაჯდა მათ გასწვრივ.

- "რა აბეზარია", - გაიფიქრა გიორგიმ და კიდევ ერთხელ კარგად აათვალიერ-ჩაათვალიერა მაიმუნისებრი ყმაწვილი, - "უტიფარია და ნამდვილი უნახავი".

ასე იმგზავრეს გიორგიმ, რუსმა გოგონამ და მაიმუნისებრმა ყმაწვილმა მეტრო ვარკეთილამდე და მთელი ამ ხნის განმავლობაში მაიმუნისებრს თვალი არ მოუცილებია გოგონასათვის. ის დაჟინებით უცქერდა მას. როცა მატარებელი გაჩერდა, გოგონა სპეციალურად არ გავიდა იმ კარიდან, რომელიც უფრო ახლოს იყო გასასვლელთან, რათა მაიმუნისებრის წინ არ გაევლო, არამედ ვაგონის ბოლოსკენ გაიქცა, ბოლო კარიდან გავიდა და სირბილით გაიქცა ესკალატორისკენ. თუმცა, ამან, რა თქმა უნდა, ვერ უშველა. მაიმუნისებრმა გზა მოუჭრა და დევნა განაგრძო. გოგონა ესკალატორთან მოგროვილ ხალხს შეერია, მათ შორის გზა გაიკვლია და ასე გზის კვლევით შეუდგა ესკალატორის კიბეზე ასვლას. მაიმუნისებრიც შესაბამისად გაძვრა-გამოძვრა და გოგოს გაჰყვა. ასე ადიოდნენ ისინი კიბეზე - გოგონა და თხუთმეტიოდე მეტრში მაიმუნისებრი. გიორგი ამას ქვევიდან კარგად ხედავდა. ის შეგროვილ ხალხში იდგა და ესკალატორზე დასადგომად თავის რიგს ელოდა. დარბაზში დამონტაჟებული ელექტრონული საათი აჩვენებდა თორმეტის ოც წუთს. ესკალატორის ხახა აუჩქარებლად ყლაპავდა ხალხს. ბოლოს მან გიორგიც გადაყლაპა, ზევით აიყვანა და იქ გადმოაფურთხა.

მიწისზედა სადგურში ვითარება ასეთი იყო: იდგნენ ახალგაზრდა პოლიციელები - დაახლოებით, ხუთნი. მათ აშკარად ეტყობოდათ ზარხოში. საუბრისას ისინი არ ერიდებოდნენ ხმამაღალ, უწმაწურ სიტყვებს. ორი მათგანი ღლაბუცობდა. იქვე იყო დამლაგებელი ქალი ვედროთი და პოლისჯოხით, კიდევ ვიღაც ქალი, რომელსაც სავაჭრო დახლი თითქმის აელაგებინა და რაც დარჩენოდა, ცდილობდა ისიც სასწრაფოდ დაებინავებინა. მეტი იქ აღარავინ იყო, იმ სადგურში, გარდა... გარდა რუსი გოგონასი, რომელიც ჟეტონების დასახურდავებელ სალაროსთან მიყუჟულიყო, და მაიმუნისებრი ყმაწვილისა. გოგონა შეზარხოშებული პოლიციელებისკენ იყურებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისვლას ვერ ბედავდა. ვერ ბედავდა გარეთ სიბნელეში გასვლასაც. მან, უბრალოდ, არ იცოდა, რა ექნა. მაიმუნისებრი კი უყურებდა, უყურებდა...

გიორგიმ გოგონასა და ყმაწვილს შორის ჩაიარა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და თავი მოაბრუნა. გოგონა მას უყურებდა - სახელდობრ მას. გიორგი შეყოვნდა, შეყოყმანდა, ისევ გზა განაგრძო, მაგრამ ხუთიოდე ნაბიჯის გადადგომის შემდეგ მოიხედა. გოგონა ისევ მას უყურებდა, თითქოს მზერით ებღაუჭებოდა. გიორგი შემოტრიალდა და გოგონასთან მივიდა.

- თქვენ დახმარება გჭირდებათ?! - ჰკითხა მან გოგონას.

- კი, მჭირდება! - უპასუხა შემცბარმა გოგონამ ენის მოჩლექვით, ისე, როგორც რუსებს სჩვევიათ ქართული სიტყვების გამოთქმა.

- გიორგიმ მაიმუნისებრს გახედა.

- რა, არ გასვენებთ დონჟუანი? - ჰკითხა მან გოგონას ოდნავ სევდიანი, გულღია, დამამშვიდებელი ღიმილით.

- დონჟუანი! - გაიმეორა გიორგის მიერ ნათქვამი სიტყვა დაბნეულმა გოგონამ და თავადაც გაიხედა მაიმუნისებრისკენ.

გიორგიმ ჩაისუნთქა და შორიდან ავადმყოფურ თვალებში ჩახედა მაიმუნისებრს, მაგრამ იქ ვერაფერი დაინახა, ამიტომ ბიჭს შეუძახა:

- ბიჭო, მოდი აქ!

ყმაწვილი მივიდა.

- რა არის, რატომ არ ასვენებ შენ ამ გოგოს?! რა, შეგიყვარდა?! - ჰკითხა შეძლებისდაგვარად კეთილგანწყობით.

ყმაწვილი ჩაფიქრდა, უტიფრად ჩახედა გიორგის თვალებში, მერე სხვა მხარეს გაიხედა და როგორღაც ჰაერში, მშვიდად წარმოთქვა:

- რა შენი საქმეა, ბიძა! წადი რა, შენი გზით, საითაც მიდიოდი!

- მე ამ გოგოს შენ ვერ დაგაჩაგვრინებ, - გიორგი შეეცადა, არ გაემწვავებინა სიტუაცია, - ბიჭო, თუ გაცნობა გინდა, გაიცანი, დაელაპარაკე, პაემანი დაუნიშნე! რას დასდევ და რას მიშტერებიხარ ჩასისხლიანებული თვალებით!

- წადი შენი გზით, სანამ გვერდები მთელი გაქვს! - გამოსცრა ოფლიანმა მაიმუნისებრმა რეგვენმა და დაიძაბა, თვალები კიდევ უფრო ჩაუსისხლიანდა. გიორგიმ პოლიციელებისკენ გაიხედა. ისინი ნასვამები იყვნენ, მასლაათობდნენ, უწმაწურ სიტყვებს ხმარობდნენ. ერთი მათგანი დიდი დასაკეცი დანით იჩიჩქნიდა კბილებს. გიორგიმ ერთი კი გაიფიქრა პოლიციელებთან მისვლა, მაგრამ როგორღაც ითაკილა ეს. არ ჰქონდა ჩვევად წუწუნი და ჩივილი. საკუთარი ღირსების რაღაცნაირ შელახვად მიაჩნდა მაშინ პოლიციელებთან მისვლა, მით უმეტეს, რომ ისინი, პრინციპში, იმ მომენტში თავად იყვნენ დასაშოშმინებლები.

- მე შენ გეუბნები, დაანებე ამ გოგოს თავი და წაეთრიე აქედან, სანამ პოლიციისთვის არ ჩამიბარებიხარ, იმიტომ, რომ იმათ თუ ჩაგაბარე, - და გიორგიმ პოლიციელებს გახედა, - მართლა დაგიზილავენ გვერდებს! გაიგე?! წაეთრიე აქედან!!!

მაიმუნისებრმა პოლიციელებს გახედა, გოგოს შეხედა, მერე გიორგის გაუყარა თვალი თვალში და არაფერი არ უთქვამს, ისე წავიდა. ოღონდ ეს იყო: წასვლის წინ ფრთხილად და ფაქიზად, ძალიან უტიფრად დააფურთხა გიორგისა და თავის ფეხებსშორის იატაკზე.

- წამოდი, - უთხრა გიორგიმ გოგოს და ცოტათი წინ გაუძღვა. - სად ცხოვრობ? საიდან დადიან შენი მარშუტკები?

- იკიდან! - გაიშვირა გოგომ თითი.

- წამოდი!

ისინი წავიდნენ.

- იცნობ მაგას?!

- არა! პირველად ვნახე!

- წამოდი!

გიორგიმ მარშუტკის გაჩერებამდე მიაცილა გოგო, ჩასვა და გაისტუმრა. შემდეგ გამობრუნდა, გზა გადმოკვეთა და თავისი მარშუტკის გაჩერებისკენ გაემართა. გაჩერება თითქმის ცარიელი იყო, სულ სამი თუ ოთხი შეგვიანებული მგზავრი ელოდა ტრანსპორტს. ნაგვის გროვასთან ფუსფუსებდა მოზრდილი, ყურადღებიანი ვირთხა.

- ბიძა, მოდი აქ! - გაისმა უცებ უკნიდან ნაცნობი ხმა.

ეს მაიმუნისებრი ყმაწვილის ხმა იყო.

გიორგი ძახილზე შეტრიალდა და შორიახლოს ატუზული წითელმაისურიანი ახალგაზრდა შეათვალიერა. შემდეგ პარკები ასფალტზე დააწყო, ხელები მომუშტა და მომხდურის მოსაგერიებლად მოემზადა.

# იქ, ჩრდილოეთში

ანა კორძაია-სამადაშვილი

ყოველი დილა ჩემი მსუქანი მეგობრის გოდებით იწყებოდა:

"რატომ უნდა ვიყო აქ!" აბა, მე რა ვიცი, გენაცვალე?! "აი, რატომ! აქ ხომ გიჟები ცხოვრობენ! აი, ეს ხომ გიჟია! ამან ხომ დედა მოკლა!"

"ამან არა, დედა იმან მოკლა, სათვალიანმა."

"მერე რა! ხომ მოკლა!"

კი, მართლა მოკლა. ციხეშიც იჯდა და საგიჟეთშიც. ახლა კი აქ იყო. მსუქანა სულ არ ტყუოდა. მართლაც, რატომ უნდა ვყოფილიყავით გიჟების სახლში ორი ზრდასრული და ჯანსაღი ქართველი?

"ამათი გაგება ჩემთვის გაუგებრობაა! სად წაიღო ამ დამპალმა ჩემი დამპალი ჩუსტები!"

დამპალი მე ვიყავი. ჩუსტები ფეხზე მეცვა. საერთოდ, ჩემი ჩუსტები იყო.

ალბათ, არც ჩვენ ვიყავით მთლად ჯანზე, თორემ იქ ან რატომ მოვხვდით, ან რა გვაძლებინებდა. არადა, ვუძლებდით, მეტ-ნაკლები წარმატებით, მაგრამ მაინც.

მე თავისუფალ დროს რომასსთან გავრბოდი ხოლმე. მსუქანი რომასს ჭუჭყიანს ეძახდა – "ჭუჭყიანი მოვიდა". ისე, მართლა ჭუჭყიანი იყო, მაგრამ დედა მაინც ნამდვილად არ ჰყავდა მოკლული, დედამისი დედაქალაქში ცხოვრობდა, ვიცნობდი, ოპერის მომღერალი იყო, ჩემს მსუქანზე უფრო მსუქანი.

სახლიდან გაგდებულ რომასს ჩვენს დაბაში კარგი სახლი ჰქონდა, ორსართულიანი, მაგრამ უპატარავესი, ამიტომ ადვილად თბებოდა. საღამოობით "ბურჟუიკაში" კარტოფილს ვწვავდით და "პინკ-ფლოიდს" ვუსმენდით ხოლმე – დაჩხაპნილი ფირფიტა იყო, რომასს ასი წლის ფირსაკრავი ჰქონდა, "რიგონდა", კუთხეში მწვანე შუქი ენთებოდა, და უნდა დაგეცადა: კარგად როცა აციალდებოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ მოხუცი გათბა და ექსპლუატაციისთვის მზადაა.

იმ შემოდგომაზე რომასის სახლში ყველა სკამი სხვადასხვანაირად შევღებეთ, იქაურობა აცეტონის სუნად ყარდა. რაც მე ბორჯღალები ვხატე... მერე, ერთ მშვენიერ დღეს, სკამები როცა დაილია და მაგიდას როცა "ვშკურკავდით", კარი ვიღაც ახმახმა დედაკაცმა შემოაღო და იმათებურად აყვირდა, და რომასმა მითხრა, შენთვის უკეთესი იქნება, თუ წახვალო. მერე უკვე დედაქალაქიდან დამირეკა, მე და ჩემი ცოლი ფინეთში წავედითო. საცოდავი რომასა.

მსუქანი ტყეში დარბოდა ხოლმე, 50 სმ/სთ სიჩქარით, საღამოს კი რძეს სვამდა, აზროვნებას უხდებაო. ჩვენი ფანჯრიდან ჩანდა უზარმაზარი ფიჭვები და საბჭოეთის გადმონაშთი ქანდაკება, "დედაშვილობა". ხანდახან ჩირგვებში პატარა ბიჭებიც ჩამოდგებოდნენ, და მსუქანი ფარდას სწევდა ხოლმე – "არ გაგახარებთ".

ისე, გახარებოდათ, თუ უხაროდათ. ჩვენ რომ არაფერი გვიხაროდა, ისიც საკმარისი იყო. მხოლოდ ჭამა მიხაროდა, იმიტომ რომ მზარეული ვიკა, თუ დიეტაზე არ იყო, ძალიან გემრიელ საჭმელს აკეთებდა ხოლმე.

მზარეული ვიკა იყო ყველაზე წამხდარი, უყოფაქცევო და უვარგისი ქალი, რაც კი ოდესმე შემხვედრია. არც აღნაგობით გამოირჩეოდა, არც სახით და, მით უმეტეს, არც საქციელით. წარმოშობით ნორილსკიდან ბრძანდებოდა და მეტყველება ჰქონდა – მტრის კარს და ავის მოსურნეს! მართალია, როგორც მოგახსენეთ, საჭმელი კარგი გამოსდიოდა – რამე მაინც ხომ უნდა გამოსვლოდა.

თუმცა, ვტყუი. კიდევ ერთი რამ გამოუვიდა. ჟანინი. ჟანინი მისი შვილი იყო და ანგელოზს ჰგავდა, თუ ფერიას, თუ რა ვიცი, საოცრება კი იყო: ქერა, მუქი ყავისფერი თვალებით, ყველაფერი ლამაზი ჰქონდა. ვერაფრით ვხვდებოდი, იდიოტ ვიკას ეს რატომ გაუჩნდა, მაშინ პირველად დავასკვენი, რომ ღვთის წყალობა უსამართლოდაა განაწილებული. თან ჟანინის მამაც უნდა გენახათ – ყოფილი ცოლშვილი ორჯერ მოინახულა; ფაქტურითაც და ტემპერამენტითაც გათლილ კარტოფილს ჰგავდა, და მსუქანმა მისი გაცნობის შემდეგ თქვა, ეგ უცხიმო ფაფებზე იქნება გაზრდილიო. თვითონ მსუქანს თეთრი მამაკაცები დასანახავად სძულდა, ყველაზე შავი, ყველაზე ბანჯგვლიანი და ყველაზე წყალწაღებული მაჩოები იტაცებდნენ, და ჟანინის მამიკოსთან შედარებით უბედური და ჭუჭყიანი რომასიც კი მომიწონა, მაგას რა უშავს, სულელივით მაინც იცინისო.

რატომ გადაწყდა, რომ ამ საწყალ ბავშვს შუაგულ ნორილსკში ჟანინი უნდა რქმეოდა, არავინ იცის. ვიკას რომ ვკითხე, მითხრა, მაშინ მირეი მატიეს ვუსმენდი ხოლმე და იმიტომო. ზღაპრული ლოგიკაა. სხვათა შორის, ამ ვიკას რატომღაც მოვწონდი თუ რა ვიცი, რაც ჰქვია, მემეგობრებოდა. მე მგონი, იმიტომ, რომ სულ ვუტატანებდი და რაღაც მაზოხისტურ სიამოვნებას განიცდიდა, თან თვლიდა, რომ რახან ვეჩხუბებოდი, მიყვარდა კიდეც. ეს ასე არ იყო, მე ვიკაზე ისევე მაზიდებდა, როგორც ყველა იმ სახლში მცხოვრებზე, ცხადია, მსუქანას გარდა.

მიუხედავად იმისა, რომ ვიკა მეპადრუგებოდა და სადაც დამიჭერდა, იქ მიყვებოდა რაღაც საოცრებებს, მის შვილთან შეხება არ მქონია. არასოდეს დავლაპარაკებივარ. ალბათ იმიტომ, რომ ბავშვებზე არ ვგიჟდები და არც ვიცი, როგორც უნდა მოვექცე, მეშინია თუ რა ვიცი. თან ნერვები ნამდვილად არ მქონდა ისეთ მდგომარეობაში, რომ მაინცდამაინც პატარა ბავშვისთვის კუკუ-პუკუს ძახილის თავი მქონოდა, ჟანინი კი ოთხი წლისა იყო.

როცა იმხელა თოვლი დადო, რომ მსუქანი ველარ დარბოდა და რომასი კი მისმა ბუა ცოლმა ფინეთში წაიყვანა, საბოლოოდ, გადავირიეთ და ჩვენი გიჟების სახლის ღირსშესანიშნაობად ვიქეცით: დერეფანში ბოლო ხმაზე ვმღეროდით ხოლმე მონადირისგან დაჭრილი წეროს სევდიან თავგადასავალს, მეზობლების კარებთან ჩამოლაგებულ ფეხსაცმელებს ერთმანეთში ვურევდით და ასე... მერე მსუქანამ თქვა, გაგიჟებას უნდა გადავრჩეთ, თორემ სირცხვილია, ბოლოს და ბოლოსო, და ერთი ზვინი კატაბალახა იყიდა.

პირველად ჟანინს სწორედ ამ კატაბალახას წყალობით გავეცი ხმა. საქმე ისაა, რომ დალოცვილი ნაყენის დალევის შემდეგ (სულ ტყუილად ვსვამდით, მაინც არაფერი გვეშველა) სამლიტრიანში უამრავი ბალახი რჩებოდა ხოლმე, და გადავწყვიტე, ზამთრის დამპალი საღამო ადგილობრივი კატებისთვის მაინც მექცია ზეიმად. ჩავიცვი ჩემი ორთოპედიულები – ასე უდიერად იხსენიებდა მსუქანი ჩემს საამაყო ვიბრამებს, აივნიდან გადავძვერი და ქილით ხელში "დედაშვილობისკენ" გავემართე, ჩვენი ფანჯრიდან შუქი სწორედ მას ეცემოდა. როგორც იქნა, მივაღწიე, დედას კატაბალახა გულ-მკერდზე დავაყარე და მოვბრუნდი.

და მაშინ დავინახე ჟანინი. ჩვენს მოაჯირთან იდგა, თოვლში. ქურთუკი არ ეცვა.

"რას აკეთებ?" ინგლისურად მკითხა. ვიცოდი, რომ ინგლისური იცოდა და ესტონური, რუსული არ ეყურებოდა, თუმცა დედამისმა მარტო რუსული იცოდა, ისიც ცუდი. ეგეთი არაფერი გამიგონია, მაგრამ ასე იყო.

"შენ რას აკეთებ? არ გცივა?"

"არა."

აივანზე გადავძვერი და ჟანინიც გადავიყვანე. ჩიტის წონა ჰქონდა. ხელი რომ მოვხვიე, შემეშინდა, რამე არ მოვტეხოთქო. მსუქანმა კარი გააღო.

"ეს ვინაა?"

"ჟანინი ვარ. ეს რატომ გააკეთე?"

აბა, ჩემი ბრწყინვალე ინგლისურით სად შემეძლო ამდენის ახსნა. ისევ მსუქანმა მიშველა და ჟანინს ყველაფერი უამბო კატებისა და კატაბალახას ურთიერთობაზე, ჩვენს ნერვულ სისტემაზე, საქართველოს და ჩრდილოეთის ჰავების შედარებითი ანალიზიც კი მოახდინა. ჟანინი პირდაღებული უყურებდა და ტუჩების მოძრაობით მივხვდი, რომ მის სიტყვებს თავისთვის იმეორებდა. რა გაიგო, არ ვიცი.

შუქი ჩავაქრეთ და ფანჯრის რაფაზე მოვკალათდით. ცოტა ხანში პირველი ფისოც მობრძანდა.

"მოდის," დაიჩურჩულა ჟანინმა.

კატა დიდ განსაცდელში ჩავარდა: თოვლი ღრმა იყო, ჩემს ნაფეხურში კი, ცხადია, თათებს ვერ ადგამდა. რამდენიმე ნაბიჯი ისე გაიარა, რომ სულ ზიზღით იბერტყებოდა, მერე, ჩანს, ხელი ჩაიქნია და საკმაოდ სწრაფად და წარმატებით მიაღწია "დედაშვილობის" მისთვის ძალიან სურნელოვან მკერდს. მერე მეორე კატაც გამოჩნდა, მერე – მესამე, და ასე...

თუ იმ დროს ჩემი მფარველი ანგელოზი, იმ მხარის მკვიდრთა მსგავსად, ან გაყინული, ან მიძინებული არ იყო, აუცილებლად მოვეწონებოდი და იმ კატების მადლი ოდესმე ნამდვილად შემეწევა: ქანდაკებაზე მთელი დაბის ფისოები გორავდნენ, მერე იჩხუბეს, მერე ამღერდნენ...

"საოცარია!" ჟანინს მდგომარეობა არც შეუცვლია, რაფაზე ჩაცუცქული იჯდა. მართლა ჩიტს ჰგავდა.

"რა არის საოცარი?"

ამომხედა. "მე შენზე უკეთესი ინგლისური ვიცი."

ჩემზე კარგი ინგლისური ყველამ იცის.

რაფიდან ჩახოხდა და კარისკენ დაიძრა. არა ბაღის, არამედ დერეფნის კარისკენ. მსუქანმა მიაცილა და რაღაც გრძელი წინადადება უთხრა, ჩუმად, ვერ გავიგე.

"არ იდარდო," მიუგო ჟანინმა და წავიდა.

მსუქანი მთელი ღამე ილანძღებოდა. რომ გაიღვიძა, ისევ განაგრძო და ლანძღვა-გინებით გაემართა დასაბანად:

"...აბა, რა უნდა იყოს ნორილსკელი ბოზი, ნორილსკი საერთოდ ტრამალია!"

"მართლა?"

"აბა, ჰიმალაებია? ეგეც სოროში იქნება გაზრდილი, ტუშკანჩიკივით..."

მზარეულ ვიკას აღზრდა-განათლების და ზნეობრივი სახის თემა სულ მალე დავიწყებას მიეცა, რადგან ჩვენი გიჟები ყოველდღე ახალ-ახალ სიხარულს გვიმზადებდნენ ხოლმე. მათ თავგადასავლებზე ძირითადად ვერთობოდით, ზოგი კი უშუალოდ შეგვეხო, პირადად მე – განსაკუთრებული სიმწარით:

ერთი დამლაგებელი გვყავდა, ვიტიოკი, ცეცხლივით წითელი თმით და იმდენი ოქროს კბილით, რომ მსუქანი "მადანას" ეძახდა. ის საბჭოთა ჰიპების ნაშთის ტიპიური წარმომადგენელი იყო – სასურველზე ოდნავ უფრო შერყეული ბრძანდებოდა, ბუდიზმის ცოდნის პრეტენზიაც ჰქონდა და საკმაოდ თავხედური სექსუალური მოთხოვნებიც. ჯანზე კი იყო და იატაკს მამაცურად რეცხავდა, თან ხმამაღლა და თავგანწირვით მღეროდა ხოლმე: "Ай да голос, ай да волос, Витька моет коридорас!". ჰოდა, ერთ დილასაც სასადილო დარბაზის კარზე მომაგრებული ვიტიოკის დანაბარები დაგვხვდა – Goodbye forever და ამის ქვევით – უცენზურო სიტყვების და ნახატების კორიანტელი. თითქოს რა ჩემი დარდი იყო, წავიდა ვიტიოკი და წავიდა, მაგრამ გადაწყდა, რომ ახალი დამლაგებლის შოვნამდე – უნდა მოგახსენოთ, რომ ვერასოდეს ვიშოვნეთ – მორიგეობით მოვრეცხავდით იატაკს.

მე ეს საქმე მძულს. ამას მერჩივნა, მთელი პარკის გაჩეხვა დაევალებინათ. მაგრამ მსუქანმა ამიხსნა, რომ ჭუჭყიანი სამუ-

გაგრძელება E10 გვერდზე








E9 გვერდიდან

შაო ადამიანს ასპეტაკებს, და ფიზიკური ძალისხმევის გაწევა სჯობს "ჩაის ჭიქის" კითხვას. ასე რომ, ჩემი ცხოვრება უფრო მრავალფეროვანი გახდა – ლამის მთელი წლის განმავლობაში, კვირაში ორჯერ, ნაშუადღევს, დაახლოებით, 300 კვადრატული მეტრის ჯერ მოგვა და მერე მორეცხვა მიწევდა. ვიტიას კარგად გავუგე – მეც ავმღერდი, ისევე ომახიანად, ოღონდ, მისგან განსხვავებით, კლასიკოსებს მივმართე: Сочетался с нею браком, все равно поставлю раком. მსუქანს სხვა რეპერტუარი ჰქონდა, "ქარი კვლავ არხევს ნაცნობ ლელიანს..." და ნაზად უქლასუნებდა ხოლმე ტილოს. თავის ვოკალს ის ლირიულ სოპრანოს უწოდებდა.

"ქართული სიმღერაა?" მკითხა დედის მკვლელმა.

"არა," ვუპასუხე მე, "კლასიკური ჯაზია".

"ა".

"აჰა". ამ ტიპის მაინც მეშინოდა და ვუღიმოდი ხოლმე - ვაიდა, რამე ნიშნით თვალში არ მოვსვლოდი და მეც მოვეკალი...

იატაკის რეცხვა, როგორც მოგახსენეთ, აღარასოდეს დამთავრდა, და მახსოვს, შემოდგომის მიწურული იყო და ამის წყალობით იატაკიც საგანგებოდ მოთხვრილი დამხვდა, როცა ჟანინი დამადგა თავზე. ტილოს ვწურავდი და ყველა მძულდა.

"რას აკეთებ?"

ტილო გავშალე და ჯოხს მოვახვიე.

"მოდი, იცი რა?"

"რა?" რომ გავიმართე, გამეცინა: ძალიან ციცქნა იყო და ძალიან სერიოზულად მიყურებდა, ოდნავ დაღებული პირით. ამას წინათ ერთი კაცი გავიცანი, იმან იცის ხოლმე ასე ყურება და, ალბათ, სულელი ვგონივარ – სულ მეცინება, ნამდვილი ჟანინია, ოღონდ დიდი და თან კაცი.

"აი, ამ ტილოზე დადექი, არა, ჩაჯექი, და გაგასეირნებ. გინდა?" ასე ბერტა სოლომონოვნა მასეირნებდა ხოლმე, ჟანინის ტოლი როცა ვიყავი. მე მეგონა, რომ მართობდა, მაგრამ მეზობლის ქალმა მითხრა, დამპალმა, უბრალოდ, იატაკი უკეთ ირეცხება, როცა ტილოს სიმძიმე ადევსო.

"კი."

რატომღაც ხელი მომაწოდა, მეც მოვკიდე, და ჟანინმა ჭეშმარიტი დედოფლის გრაციით გადააბიჯა ტილოზე. მერე ჩაიცუცქა.

"ჯოხს ხელი ჩასჭიდე."

"ჰო."

დავიძარით და ჟანინი აკისკისდა. პირველად ვნახე, როგორ იცინოდა: მხრებს იჩეჩავდა, თითქოს ვიღაც უხილავი ულიტინებდა, თვალები საერთოდ არ უჩანდა. ბერტა სოლომონოვნას, ჩანს, საკითხი კარგად ესმოდა – უცებ გავედით დერეფნის ბოლოში.

"კიდევ?"

"მეტი აღარაა."

"კარგი. ეს არაა პრობლემა." და წავიდა.

ეს ამბავი ვახშამზე მსუქანს ვუამბე. ჟანინი მოშორებით იჯდა და პირდაღებული უსმენდა დედამისის და მორტენა დარაჯის საუბარს. რას ლაპარაკობდნენ, არ ვიცი, ესტონური არ მესმის, კარგი რომ არაფერი იყო, მაგას კი მივხვდით.

"მაგარი ბავშვია," მითხრა მსუქანმა, და დედის დედა შეუგინა, თან ისე უშვერად, რომ ამას არ დავწერ.

მეორე დილას მსუქანი მოსკოვში მიემგზავრებოდა გამოცდების ჩასაბარებლად. ალიონზე წამოხტა და ავტობუსის გაჩერებისკენ გაეშურა.

ღვთის წინაშე, მისი წასვლის გამო ცოტა გული მწყდებოდა, ზოგჯერ არ მიყვარს ხოლმე მთლად მარტო ყოფნა. თან მსუქანი შესანიშნავი მეწყვილე იყო, მის არსებობას არასოდეს გავუღიზიანებივარ. ნეტა ეგეთი კაცი შემახვედრა...

ამეებს ვფიქრობდი, როცა კარი გაიღო – ცხადია, დაუკაკუნებლად, ნორილსკში, როგორც ჩანს, კარის კულტურა არ გააჩნიათ – და ვიკა შემობრძანდა. ისე გამიკვირდა, რომ ვერც კი დავაყარე. შემოვიდა, ლოგინზე ჩამომიჯდა და მითხრა ისეთი საოცრება, რომ საერთოდ დავმუნჯდი.

ვიკამ მომახსენა, რომ გუშინ ჟანინი მაგრად გამირთია. მან კი – ანუ ვიკამ – მსუქანთან ერთად მოსკოვში წასვლა გადაწყვიტა, რადგან იქ საქმე აქვს, მაგრამ ისეთი საქმე აქვს, რომ ჟანინს ვერ წაიყვანს, ჟანინს მე დამიტოვებს, და თვითონ ორ კვირაში ჩამოვა, ახლა კი წავიდა, თორემ ავტობუსი გავა. ნახვამდის!

მთელი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ორი შემთხვევა მაგონდება, როცა მართლა დავმუნჯდი. ერთხელ დონეცკის სტუდენტური საერთო საცხოვრებლის ლიფტში აყლაყუდა ზანგმა ხუთ დოლარად სექსი შემომთავაზა – ის ხუთი დოლარი მე უნდა გადამეხადა; მეორედ ეს ვიქტორიამ შეძლო.

ასე შემრჩა ჟანინი. სრულიად სასოწარკვეთილი ვიყავი.

ვიფიქრე, ავდგები, ვიბანავებ, გონს მოვეგები და მერე მოვიფიქრებ, რა ჯანდაბა ვქნათქო, მაგრამ ვერ გავიხარე. სააბაზანოში ჟანინი დამხვდა. სვიტრის გახდას ლამობდა და თავი საყელოში ჰქონდა გაჭედილი.

"ჰეი, ჟანინა!"

თავი ელვის სისწრაფით გაითავისუფლა და მომაჩერდა.

"რა გინდა?"

ვუამბე, რომ დედამისმა მსუქანთან ერთად მოსკოვში წასვლა გადაწყვიტა, რადგან იქ საქმე აქვს, მაგრამ ისეთი საქმე აქვს, რომ ჟანინს ვერ წაიყვანდა, ჟანინი მე დამიტოვა, და თვითონ ორ კვირაში ჩამოვა, ახლა კი უკვე წავიდა, თორემ ავტობუსი გავიდოდა. საშინლად მეცოდებოდა ჟანინიც და ჩემი საყვარელი თავიც.

"OK," ეს ისე მორჩილად მითხრა, სულ მთლად წავხდი. სანამ ვიხდიდი, თვალს ვაპარებდი: სუფთა ტანსაცმელი გრძელ სკამზე აკურატულად დააწყო, პარკიდან ერთი ციდა კბილის ჯაგრისი ამოიღო, პირსაბანთან გადაპირქვავებული სარეცხის ყუთი მიაჩოჩა. ჯერ შემეშინდა, არ ჩაუტყდეს-თქო, მაგრამ მერე გავჩერდი, ჟანინს წონა საერთოდ არ ჰქონდა. ძირს დაგდებულ სვიტრს დავწვდი. ჟანინმა მომხედა და მითხრა:

"დააგდე, მე მივხედავ."

ჩვენი ერთად ცხოვრების პირველ საღამოს ჟანინმა გამომიცხადა, ღამე მშვიდობისაო, და თავისი ოთახისკენ გაემართა დასაძინებლად.

"ჩემთან არ დარჩები?"

"რატომ?"

"იმიტომ, რომ მარტოს ძილი არ მიყვარს." უნდობლად მიყურებდა. ისე, დიდად არ ვცრუობდი, შეიძლება ამიტომაც დამიჯერა. "მეშინია. ხომ იცი, აქამდე ჩემი მეგობარი ცხოვრობდა ჩემთან ერთად, ახლა კი მოსკოვშია. დარჩი, ჰო, ჟანინა!?"

დაფიქრდა. "რისი გეშინია ხოლმე?"

"არ ვიცი." ძალიან არაპედაგოგიურად გამომივიდა, მაგრამ მეტი ვერაფერი მოვიფიქრე.

"იცი, რა? შეგიძლია, ჩემთან დაიძინო. ასე ჯობია."

ჟანინი პრობლემას არასოდეს ქმნიდა. თვითონ ბანაობდა, თვითონ იცვამდა, თასმებსაც კი იკრავდა, ცოტა უცნაურად, მაგრამ კარგად, შარს ვერ მოსდებდი. საცვლებსაც ირეცხავდა, ყოველღამე, ბანაობის დროს – რომ არ დაგროვილიყო. მითხრა, შენს სარეცხს როცა შეყრი მანქანაში, მითხარი, და მეც შევალაგებო.

სათამაშოები არ ჰქონდა და არც უნდოდა. არც ზღაპრები იცოდა. "ზღაპარი" ინგლისურად როგორაა, დღემდე არ ვიცი, ამიტომ ვუთხარი, თუ გინდა, ამბავს მოგიყვები-მეთქი.

"რატომ?"

"რა ვიცი, სახალისოა."

"წითელქუდას" ნაცვლად "წითელი კაბა" გამომივიდა, მაგრამ ეგ არაფერი. მახსოვდა, როგორ მეშინოდა მგლის და როგორ შემეცოდა, რომ გამოფატრეს. სულ უმგელო წითელქუდას ვითხოვდი. ამიტომ ჟანინს ვუთხარი, მგელს მუცელი შეუკერეს და იმის მერე დაიფიცა, პატარა გოგოებს და მოხუც ბებოებს პირს აღარ დავაკარებო.

მე იატაკზე ვიწექი, ჟანინი ლოგინიდან გადმოყუდებული მისმენდა. რომ მოვრჩი, ხმა არ ამოუღია, ისევ ისე მიყურებდა. მერე ჩემთან გადმოცოცდა და ფეხებთან ჩამომიჯდა.

"შენ მაგას დაიჯერებდი?"

"რას?"

"რომ აღარ შეჭამს."

"რა ვიცი. ხომ დაიფიცა?"

"მაგას რა მნიშვნელობა აქვს. მაინც მგელია."

"რა ვიცი, ჟანინა, მე აღარ გამიგონია, რომ ვინმე შეეჭამოს."

"მართლა?"

"ჰო."

დღის განმავლობაში სულ ჩემს გვერდში იყო ატუზული, ოღონდ არ მეხებოდა, თავისთვის ბუტბუტებდა ხოლმე რაღაცას, თავს ირთობდა. რაღაცნაირად, სინდისი მაწუხებდა. მაგის ხნის რომ ვიყავი, ასი კაცი დამტრიალებდა ხოლმე თავს, ათასი მეგობარი მყავდა და მაინც ასეთი გავიზარდე. აღარ ვიცოდი, რა მექნა. მერე მსუქანას მარაგებიდან სამი ლენტი ამოვაძვრინე – ნეტა, რა ეშმაკებად უნდოდა? და სკამის თავს გამოვაბი. მახსოვს, ფასანაურში ვყავდი დედას და იქ სწორედ ასე მასწავლა ნაწნავის დაწვნა. ამ საქმეს ჟანინმა ალღო უცებ აუღო და სანამ მე ლურჯეკრანიან "ოლივეტიზე" თვალებს ვილამებდი, თავის ციდა თითებით წნავდა და წნავდა: დაშლიდა – დაწნავდა... მერე მკითხა, თმაც ასე კეთდებაო? კი-მეთქი. რომც მოეწიწკნა, ხმის ამომღები არ ვიყავი. სკამის ზურგზე მიჯდებოდა ხოლმე, მე რაღაცას ვწვალობდი, ის – წნავდა. ერთხელაც არ მოუწიწკნია.

საღამოობით, საქმეს და იატაკის რეცხვას როცა მოვრჩებოდი ხოლმე, სასეირნოდ დავდიოდით. არც ხელს მკიდებდა, არც არაფერი. ერთია, ცოტა ნელა მიწევდა სიარული, იმიტომ რომ ჟანინი მაინც ძალიან პატარა იყო.

"გინდა, ფოთლებში ვირბინოთ?"

"რატომ?" პირდაღებული მიყურებდა.

"შრიალებენ და სახალისოა."

"დავისვრებით."

"მერე რა?"

გამომეკიდა და აკისკისდა, ცდილობდა, ჩემთვის ფოთლები მოეყარა, მაგრამ მუჭში ბევრი არ ეტეოდა. ფოთლების გროვაში ჩავარდა, გორავდა, იცინოდა და ჭყლოპინებდა.

"მოდი, მოდი! სახალისოა!"

უკანა გზაზე ვკითხე, ხომ არ დაიღალე, გინდა, აგიყვან-მეთქი. მიპასუხა, არა უშავს, ცოტაღა დარჩაო.

ისე, მართლა ცოტაღა დარჩა. ჩემი დრო იწურებოდა. არადა, რამდენადაც ვინმეს სიყვარული შემიძლია, ძალიან შემიყვარდა ჟანინი. ის კი ისევ ისეთი იყო, როგორიც გაცნობის პირველ დღეს – დიდად არ მენდობოდა, მაგრამ სულ ინტერესით შემომცქეროდა ხოლმე, ოდნავ პირდაღებული და ულმერთოდ ლამაზი.

საღამოობით ტაძარში ორღანზე უკრავდნენ ხოლმე. ჰა, ჟანინა, გინდა, წავიდეთ?

"კარგია?"

"რა ვიცი, მე მომწონს. თან, თუ გინდა, სანთლებიც დავანთოთ."

"რატომ?"

"რა ვიცი, ლამაზია."

"კარგი. ვნახოთ."

გადაწყდა, რომ გავიპრანჭებოდით. ჟანინი თავის ოთახში გაცუნცულდა, ჩავიცვამ და გარეთ დაგელოდებიო, მე კი ჩემს უბადრუკ გარდერობს მივადექი. გაპრანჭვა როგორი იყო, აღარ მახსოვდა, ვის გავპრანჭვოდი, მსუქანას? არადა, რომასას ჯინსებით ტაძარში მაინც უხერხულია.

საბოლოოდ, ცხადია, მაინც ჯინსები ამოვიცვი და ბაღში გავედი. ჟანინი ჯერ არ ჩანდა.

უკვე ბნელოდა, მაგრამ ისე არ ციოდა, იქაურობას რომ სჩვევია. კარგი საღამო იყო.

რა საშინელია ეს "დედაშვილობა", აღარც დედა მოგინდება, აღარც არაფერი.

მერე მივხვდი, რომ ჟანინი ძალიან იგვიანებდა. ამისთანას რას იცვამს. სახლში დავბრუნდი. კარი დაკეტილი იყო. საოცარი ამბავი. დავაკაკუნე. "ჟანინა?"

მერე ისევ ბაღში გავვარდი.

"ჟანინა! ჟანინა!"

"აქა ვარ." ბუჩქებში იჯდა, ჩაცუცქული, და ტიროდა, მუშტებით იწმენდდა ცრემლებს. კინაღამ შევიშალე.

"რა გტკივა? ვინ გაწყენინა? ჟანინა!" ხელში ავიყვანე. კენჭივით იყო, დაძაბული და ძალიან დაშინებული.

რა ბევრი გავაგრძელო, თურმე ფისი მოუნდა, და თავის მორთული კაბა დაასველა. "მერე რა? წამო, გამოიცვალე." მერეღა მივხვდი, რომ ეგონა, მცემსო.

მე ვცემდი ჟანინას? მე ყველას მოვკლავდი, ვინც ჟანინას აწყენინებდა! რა გგონია, ვერ მოვერევი? რა სისულელეა! გინდა, ეს ხე ამოვთხარო? არა? მაშინ, თუ გინდა, მორტენა დარაჯს გავლახავ, ე, იქ რომ დგას. არა? აბა, ვინ ვცემო?

სიცილი დაიწყო. რა გაცინებს? ჰეი, ჟანინა, კონცერტზე დაგვაგვიანდება!

დაგვაგვიანდა კიდეც. მაგრამ უკან დაბრუნებაც აღარ გვინდოდა. ერთი ხანი ტბის გარშემო ვისეირნეთ, "ნელი, ნელი, პიონერი" ვასწავლე – აბა, მე ადამიანი ვარ? ბოლოს გრძელ სკამზე დავსხედით – კი სველი იყო, მაგრამ ქურთუკს კაპიუშონი მოვაძრე და ქვეშ დავიფინე, ჟანინი კი კალთაში ჩამიჯდა.

ტბაში ლამპიონები ირეკლებოდა. ერთადერთი გედი დაცურავდა. არადა, ზაფხულში ბევრნი იყვნენ. დიდი, თეთრი გედი იყო. ნაპირთან ახლოს მოცურდა.

"ნეტა ახლა პური გვქონდეს, არა? მივცემდით."

"ჰო," მითხრა ჟანინმა. "მაგრამ ძალიან დიდია, არა?"

"ჰო, დიდია".

გედი ნაპირზე გადმოვიდა. სიმართლე რომ ვთქვა, არ მეამა – მართლა ძალიან დიდი იყო, უმახინჯესი ფეხები ჰქონდა და თან რატომღაც ჩვენკენ დაიძრა.

ჟანინი ზურგით მომეკრო. დაიძაბა.

"ნუ გეშინია. ვერ ხედავ, რა წვრილი ყელი აქვს? ეგ არაა ლონიერი."

და უცებ იმ დამპალმა ფრინველმა ფრთები ააფართხუნა. რამხელა იყო! ჟანინი დამისხლტა და ტყეში გაიქცა, თავისი პატარა ფეხების იმედი უფრო ჰქონდა, ვიდრე ჩემი. რა საშინელებაა, ჩემო ღმერთო.

მუშტებშეკრული დადგა. მის წინ ჩავიცუცქე.

"აჰა. ახლა მომიყევი, რა გააკეთე."

ჟანინი დამნაშავე თვალებით მიყურებდა. მერე ახლოს მომიჩოჩდა. მოხვევა სცადა და ჩუმად მითხრა:

"ბოდიში, რომ დაგტოვე. ძალიან შეგეშინდა?"

სახლში როცა მივბრუნდით, ჩემი ოთახი ღია იყო. ლოგინზე წაგორებული მსუქანი და ვიკა დამხვდნენ. ჩამობრძანებულან.

მსუქანმა, ცხადია, გამოცდები შესანიშნავად ჩააბარა. ვიკამ რა აკეთა, არ ვიცი. მსუქანმა მითხრა, ერთი მაგის დედაცო, და კიდევ რაღაცეები თქვა, ოღონდ ძალიან ცუდები, და ამას არ დავწერ.

ჟანინი არ მელაპარაკებოდა. საერთოდ, ზედაც არ შემოუხედავს. მხოლოდ სამი დღის შემდეგ, მოსკოვში როცა მიემგზავრებოდნენ ის და დედამისი, ოთახში შემოვიდა და კართან ჩამოდგა. ახალი ქურთუკი ეცვა.

"რაო, ჟანინა?"

"არაფერი. იმუშავე."

"ახალი ქურთუკი გაცვია?"

"ჰო."

თავს იდიოტად ვგრძნობდი. ვიყავი კიდეც.

"იცი, რა?" მკითხა გასვლისას.

"რა?"

"მე უკეთესი ინგლისური ვიცი."

ჩემზე კარგი ინგლისური ყველამ იცის.

# მარინას დაბადების დღე



მრავალ სხვა შესანიშნავ თვისებასთან ერთად ქალბატონ ნორას – დიახ, სწორედ ქალბატონ ნორას, და არა ნორა ბებოს – ერთი სიკეთე ახასიათებდა: მაინცდამაინც მაშინ იწყებდა ხოლმე ლაპარაკს, როცა მარინა ან კარგ გუნებაზე იყო, ან ძალიან დაღლილი, ანუ, სწორედ მაშინ, როცა ეს ყველაზე ნაკლებად იყო საჭირო.

ქალბატონი ნორა, ათასი წლისა, თვლიდა, რომ ახალგაზრდობაში – ციტატა – "ულმერთოდ ლამაზი იყო", და ქუჩაში როცა გამოდიოდა, მარცხნივ მამაკაცები ცვიოდნენ, სიყვარულით დაბრმავებული, მარჯვნივ კი – ქალები, შურისგან გულგახეთქილი. ცხადია, თექვსმეტი წლისა ყველა შეიხედება, ალბათ ნორაც ჰგავდა რაღაცას, მაღალი და გრძელფეხება კი იყო, მაგრამ "ულმერთო სილამაზე" არც ფოტოსურათებზე ეტყობოდა, და ახლა ხომ საერთოდ არაფერი შემორჩენოდა, უსაზღვრო თვითკმაყოფილების გარდა.

საკუთარი თავი ქალბატონ ნორას ყველაფერს ერჩივნა, და უგრძელესი ცხოვრების განმავლობაში ვერავინ დაარწმუნა, რომ ამქვეყნად ვინმე მაინც იყო მისი ტოლი და სწორი. უკანასკნელი ათი წელი ამის მტკიცებას აღარავინ ცდილობდა, მასთან ურთიერთობა სრულიად შეუძლებელი გახდა, ამიტომ ყველაფერი მარინას გადასახდელი იყო: ნორიკოს ულმერთო სილამაზეც, იდეებიც, ეკოლოგიურად სუფთა საჭმელიც, მენთოლიანი სიგარეტიც და თეთრი საყელოებიც.

მარინა უშნო იყო და ქალბატონ ნორასგან განსხვავებით, მასზე უკეთ ეს არავინ იცოდა. ასეთ ქალს ალბათ ბევრს იცნობთ - თითქოს არაფერი სჭირს ისეთი, სხვას რომ არ სჭირდეს, და მაინც ძალიან ჯღანია. დაბალი იყო, მაგრამ მინიატურული და კოხტაო, ვერ იტყოდით; გამხდარი იყო, მაგრამ ძვალი ჰქონდა მსხვილი და უჯიშო; შავ-ყვითელა კანი ჰქონდა, არც გარუჯვა უხდებოდა, არც მაკიაჟი; თმა სულ დაუბანელს უგავდა – რა ვიცი, რომელი ერთი ვთქვა. მოკლედ, უშნო იყო, რა...

როცა უშნო ხარ, ობოლი და ხელფასს არ გაძლევენ, და შენმა კაცმა სხვა ქალი შეიყვარა, ისედაც ბევრი არაფერი გაქვს გასახარელი. ამას იმასაც თუ დაუმატებ, რომ თბილისში მცხოვრებს დედა რუს-სომეხა გყავდა, ხომ მთლად უკეთესი. მაგრამ როცა სახლში ქალბატონი ნორა გყავს – ფულს და კაცს ვინ ჩივის! ყველაფერი დამთავრებულია.

ისე, ნორას არსებობას ერთი ხეირი მაინც ახლდა: სახლში ყოველთვის თბილოდა და სამზარეულოში ერთჯერად ჩაის, ხსნად ყავას და მსგავსებს არ აჭაჭანებდა. თან ნორას ბევრი ეძინა, როგორც მარინას ყოფილი ბესო იტყოდა ხოლმე, ტოპმოდელივით, ამიტომ მარინას დილით, სამზარეულოში, ტვინს არავინ უჭამდა, შეეძლო მშვიდად დამჯდარიყო და განცხრომით დაელია პირველი ჭიქა ყავა.

მაგრამ იმ დღეს არ გაახარეს. ყავა ჯერ არ ადუღებულიყო და ტელეფონმა დარეკა. მარინამ ყურმილი აიღო, "მინსკი" აგრიალდა, ყავა გადმოვიდა, მარინამ წაიფორხილა, სკამი წააქცია და ნორას გაეღვიძა.

"ვინ იყო?" გამოსძახა. მარინა გაფუჭდა.

"მოიცა, რა," ჩაილაპარაკა მარინამ.

"ვინ იყო?"

"სხვაგან მოხვდა."

"სად ვრეკავო?"

"რა გინდა, ნორა?"

კარებში ნორა აღიმართა – ვარდისფერ ფუმფულა ხალათში გამოხვეული, მოქარგული ბაჩუჩებით, უშავესი, გაჩეჩილი თმით. "რა კოშმარია," გაიფიქრა მარინამ.

"ჰკითხე, სად რეკავდა?"

"არა."

"რატომ?"

"რატომ უნდა მეკითხა?"

"რანაირად მელაპარაკები?"

"რა გინდა, ნორა?"

"ფულს როდის მოგცემენ?"

მარინა დაჯდა. დაიწყო.

"ყავა გაგიკეთო?"

"არა. ფულს როდის მოგცემენ?"

"თვის ბოლოს. ერთ კვირაში. რამე გინდა?"

"რა უნდა მინდოდეს. უბრალოდ, მაინტერესებს, ფულს როდის მოგცემენ."

თავის დროზე მარინამ მოახერხა და რამდენიმე თემა დახურულად გამოაცხადა, მათ შორის თავისი გარეგნობა და ბესო. ნორამ იცოდა, რომ ან ერთი, ან მეორე საკითხის წამოჭრას ჭურჭლის მტვრევა და დედის გინება მოჰყვებოდა, მაგრამ ფულის გამო ჯერ არავის უგინებია და ამიტომ გაუტია და გაუტია!

"ნორიკო, კარგი, რა..."

"რა "კარგი რა"?

"ნორა!"

"ყავა გაგიკეთო?"

ასე იცოდა ნორიკომ – გაგაგიჟებდა და მერე, ძალიან ნასიამოვნები, შეგეშვებოდა.

■ ■ ■

მარინას დღესასწაულები სძულდა: ახალი წელი, აღდგომა და საკუთარი დაბადების დღე. ძირითადად, იმიტომ სძულდა, რომ მრავალი წლის განმავლობაში სულელივით ელოდა, რომ ვინმე რამეს მოულოცავდა. არა, ულოცავდნენ, როგორ არა, ოღონდ ის არა, ვინც უნდოდა. მაგალითად, ბესო. საერთოდ, ბესო ძალიან ყურადღებიანი და კარგი ბიჭი იყო, უბრალოდ, ახალ წელს თავის მეგობრებთან ერთად ხვდებოდა ხოლმე, სააღდგომოდ მონასტერში იჯდა, მარინას დაბადების დღე კი, რაღაც ჭირად და ოხრად, მისი დის დაბადების დღეს დაემთხვა. მეორე დღეს ბესო, ცხადია, პახმელიაზე იყო, მესამე დღეს კი სადმე მიჰყავდა ხოლმე, ხომ ვამბობ, ძალიან კარგი ბიჭი იყო. მაგრამ მარინას მესამე დღეს აღარ უხაროდა. დიდი უმადური ქალი იყო ჩვენი მარინა.

ამჟამად ეს პრობლემა აღარ იდგა, იმიტომ რომ ბესო ნამდვილად აღარსად წაიყვანდა, ბესოს სხვა ქალი შეუყვარდა. მაგრამ მარინას თავის დაბადების დღე მაინც სძულდა. დღეს სწორედ მისი დაბადების დღე იყო. თან კვირადღე.

■ ■ ■

იმხანად, როცა ბესოსთან მეგობრობდა, მარინას ბევრი საქმე ჰქონდა ხოლმე: თავს უვლიდა, ანუ ნორიკოს ნერვების მოსაშლელად ეპილატორს აბღავლებდა, იმავე ნორას გულის გასახეთქად ფულს უმისამართოდ ხარჯავდა და შეიპინგზე დადიოდა, და ძილის წინ არ ჭამდა, ანუ არც საყვარელი ბებიკოს ვახშამს იყო დიდად გადაყოლილი. ამ და კიდევ რამდენიმე სხვა მიზეზის გამო ნორას ბესო დასანახად ეჯავრებოდა.

არა, ის, რომ ბესო მარინას ცოლად ითხოვდა და ამით მას, ქალბატონ ელეონორას, რამეს დააკლებდა, აზრადაც არ მოსვლია. ამის გამო სულ არ ღელავდა, რადგან, მისი მტკიცე რწმენით, მარინას გარეგნობის მქონე და თან უჯიშო ქალს არავინ წაართმევდა. ნორა ვერ იტანდა, რომ ბესო "ნორა ბაბოს" ეძახდა – ცხადია, ჯინაზე, თორემ ვინ იყო მაგის ბაბო; რომ ბესო მარინას ეზოდან უძახდა ხოლმე (იმიტომ, რომ ნორას მისი დანახვა არ უნდოდა) – იქნებ ნორას ეძინა? მერე რა, რომ შუადღე იყო? თან მარინა ბესოსთან ერთად იყო ხოლმე, კვირაში ორჯერ მაინც, და მიუხედავად ნორას კვნესისა, რომ თავი სტკივა, ზურგი სტკივა და ფრჩხილი ჩაეზარდა, მაინც მიდიოდა, უმადური სომხის გომბიო. მერე იმ ნაძირალა ბესომ წიგნი გამოუგზავნა ნორიკოს: "ანტიკარნეგი, ანუ ადამიანი-მანიპულატორი", და ნორა საბოლოოდ გადაირია.

მერე ბესო გაქრა. სად წავიდა? არ ვიცი. აი, ხომ გეუბნებოდი?! აბა, რა გეგონა? ისიც მიკვირს, რომ ამდენი წელი შენთან ჰქონდა საქმე. არადა, როგორი ლამაზი კაცი იყო. ნორა, მე რამე დაგიშავე? ეგ რა შუაშია. უბრალოდ, რაღაცა ხომ შენც უნდა გაიგო. ორმოცი წლის ქალი ხარ. კარგი, ოცდათხუთმეტის.

დღეიდან კი ოცდათექვსმეტისა, ქალბატონო ელეონორა. უბრალოდ, შენ აღარ გახსოვს.

სამაგიეროდ, იმ დღეს ნორამ კარგად დაიმახსოვრა, რომ ბესო აღარ უნდა ეხსენებინა. არ აღიარებდა, თორემ მარინას მიერ მოწყობილმა სკანდალმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ლამის აღტაცებული იყო – ან რას გასძახოდა, ან მაგიდას და კედლებს როგორ უბაგუნებდა, ან როგორ გალანძღა კარს მომდგარი მეზობელი! მერე ნორიკომ გულის შეტევა დაიმართა, მარინას კი ეკიდა – ყოჩაღ, მარინა! რაღაცით მაინც დაემსგავსა. ისე, ნეტა ბესო დაექორწინა, ნორას რას ერჩოდა, მაგრამ მაინც...

■ ■ ■

რა კარგია, ფიქრობდა მარინა, რომ ადრე ბნელდება! რა კარგია, რომ ნორას სერიალები უყვარს! რა კარგია, რომ დასარეკებმა დარეკეს და აღარავის ელის!

მაგარი ტიპია ნორა. ერთი არ უკითხავს, მადლობებს რაზე იხდიო. სულ არ ახატია... კიდევ კარგი.

"მინსკი" გაჩუმდა. ოთახიდან ტელევიზორის ხმა ისმოდა. მარინა თავის პატარა ტახტზე იწვა და ჭერს შესცქეროდა. თბილოდა. რა კარგია. ერთი სიზმარი გაახსენდა, ადრე ნახა, მაშინ ბესოსთან მეგობრობდა. ვითომ ასევე იწვა, ოღონდ იცოდა, რომ მიწაში იწვა. მის თავთით დედა და მამა იყვნენ დაკრძალული. მაშინ, ბესოს როცა უამბო, იმას გაეცინა, მამაშენი კიდევ ათასი წელი იცოცხლებს, მაგას რა მოკლავს, ესე იგი, ჯერ არ მოკვდებიო. მოკლედ, იქ დედ-მამა იწვა, აქ – მარინა. სასაფლაო არ იყო, რაღაც გალავანს ხედავდა და მინდორს, თითქოს ზემოდან დასცქეროდა. ნისლი იყო – ალბათ, ნოემბრის ბოლო, მაგრამ თბილოდა. მინდორზე კვიცი დარბოდა, რატომღაც წვერიანი. ასეთი კვიცი მაშინ ფასანაურში ნახა, ბესოსთან ერთად რომ იყო წასული. მაშინ უთხრეს, რომ გაიზრდება, წვერი გაცვივდება და ჩვეულებრივი ცხენი დადგებაო. ჰოდა, ეს კვიცი დარბოდა, ნისლი იყო, მარინა იწვა და ასევე ფიქრობდა: რა კარგია! ალბათ, მალე მოთოვს და კიდევ უფრო დათბება...

"გძინავს?"

"რა იყო?"

"რა უნდა იყოს. მაინტერესებს, გძინავს თუ არა."

"აღარა."

ტელეფონი აწკრიალდა. "მინსკი" არახრახდა.

"ვინ იყო?"

"გაითიშა."

"სად ვრეკავო?"

"რა გინდა, ნორა?"

დალილა ბედიანიძე

## რძე

დედა, რძე მომენატრა - ბავშვობის რძე.
ის დრო მომენატრა, როცა რძეს "ძეს" ვეძახდი.
რძის სურნელება და რძის ორთქლი.
მაშინ ყავის და სიგარეტის შესახებ არაფერი ვიცოდი.
ჩვენს ოჯახში არ ეწეოდნენ - ბავშვები გვყავსო.
რძე მომენატრა და რძის ამხანაგებთან მივდივარ -
საბავშვო ბაღში ჩვენ ერთად ვსვამდით რძეს
და როცა ერთად ვიკრიბებით, ის დრო ბრუნდება.
წკრიალებენ ფინჯნები, ჩვენს ბავშვობას უმღერიან.
რძისფერი იყო ცა და ყვავილები.
რძისფერი იყო ჩვენი სახეები.
რძისფერი იყო ჩვენი სამოსელი.
ჩაიარა რძისფერმა დავიწყების მდინარემ
და თან წაიღო ის დღეები
და დარჩა მხოლოდ რძე,
რძე - საზრდო ყველა მოგონებისა.
დედა, რძე მომენატრა, ბავშვობის რძე.
იმ რძეს სხვა გემო ჰქონდა.
სხვა გემო ჰქონდა რძის დალევის შემდეგ ნათქვამ ლექსს,
ტაბურეტზე რომ შეგვაყენებდნენ.
რძეო, რძეო,
დამიბრუნდი ბავშვობის რძეო!

* * *

ნეტავ ერთ ბუდეში გაზრდილი ჩიტები თუ სცნობენ
ხოლმე ერთმანეთს ცაში?
ნეტავ დედა ჩიტი და მამა ჩიტი
თუ სცნობენ ხოლმე თავის ბარტყებს
მას შემდეგ, რაც დააფრენენ?
ნეტავ ერთ ბუნაგში გაზრდილი მგლის ლეკვები
თუ სცნობენ ერთმანეთს
და ძუ მგელი თუ სცნობს შვილებს ბუნაგიდან წასვლის შემდეგ?
ბედნიერია ადამიანი,
რომ ჰყავს და-ძმები, დედა და მამა
და მაინც ზოგჯერ შეეპარება
ჩიტთა მარტოობა,
მგელთა მარტოობა
და უცხოობა საკუთარ სახლში.
ბედნიერია ადამიანი, რომელსაც უყვარს
და სანამ უყვარს
და მაინც ზოგჯერ შეეპარება
ჩიტთა მარტოობა,
მგელთა მარტოობა
და უცხო, უცხო ხდება ის, ვინც ასე უყვარდა.
მივეცან-მოვეცანი წუთისოფელს და
ყველაზე მეტად მარტოობისა შემეშინდა -
ამ უზარმაზარ სამყაროში არ დავიკარგო!

* * *

თმა შევიჭერი და მოგონებები შეჭრილ თმას გავაყოლე.
მხოლოდ შენ მახსოვხარ.
მოჭრილი თმა ჩიტის ბუმბულს მაგონებს
აფრენისას რომ დაუცვივდა.
მეც ავფრინდი მას შემდეგ, რაც თმა შევიჭერი
და სარკეში ჩემი კვალი დავტოვე.
ჩემთან ახალი ის არის, რომ თმა შევიჭერი.
მეც ახალი ვარ, მარადახალი.
გავლამაზდი. ახლა თამამად შემიძლია, წავიდე ყველგან,
თავი გამომეჩყოფა.
ხვალ პანაშვიდზე უნდა წავიდე.
სიკვდილ-სიცოცხლე ყველგან ხვდებიან ერთმანეთს,
საპარიკმახეროშიც, სადაც მოჭრილი მკვდარი თმა დავტოვე.
რამდენი რამ მოვიკვეცე თმასთან ერთად!
შინ მივდივარ და მივიმღერი.
მაისის წყნარი საღამოა.
თმა შევიჭერი.
ნეტავ კი მოგეწონება ახლა ჩემი თმა?

* * *

ცის ხეივანზე მწიფდება ვარსკვლავების მტევნები.
ცაში იმდენი ვარსკვლავია,
რომ ჩამოვკრიფო ცოტა მაინც
არ შეეტყობა.
აი, სკამზე ავალ და ცას შევეწვდები -
როცა ფრენა მესიზმრება
ვარსკვლავები მიშლიან ხოლმე
და ბოლომდე ცაში ვერ ავდივარ.
ახლავე მოვკრეფ ვარსკვლავების მტევნებს
და გზას მოვისუფთავებ.
რა ვიცი - ამაღამ რომ დამესიზმროს ცაში აფრენა?





*ელიზაბეტ ბიშოპი (1911-1979) XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი ამერიკელი პოეტია. ეზრა პნაუნდის, რობერტ ლოუელის, რენდელ ჯარელის, ლოიდ შვარცის და მარიანა მურის თანამედროვე და მეგობარი. მარიანა მურის წყალობით შედგა ბიშოპის სამწერლო დებიუტი, ხოლო ამ ორი განსხვავებული მრწამსის, თუმცა ერთნაირად დიდი პოეტის მეგობრობა მურის სიკვდილამდე გაგრძელდა. წერისადმი მაქსიმალისტური მიდგომისა და თვითკრიტიკულობის გამო ბიშოპი პროდუქტიულობით არ გამოირჩეოდა, თუმცა არც ერთი მისი მცირე მოცულობის კრებული არ დარჩენილა შეუმჩნეველი. 1955 წელს მიენიჭა პულიცერის პრემია წიგნისთვის "ცივი გაზაფხული"; 1965 წელს - ნაციონალური წიგნის ჯილდო "მოგზაურობის საკითხისათვის" და 1976 წელს ამავე ჯილდოს კრიტიკოსთა წრის პრემია "გეოგრაფია III"-თვის. 1983 წელს ფარარის, სტრაუსისა და ჟიროს ცნობილმა გამომცემლობამ ელიზაბეტ ბიშოპის ლექსების სრული კრებული (1927-1979) გამოსცა, ერთი წლის შემდეგ კი მისი "რჩეული პროზაც" გამოვიდა თვით რობერტ ჟიროს შესავალი წერილითურთ.*

*ბიშოპის შემოქმედებითი თავისებურებებია მოგზაურული და ავტობიოგრაფიული თემების სიჭარბე, აღწერილობითი მანერა და მეტაფორებისგან დაცლილი დახვეწილი მხატვრული სტილი. თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების არსი პოეტმა ლაკონურად ჩამოაყალიბა 1976 წელს ნიუშტედტის საერთაშორისო პრემიის მიღებასთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში: "მთელი ცხოვრებით ძალიან ვგავარ ჩემი ლექსის მექვიშია ჩიტს, სხვადასხვა ქვეყნის კიდეები რომ შემოიფრინა რაღაცის ძებნაში" - და მართლაც, ამ პოეტის შესახებ ყველაზე კარგად მეტყველებენ მისივე ლექსები, რადგანაც მასში პოეტის ცხოვრებისეული ფაქტები ფოტოგრაფიული სიზუსტითაა გადატანილი. და, რაც მთავარია, გაბნეულია პოეტური აზროვნების ბრწყინვალე გამონათებებს შორის.*

*პირველად ქართულ ენაზე ელიზაბეტ ბიშოპის შემოქმედება წარმოადგინა ჟურნალმა "არილმა" 2001 წლის მე-10 ნომერში რუბრიკით "პერსონა", პოეტის შემოქმედებითი თავისებურებების მიმომხილველი სტატიებითა და ექვსი ცნობილი ლექსის (მათ შორის "თევზის", "One Art" და "თევზსაშენის ფარდულებთან") თარგმანებით.*

*დღევანდელ პუბლიკაციაში წარმოდგენილ ლექსებს შორისაა ელიზაბეტ ბიშოპის ყველაზე ცნობილი ქმნილებები: "მოგზაურობის საკითხი" და "მოსაცდელ ოთახში".*

ელიზაბეტ ბიშოპი

## მოსაცდელ ოთახში

ქალაქი უორჩესტერი,
მასაჩუსეტსის შტატი.
დეიდა კონსუელომ
გამიყოლა კბილის ექიმთან.
მოსაცდელში დავჯექი
და ველოდებოდი. ზამთარი იყო.
დაბნელებას ადრე იწყებდა. მოსაცდელი
სავსე იყო მოზრდილებით,
არქტიკული სიცივით და თბილი,
საზამთრო ტანისამოსით,
ნათურებით და ჟურნალებით.
როცა მივხვდი, რომ დეიდაჩემს
კიდევ კარგა ხანს მოუწევდა შიგნით დარჩენა,
გასართობად ხელში ავიღე
"National Geographic"-ი
(კითხვა ვიცოდი). ყურადღებით
ვაკვირდებოდი ფოტოსურათებს.
მახსოვს, ერთზე ვულკანის შავი,
ფერფლით სავსე, ხახა იყო გადაღებული;
მეორეზე - იმავე ვულკანს ცეცხლის ღვარებად
ჩამოსდიოდა ყვითელი ლავა;
ჩექმებსა და ჩაფხუტებში გამოწყობილ
უსასა და მარტინ იონსონს
საჯირითო ბრიჯები ეცვათ;
"გრძელი ღორი"(1) - მიეწერათ სურათზე, სადაც
ჩრდილო პოლუსზე გაყინული
კაცი მოჩანდა.
ერთგან მოხატულთავიანი ბავშვები ჩანდნენ -
თოკით რგოლებად დასერილი ჰქონდათ თავები.
გაშიშვლებულ ზანგის ქალებს კი
დამჭკნარ ბოლქვებს მიუგავდათ წვრილი კისრები
და დასერილი ჰქონდათ მავთულით რგოლებად თავი,
სურათიდანაც ზიზღს იწვევდა მათი
ჩამოწელილი მკერდის დანახვა.
ჟურნალი ერთი ამოსუნთქვით გადავიკითხე -
მორცხვი ვიყავი საიმისოდ, რომ შემეწყვიტა
და მხოლოდ ბოლოს დავხედე ყდაზე -
გაყვითლებულს ჯერ ისევ აჩნდა თარიღის კვალი.

უცებ, ექიმის კაბინეტიდან
მომესმა "ვაი" - ტკივილის ნიშნად.
დეიდაჩემის ხმა ვიცანი. ქალმა
მხოლოდ ერთხელ იკივლა. მე კი
მისი ხმის გაგონება სრულიად არ გამკვირვებია,
მიუხედავად იმისა, რომ დეიდაჩემს
მოსულელო, მშიშარა ქალის სახელი ჰქონდა.
წესით, უნდა შემეშინებოდა, მაგრამ
შიში კი არა, დაბნევითაც არ დავბნეულვარ.
ერთადერთი, იმან შემძრა გაკვირვებისგან,
რომ მე ვიყვირე, ის ხმა, რომელიც
შემომესმა, ჩემი ყელიდან ამოვიდა.
გონებაშიც არ გამივლია, ისე გავხდი დეიდაჩემი,.
მერე მე და ჩვენ სადღაც მივქროდით,
ვვარდებოდით, ხოლო თვალები
დაჰყურებდა 1918 წლის თებერვლის ნომრის
"National Geographic"-ის გაცვეთილ ფურცლებს.
ჩემს თავს ვუთხარი: სამი დღეც და
შვიდის გახდები.
ეს იმიტომ ვთქვი, რომ
გამეფანტა მრგვალი მბრუნავი პლანეტიდან
ცივ, მუქ სივრცეში ვარდნის შეგრძნება,
მაგრამ ამ დროს უცებ ვიაზრე:
მე ხომ მე ვარ,
ელიზაბეტი,
ერთ-ერთი მრავალ ჩემნაირს შორის,
რატომ ვიქეცი კიდევ სხვა ვინმედ?
ძლივს გავბედე თავის აწევა,
რომ დამენახა, როგორი იყო ის არსება,
ვინც ახლა გულში ლაპარაკობდა.
ჯერ - გვერდულად გავხედე მხოლოდ,
არ შემეძლო მაღლა ყურება,
და დავინახე - პერანგებისა, შარვლებისა და ფეხსაცმელების,
ნაცრისფერი ფეხებისა და სითბოს მიფიცხებული
ხელების აჩრდილები...
ვიცოდი, რომ არასოდეს დამმართნია
ამაზე დიდი უცნაურობა და რომ ასეთი
სხვა დროს არსად განმეორდება.
როგორ გავხდი დეიდაჩემი?
ან - მე, საერთოდ, ან რომელიმე ადამიანი?
რის საფუძველზე გავერთიანდით?
ფეხსაცმელების, ხელების და ჩემი ყელიდან
ამოსული გენეტიკური კივილის თუ
იმ საზარლად ჩამოწელილი მკერდების და
"National Geographic"-ის იგივეობით?
უცნაურია, საკვირველია ეს ყველაფერი,
სხვა რა დავარქვა, არ ვიცი, ამას.
როგორ მოხდა, აქ რომ აღმოვჩნდი
როცა სხვებიც იყვნენ ოთახში
და გავიგონე სიმწრის კივილი,
რომელიც უნდა გამხდარიყო უფრო
გამქოლი, მაგრამ არ გახდა?

კბილის ექიმის მოსაცდელში
ოდნავ ჩამოცხა, განათებაც გაუმჯობესდა,
მერე ოთახი დიდმა შავმა ტალღამ ჩაყლაპა,
და უგონო ღელვა დაიწყო.

მერე ისევ უკან დავბრუნდი.
მძვინვარებდა მსოფლიო ომი.
გარეთ, მასაჩუსეტსის შტატის
ქალაქ უორჩესტერში ერთმანეთში
არეულიყო სიცივე, თოვლ-ჭყაპი და ღამე.
და ჯერ ისევ 1918 წლის
5 თებერვალი იდგა.

გაგრძელება E14 გვერდზე

E13 გვერდიდან

## "მოგზაურობის საკითხი"

ეს უთვალავი ჩანჩქერია; მთის წყაროები
ელვის სისწრაფით ეშვებიან ზღვის შესართავთან,
და ქედებზე უამრავი ღრუბლის ზეწოლას რომ ვერ უძლებენ,
შხეფების ფრქვევით გადმოდიან კალაპოტიდან,
ჩვენს თვალწინ წამის მეასედში ჩანჩქერებად გარდასახულნი.
- მანამდე კი, ვიდრე წვეთები, ცრემლის ლაქებად მოციმციმე წვრილი ჭავლები
მგრგვინავ ჩანჩქერად გადაიქცევა,
სულ რაღაც ერთი, ორი საუკუნე მაინც გაივლის,
- აი, ასე იზომება აქ დრო და სივრცე.
მაგრამ თუკი ღრუბლები და ნაკადულები მოგზაურობას, მომთაბარეობას
არ მოიშლიან, მთები მალე დაემსგავსება გადმობრუნებულ გემის ტრიუმებს,
შლამითა და მოლუსკებით ჩამოძენძილებს.

გზაზე, შინისკენ მიმავალმა, უნდა ვიფიქროთ.
ანდა, საერთოდ ხომ არ სჯობდა სახლში დარჩენა,
აქაურობის მხოლოდ ფიქრში მონახულება?
მაშინ, ამ წესით, ნეტავ, ახლა სად უნდა ვიყოთ?
საკითხავია, სწორად ვიქცევით? - ამ სცენაზე ჩვენთვის უცნობი
მსახიობების უჩვეულო თამაშს რომ ვუმზერთ?
ან, რა ბავშვური მოუთმენლობა შეგვიპყრობს ხოლმე,
ვიდრე სხეულში სული გვიდგას, მზად რომ ვართ მოვწყდეთ
ნაცნობ ადგილებს, მხოლოდ იმიტომ,
მზეს რომ შევხედოთ მეორე მხრიდან?
მივეშურებით მსოფლიოში ყველაზე ციცქნა მწვანე კოლიბრის სანახავად,
ან - დავაცხრებით გარდასულ დროის რომელიმე ქვის ნაკეთობას,
რომელიც ყველა მხრიდან იდუმალი და აუხსნელია,
და რომელსაც არ დაკლებია მნახველი და შემფასებელი,
თან ყველა ჯერზე, ყველა ნახვაზე ერთნაირად მშვენიერია?!
ან, დანაშაულს ხომ არ ჩავდივართ,
ჩვენს ოცნებებზე როცა ვოცნებობთ
და საერთოდ, ოცნება რომ გვაქვს?
ნუთუ დავტოვეთ სადმე სივრცე
ჯერ კიდევ თბილი, ჩასასვლელად გამზადებული მორიგი მზისთვის?

სინამდვილეში, დანაშაული ის იქნებოდა,
არ შეგვეხედა ამ გზის გასწვრივ ჩარიგებული ხეებისათვის,
საკუთარ თავს რომ აჭარბებენ სილამაზეში
და ვარდისფერში გამოწყობილი კეთილშობილი მიმებივით
ნიშანს გვაძლევენ მწვანე ხელებით.
- სამწუხარო ის იქნებოდა, საწვავისათვის შეჩერებულებს
არ გაგვეგონა დაცალებული ხის ქოშების
მოურიდებელი ბაკუნის ხმები -
ნაღვლიანი, ორნოტიანი ხის მელოდია
ბენზინგასამართის ცხიმიანი იატაკიდან.
(სხვა ქვეყანაში ყველა ქოშის ცალს შეამოწმებდნენ
და ერთნაირი გუდრონის ძირებს გაუკეთებდნენ ხმის დასახშობად).
- ის იქნებოდა სამწუხარო, არ მოგვესმინა
მეორე, ნაკლებპრიმიტიული მუსიკა იქვე
გადატეხილ ბენზინსაქაჩზე მჯდარი დიდი რუხი ჩიტისა
იეზუიტურ ბაროკოთი ბამბუკისაგან ნაგებ ტაძარში,
რომლის ნიშანი 3 სამრეკლო და 5 დიდი ვერცხლის ჯვარია.
- დიახ, საწყენი იქნებოდა წამით მაინც რომ არ გვეფიქრა,
სულაც ბუნდოვნად და განურჩევლად,
იმის შესახებ, ასწლეულთა განმავლობაში
რა კავშირი შეიძლებოდა გაბმულიყო
ხის მოუხეშავ ფეხსაცმელსა და ხის გალიებში გამომწყვდეულ,
გარანდულსა და ერთობ დახვეწილ, ოცნებებს შორის.
- და სამწუხარო იქნებოდა, არ შეგვესწავლა ისტორია
მომღერალ ჩიტთა გალიების ძლივსშესამჩნევი ხელწერის კვალზე.
- და კიდევ ის, რომ მოსმენილი არ გვქონდეს წვიმა,
ასე რომ გავს პოლიტიკოსთა მწვავე გამოსვლებს:
ორსაათიან ორატორიის შემდეგ უეცრად ჩამომდგარი დუმილის წამით,
როცა მოგზაური კალამს იღებს და რვეულში იწერს:

"ნუთუ უბრალო წარმოსახვის ნაკლებობა გვაიძულებს
ვიმოგზაუროთ წარმოსახულ გრძედ-განედებზე,
იმის მაგივრად, რომ, უბრალოდ, სახლებში დავრჩეთ?
თუ დავიჯეროთ, რომ პასკალი ოდნავ სცდებოდა,
როცა ამბობდა, რომ ყველაფერს შინ ყოფნა სჯობდა?

კონტინენტია, ქალაქია, ქვეყანა თუ ნაცნობების წრე
არსად არ არის არჩევანი თავისუფალი.
აქ თუ იქ?.. არა, არსად. მართლა ხომ არ სჯობდა სახლში დარჩენა,
ეს სახლი სადაც არ უნდა იყოს?"

1965

## ურწმუნო

**"მას ანძის წვეროზე ძინავს"**
**ჯონ ბანიანი (1628-88)**

მას, რახანია, ანძაზე ძინავს
და აქვს თვალები დახუჭული ფართოზე ფართოდ,
ქვემოთ აფრები ეშვებიან ფრიალ-ფრიალით, -
მისი საწოლის თეთრი ზეწრები,
და ამ ფრიალში ღამეულ ცაზე მოჩანს ანძაზე მძინარის თავი.

ეძინა, როცა აქ მოიყვანეს,
ეძინა, როცა შემოეხვია
მოოქროვილ ბურთს ანძის წვეროზე,
ხან - მოოქროვილ ფლიგელზე იჯდა
და მერე ისევ ბრუნდებოდა ბრმად ანძის წვერზე.

"მე მარმარილოს სვეტებზე ვცხოვრობ
და არასოდეს არ წავსულვარ ამ ადგილიდან.
აი, იქ, ზღვაში, სვეტებს ხომ ხედავ?" - ეტყვის ღრუბელი
და ისიც, თვითშემეცნებით გარინდებული
მიაჩერდება წყალში საკუთარ ანარეკლის დაკლაკნილ სვეტებს.

თოლიამ ფრთები შეასვენა მისი ფრთების ქვეშ
და მაშინ მიხვდა - მარმარილოს ჰგავდა ჰაერი.
მერე ზემოდან ჩამოესმა: "ახლა აქედან ავიჭრები
მაღლა ზეცაში, და ეს იქნება უდიდესი გაფრენა ჩემი
მარმარილოს ფრთების საძებრად"

(1) "გრძელი ღორი" - ასე ეძახიან ადამიანის ჩონჩხს.

*ინგლისურიდან თარგმნა*
*მანანა მათიაშვილმა*



# უნდინე მიდის



ინგებორგ ბახმანი

თქვენ, ადამიანებო! თქვენ, ურჩხულებო!

თქვენ ურჩხულებო, სახელად ჰანს! სახელი, რომლის დავიწყებაც არ შემიძლია.

ყოველთვის, როცა მდელოზე გავიდოდი და ტოტები იშლებოდნენ, როცა შოლტები მხრებიდან წყალს მბერტყავდნენ, ფოთლები თმებიდან წვეთებს მილოკავდნენ, ვხვდებოდი იმას, ვისაც ჰანსი ერქვა.

დიახ, ეს ლოგიკურია, რომ ადამიანს ჰანსი უნდა ერქვას, რომ თქვენ ყველას ასე გქვიათ, ერთი მეორის მიყოლებით. მაგრამ მხოლოდ ერთს, მხოლოდ ერთადერთს, რომელიც ამ სახელს ატარებს, ვერასოდეს დავივიწყებ. თუნდაც, თქვენ ყველანი დაგივიწყოთ, სრულიად დაგივიწყოთ, სწორედ ისე, როგორც მიყვარდით. და ახლა, როცა თქვენი კოცნები და თესლი მრავალი წყლის, - წვიმების, მდინარეების, ზღვების მიერ დიდი ხნის ჩარეცხილია, თქვენი სახელი მაინც დარჩა და ახლა წყალში ცოცხლობს, რადგან თავს ვერ ვერევი და გაბმულად ვიძახი: ჰანს, ჰანს...

თქვე მონსტრებო, ძლიერი და მოუსვენარი ხელებით, მოკლე ფერმკრთალი ფრჩხილებით, დაქლიბული ფრჩხილებით, მაჯებზე თეთრი მანჟეტებით, გაცრეცილი სვიტერებით, რუხი უნიფორმებით, უხეში ტყავის ქურთუკებით და ჩახსნილი საზაფხულო პერანგებით! მაგრამ, მაცადეთ, თქვე ურჩხულებო, მაცადეთ, ბოლომდე გადმოვანთხიო ჩემი თქვენდამი ზიზღი, რადგანაც მე აღარ დავბრუნდები, თქვენს ანკესზე აღარ წამოვეგები. არავითარი მიპატიჟება ერთ ჭიქა ღვინოზე, ექსკურსიაზე, თეატრში. მე აღარ დავბრუნდები და აღარ ვიტყვი "დიახ" და "შენ" და კიდევ "დიახ". ეს სიტყვები აღარ ითქმება და იქნებ, ვინმემ აგიხსნათ კიდეც - რატომ. თქვენ იცით შეკითხვები და ყველა იწყება სიტყვით: "რატომ?" ჩემს ცხოვრებაში არ არსებობს შეკითხვები. მე მიყვარს წყალი და მისი სქელი გამჭვირვალება, ბალახი და მუნჯი არსებები (მალე მეც ასე დავმუნჯდები!). ჩემი თმა მის ქვეშ, სამართლიან წყალში, გულგრილ სარკეში, რომელიც თქვენთვის სხვა თვალით შემოხედვას არ მანებებს. ცხვირი - საზღვარი ჩემსა და ჩემს შორის...

თქვენგან ბავშვები არ გამიჩენია, რადგან არ ვიცოდი, შეკითხვები, მოთხოვნები, სიფრთხილე, განზრახვა, მომავალი და არ ვიცოდი, როგორ უნდა დაიკავოს ადამიანმა ადგილი სხვის ცხოვრებაში. მე არ დამჭირვებია არანაირი მხარდაჭერა, დაზღვევა და გარანტია, მხოლოდ ჰაერი, ღამის ჰაერი, სანაპიროს ჰაერი, საზღვრის ჰაერი, რათა ისევ ღრმად ჩამესუნთქა და დაწყებულიყო ისევ ახალი სიტყვები, ახალი კოცნები, გაუთავებელი აღსარება: დიახ! დიახ! როცა აღსარება დასრულდა, განწირული ვიყავი სიყვარულისთვის; როცა ერთ დღეს სიყვარულს თავი დავაღწიე, ისევ წყალში მომიხდა ჩასვლა, იმ ელემენტში, სადაც არავინ იშენებს ბუდეს, არავინ იდგამს სახურავს, არავინ იფარავს თავს ბრეზენტით. არსად ყოფნა, არსად დარჩენა, ჩაყვინთვა და დასვენება, თითქოს რაღაც ძალა თავისუფლად გამოძრავებს - და ერთ მშვენიერ დღეს გონს მოხვალ, კვლავ ამოყვინთავ, მდელოზე გაივლი, მას დაინახავ და წარმოთქვამ: "ჰანს!" ყველაფერი თავიდან დაიწყო:

- საღამო მშვიდობისა!
- საღამო მშვიდობისა!
- შორია შენამდე?
- შორია, ძალიან შორი.
- ჩემამდეც ძალიან შორია.

ერთ შეცდომას დაუშვებ, მერე ისევ და ისევ გაიმეორებ - აი, რითია ადამიანი შესანიშნავი. და რაღას გიშველის მერე წყლებში განწმენდა, დუნაისა და რაინის წყლები, ტიბრისა და ნილოსის წყლებში, ყინულოვანი ზღვების ნათელ წყლებში, ტბების ლილისფერ წყლებსა და მომაჯადოებელ გუბეებში?! ღონიერი ქალები ენებს ილესავენ და თვალები უელავთ. მშვიდი ქალები რამდენიმე ცრემლს ჩამოყრიან - მათ სხვა გზა არცა აქვთ. თუმცა, ამაზე კაცები არაფერს ამბობენ. ერთგულად გადაუსვამენ ცოლებსა და შვილებს თმებზე ხელს, გაშლიან გაზეთს, გადაიკითხავენ ანგარიშებს, აუწევენ რადიოს და უსმენენ ნიჟარის შუილს. მერე კი, მოგვიანებით, როცა სახლებში სიბნელე ჩამოწვება, ჩუმად ადგებიან, კარს გააღებენ, ბაღიდან, ხეივნიდან მომავალ ნაბიჯების ხმას მიაყურადებენ და გარკვევით გაიგონებენ ტკივილის ხმას, შორეულ ძახილს, საზარელ მუსიკას. მოდი! მოდი! მხოლოდ ერთხელ მოდი!

თქვენ, ცოლიანო ურჩხულებო!

შენ არ ამბობდი, ეს ნამდვილი ჯოჯოხეთია და არც კი ვიცი მასთან რატომ ვცხოვრობო?! შენ არ ამბობდი, ჩემი ცოლი შესანიშნავი ადამიანია, მას ვჭირდები, არ იცის, უჩემოდ როგორ იცხოვროსო?! შენ არ ამბობდი ამას?! შენ არ იყავი, რომ გაიცინე და მხიარულად წამოიძახე: ამგვარი რამ გულთან ახლოს არ უნდა მიიტანოო?! შენ არ ამბობდი: ყველაფერი ისე უნდა დარჩეს, როგორც არის და არაფერი შეიცვალოსო, ნუ აზვიადებო?! თქვენ, ურჩხულებო! თქვენი საუბრის მანერით, რომლითაც ქალს აბამთ, რათა არაფერი დაგაკლდეთ, დედამიწამ იტრიალოს. თქვენ, რომელნიც ქალებს საყვარლებად და ცოლებად აქცევთ, ერთჯერად ქალებად, საშაბათკვირო ქალებად, ცხოვრების თანამგზავრებად და თავად მათი ქმრები ხდებით (ეს გამოღვიძებადაც შეიძლება ღირდეს!). თქვენ, თქვენი ეჭვიანობით, მედიდური ღმობიერებითა და ტირანიით, ცოლებთან ეძებთ თავშესაფარს. თქვენ, თქვენი შემოსავლებითა და ძილის წინ გამართული საუბრებით, გამხნევებებით, თქვენი უმწეო და დაბნეული ალერსით. მიკვირს, რომ თქვენს ცოლებს ფულს აძლევთ საყიდლებისათვის, ტანსაცმლისათვის, სამოგზაუროდ ეპატიჟებით მათ (ეპატიჟებით და ფულსაც იხდით, თავისთავად!). თქვენ ყიდულობთ ან ჰყიდით თავს! სასაცილოები ხართ და საკვირველები, ჰანს, ჰანს, პატარა სტუდენტებო და სამაგალითო მუშებო! თქვენ ქალებს თანამშრომლებად აქცევთ, მუშაობთ ერთად, სხვის ფაკულტეტზე უფრო ჭკვიანები ხდებით და სხვის ქარხანაში საუკეთესოები ხართ, ირჯებით, აგროვებთ ფულს და ზოგავთ მომავლისათვის. სწორედ იმისთვის მოგყავთ ცოლები, რომ მომავალს ძირი გაუმაგროთ, რომ მათ ბავშვები გააჩენინოთ. მოლბებით, როცა ისინი შიშით და სიხარულით დაიარებიან ბავშვებით გაბერილი მუცლებით. ზოგჯერ უშლით ცოლებს ბავშვების ყოლას, არ გინდათ, რომ შეგაწუხონ, თქვენი დანაზოგი ახალგაზრდობით სიბერისაკენ მიიჩქარით. ო, ეს მართლა ღირს ერთ გამოღვიძებად! თქვენ, მატყუარებო და მოტყუებულებო. ჩემთან ეს არ გამოგივათ! ჩემთან არა-მეთქი!

თქვენ, თქვენი მუზებით, ტრაქტატებით, მეცნიერებით, გონიერი მეუღლეებით, რომლებსაც თქვენთან საუბრის ნებას აძლევთ... ჩემმა სიცილმა უკვე დიდი ხანია წყალი აამღვრია, გულიანმა სიცილმა, რომელსაც ღამით შიშით ჰბაძავდით ხოლმე. თქვენ ყოველთვის იცოდით, რომ ეს სასაცილოა და საშინელი და რომ თქვენ ბევრნი ხართ და არასოდეს არაფერს ეთანხმებით. ამიტომ, უმჯობესია, არ ადგეთ ღამით, არ მიჰყვეთ ნაბიჯების ხმას ეზოში და ბაღიდანაც არაფერი გაიგონოთ, რადგან ამით კიდევ ერთხელ გამოტყდებით, რომ ადამიანს ყველაზე მეტად ტკივილის ხმა იზიდავს, იზიდავს მისი ჟღერა და ღალატის სურვილი იპყრობს. საკუთარი თავით კმაყოფილნი არასოდეს ყოფილხართ, არც საკუთარი სახლებითა და ქონებით. ყოველი ჩამონგრეული აგური, ყოველი წარუმატებლობა ფარულ სიამოვნებას გგვრიდათ. ხშირად გიტაცებდათ ფიქრები გახიზვნის, სირცხვილისა და მარტოობის შესახებ... ისინი რეალობისაგან გაგათავისუფლებდნენ. ამაზე ფიქრი ძალიან გიტაცებდათ. როცა მე მოვედი, როდესაც ქარის ქროლვამ ჩემი თავი შეგახსენათ, მაშინ წამოვარდით ფეხზე და მიხვდით, რომ მოახლოვდა სირცხვილის, გაძევების, დაღუპვისა და გაურკვევლობის ჟამი. დასასრულის ძახილი. დასასრულის. თქვენ, ურჩხულებო, იმიტომ მიყვარდით, რომ თქვენ იცოდით, რას ნიშნავდა ეს ძახილი, თქვენ გეძახდნენ და უსმენდით, თქვენ არასოდეს ეთანხმებოდით საკუთარ თავს. და მე? მე როდის ვიყავი თანახმა? როდესაც თქვენ მარტო იყავით, სრულიად მარტო და არაფერ სასარგებლოზე არ ფიქრობდით, როდესაც ლამპა ოთახს ანათებდა და მდელო მოჩანდა. ნესტიანი ოთახი კვამლით იყო სავსე, თქვენ იქ იდექით, დაკარგულნი, სამუდამოდ დაკარგულნი, ცნობიერებიდან გამქრალნი და დგებოდა ჩემი

გაგრძელება E16 გვერდზე



E15 გვერდიდან

დრო. შემეძლო შემოვსულიყავი და თვალებით მებრძანებინა: იფიქრე! იარსებე! თქვი! - თქვენი არასოდეს მესმოდა, თუმცა ყოველი მესამე ადვილად გიგებდათ. მე გითხარი: "შენი არ მესმის, არ მესმის, ვერ ვიგებ". დიდხანს ვერ გიგებდნენ და თვითონაც ვერ იგებდით - რატომ ეს და ეს, რატომ საზღვრები, პოლიტიკა, გაზეთები, ბანკები, ბირჟები, ვაჭრობა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

მე კი მიგიხვდით დახვეწილ პოლიტიკას, ჩავწვდი თქვენს იდეებს, ჩავწვდი თქვენს გონებას, თქვენს აზრებს, დიახ, ამ ყველაფერს და მეტსაც მიგიხვდით. ამიტომაც არ მესმოდა თქვენი. მე ისე კარგად მიგიხვდით ყოველ მუქარას და არგუმენტს, რომ მეტი არაფერი დარჩა მისახვედრი და თქვენც ეს გამოძრავებდათ, ამ ყველაფრის გაუგებრობა, ვინაიდან ეს იყო თქვენი უდიდესი ფარული აზრი მსოფლიოს შესახებ და მე თქვენი უდიდესი აზრი გამოგტყუეთ, თქვენი არაპრაქტიკული აზრი, დროსა და სიკვდილში გაჩენილი და აალებული; ყველაფერი ჩაიწვა: ბოროტმოქმედთა მიერ შელამაზებული წესრიგი, ძილისთვის ბოროტად გამოყენებული ღამე. თქვენი აწმყოთი დაწყევლილი თქვენი ცოლები, თქვენი მომავლით დაწყევლილი თქვენი შვილები - მათ თქვენთვის სიკვდილი კი არ უსწავლებიათ, არამედ მხოლოდ წაგამეცადინეს. მე კი ერთი გამოხედვით გასწავლეთ, როცა ყველაფერი სრულყოფილი, ნათელი და შემზარავი იყო - მე გითხარით: "აი, იქ, შიგნით სიკვდილია!" და: "აი, იქ სადღაც დროა!" მე ვთქვი: "წადი, სიკვდილო!" და: "შეჩერდი, დროვ!" შენ კი ალაპარაკდი, ჩემო ძვირფასო, შენელებული, სრულყოფილი და გადარჩენილი, რეალური და ყველაფრისაგან თავისუფალი ხმით, აღნიშნე, რომ სული ნაღვლიანი გაქვს და დიდი, ისეთი, როგორიც ნებისმიერი კაცის სულია და რომელიც მომავალში დანიშნულებას დაჰკარგავს. მე არა მაქვს დანიშნულება და არც თქვენ გქონდათ, რადგან ყველაფერი მშვენივრად იყო ჩვენ შორის, ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი, რადგან სული ერთი გვქონდა.

ერთ კაცს ვიცნობდი, რომელსაც ჰანსი ერქვა. ყველასგან განსხვავებული იყო. სხვასაც ვიცნობდი, ისიც განსხვავებული იყო, კიდევ ერთსაც და მასაც ჰანსი ერქვა. მე ის მიყვარდა. მდელოზე შევხვდი და მაშინვე უმისამართოდ წავედით, სადღაც დუნაის მახლობლად. ჩვენ შვარცვალდში ეშმაკის ბორბალზე დავსხედით. ჭადრების ჩრდილში, ბულვარზე ვსვამდით პერნოდს. მე ის მიყვარდა. ერთ სადგურში ვიდექით. მატარებელი შუაღამისას გავიდა. მე ხელი არ დამიქნევია, მხოლოდ ვანიშნე, რომ ეს დასასრული იყო, დასასრული, რომელსაც



ბოლო არ უჩანს. და არც ჰქონია დასასრული. კაცს ამ ნიშნის არ უნდა ეშინოდეს, ეს ნიშანი სევდიანი არ არის, პირიქით, ნაკლებად სევდიანია, ვიდრე ორაზროვანი ხელის ქნევა, რომლითაც ბევრი რამ დასასრულისკენ მიექანება. წადი, სიკვდილო! გაჩერდი, დროვ! არავითარი თილისმა, არავითარი ცრემლები, არანაირი ხელის ჩამორთმევა, არც ფული ან თხოვნა. არაფერი-მეთქი! სხვა გზა არა გაქვს, საკუთარი თავი უნდა მიატოვო. თვალებმა თვალები იკმარონ, მწვანე ფერი იკმარონ, უმსუბუქესი იკმარონ. ამ წესს უნდა დაემორჩილო და არა - გრძნობებს. მარტოობას უნდა დაემორჩილო, მარტოობას, რომელშიც არავინ მომყვება.

ნუთუ არ გესმის?! შენს მარტოობას არასოდეს გავიზიარებ, რადგან მასში წილი მიმიძღვის უკვე დიდი ხანია და კიდევ დიდი ხნით. მე არა ვარ შექმნილი იმისთვის, რომ თქვენი წუხილი გავიზიარო! არა-მეთქი! როგორ შემეძლო, თქვენთვის პატივი მეცა, ისე, რომ არ მეღალატა ჩემი წესისთვის? როგორ უნდა მწამდეს თქვენი, სანამ მართლა დავიჯერებ, ბოლომდე დავიჯერებ, რომ თქვენ უფრო მეტი ხართ, ვიდრე თქვენი უსუსური, პატივმოყვარე საუბარი, თქვენი სამარცხვინო საქციელი, თქვენი სულელური ეჭვები. მე ყოველთვის მწამდა, რომ თქვენ მეტი ხართ - რაინდები, კერპები, მეფის სახელის ღირსნი. შენი ცხოვრებიდან არაფერი მოგაგონდება, ანუ სიმართლეს იტყვი. წყალმა კალაპოტი გაგლიჯა, მდინარეები ადიდდნენ, დუმფარები სამჯერ გაიშალნენ და დაიხრჩვნენ, ზღვა კი ერთი ძლევამოსილი ამოსუნთქვა იყო - მორბოდა, მოგორავდა, მიწას ეხეთქებოდა და ტუჩებზე გადარეული თეთრი ქაფი მოსდგომოდა.

გამცემლებო! როცა არაფერი გშველოდათ, გინებით იმშვიდებდით თავს. მაშინ გაგონდებოდათ, რა იყო ჩემში საეჭვო - წყალი, ქვიშა და ის, რაც მიწაზე ფეხს ვერ იკიდებს. თქვენთვის დროულად აღმოჩენილი საფრთხე ვიყავი. დამწყევლიდით და თვალის დახამხამებაში ყველაფერს ინანიებდით. თქვენ სინანულს ეძლეოდით ეკლესიის სკამებზე, თქვენი ცოლების, თქვენი შვილების, საზოგადოების წინაშე. შორიდან ისეთი მამაცები იყავით, რომ მინანიებდით, თქვენს ჭოჭმანს სპობდით. საფრთხეს თავს აღწევდით. ძველებური ყოფა აღადგინეთ და მე მსხვერპლად შემწირეთ. გემრიელი იყო ჩემი სისხლი? ცოტათი მაინც წააგავდა შვლის ან თეთრი ვეშაპის სისხლის გემოს, მათ უმეტყველობას?

მშვიდობით! თქვენ ბევრჯერ შეგიყვარებენ და ბევრს გაპატიებენ. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენ მომიწვიეთ ამ ქვეყანაში, ჩემზე ოცნებობდით თქვენი სულით და არა - სხეულით. თქვენს ქორწილებში მომღერალი უცნობების კოცნა სიკვდილის შიშს აღგიძრავთ. სიკვდილი გწყურიათ და თან, ვერც კვდებით თავგზააბნეულნი, აღფრთოვანებულნი და სრულ ჭკუაზე მყოფნი.

რატომ არ უნდა გითხრათ ეს და შეგიძულოთ, სანამ წავიდოდე? მივდივარ უკვე!

ჰო, უკვე მივდივარ!

მხოლოდ კიდევ ერთხელ შეგავლეთ თვალი, იმ ენაზე მოვისმინე თქვენი საუბარი, რომლითაც მე არ უნდა მელაპარაკებოდეთ. არაადამიანური მახსოვრობა მაქვს. ყველაფერზე უნდა მეფიქრა, ყოველ ღალატსა და ყოველ დამცირებაზე. ისევ ძველ ადგილებზე გიხილეთ. ოდესღაც ნათელი ადგილების მრცხვენია. რა ჩაიდინეთ?! ჩუმად ვიყავი, ერთი სიტყვაც არ მითქვამს. იქნებ თქვენს თავს ჰკითხოთ პასუხი? ერთი პეშვი წყლით დავნამე ის ადგილები, რათა საფლავებით გამწვანებულიყვნენ და განათებულიყვნენ. მაგრამ ისე ვერ წავალ, ძილი ნებისა რომ არ გისურვოთ, რადგან არ გავნაწილდეთ. რათა არაფერი განაწილდეს.

მაინც კარგი იყო თქვენთან საუბარი, თქვენი შეცდომები, თქვენი მუყაითობა და სრული სიმართლის უარყოფა, რათა ნახევარი ითქვას, რათა მსოფლიოს ერთ ნახევარს შუქი მოეფინოს, ამის დაჯერება ჯერ კიდევ შეგიძლიათ თქვენი მუყაითობით. ასეთი მამაცები იყავით, მამაცები სხვების მიმართ და, რა თქმა უნდა, მშიშრებიც და ხშირად მამაცები, რადგან სიმხდალე არავის შეენიშნა. როცა ჩხუბისაგან გამოწვეულ უბედურებას ხედავდით, ჩხუბს აგრძელებდით და თქვენს სიტყვას არ ღალატობდით, თუმცა, ამით ვერაფერს იგებდით. იბრძოდით საკუთრებისთვისა და საკუთრების წინააღმდეგ, იარაღის წინააღმდეგ და ძალადობისთვის, ახლისა და ძველისათვის, მდინარეებისა და წყლის მიმოქცევისთვის, ფიცისთვისა და დაფიცების წინააღმდეგ. თუმცა, იცით, რომ საკუთარ დუმილს ეწინააღმდეგებით, მაგრამ მაინც აგრძელებთ. ქების ღირსი ხართ!

თქვენს მოუქნელ სხეულებში თქვენი სინაზე ქების ღირსია! რაღაც ძალიან ნაზი იბადება თქვენში, როცა ვინმეს სამსახურს უწევთ, ან რაიმეს სათუთად აკეთებთ. თქვენი სინაზე თქვენი ცოლებისაზე გაცილებით ნაზია, როცა სიტყვას აძლევთ ან ვინმეს უსმენთ და უგებთ. თქვენი მძიმე სხეულები ერთ ადგილას სხედან, მაგრამ თქვენ სრულიად მსუბუქნი ხართ. თქვენი ერთადერთი სევდიანი ღიმილი გაღიმება თქვენი მეგობრების ეჭვებს აქარწყლებს.

შესაქებია თქვენი ხელები, როცა მსხვრევად ნივთებს იღებთ, როგორ უფრთხილდებით და სათუთად ეპყრობით მათ, ან როცა მძიმე ბარგს ეზიდებით. რა კარგია, როცა ადამიანთა და ცხოველთა ავადმყოფ სხეულებს მკურნალობთ და ძალიან ფრთხილად უმკლავდებით ტკივილს. თქვენი ხელები ასე ცოტა რამეს აკეთებენ, მაგრამ კეთილი საქმე შვებას გგვრით.

აღტაცებული ვარ, როცა მანქანის ძრავებთან იხრებით, ჩალიჩობთ, ყველაფერი გესმით და ხმამაღლა ხსნით რაღაცებს, სანამ ყოველივე ისევ საიდუმლოდ გადაიქცევა. შენ არ ამბობდი, აქ ეს პრინციპი მოქმედებს და ის ძალაო? დენის ნაკადზე, ენერგიაზე, მაგნიტებზე, მექანიკასა და სხვადასხვა სახის ბირთვებზე ასე საუბარს ველარავინ შეძლებს. ველარავინ შეძლებს ასე საუბარს ელემენტებზე, სამყაროსა და ყველა მნათობზე. არავის უსაუბრია ასე დედამიწაზე, მის ფორმაზე, საუკუნეებზე. შენს საუბარში ყველაფერი ნათელი იყო: კრისტალები, ვულკანები და ნაცარი, ყინული და ლავა.

არავის უსაუბრია ასე ადამიანებზე, მათ საცხოვრებელ პირობებზე, მათ მორჩილებაზე, ხარისხებზე, იდეებზე, ადამიანებზე - მათ ყოფილ და მომავალ ცხოვრებაზე. მართალი იყავი, ასე რომ ფიქრობდი და ბევრს მსჯელობდი.

არავის მოუჯადოებია საგნები ისე, როგორც შენ, შენი სიტყვებით. სიტყვებიც არავის ისე არ აუწონ-დაუწონია, როგორც - შენ. შენს სიტყვებს ზოგჯერ ამბოხება ან სულელად ან ძლიერად გადაქცევა შეეძლოთ. ყველაფერს ახერხებდი სიტყვებითა და წინადადებებით. ეთანხმებოდი, ან ცვლიდი. საგნებს ახალ სახელებს არქმევდი. მათ კი არც პირდაპირი და არც ირიბი სიტყვები არ ესმოდათ, ამიტომაც გაურბოდნენ სახელებს.

ეჰ, ასე კარგად არავის შეეძლო მსახიობობა, თქვე ურჩხულებო! ყველა თამაში თქვენი გამოგონილი იყო, რიცხვებითა და სიტყვებით თამაში, ოცნებობანასა და სიყვარულობანას თამაში.

არავის უსაუბრია ასე საკუთარ თავზე - თითქმის სიმართლე. წყლის ზედაპირზე მოტივტივე, თითქმის ხელაღებული. უკვე დაბნელდა და ნიჟარის ყელსაბამს ველარ ვიკეთებ. აღარ განათდება. შენ ყველასაგან განსხვავდები. მე წყალქვეშ ვარ. წყალქვეშ ვარ.

ზევით კი ახლა ვიღაც დაიარება და სძულს წყალი და სიმწვანე და არ ესმის, ვერასოდეს მიხვდება, როგორც მე ვერ მივხვდი.

თითქმის დადუმებულს,
თითქმის კიდევ
მესმის ძახილი.
მოდი. მხოლოდ ერთხელ.
მოდი.

*გერმანულიდან თარგმნა*
*თეა ბაკურაძემ*